F1191/№ 9775


# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 1 (193) ◆ 4-10 იანვარი 1999 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში




მობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა. მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავლით, უფალო დიდება შენდა.

## სომხეთს ომისათვის ამზადებენ?



...რუსეთის ძალისმიერი უწყებების წარმომადგენლები პირდაპირ აიძულებენ სომხეთის ხელმძღვანელობას, რათა სომხეთმა... დაიწყოს აქტიური საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ... რუსეთს ძალიან აწყობს დღეს ომი რეგიონში...

ერაყის მოვლენებს აუცილებლად მოჰყვება ექსცესები რუსეთის მხრიდან... მას ერთადერთი, შურისძიების გზა რჩება... შურისძიების ობიექტად რეგიონში საქართველო და აზერბაიჯანი მოისაზრება..

გვ. 3

...თურქეთი სავარაუდო კონფლიქტში რაღაცა ფორმით აუცილებლად ჩაერთვება, რაც ძალზე აწყობთ რუსეთის მილიტარისტულ წრეებს.

...31 დეკემბერს, ჩემი ძმა, რომელიც გუმისთის ბატალიონში იბრძოდა, საახალწლოდ ხორცის საშოვნელად წავიდა. იმ ღამეს ჩვენი ქართველი მეომრები ჩემს ძმასა და მის მეგობრებს დახვდნენ, განაიარაღეს, ხორცის საყიდელი კუპონები წაართვეს, მანქანაც ჩამოართვეს და შეკოჭილები დაყარეს თავსხმა წვიმაში.



...აფხაზეთის ომში მონაწილეობდა ქართველ პატრიოტთა და ყაჩაღთა ნაზავი... პატრიოტები დაიხოცნენ... ყაჩაღები გადარჩნენ...

გვ. 7

...ასეთი ძლიერი შეტევა მე სხვა არ მახსოვს: აფხაზთა მეთაური, მეტსახელად „მალიში“, ტანკში ჩაიწვა... აფხაზთა გვამებს ჩვენები სიმინდის ყანებში აგროვებდნენ.

## წლის მსოფლიო მოვლენა

გვ. 27

მკითხველის შეფასებით

## ქალებს ძალიან მოსწონდათ...



გვ. 12

მაგრამ მისი გული მხოლოდ ერთ გოგონას ეკუთვნოდა, რომელმაც ღარიბ სტუდენტს მდიდარი ვაჭარი ამჯობინა და იქნებ ამიტომაც მიიღო XX საუკუნემ უჩვეულო პოლიტიკოსი, ეშმაკი, ბოროტი, მკაცრი, შურისმაძიებელი, სადისტი, ერთი სიტყვით, აზიის ერთ-ერთი ტირანი, რომელიც მთელ მსოფლიოს ემუქრება.

— ბოს, დავალება შესრულებულია! 3 ჟურნალისტი და 4 მოქალაქე მაგრად ვცემეთ.

**ფოტოპალიტრა** გვ. 27

## შემსრულებლები დაისჯებიან! დამკვეთები?..



პროკურატურამ ჟურნალისტებს „გული გადაუშალა“

ტერორიზმში უნიკალური გამოცდილების მქონე ბანდის ხელმძღვანელი ტერაქტის მომზადების პერიოდში გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა.

პროკურატურამ სწორედ ფიჭური ტელეფონების საშუალებით დაადგინა ვინ საიდან გადასცემდა ინფორმაციას 9 თებერვლის ღამეს.

გვ. 6

ამ ბოლო სამი თვის მანძილზე პეტერბურგში ოთხი დაკვეთილი მკვლელობა მოხდა...

სობჩაკი ქალაქიდან გაიქცა... ახალ მერს კი კრიმინალურ სამყაროსთან მეგობრობაში ადანაშაულებენ.

**პეტერბურგი განაწილებული აქვს ოთხ მაფიოზურ ბანდას.** გვ. 22

— ჩემი და იმერეთის რწმუნებულის უზომოდ ბევრი ფიქრის შედეგია პენსიების მაგიერ ფქვილის დარიგება, თუმცა ზოგიერთმა ამას უტაქტობა უწოდა... ახლა კი სხვადასხვა მიზეზით, საერთოდ შეჩერდა ფქვილის გაცემა.

— მე და ქალბატონი მედეა სულ სხვადასხვა სტრუქტურაში ვმუშაობთ და ამ სამი წლის განმავლობაში არ მახსოვს, ქალბატონი მედეა შემოჭრილიყო ჩემს კომპეტენციაში.

გვ. 8

**ზოგიერთი კითხვა უპასუხოდ დატოვა კახეთის რწმუნებულმა**


**საპრიზო თამაში**

„ქვიშა ლოტო“© გვ. 26

**ჯეკ-პოტი — 525 ლარი**



EURO-AMERICAN

**ტანსაცმელი იაფად, 1 კგ-ის ფასი — 1 ლარიდან 5,5 ლარამდე**

თუ გსურთ სწრაფად იშოვოთ ფული, ჩვენ გაძლევთ შესაძლებლობას. გთავაზობთ ხარისხიან ტანსაცმელს ამერიკიდან 25 კგ-იანი ფუთებით. საწყისი თანხა შეადგენს 25 ლარიდან 170 ლარამდე.

მ: „სამგორი“, სამგორის ჩიხი №4, საქბაკალეის საწყობი

ტელ: 70-77-42

მოსკოვის პროსპექტი / M „სამგორი“ / მაკარონის ფაბრიკა / საქბაკალეია


შიშის 350 სახეობის იცნობდნენ ფსიქოტერაპევტები.

ამ რიცხვმა ახლა წარმოუდგენელ ციფრს მიაღწია... ნუ გაიკვირვებთ, თუ ვინმე თქვენგანს ხოჭოსი ეშინია...

ვუდი ალენს ისტერიკა ემართება ჭიანჭველას დანახვაზე.

სასტიკი ბოევიკი ნიქოლას ქეიჯი კანკალებს შინაური ცხოველის დანახვაზეც კი, ამიტომ მიუსაჯა თავის თავს მავ გოჭთან ცხოვრება.

გვ. 18



საკვირაო ტელე-კინოაფიშა

4 – 10 იანვარი

გვ. 14-15

Неделя · КОММАНДОС · Частная жизнь · Телохранитель · За рубежом · Московские новости · Newsweek · FOCUS · Общая газета · DER SPIEGEL · Комсомольская правда · МК · stern · Сегодня · Клюква · Известия · Труд · Совершенно секретно · Аргументы и факты · Иностранец · Le Figaro Magazine · Paris Match · ТВ Парк · Лица · Огонёк · daily · Le nouvel Observateur · Итоги

**გილოცავთ შობას – ახალ წელს!**

## საქართველო ევროპის მოლოდინში

27 იანვარს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოში განიხილავენ ამ ორგანიზაციაში საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღების საკითხს. ევროპის ქვეყნებიდან მივლინებული პარლამენტარები კენჭს უყრიან საქართველოს გაწევრებას ევროსაბჭოში და როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ჩვენი ქვეყნის შესვლას ამ ორგანიზაციაში წინ არაფერი დაუდგება.

ევროსაბჭოში საქართველოს რესპუბლიკის მიღებით დაიწყება ევროპულ სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირების პროცესი, რაც რამდენიმე წლის შემდეგ ალბათ დასრულდება ევროკავშირში საქართველოს გაწევრებით.

## წლის გმირი გია მეფარიშვილი გახდება, ანტიგმირი...

არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის", მოაწყო გამოკითხვა საქართველოს საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის 1998 წლის გმირისა და ანტიგმირის გამოსავლენად. გამოკითხვის საბოლოო შედეგები ჯერ არ არის შეჯამებული, მაგრამ კანდიდატები უკვე გამოვლინდა. როგორც ჩანს, წლის გმირი გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე გია მეფარიშვილი. ოთხწევრიანი სასამართლო კოლეგიიდან იგი ერთადერთი იყო, რომელმაც გაილაშქრა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რის საფუძველზეც ანტიკონსტიტუციურად მიიჩნიეს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე მოსამართლეთა კორპუსის შეცვლა.

ანტიგმირის წოდებაზე სამი პრეტენდენტი აცხადებს „პრეტენზიას": კახა თარგამაძე, სოსო ალავიძე და თემურ მღებრიშვილი.

## გარდაიცვლება მმართველი პარტია

„1999 წელი გახდება მმართველი პარტიის პოლიტიკური გარდაცვალების წელი, — განაცხადა მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარემ ვაჟა ადამიამ. მისი თქმით, მოქალაქეთა კავშირმა უკვე იგრძნო, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს. ამასთან, 15 ნოემბრის არჩევნების დროს რევოლუციური ცვლილებები მოხდა საქართველოს პოლიტიკაში, როცა ერთ ბლოკად გაერთიანებულმა ეროვნულმა ძალებმა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის საკრებულოებში 111 ადგილი მოიპოვეს.

## ეროვნული ძალები შეძლებენ გამარჯვებას

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერის თამარ ჩხეიძის თქმით, ეროვნულმა ძალებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა მოსახლეობაში გამოაღვიძონ და გამოაცოცხლონ ეროვნული თვითშეგნება. მისი თქმით, ქვეყნის ხელისუფლებამ თავისი მმართველობის წლებში მიზანმიმართულად გააკეთა ყველაფერი საიმისოდ, რომ საქართველოს მოქალაქეები სილატაკის ზღვრამდე მიეყვანა და ხალხს, თავის გადარჩენის გარდა, სხვა რამეზე ფიქრი აღარ შესძლებოდა. თამარ ჩხეიძის განცხადებით, 1999 წელს ვითარება რადიკალურად შეიცვლება. იგი დარწმუნებულია, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ეროვნული ძალები შეძლებენ გამარჯვებას და მოვლენ ხელისუფლებაში, რითაც კარდინალურად შეცვლიან ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

## დემოკრატიის ახალი ეტაპი

1998 წელი მეტად მძიმე იყო საქართველოს მოსახლეობისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით, — განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. ამასთან, მისი აზრით, გასული წელი ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ ხალხში მოხდა ფსიქოლოგიური გარდატეხა, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებში აისახა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ პოლიტიკური და მშვიდობიანი გზით ძლიერი დარტყმა მიიღო, რამაც დასაბამი მისცა დემოკრატიის ახალი ეტაპის დადგომას და ხელისუფლების სათავეში ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენლების მოსვლას.

შეეხო რა 1999 წლის პერსპექტივებს, ქართველ ლეიბორისტთა ლიდერმა ეჭვი გამოთქვა, რომ პარლამენტის არჩევნების გამართვამდე მოხერხდება ეკონომიკური კრიზისის დაძლევა.

## ქართული მასმედიის განსაკუთრებული როლი

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში 1999 წელს განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ქართულმა მასმედიამ, — განაცხადა კონსტიტუციის დაცვის პრეზიდენტმა ვახტანგ ხმალაძემ. მისი აზრით, სწორედ მასმედიამ უნდა შეუწყოს ხელი თვითშეგნების შეცვლას მოსახლეობაში, რომელმაც არ იცის და ზოგჯერ ვერც ხვდება, თუ რა უფლებებს ანიჭებს მას კონსტიტუცია. ხმალაძის თქმითვე, ხელისუფლება სრულიად არ უწევს ანგარიშს თავის მოქალაქეებს სწორედ იმიტომ, რომ თავად მოქალაქეები არც ცდილობენ გააკონტროლონ და პასუხი მოსთხოვონ მათ მიერვე არჩეულ ხელისუფლებას.

## აშუქად აგდებული ხალხი თუ ახალი წელი

ნამდვილად ვერ ინატრებდა ვერავინ იმ თბილისელთა ბედს, რომლებსაც 30-31 დეკემბერს შუქი არ ჰქონდათ და რომლებიც დედაწულიანად მიაწყდნენ თელასის შენობას, ქვების სროლით, ფურთხებით, დედ-მამის სულის გინებითა და წყევლა-კრულვით აიკლეს იქაურობაც და, ბუნებრივია, ხელისუფლებაც. თუმცა, ვისაც შუქი ჰქონდა, უმრავლეს შემთხვევაში არა 220 ვოლტი, არამედ 120-100 და, წარმოიდგინეთ, 90 ვოლტიც კი, მაგალითად, როგორც ვაკის რაიონის რიგ ქუჩებს...

## ტალახი ქალაქის ქუჩებში

ამასთან, ნამდვილად ვერც იმ ადამიანების ბედს ვინატრებდით, რომლებიც მზის ჩასვლის შემდეგ დეზერტირების ბაზარსა და უფრო მის მიმდებარე ტერიტორიაზე „მძვინვარე" საახალწლო ვაჭრობაში მოხვდა. საქმე ის არის, რომ უშუქობასთან ერთად დაგვიანებულ მრავალრიცხოვან მყიდველს ჯერ იყო და, კოჭებამდე ტალახში, დიახ ტალახში უწევდა „ჭყუმპალაობა", ხოლო შემდეგ საახალწლო პროდუქტით დატვირთულებს ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული... ტაქსის პოვნა-შოვნა(!). ბუნებრივია, ტაქსის „დეფიციტის" პირობებში მაზანდა იწევს და ალბათ, ადვილად წარმოიდგენთ იმ მოქალაქეთა ბედს, რომლებსაც საახალწლო ვაჭრობის შემდეგ ტაქსისთვის შემონახული სამი ლარი აღარ ჰყოფნიდათ მგზავრობის საფასურის გადასახდელად და მაგალითად, ნამუსგარეცხილი ტაქსის მძღოლები დეზერტირების ბაზრიდან ვარაზის ხევამდე (კეკელიძის ქუჩამდე), ან მრგვალ ბაღამდე... 5-6 ლარს თხოულობდნენ!

## სვანეთში რადიაციის წყაროს გააუვნებლებენ

მესტიის რაიონის სოფლებში რადიაციის აღმოჩენილი წყაროების გამოსაკვლევად გაემგზავრება ქართველ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც დაადგენს გამოსხივების სიმძლავრეს და რადიაციული წყაროების სხვა პარამეტრებს. შემდეგ დაამზადებენ სპეციალურ კონტეინერს და წყაროების სალიკვიდაციოდ საგანგებო რაზმი გაემგზავრება.

## „საქართველოს რკინიგზის" აქციები სახელმწიფოსია

ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში რეგისტრირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა", — განაცხადა ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ მერაბ გაბუნიამ. მისი თქმით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაახლოებით 360 მლნ ლარს შეადგენს და აქციების 1000%+-ს სახელმწიფო ფლობს. ამასთან, ახალი სტრუქტურა სულაც არ ნიშნავს ქვეყნის რკინიგზის პრივატიზაციას და ამ ნაბიჯის მიზანია, რკინიგზის სამმართველო და სამეურნეო ფუნქციების გამიჯვნა.

## გაჭირვებულთ კვლავ მოთმენა მართებთ

„ჭირსა შიგან გამაგრება, ისრე უნდა, ვით ქვითკირსა", — ასეთი სიბრძნით მოვედით დღემდე. ამ სიბრძნის გათვალისწინებით უნდა დავასრულოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა, — აღნიშნა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქვეყნისადმი თავის საახალწლო მიმართვაში. სწორი და დროული ნათქვამია, ოღონდ, რა თქმა უნდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან და გარეშე მტრებთან ბრძოლის თვალსაზრისით. ხოლო გაჭირვების ჭირს რომ ნამდვილად ვერ გრძნობენ ვერც საკუთარ ოჯახებსა და ვერც თავიანთ კლანებში კორუმპირებული ჩინოვნიკები, ესეც ფაქტია. ამიტომ, პრეზიდენტის ეს სიტყვები უფრო მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეეხება, რომელიც მუდამ იყო ქვეყნისა და სახელმწიფოებრიობის ბურჯი და რომელსაც დღემდე დაუნდობლად სწოვს სისხლს შინაური და გარეული მტერი.

## ჩერნობილში დაზარალებულნი გაერთიანდნენ

შეიქმნა სამეგრელო — ზემო სვანეთის ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციის სამუშაოებში მონაწილეთა რეგიონალური კავშირი.

აღნიშნულ სამუშაოებში მხოლოდ ზუგდიდიდან 60 ადამიანი მონაწილეობდა, რომელთაგან 3 უკვე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენების უმრავლესობა დაინვალიდებულია. აღსანიშნავია, რომ ეს 53-ე არასამთავრობო არასამეწარმეო ორგანიზაციაა, რომელიც ქალაქ ზუგდიდში მოქმედებს.

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ისევ ერთიანია

**(კავკას-პრესი)** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ისევ ერთიანია, ნათქვამია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აღნიშნული ფაქტის კონსტატირება მოხდა მას შემდეგ, რაც ლეგალურ სოციალ-დემოკრატების თავმჯდომარე დავით ლომინაძესა და არალეგალურ სოციალ-დემოკრატების ლიდერ დემურ ბახტაძეს შორის გაფორმდა შეთანხმება გაერთიანების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანდება ყველა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი თავმჯდომარის, პროფესორ გურამ მუჩაიძის გარდა.

## „აჭარგაზი" — საერთაშორისო პროექტში მონაწილეობს

**(კავკას-პრესი)** რუსეთიდან თურქეთში გაზის ტრანსპორტირების ახალ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კომპანია „კონაკო", თურქული ფირმა „ერდოლაქსი" და სააქციო საზოგადოება „აჭარგაზი", ამის შესახებ განაცხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ამჟამად სააქციო საზოგადოება „აჭარგაზის" დირექტორმა ავთანდილ გორგილაძემ.

მისი თქმით, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად კომპანია „კონაკომ" ინვესტიციის სახით, დაახლოებით 300 მლნ ამერიკული დოლარი გამოყო, ხოლო 1 მლნ დოლარამდე დახარჯა იმისათვის, რათა შეესწავლა პროექტის საინვესტიციო გარემო.

პროექტის განხორციელება 3 ეტაპად არის დაგეგმილი და იგი 20 თებერვლისათვის დაიწყება: პირველ და მეორე ეტაპზე დაგეგმილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით რუსეთიდან თურქეთში გაზის ტრანსპორტირება, ხოლო მესამე ეტაპზე — წელიწადნახევრის შემდეგ „აჭარგაზის" ტერიტორიაზე აიგება ქარხანა, სადაც მოხდება გაზის დაყოფა „პროპანად" და „მეთანად".

## მინიმალური პენსია 10 რუბლის ოდენობით

**(კავკას-პრესი)** ახალგაზრდა რესპუბლიკამ სიძნელეები დაძლია და იგი თანდათანობით ფეხზე დგება, ამის შესახებ ითქვა სოხუმში გამართულ აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, 1999 წლიდან მინიმალური პენსია განისაზღვრება 10 რუბლის ოდენობით. ხოლო დიდი სამამულო ომისა და 1992-93 წლებში „აფხაზეთის სამამულო ომის" მონაწილენი მიიღებენ 100 რუბლის ოდენობის პენსიას.

## აფხაზური მხარე უკმაყოფილოა

**(კავკას-პრესი)** „გასული წელი შეიძლება წარუმატებლად ჩაითვალოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობის ფარგლებში", — განაცხადა აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა მოლაპარაკების პროცესში, ანრი ჯერგენიამ.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა კი აღნიშნული მოვლენა პირიქით შეაფასა და ხაზი გაუსვა მხარეთა შორის პირდაპირი დიალოგის დაწყების ფაქტს.

ანრი ჯერგენიამ ქართული მხარე დაადანაშაულა პრობლემებისადმი არაკონსტრუქციულ მიდგომაში, მისი თქმით, ქართული მხარე არ აპირებს აფხაზეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას, გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნების სანაცვლოდაც კი.

ყველაფერი ეს კი იმის ფიქრის საშუალებას იძლევა, რომ საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ ლაპარაკობს კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაზე, საქმით, კი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა კონფლიქტი ძალისმიერი გზით გადაწყვიტოს", — მიაჩნია ჯერგენიას. მიუხედავად ამისა, იგი მაინც აპირებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ვაჟა ლორთქიფანიძესთან შეხვედრების გაგრძელებას, ვინაიდან თვლის, რომ პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას ალტერნატივა არ გააჩნია.

## სტუმრად ბატონ ჭაბუასთან

როცა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს ვესტუმრე ინტერვიუსთვის, ტელევიზორს უყურებდა, სადაც 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ დიდი შეხლა-შემოხლა იყო გამართული. ჩემს დანახვაზე დემონსტრატიულად ჩაუწია ხმა ტელევიზორს, ხელი ჩაიქნია და სავარძელთან მიმიპატიჟა. საკმაოდ მოტეხილად გამოიყურებოდა ფიზიკურად ბატონი ჭაბუა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მის სულიერ განწყობაზე და რაშიც თავადაც დარწმუნდებით.

— ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ვიცი, რომ საქართველო, აი, ამ ხალხის ლაყბობის მიუხედავად, არავითარი დაღუპვის პირზე არ არის. საქართველო დღეს არის განვითარებადი და ჯანმრთელი სახელმწიფო, ჯანმრთელი-მეთქი, ამას ხაზს ვუსვამ. ეს იმიტომ, რომ ის, რაც საქართველოში ხდება, არის მხოლოდ მიკროგამოვლინება იმისა, რაც ხდება მსოფლიოში. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ მესამე ათასწლეულს ქართველები შევხვდებით ძალიან ღირსეულად. შეხედეთ, რა ხდება რუსეთში, სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ჩვენ კი, ძალიან მაგრად ვართ და ვიქნებით კიდეც!

— 2000 წლის თარიღს, საუკუნეების მანძილზე, შიშითა და ძრწოლით აღიქვამდა კაცობრიობა, როგორც „მეორედ მოსვლას"; თქვენთვის ეს თარიღი სიმბოლურად მაინც წარმოადგენს რაიმეს?

— ბნელეთის მოციქულებს არ ავყვები და არც მჯერა მათი. ნოსტრადამუსისაც კი არ მჯერა, 500 წლის წინ მცხოვრები კაცისა... კარგად ვიცი, რომ მესამე ათასწლეული იქნება, საერთოდ, კაცობრიობისა და ჩემი სამშობლოს განვითარებისა და სრულქმნის ახალი ათასწლეული!

— შობა-ახალი წლის დღეებია და რას უსურვებთ მკითხველს?

— მოთმინებას, სამშობლოს სიყვარულს, შრომას და ბავშვების აღზრდას მამულიშვილური სულისკვეთებით. სხვას არაფერს.




## ტრაგედია დონბასში

2 იანვარს უკრაინაში დონბასის აუზის ერთ-ერთ შახტაში მომხდარმა აფეთქებამ 6 ადამიანი იმსხვერპლა. ექსპერტების აზრით, ტრაგედია მეთანის აფეთქებამ გამოიწვია.

## ჰუსეინმა მდგომარეობა დაამძიმა

სადამ ჰუსეინმა განაცხადა, რომ ერაყის საჰაერო დაცვის ძალები ააფეთქებენ ნებისმიერი მოწინააღმდეგის თვითმფრინავს თუნდაც ეს იყოს ქვეყნის ჩრდილო და სამხრეთ მხარეში, ე.წ. „უსაფრთხო ზონაში", სადაც ეკრძალებათ ფრენა ერაყის საბრძოლო თვითმფრინავებს.

ამ საახალწლო განცხადებით სადამ ჰუსეინმა კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც დაძაბული ვითარება გაეროსა და აშშ-თან. უფრო მეტიც მან მოითხოვა, რომ აშშ-სა და ბრიტანეთის ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ დატოვონ ერაყის ტერიტორია, ვითომდა მათი უსაფრთხოების გარანტის შეუძლებლობის გამო.

## ავიაკატასტროფა ანგოლაში

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ანგოლაში გაეროს უკვე მეორე სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ამ ტერიტორიას აკონტროლებდა ანტისამთავრობო ორგანიზაცია „უნიტა". ბოლო მონაცემებით, ეკიპაჟი და მგზავრები დაღუპულები არიან. კოფი ანანმა კატეგორიულად მოსთხოვა დაპირისპირებულ მხარეებს, სასწრაფოდ შეწყვიტონ საბრძოლო მოქმედებები, რათა შესაძლებელი გახდეს კატასტროფის მსხვერპლთა გვამების მოძიება.

# სომხეთს ახალი ომისათვის ამზადებენ?

ტრადიციისამებრ, შობა-ახალი წლის დღეები წელიწადის ის უნიკალური დროა, როცა ადამიანები ცდილობენ, თუნდაც ყველაზე ურთულეს პირად თუ საქვეყნო პრობლემებსაც კი ოპტიმისტურად შეხედონ და ამ მხრივ არც ქართველები ვართ გამონაკლისნი. მეტიც, შეიძლება ჩვენ სხვებზე უფრო ოპტიმისტებიც ვართ და შესაბამისად, გაცილებით იოლად მოსაგვარებლად გვეჩვენება ხოლმე ესა თუ ის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი. იმას არ ვგულისხმობ, რომ ყურებჩამოყრილნი ვიყოთ მინდობილნი ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესებს, უკეთესი დროის მოლოდინში დარტყმა დარტყმაზე მივიღოთ და, რაც ყველაზე საშინელია, შევეგუოთ მას...

დღეს გალის რაიონში შექმნილი ვითარების ფონზე შეიძლება ძალაც გამოყურება ჩვენი ხელისუფლების მოქმედება, მით უმეტეს, რომ სეპარატისტთა პარალელურად უკვე რუსმა „მშვიდობისმყოფელებმაც“ დაგვიწყეს სროლა, მაგრამ მაინც, მიმდინარე საშიში პროცესები გლობალურ პოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ პლანში უფრო მოითხოვს განხილვა-გაანალიზებას, ვიდრე არძინბა-კორობკოს თვალსაჩინოსა და მათი მოქმედების არეალის სპექტრში...

და კიდევ, რუსეთ-ბელორუსიის ერთ მოკავშირე სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ ელცინ-ლუკაშენკოს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი, ამ კავშირისადმი მეზობელი სომხეთის სწრაფვა და ისიც, რომ საქართველოშიც დღითი დღე იკრებენ ძალას ჩრდილოეთისკენ მზერა-მიპყრობილი პოლიტიკური წრეები, ნამდვილად არ გვაძლევს ამ მოვლენებისადმი მშვიდად ცქერის უფლებას. ამიტომ, ვიდრე მოვლენათა შესაძლო განვითარების შესახებ ვიტყოდეთ რამეს, კიდევ ერთხელ კარგად უნდა გავერკვეთ რასთან გვაქვს საქმე. აი, რა მოსაზრებებს გამოთქვამს პარლამენტის კავკასიის ხალხებთან ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე **მამუკა არეშიძე**.

— პრიმიტიულად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს რეგიონში გავლენის სფეროების მოპოვება-დაკარგვის ურთულეს პროცესთან, რომელშიც უამრავი მხარეა ჩაბმული, ხოლო ამ გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა დაკავშირებულია უზარმაზარ ფინანსურ და ინტელექტუალურ ძალისხმევასთან.

რეგიონი კი უაღრესად ჭრელია: სხვადასხვა მრწამსის, მენტალიტეტის, რელიგიურ-პოლიტიკური მიმართულებისა და ამბიციების მქონე ადამიანებითაა დასახლებული და მათთან ურთიერთობის ფორმაც დაინტერესებულ ძალებს სხვადასხვანაირი აქვთ. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რთული გეოპოლიტიკური ვითარება არა მარტო ჩვენთვისაა, არამედ იმათთვისაც, ვინც აქ გავლენის შენარჩუნებას ან მოპოვებას ცდილობს. ჯერ ერთი, ისინი ერთმანეთს ებრძვიან გავლენის მოპოვებისათვის და მეორეც, მათ აქაც არ ხვდებათ ისეთი ძალა, რომელსაც ბოლომდე მიენდობიან და დაეყრდნობიან. აქ ქართული ტრადიციული თვისებებიდან გამომდინარე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც მუშაობს: „თავს არ გამოგაყენებინებ, თუ ეს საქართველოსთვის საზიანო იქნება“, — ასეთი დამოკიდებულებაა უმრავლეს შემთხვევაში, თუმცა არსებობენ ძალებიც, რომლებიც, ელემენტარულად, დაქირავებულები არიან სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ. მაგალითად, იგივე რუსეთში არიან ცნობილი ძალები, ერთის მხრივ, „გაზპრომი“, მეორე მხრივ, ძლიერი რუსული ნავთობკომპანიები, მესამე — ბერეზოვსკის საფინანსო ოლიგარქია და თითოეულ მათგანს თავისი დასაყრდენი პოლიტიკური ჯგუფები ჰყავს საქართველოში. ამის ნათელი მაგალითია, ვთქვათ, რუსთავში ბუნებრივი გაზის ირგვლივ მიმდინარე პროცესები და დაპირისპირება. ამიტომ „გაზპრომისა“ და „ლუკოილის“ ინტერესები საქართველოში სხვადასხვაა და მათაც სამოქმედოდ წინა პლანზე გამოჰყავთ ჯერ თავიანთი რუსი პოლიტიკოსები, ხოლო შემდეგ ქართველი პოლიტიკოსები და ამით ერთმანეთს ებრძვიან. ე.ი. მათ ერთგვაროვანი და ერთიანი პოზიცია არა აქვთ საქართველოსთან მიმართებაში, რაც „მღვრიე წყალში თევზის დაჭერისათვის“ შესაძლებლობას გვაძლევს, სიტუაცია მაშინ გართულდება უკიდურესად, როცა იარაღი ჩაებმება საქმეში...

— **და ამიტომაც იყო, რომ მთელი გასული წლის მანძილზე ხაზგასმით ვარიდებდით თავს ნებისმიერ კონფრონტაციას, მაგრამ გვინდა თუ არა, აშკარაა, რომ სწორედ ამ კონფრონტაციისაკენ გვიბიძგებენ დღესაც.**

— 1998 წელი აშკარად თავშეკავებისა და ძალების დაგროვების წელიწადი უნდა ყოფილიყო. ვგულისხმობ, სამხედრო-პოლიტიკურ, დიპლომატიურ დივიდენდებს, ხოლო რამდენად შევძელით მათი დაგროვება, ეს მეორე საკითხია. ახლა, გარკვეულწილად, იარაღის გამოყენების ფაქტორიც გამოჩნდა, რადგან საერთო დაძაბულობამ, განსაკუთრებით ერაყის მოვლენების შემდეგ, კულმინაციას მიაღწია. საქმე ის არის, რომ აშშ-ის მიერ რუსეთის ინტერესების მთლიანად უგულებელყოფამ ის მოიტანა, რომ ჩვენი მეზობლები შეეცდებიან, ვაშინგტონს არ აპატიონ ეს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ უგულებელყოფილ იქნა საფრანგეთისა და ჩინეთის ინტერესები, რითაც აშშ-მა და ბრიტანეთმა პირდაპირ მიაყენეს შეურაცხყოფა ამ ქვეყნებს. ყოველივე ამას აუცილებლად მოჰყვება ექსცესები და უწინარესად, რუსეთის მხრიდან.

— **როგორც ყოველთვის, დარტყმის ერთ-ერთი ობიექტი, ალბათ, საქართველოც იქნება, როგორც დასავლეთსა და უწინარესად, აშშ-ზე ორიენტირებული სახელმწიფო, მით უმეტეს, თუ რუსეთის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებსაც გავითვალისწინებთ, რასაც ასე თავგანწირვით ებღაუჭება კავკასიაში...**

— რუსეთს სამაგიეროს გადახდის ერთადერთი გზა რჩება, რათა შური იძიოს აშშ-ის დღევანდელ და პოტენციურ მოკავშირეებზე ასეთ მოკავშირეებად კავკასიაში მოიაზრება საქართველო და აზერბაიჯანი. რუსეთი ყველაფერზე წავა, რათა თავისი

> „— სომხეთის გარკვეული პოლიტიკური წრეებისაგან ჩემთვის რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, რომ რუსეთის ძალისმიერი უწყებების წარმომადგენლები პირდაპირ აიძულებენ სომხეთის ხელმძღვანელობას, რათა სომხეთმა... დაიწყოს აქტიური საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ.“

გავლენა არ დაკარგოს რეგიონში და სამისოდ სერიოზული მოტივიც აქვს აშშ-ის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, „თუ ვაშინგტონი ათასობით კილომეტრით დაშორებულ ერაყში „საქმეს არჩევს“, რატომ არ უნდა მქონდეს უფლება ჩემს უშუალო საზღვართან იგივე გავაკეთო?!“ აი, სწორედ ამის მანიშნებელია, გარკვეულწილად, სოფელ ხურჩაში დღეს მიმდინარე პროცესები და რუსეთის მიერ სომხეთისათვის МиГ-29 ტიპის სამხედრო თვითმფრინავების გადაცემის ფაქტი. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამჯერად საქმე ახალი ომისკენ წავიდეს. ძირითადი დარტყმა მიმართული იქნება აზერბაიჯანისკენ, „სამარქაფო“ დარტყმა კი საქართველოსაკენ. აი, ეს გახლავთ ჩემი სამწუხარო პროგნოზი იმ ინფორმაციიდან და ანალიზიდან გამომდინარე, რასაც ამჟამად ვფლობ. ამასთან, ნუ დავივიწყებთ, რომ ძირითადი დარტყმის განხორციელების,



ანუ სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შემთხვევაში, თურქეთი არ შეურიგდება ამ ფაქტს, რადგან ეს მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დარტყმაც იქნება.

— **თუ მოვლენები ამ სცენარით წარიმართა, ბუნებრივია, წერტილი დაესმება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებაზე ოცნებასაც კი...**

— დიახ, ეს მნიშვნელოვანი დარტყმა იქნება თურქეთის, როგორც რეგიონში დომინანტი სახელმწიფოსადმი, თუ მისი უახლოესი მოკავშირე აზერბაიჯანის წინააღმდეგ განხორციელდება აქციები და მეორეც, დასამარდება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი. ამიტომ თურქეთი სავარაუდო კონფლიქტში რაღაც ფორმით აუცილებლად ჩაერთვება, რაც ძალზე აწყობთ რუსეთის მილიტარისტულ წრეებს. ამასთან, ნუ დავივიწყებთ ქურთების გააქტიურების ფაქტორს. იმასაც გეტყვით, რომ ოჯალანი ასე ტყუილუბრალოდ არ აღმოჩნდებოდა რომის აეროპორტში და არ ჩაბარდებოდა იტალიის სპეცსამსახურებს. ეს გახლავთ ძალიან დიდი და სერიოზული თამაშის ერთი ნაწილი, რამაც უმძიმეს შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ჩვენი რეგიონი. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი ინფორმაციით სომხეთის პოლიტიკური ისთებლიშმენტის დიდი ნაწილი ყოველგვარი სამხედრო კონფრონტაციის წინააღმდეგია, რადგან მშვენივრად იცის, რომ საბოლოო ჯამში, იგი სომხეთის განადგურებას გამოიწვევს. აზერბაიჯანი ისეთი იოლად წასაქცევი ქვეყანა აღარ არის, როგორიც ადრე იყო და თურქეთი მისი სტაბილურობით გაცილებით მეტად არის დაინტერესებული, ვიდრე 90-იანი წლების დასაწყისში იყო.

— **ე.ი. შექმნილ ვითარებაში, საქართველოს კვლავ და კვლავ ზომიერი, ზოგჯერ კი, კომპრომისული პოლიტიკის გატარება მართებს.**

— ჩვენ უნდა მივაღწიოთ ეკონომიკური სიძლიერის გარკვეულ დონეს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ნავთობსადენი და ტრასეკა მთელი დატვირთვით ამოქმედდეს, რათა ქვეყანა ფეხზე დადგეს. მართალია, ბევრი იტყვის, ამ კორუმპირებულებისა და მამაძაღლების ხელში ბევრს ვერაფერს მივაღწევთო, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ და ვიბრძოლოთ სამ ფრონტზე: 1) შინაურ მტრებთან, ანუ ტოტალური კორუფციის ჭაობში ჩაძირულ წრეებთან; 2) ბლოკირება გავუკეთოთ გარეშე მტრებს; 3) ნაბიჯ-ნაბიჯ მივაღწიოთ ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს. როცა ეს მოხდება, მერე შეგვეძლება იარაღსაც მოვკიდოთ ხელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად, თუ, რა თქმა უნდა, ეს საჭირო გახდა.

— **ყველაფერ იმის ფონზე, რაც ზემოთ ბრძანეთ, რა გვიჩვენა 9 თებერვლის ტერაქტის გამოძიების შედეგებმა? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გამოძიება შემსრულებლებს ველარ გასცდება...**

— რასაკვირველია, კვალი რუსეთის სპეცსამსახურებისაკენ მიდის და არა მარტო მათკენ. როცა ჩეჩნეთის იმ ბაზაზე ერთ-ერთი ინსტრუქტორი პაკისტანელიც იყო, ნიშნავს იმას, რომ კვალი არაბული ქვეყნებისკენაც მიდის. აქვე დავაფიქსირებ, რომ დღეს რუსეთი დანგრეული ქვეყანაა. ეს არ არის „დაჭრილი დათვი“, იგი „მომაკვდავი დათვია“, რომლის სიკვდილსაც საკუთრივ რუსეთის ორგანიზმში ჩამჯდარი უამრავი პარაზიტი აჩქარებს. ეს პარაზიტები არიან ოლიგარქების — საფინანსო, სანავთობო და გაზის მაგნატების ჯგუფები, რომლებსაც თავიანთი ინტერესები ამოძრავებთ. ამ წრეების ნაწილის ინტერესები შეიძლება ემთხვევა არაბული სამყაროს ინტერესებს, ნაწილის — არ ემთხვევა. აი, ასეა გადახლართული ერთმანეთში ამ ინტერესთა ჭიდილი და რუსეთის სპეცსამსახურებიც. ზოგი ერთის ინტერესებს ემსახურება, ზოგიც მეორეზე მუშაობს და ა.შ. ყველაფერი ეს კი ქაოსის სახეს იძენს, თუმცა ძერჟინსკის სკოლის ტრადიციებიდან გამომდინარე, ცოდნა-გამოცდილება უზარმაზარი აქვთ, რომლის წყალობითაც იყენებენ ეფექტურ ბერკეტებს იმ ქვეყნებში, სადაც უშიშროების სამსახურები ახლა დგებიან ფეხზე. რაც შეეხება 9 თებერვლის ტერაქტის გამოძიების შედეგებს, უეჭველია, რომ მის ორგანიზებაში რუსებიც და არაბებიც იყვნენ ჩართულნი. ვინ მისცა კონკრეტული ბრძანება, ამის თქმა არ შემიძლია... ფაქტია, რომ ჩვენი გამოძიება ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილ უფროსს, სოსო თოროსას ვერ გასცდა. ისე კი ნათელია, რა ძალებს შეეძლოთ ამ ბრძანების გაცემა და რა მოტივით...

— **გალის რაიონში ვითარების ესკალაციის შემთხვევაში, რა გამოსავალი დაგვრჩება, კვლავ პოზიციების დათმობა?**

— მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ დიპლომატიური გზით შევინარჩუნოთ ჩვენი პოზიციები სოფელ ხურჩაში. თუ ძალიან გართულდა ვითარება, თუ დავინახეთ, რომ კონფლიქტის შემთხვევაში ვკარგავთ ყველაფერს, მაშინ უკან აღარ უნდა დავიხიოთ. ხოლო თუ დავინახავთ, რომ უკან დახევით დიდ ომს ვიცილებთ თავიდან, მაშინ ეს ნაბიჯიც უნდა გადავდგათ. შეიძლება ამ განცხადების შემდეგ მავანმა პანიკიორობასა და დამარცხებული კაცის სინდრომის შექმნაში დამადანაშაულოს, მაგრამ მე რეალურ სურათს ავსახავ. ამასთან, ზუსტად ვიცი, ვინ დგას წინა ხაზზე გალის რაიონში. ესენი არიან იგივე ძალები, რომლებიც თავის დროზე გვებრძოდნენ: კაზაკთა ბატალიონი „პანტერა“, ბაგრამიანისა და დავით სასუნცის სახელობის სომხური ფორმირებები, ჩრდილოკავკასიელები. ჩვენი მთავარი დანაშაული ის არის, რომ ხალხი, რომელიც პოტენციურად შეგვეძლო ჩვენი ინტერესებისათვის გამოგვეყენებინა, კვლავ აფხაზების მხარეს აღმოჩნდა. მიუხედავად პრეზიდენტის ინიციატივებისა და ჩვენი საპარლამენტო კომისიის მუშაობისა, რამაც, გარკვეულწილად, ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნა ჩრდილოკავკასიელთა პოზიცია, ქართული პოლიტიკური ისთებლიშმენტი არ დაინტერესდა ჩრდილო კავკასიით იმდენად, რომ მაქსიმალურად გაეაქტიურებინა მუშაობა მეზობელ ხალხებთან. არადა, ასეთი მასშტაბის საქმე მხოლოდ ერთი კომისიის დონეზე რომ ვერ მოგვარდებოდა, იმთავითვე ნათელი იყო. ამიტომ განმეორდა ძველი სცენარი. განსხვავება ის არის, რომ ჩეჩნები დიდი რაოდენობით აღარ არიან, რადგან მათ თავიანთი პრობლემები აქვთ ჩეჩნეთში. ჩრდილოკავკასიელთა სხვა რაზმებში ვეტერანები ნაკლებად არიან, მაგრამ კონფედერაციას მობილიზაციის სტრუქტურა შენარჩუნებული აქვს და ერთი ვეტერანის დაძახებით, შეიძლება ასი კაცი წამოვიდეს. ამით, იმას არ ვამტკიცებ, რომ ომი ხვალვე დაიწყება. დარწმუნებული ვარ, რომ არც აფხაზებს აწყობთ ომი, განსხვავებით არძინბას რეჟიმისა, რომელიც კონფლიქტის ესკალაციით ცდილობს, შიმშილისა და გაჭირვებისაგან გაწამებული მოსახლეობის ყურადღება ახალი დაპირისპირებისაკენ მიმართოს...

— **მართლაც რომ, კვლავ უკიდურესად იძაბება ვითარება არა მარტო გალის რაიონში, არამედ რეგიონშიც. ზემოთ სომხეთ-აზერბაიჯანის შესაძლო კონფლიქტზეც გადაიტანეთ აქცენტი. სულ ახლახან გაჟონა ინფორმაციამ, რომ თბილისში სომხეთის ტანკებსაც არემონტებენ თურმე, რაც, ალბათ, აზერბაიჯან-საქართველოს შორის სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება. მართლა სერიოზულად ემზადება სომხეთი ომისთვის?**

— სომხეთის გარკვეული პოლიტიკური წრეებისაგან ჩემთვის რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, რომ რუსეთის ძალისმიერი უწყებების წარმომადგენლები პირდაპირ აიძულებენ სომხეთის ხელმძღვანელობას, რათა სომხეთმა... დაიწყოს აქტიური საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ეს ინფორმაცია დამიდასტურეს ერევნელმა პოლიტიკოსებმაც. საბაბი და მოტივი ამ ახალი ომისა, რუსების სცენართა და ანგარიშით, უნდა იყოს ის, რომ ყარაბაღის ყოფილი ლიდერი და სომხეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი იმიტომ აირჩია ხალხმა პრეზიდენტად, რათა დაესრულებინა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესი, რასაკვირველია, სომხების სასარგებლოდ. ქოჩარიანმა კი ვერაფერი გააკეთა ამ მხრივ, ე.ი. ქოჩარიანს უბიძგებენ, რათა სამხედრო ზეწოლით აიძულოს აზერბაიჯანი, დასთანხმდეს სომხური მხარის პირობებს. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ ყარაბაღის ტერიტორიის მცირე ნაწილი აზერბაიჯანის ხელშია, რაც დამატებითი ფაქტორია სომხური მხარისთვის საომარი მოქმედებების გასაახლებლად. აი, ასეთია სცენარი და რუსები ყველანაირად ცდილობენ სომხების გააქტიურებას, რადგან მოსკოვს დღეს ძალიან აწყობს ომის დაწყება რეგიონში; თუ რატომ, ეს ყველასთვის ნათელია.

— **გასაგებია, რომ რუსები ზეწოლას ახდენენ ერევანზე და იარაღსაც აწვდიან, მაგრამ არა მგონია, სომხებს ისე დაებინდოთ გონება, რომ ვერ ხვდებოდნენ, საით უბიძგებენ...**

— სწორედაც რომ ხვდებიან და ჯანსაღი პოლიტიკური ძალები, ხელისუფლება, მათ შორის თავდაცვის მინისტრი ვაზგენ სარქისიანი მაქსიმალურად არიდებენ ამას თავს. სარქისიანმა კარგად იცის, რომ ვერავითარი სამხედრო ძალა ვერ გადაარჩენს სომხეთს, რადგან მას ომი მოუწევს არა მარტო აზერბაიჯანთან, არამედ მთელ ისლამურ სამყაროსთან. და კიდევ, სომხეთის პოლიტიკური წრეების შეშფოთება შემთხვევით კი არ გახმაურებულა, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს თავისი

> „თუ ვაშინგტონი ათასობით კილომეტრით დაშორებულ ერაყში „საქმეს არჩევს“, რატომ არ უნდა მქონდეს უფლება ჩემს უშუალო საზღვართან იგივე გავაკეთო?! აი, სწორედ ამის მანიშნებელია, გარკვეულწილად, სოფელ ხურჩაში დღეს მიმდინარე პროცესები და რუსეთის მიერ სომხეთისათვის МиГ-29 ტიპის სამხედრო თვითმფრინავების გადაცემის ფაქტი. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამჯერად საქმე ახალი ომისკენ წავიდეს.“

პოზიცია გამოხატა სომხებმა მიიღეს მკვეთრად უარყოფითი პასუხი ჩვენგან, კერძოდ, იმ დონეზე, რომელზეც მე, ჩემი სტატუსიდან გამომდინარე, შემეძლო მეპასუხა, ე.ი. სომხებმა კი არ მოისინჯეს თუ საქართველო რა პოზიციას დაიკავებს სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შემთხვევაში, არამედ პირდაპირ გამოთქვეს შეშფოთება. ეს კი დამაიმედებელია და ალბათ, ჩვენი სამი სახელმწიფო შეძლებს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას რეგიონში.

— **და ბოლოს, რუსეთ-ბელორუსიის კავშირისა და მასთან სომხეთის დამოკიდებულების შესახებ გთხოვთ კომენტარს.**

— მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის გარკვეული პოლიტიკური წრეები ათამაშებენ ამ კარტს და მოუწოდებენ ხელისუფლებას ამ კავშირში გაწევრებისაკენ, თავად სომხების მენტალიტეტიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს იდეა კრახს განიცდის. ამასთან, სომხეთს საერთო საზღვარი არა აქვს რუსეთთან და ეს კავშირი, ალბათ, შეუძლებელი გახდება. აქვე ქოჩარიანის ნათქვამიც უნდა გავითვალისწინოთ: „მე თავზე არავის დავისვამ, „უფროს ძმასაც“ კი! თავად ბელორუსი ხალხი კი მოვა დრო და ძალიან ინანებს ამ კავშირს, რადგან „მკვდარი მკვდარს“ აეკიდაო, ისეა დღეს მაგათი საქმე...“

და კიდევ, გაზაფხულზე იწურება ვადა დსთ-ის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებისა და ბევრი ქვეყანა, მათ შორის, ყაზახეთი და უზბეკეთი, ალბათ, აღარ განაახლებენ ამ ხელშეკრულებას...

— **გმადლობთ.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*



## „რა მოვუხანით, რა მოვუთესეთ, რომ ... მოგვამკევინოს“

რაღა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულგატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალ წელიწადს რაღაც იმედით ვებღაუჭებით, რაღაც სიხარულით შევნატრით. მეტი რა გზაა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ჩვენც ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შევხარით. ქრისტეს აქეთ სრული ათას-ცხრაას-ოთხმოცდა-ცხრამეტი წელიწადი გათენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ, ქართველებს, ცალკე და ათას-ცხრაას-ოთხმოცდა-ცხრამეტჯერ სიხარულით და მილოცვით მივგებებივართ და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათას-ცხრაას-ოთხმოცდა-მეცხრამეტე წელიწადისაგან რაღას უნდა მოველოდეთ, ჩვენ, ქართველები მაინც.

მართალია, დღევანდელის დღით გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელი დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. რაკი ესეა, მაშ, დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ, — რა წითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალად არა სჩანს. აბა, ერთი გვიბრძანეთ, — რა მოვუხანით, რა მოვუთესეთ, რომ რა მოგვამკევინოს.

*ილია ჭავჭავაძე*

**სარკეში მარტო ჩვენს სახეს კი არ უნდა ვამოწმებდეთ, უნდა გვქონდეს სარკე გულისა, ხშირად უნდა ჩავიხედოთ და განვიწმინდოთ იმ ჭუჭყისაგან.**

**ჩაიხედე შენს გულში, შეუწონე საკუთარი ცოდვა და მადლი ჩემსას და მერე დამძრახე.**

*გიორგი შატბერაშვილი*

გთხოვთ, გვიამბოთ, ვინ იყვნენ დავით და კონსტანტინე მხეიძეები

სალომე ცქიტიშვილი, მცხეთა



მოწამეთა

არგვეთის მთავრები, დიდმოწამენი დავით და კონსტანტინე მხეიძეები VIII საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდნენ. ისინი ქრისტიანობისა და სამშობლოს დასაცავად აუმხედრდნენ საქართველოში შემოჭრილ არაბ სარდალს მურვან ყრუს. არგვეთის ბრძოლაში ძმები არაბებმა შეიპყრეს და სასტიკად აწამეს, ქართველებმა მათი ნეშტი წყალწითელას ნაპირზე, პატარა ტაძარში დაკრძალეს. შემდეგ გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ მესამემ ეკლესია განაახლა და მას მოწამეთა უწოდა..

**ქართულმა ეკლესიამ დავითი და კონსტანტინე წმინდანებად შერაცხა.**

მათ თავგანწირვაზე ჰაგიოგრაფიული ძეგლი „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაც“ შეუქმნიათ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკებმა ყოველი ეროვნული სიწმიდე შებღალეს. მათ შორის არც არგვეთელ მთავართა ნეშტები დარჩენიათ ხელშეუხები. საფლავებიდან ამოყარეს ქართველი ხალხის მიერ 12 საუკუნის მანძილზე ნასათუთევი დამაშვრალ მამულიშვილთა ძვლები და თრევით მიიტანეს მაშინდელ რევკომში. შეძრწუნებული მორწმუნენი ღმერთს ევედრებოდნენ, პატიებას სთხოვდნენ მავანთა მიერ წმინდანთა შეურაცხყოფის გამო...

თავდადებულ მამულიშვილთა ძალისხმევით, წმიდა მოწამეთა ტანჯული ნეშტნი საძვალეს დაუბრუნდა.

დავით და კონსტანტინეს ხსენების დღედ ქართულმა ეკლესიამ 15 ოქტომბერი დააწესა.

### გაბრიელ ეპისკოპოსი

## სიტყვა, თქმული ახალწლის დღესა

პირველსა დღესა ახლისა წლისასა, ძველისა ჩვეულებისამებრ, ჩვენ ყოველნი, ძმანო ქრისტიანენო, მიულოცავთ ახალსა წელსა და ვლოცავთ ურთიერთთა, მსურველნი ყოვლისა სიკეთისა და წარმატებისა.

მეც მსურს მოგილოცოთ თქვენ ახალი ესე წელიწადი.



პირველად, მსურს და ვევედრები ღმერთსა, რომ ამ მდგომარე წელიწადსა ჩვენ ყოველნი უმჯობესი შევიქმნეთ სულითა და გულითა. მსურს, რომ სულიერობა მოგვემატოს, ესე იგი, არა თუ მხოლოდ გარეშეობით ვასრულებდეთ სჯულსა ჩვენსა, არამედ სრულიად; არა თუ მხოლოდ მოვისმენდეთ წირვა-ლოცვასა ეკლესიაში, არამედ რაც ეკლესიაში გვესმის, მას სოფელში და სახლში აღვასრულებდეთ; რაც ერთხელ მოვინანეთ, იმას მეორედ აღარ ვიქმოდეთ. ერთის სიტყვით, თვით საქმით ვიყვნეთ ქრისტეანენი...

მეორედ, ვინაიდგან დღევანდელი დღე ცხადად გვაჩვენებს ჩვენ, ვითარ მოკლე არიან დღენი ცხოვრებისა ჩვენისანი, და თვითეული ჩვენგანი ერთითა ნაბიჯითა მიეახლა სიკვდილსა და საფლავსა, ვინაიდგან მოაკლდა ცხოვრებასა მისსა ერთი წელი, ამისათვის ვისურვებ და ვევედრები ღმერთსა, რათა დანაშთენი დღენი ცხოვრებისა ჩვენისანი მოგვახმაროს კეთილად და სულისა ჩვენისათვის სასარგებლოდ;

ვისურვებ და მხურვალედ ვევედრები ღმერთსა, რათა მოგვეცეს ჩვენ ერთობა და სიყვარული, რომელი არს ნიშანი, დამამტკიცებელი სულიერსა წარმატებისა, საუნჯე დაუფასებელი, გვირგვინი ქრისტეანობისა...

ბოლოს, საყვარელნო ძმანო, ერთობ ყოველნი მივიქცეთ მხურვალითა ვედრებითა მაცხოვრისადმი, რათა იყოს ჩვენდა შემწე და მფარველ განმავალობასა შინა ახლისა ამის წლისასა. თუმცა ცოდვილნი ვართ, მაცხოვარო ჩვენო! თუმცა არ ვასრულებთ ჯეროვნად შენთა მცნებათა; გარნა მაინც შენნი ვართ, შენსა სახელსა ვესავთ ძველითგანვე, ვითარცა წინაპარნი ჩვენნი, ეგრეთვე ჩვენ; ვითარცა იგინი დაიცევ მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა შორის ვიდრე აქომამდე და ქვეყანა ესე ჩვენი შეიყვანე მყუდროსა ნავთ-საყუდელსა შინა, ეგრეთვე ჩვენთვის იყავ შემწე და მფარველ უკუნისამდე.

**ამინ.**

## თბილისური ესკიზი

რა ძალა ჰქონია ამ დალოცვილ ახალ წელს და მის ტრადიციას, რომ ამ სიცივესა და უფულობაში ამდენ ხალხს მიუტოვებია საკუთარი ასე თუ ისე საცხოვრებლად ვარგისი ბინა და მოსდებია ქუჩებს. ბაზრობასა და ბაზრობებს დამსგავსებია მთელი თბილისი... ერთი სიტყვით, მყიდველ-გამყიდველს შორის კარგა ბლომად პირველი აჭარბებს, მაგრამ დაკლული ფრთოსანჩლიქოსანი, მგონი, ორივეს ერთად...

დაქცეულა გლეხკაცი, გაუტუტავს, რაც კი ებადა, — იქნებ ქალაქელებთან ფულში გავცვალო და რაიმე „ქალაქური“ შევიძინოო. აგერ შუახნის კაცი ერთ დიდ გროვა საქონლის ხორცში ჩამდგარა, მყიდველებს მორცხვად ეხმიანება — ახალი ხორცია, შინაური ძროხაა (გარეული ძროხა რომელია, ნეტავ?), სამ ლარად წაიღეთ, 150 კილოა და კილოც არ გამიყიდია ჯერო...

ცოტა მოშორებით, ანკი როგორ მოშორდები ამ ჯეჯგვაში, ღვინის ცისტერნებისათვის საცობი მოუხსნია ლექსო ციხელაშვილს და მოსულებს ყლუპობით ასინჯებს — ვინც არ ყიდულობს — არაა შენთვის ეს ოქროსავით ღვინოო, — მიაყოლებს...

არ ჰგავს ეს ხალხი გამყიდველს, ტრადიციული გაგებით... ისინი უფრო შინიდან გამოსულ ლუკმა-პურის მაძიებლებს ჰგვანან. მყიდველიც რაღაც ლმობიერია... ერთი ქალბატონი ბრძანებს — სულ არ მჭირდება ახლა ეს ლობიო, მაგრამ ამიწონე ორი კილოო.



— აი, თქვენ კი გაიხარეთ, — დაიძახა უცებ ვიღაცამ და ამ ორომტრიალში გედივით შემოფრთხიალდა თეთრკაბიანი პატარძალი... ნეფე ხალხს არიდებდა, მაგრამ ხალხი თავისთავად გაიყო შუაზე. რა ჩიტმა შემოაგდოო, გაიკვირვებდა კაცი, მაგრამ სიტუაციას რომ სხვა ელფერი მისცა, ფაქტია. მაშინ უნდა გენახა ის მელვინე და მეჩურჩხელე, აქამდე რომ ვაჭრობის გუნებაზე იდგნენ — აქეთ მობრძანდით, აბა, ღვინო და ჩურჩხელა დაიგემოვნეთო.

ერთ დიდ ქორწილს დაემსგავსა ბაზრობა. ერთ კეთილ მზერად იქცა იქაურობა.


ნებისმიერი კონფიგურაციის კომპიუტერები
კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანი
საგარანტიო ვადა 1 წელი

COMPUS

კომპიუტერული კომპანია „კომპუსი“
ვაჟა-ფშაველას გამზირი 16,
ტელ: 939103, 370235
e-mail:compus@mmc.net.ge

ახალი 4.01.99 ფასები

LG Electronics
ელ-ჯი ელექტრონიქს

მონიტორები

| | | | |
|---|---|---|---|
| 440Si | Studioworks (სტუდიოვორკს) | 14"0.28 LR.NI- | 200 |
| 55i | Studioworks (სტუდიოვორკს) | 15"0.28 LR.NI- | 250 |
| 56i | Studioworks (სტუდიოვორკს) | 15"0.28 LR.NI- | 275 |
| 28i | Studioworks (სტუდიოვორკს) | 21"0.28 LR NI- | 1390 |

| | |
|---|---|
| CELERON 266 MMX/32MB /HDD 3.2GB/SVGA 2MB/ FDD1.44/K/M/P/- | 495 |
| PII 333/32MB SDRAM/HDD 3.2GB/SVGA 2MB/ FDD1.44/K/M/P/AT- | 690 |
| PII 333/32MB SDRAM/HDD 3.2GB/SVGA 4MB AGP/ FDD1.44/K/M/P/ATX- | 750 |
| მულტიმედია კომპლექტი CDROM32x+SoundCard+ActiveSpeakers- | 95 |
| მოდემი SPEEDCOM 33.600 VI [illegible] 10 საათით | 70 |

BROTHER ბრაზერის ლაზერული პრინტერები

| | | |
|---|---|---|
| HL-730Plus | (A4,6ppm,600dpi)- | 370 |
| HL-1040 | (A4,10ppm,600x600dpi, 2MB up32MB)- | 500 |
| HL-1050 | (A4,10ppm,1200x600dpi, 4MB up36MB, **USB** Port)- | 600 |
| HL-P2000 | (A4,Print 600x600dpi, 10ppm, 2MB, Copier, Scaner)- | 650 |
| HL-1660E | (A4,16ppm,1200x600dpi,4MB,Br.Script,NC)- | 1330 |
| HL-2400C | (A4,12ppm,2400x600dpi,16MB,Br.Script)- | 3980 |

BROTHER ბრაზერის ფაქსები

| | |
|---|---|
| FAX-190 (ფაქსი თერმულ ქაღალდზე)- | 220 |
| FAX-290MC (ფაქსი თერმულ ქაღალდზე ავტომოპასუხით)- | 290 |
| Intelli FAX1270 (ფაქსი საბეჭდ ქაღალდზე)- | 420 |
| Intelli FAX1570MC (ფაქსი საბეჭდ ქაღალდზე ავტომოპასუხით)- | 470 |
| Intelli FAX3550 (ლაზერული ფაქსი)- | 760 |
| MFC6550MC (ლაზერული ფაქსი, პრინტერი, სკანერი, ასლგად.)- | 1090 |



WWW.MANTEX.CAUCASUS.NET

MANTEX Computers

მანტექსი

ჭავჭავაძის გამზ. 5, ტელ. 252848, ფაქსი 233510

უმაღლესი ხარისხის კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა ყველა დონის მომხმარებლისათვის

- პროფესიული ხარისხის კომპიუტერული სისტემები
- სამუშაო სადგურები და სერვერები
- პორტატული კომპიუტერები (NOTEBOOKS).
- პროფესიული ვიდეო და აუდიო პლატები
- სკანერები, პრინტერები და ასლგადამღები აპარატები
- პროგრამები მცირე ბიზნესისათვის და მეცნიერებისთვის
- კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია

Intel
AMD
IBM
ASUSTek
Matrox
Epson
HP
Miro
DPS



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიელმა ბერმა და ნათელმხილველმა ჯონი ბოსკომ 150 წლის წინ იწინასწარმეტყველა, რომ მეორე ათასწლეულის ბოლოს ქრისტე სულ უფრო ხშირად შეახსენებს კაცობრიობას თავს. იქნება თუ არა ეს შეხსენებები ახალი მესიის მოსვლისა თუ კაცობრიობის ცოდვებისათვის დასჯის ნიშანი, ბოსკოს არ დაუზუსტებია. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში მსოფლიოში ქრისტესთან დაკავშირებული იმდენი იდუმალი მოვლენა და გამოცხადება მოხდა, რაც ქრისტიანობის ისტორიის მთელ მანძილზე არ ყოფილა.

90-იან წლებში ბევრ ქვეყანაში იხილეს ანთებული ჯვრები. მათ შორის ყველაზე გახმაურებული იყო აშშ-ის ქალაქ ნოქსვილში მომხდარი გამოცხადება — პატარა ტაძართან გამოჩნდა ცეცხლში გახვეული უზარმაზარი ჯვარცმა. 1995 წლის ნოემბრის ბნელ ღამეს გამვლელები გააოგნა ქალაქის ეკლესიის შორიახლო ხუთი, ათმეტრიანი ანთებული ჯვრის ხილვამ. ჯვრები მიწას არ ეხებოდა, თითქოს ჰაერში ეკიდა და უკვამლოდ იწვოდა კაშკაშა ოქროსფრად. შეშინებულმა გამვლელებმა ყველას ამცნეს იდუმალი მოვლენის შესახებ და მალე მთელი ქალაქი შეიყარა საოცრების სანახავად. ხალხი მუხლებზე დაცემული ლოცულობდა და ტიროდა. ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა. მზის ამოსვლისას ცეცხლში გახვეული ჯვრები გაქრა, მაგრამ დაღამებისას კვლავ გამოჩნდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. შემდეგ კი გამოცხადება შეწყდა.

ადგილობრივი გაზეთები წერდნენ, რომ ნოქსვილის 35 ათასმა მობინადრემ და ჩამოსულმა იხილა ეს სასწაული, ბევრმა ვიდეოკამერითა და ფოტოაპარატით გადაიღო. ჰყვებოდნენ, რომ ათეულობით ონკოლოგიური ავადმყოფი, ბრმა, ყრუ, აგრეთვე ნარკომანი და ლოთი, რომლებიც იმ ღამით ლოცულობდნენ ანთებულ ჯვრებთან, განიკურნენ.

განსაკუთრებით შეძრა მორწმუნე მრევლი მასაჩუსეტსის შტატის პატარა ქალაქ მეტიენში 1996 წელს მომხდარმა მოვლენამ. უცებ, ქრისტეშობის დღესასწაულზე აღვლენილი სადღესასწაულო მესის დროს, ჯვარცმაზე ქრისტეს ჭრილობებიდან და თვალებიდან წითელი ფერის სითხემ დაიწყო დენა. ამან გააოგნა მღვდელი და სადღესასწაულოდ მისული მრევლი. მღვდელმა როგორღაც დაასრულა წირვა და მრევლს სთხოვა, ეკლესია დაეტოვებინა. ამის შემდეგ ეპისკოპატი მოიწვია და ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, ჩაეტარებინათ მესიის ჭრილობებიდან და თვალებიდან გადმოღვრილი სითხის ექსპერტიზა, რათა ათეისტებს არ ეთქვათ, რომ სასწაული მოწყობილი იყო. მრევლთაგან ათამდე ადამიანის თანდასწრებით ჯვარცმა, რომელსაც კვლავ სდიოდა წითელი სითხე, ყუთში ჩაასვენეს, დაბეჭდეს და კალიფორნიაში გაგზავნეს. კრიმინალისტური ექსპერტიზის ლაბორატორიაში დადგინდა, რომ სითხე ადამიანის სისხლი იყო, სულთმობრძავი ადამიანისა.

მოვლენის მიზეზი ვერ ახსნეს, ვერც ექსპერტებმა და ვერც სხვა მეცნიერებმა. ეკლესიის ისტორიის ანალებში იგი მასაჩუსეტსის სასწაულის სახელწოდებით შევიდა.

საინტერესოა, რომ ღვთის გამოცხადება მხოლოდ ქრისტიანულ ქვეყნებში არ ხდება. 1996 წელს, ქრისტეშობამდე ცოტა ხნით ადრე, ირანის გაზეთმა „აქბარმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ თეირანის ძველი უბნის ზოგიერთი შენობის კედელზე ქრისტე გამოისახება. განსაკუთრებით შეძრა მორწმუნენი ცნობამ იმის თაობაზე, რომ პარალიზებული გოგონა განიკურნა მას შემდეგ, რაც მისი სახლის კედელზე ქრისტეს გამოსახულება გამოჩნდა. ეს ამბავი სწრაფად მოედო ქალაქს. ქრისტიანები და მუსლიმანები უწყვეტად მიდიოდნენ გოგონას სახლთან. ბინის პატრონები შეეცადნენ, შეძლებისდაგვარად შეეშვათ განკურნების მოსურნე ავადმყოფები ოთახში, სადაც სასწაული მოხდა. უცნობია, რომელ ღმერთზე ლოცულობდნენ იქ მყოფი მუსლიმანები, რომლებიც ჩვეულებრივ შპალერზე გამოსახულ ქრისტეს ხედავდნენ, მაგრამ ორი ყრუ-მუნჯი ოთახიდან სრულიად განკურნებული გამოვიდა.

# ლოცვა შიდსით დაავადებულებსაც კურნავს



ცოტა ხნის შემდეგ გამოსახულება გაქრა.

ყველაზე იდუმალი მოვლენა უგანდაში მოხდა 1997 წელს. ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ იქ 400 შიდსიანი ავადმყოფი განიკურნა. განკურნების ფაქტი დადასტურებულია ავადმყოფთა ისტორიებში და ეჭვს არ იწვევს.

ჰოლანდიიდან ჩამოსულმა მღვდლებმა ეს ავადმყოფები კამპალის ეკლესიაში მიიყვანეს. მათ დგომაც კი არ შეეძლოთ. დღე-ღამის განმავლობაში ლოცვით ცდილობდნენ ცოდვების გამოსყიდვას. მცირედ საჭმელს იღებდნენ და კვლავ ლოცულობდნენ. ამის შემდეგ სასწაული დაიწყო. განკურნებულმა უგანდელმა ანა მაგუბამ რეპორტიორებს უამბო, რომ სამი კვირის განუწყვეტელი ლოცვის შემდეგ შეამჩნია, როგორ უხორცდებოდა წყლულები, ძალაც მოემატა და სხვის დაუხმარებლად შეძლო სიარული. რამდენიმე ხნის შემდეგ ანალიზი გაუკეთეს და აღმოჩნდა, რომ შიდსი აღარ სჭირს. ექიმები განცვიფრდნენ და ერთხმად ამტკიცებდნენ, მეცნიერულად ამ მოვლენის ახსნა შეუძლებელიაო. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ღმერთმა განკურნა არა მხოლოდ მორწმუნე ავადმყოფები, არამედ ისინიც, ვინც პირველად მიმართა ქრისტეს დასახმარებლად.

# როგორი წელიწადი დაგვიდგება...

უძველესი დროიდან საახალწლო საღამო რაღაც უჩვეულოს, საიდუმლოს მოიცავს და ათასნაირ სიურპრიზს გვპირდება... ჩვენი წინაპრები ახალი წლის ღამის ამინდის მიხედვით ხვდებოდნენ, როგორი იქნებოდა შემდგომი წელიწადი:

თუ ახალი წლის ღამეს ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი და უქარო ამინდია — დიდი მოსავალია მოსალოდნელი;

— ძლიერი ქარი კაკლის დიდი მოსავლის მაუწყებელია;

— ვარსკვლავიანი და ქარიანი ამინდი — ბევრ ოსპსა და ბარდას მოიყვანს;

— ძლიერი ყინვა და თოვლის ბარდნა — პურის დიდი მოსავალია;

— თბილი ამინდი და უთოვლობა მოუსავლიანობის ნიშანია;

— წვიმა თუ მოდის — ომის დაწყებას ნიშნავსო.

ახლობლები, მეზობლები ერთმანეთს მუჭა ხორბალს უწილადებდნენ ხოლმე და მომავალ მაძღარ წელს იბედებდნენ.

ძველი ტრადიციით, 1 იანვარს მძიმე და ჭუჭყიანი სამუშაოს შესრულება არ შეიძლება: მომავალ წელიწადს ჭაპანწყვეტაში გაატარებო...

# როგორ ვემზადოთ საშობაო სუფრისათვის

კარს უამრავი დღესასწაული მოგვადგა — ახალი წელი, შობა, მას ძველით ახალი წელი მოჰყვება. ყველას მხიარულად უნდა შევხვდეთ.

ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდეთ. ინგლისელი დიეტოლოგი ქსანდრა უილიამსი თვლის; რომ ორგანიზმს მომზადება სჭირდება ამ გაუთავებელი ლხინისათვის.

ყოველდღე დალიეთ 2ლ სუფთა წყალი — არ შეიძლება გაზიანი წყლის მიღება. წყალი ხსნის ტოქსინებს, შესანიშნავად მოქმედებს თირკმლებზე, ღვიძლსა და ტვინზეც კი. გარდა ამისა, აკარგვინებს მადას და არეგულირებს კუჭის მოქმედებას.

წყალს დაუმატეთ ლიმონის რამდენიმე ნაჭერი, იგი დადებითად მოქმედებს ნაღვლის ბუშტზე. დილა გამწმენდი კოქტეილით დაიწყეთ, რომელიც შედგება 1 ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი 50 მლგრ ალოესა და 5 წვეთი დინდგელის ნაყენისაგან.

ძალიან სასარგებლოა ღვიძლისათვის მწვანე ჩაი, რომელიც შესანიშნავად წმენდს ორგანიზმს ტოქსინებისგან. სასურველია, შეეჩვიოთ ბალახეულის ჩაისაც.

საკვები ნელა ღეჭეთ, მიირთვით მეტი ხილი და ბოსტნეული.

**ვაშლი** და **მსხალი** ამცირებს ორგანიზმში ტოქსინებს;

**ბანანი** მდიდარია კალიუმით, სახამებლით, რაც ენერგიას შეგმატებთ;

**ფორთოხალი** სავსეა C ვიტამინით;

**ანანასი** აუმჯობესებს საჭმლის მონელების სისტემას;

**საზამთრო** ორგანიზმიდან ტოქსინებს გამოდევნის;

**ლიმონი** ნაღვლის ბუშტში ქვებს შლის;

**გარგარში** ურიცხვი რაოდენობის მინერალური ნივთიერებაა;

**ნიორი** ბუნებრივი ანტიბიოტიკია, რომელიც ამცირებს სისხლის წნევას;

**ოხრახუში** შესანიშნავი შარდმდენია, ხელს უშლის ორგანიზმში ზედმეტი სითხის დაგროვებას;



**ბოლოკი** ხელს უწყობს საკვების ათვისებას;

**კომბოსტო** შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ორგანიზმს ტოქსინებისგან ათავისუფლებს;

**შტოში** — შესანიშნავად წმენდს ორგანიზმს, დადებითად მოქმედებს თირკმლებზე.

# ქრისტე იშვა ბეთლემსაო...



ბეთლემში განკაცდა უფლის სიტყვა — ხილულად იშვა ძე ღვთისა! იმ ბედნიერ ღამეს ბრწყინვალე ვარსკვლავი დაადგა თავს ბაგაში მყოფ დედა-შვილს — იესო ქრისტეს და ღვთისმშობელ მარიამს. მწყემსნი ადიდებდნენ და პირის სანახავს მიართმევდნენ ახალშობილს...

იესო — უპოვართა და შეჭირვებულთა მფარველი, იესო — მადლი ღვთიური უმალ შეიყვარა ხალხმა.

ქართველთ უფლის სიტყვა მისმა პირველმა მოწაფეებმა უქადაგეს, შევიტკბეთ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც ჩვენდა მხსნელად მოგვევლინა.

საშობაოდ, იესოს პატივსაცემად, ჩიჩილაკს დგამდა ქართველი კაცი, ტკბილეულითა და ხილით რთავდა, ღმერთს მშვიდობას და სიუხვეს შესთხოვდა, კერატს შესწირავდა, ქებათა ქებას უგალობდა (ეს ჩვეულებები წარმართული ღვთაებების თაყვანისცემიდან მოდის).

განსაკუთრებული სიყვარულისა და მოწიწების ნიშანი იყო უძველესი საგალობელი „ალილო“.

დადიოდნენ მგალობელნი, ყველა ოჯახის კარს შეაღებდნენ, უმღერებდნენ, ხვავსა და ბარაქას უსურვებდნენ, ღვინიანი ყანწით დალოცავდნენ. გახარებული მასპინძელი არ იშურებდა სანოვაგეს თუ ფულს მეალილოეთათვის. ძველად ამ შემოწირულობებით უფლის სახელით ქვრივ-ობოლთ, ავადმყოფთ, მარტოხელა მოხუცებს უმართავდნენ ხელს.

**უფალო იესო ქრისტე, ნუ მოაკლებ შენს მფარველობას ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, დიდება შობასა შენსა!**

# თოვლის ბაბუა და სანტა-კლაუსი



ჯერ ერთი, თოვლის ბაბუა ჩვენია, სანტა-კლაუსი კი ჩვენი არ არის. თოვლის ბაბუა მაღალია, კარგი აღნაგობის... სანტა-კლაუსი — დაბალია და გაბერილი. ჩვენსას გრძელი წვერი აქვს და ნაბადი აქვს მოსხმული. სანტა-კლაუსს კი მოკლე ლაბადა და მოკლე შარვალი აცვია... სანტა-კლაუსის ქუდს ფუმფულა ბურთი ჰკიდია, ჩვენსას კი ერთმეტრიანი კვერთხი უჭირავს.

სანტა-კლაუსი ცაზე ეტლით დაფრინავს, საკვამურით შედის ოჯახში და ბუხარზე ჩამოკიდებულ წინდაში უტოვებს ბავშვებს საჩუქარს. ჩვენი თოვლის ბაბუა შედის კარებში და ნაძვის ხის ქვეშ ხურჯინით საჩუქრებს აწყობს...

ორთავეს ერთნაირად დიდი სიყვარულით ელოდებიან ბავშვები.

სანტა-კლაუსის პროტოტიპად იზმირის ეპისკოპოსს, ნიკოლოზს მიიჩნევენ. ლეგენდის მიხედვით, მდიდარი ეპისკოპოსი ბავშვებსა და ღარიბებს საჩუქრებს ფანჯრის რაფაზე უწყობდა (იგი ქრისტიანულ სამყაროში წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედად არის ცნობილი).

ჩვენი თოვლის ბაბუა ტყეში ცხოვრობს, სანტა-კლაუსი კი — ლაპლანდიაში.

# როგორ მოვიმადლიეროთ ეს ახალი წელი...



ალმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, 1999 ყვითელი ბოცვრის წელია... ამიტომაც სავსებით ლოგიკურია, ახალი წლის ღამეს ყვითელი ფერის სამოსში გამოეწყოთ... მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გაბედოთ კურდღლის ქურქის მოხურვა... ეს ხომ წელიწადის მფარველის გამასხარავება იქნება... სუფრა, რაც შეიძლება მეტი ფხალეულით გააწყვეთ... იმედია, კურდღლისხორციანი კერძის მომზადებისგან თავს შეიკავებთ... — მფარველი გაგინაწყენდებათ.

გაიკეთეთ ტოპაზის, ვეფხვის თვალის, ყვითელი ბრილიანტის სამკაული.

ქალბატონების თმის ვარცხნილობა ძალზე მარტივი უნდა იყოს, საახალწლოდ ყავისფერი ტონის მაკიაჟს გირჩევთ, შეიძლება ლურჯი და მწვანეც...

რასაკვირველია, ახალი წლის ღამეს შინ ახლობლებისა და ოჯახის წევრების წრეში იქნებით... დილისათვის არ დაგავიწყდეთ, თუნდაც ხმადაბლა წამოიღიღინეთ რაიმე სიმღერა კურდღელზე, „მიაუ-მიაუზე“ ხომ წინა ნომერში გესაუბრეთ... თქვენს პატარებს შობა-ახალი წლის ღამეს ძალით ნუ დააძინებთ; აცალეთ, მათ ისედაც ეწვევათ მშვიდი და ლამაზსიზმრიანი ძილი...

# ყველას უხარია შობა-ახალი წლის მობრძანება...



კინოვარსკვლავი წყვილები მთელი წლის მანძილზე იმდენად მოუცლელნი არიან, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს იშვიათად ხვდება, მაგრამ საშობაოდ ყველა საქმეს გადადებენ და ცდილობენ, ასიამოვნონ ერთმანეთს. მაგალითად, ჰოლივუდის ცნობილ წყვილებს შორის გამოირჩევიან ტრავოლტები. ჯონმა ცოლს მართლაც ჩინებული საჩუქარი მიართვა: თუმცა მათ ორი თვითმფრინავი უკვე ჰყავთ, ჯონმა მესამეც არ დაიშურა კელი პრესტონისათვის. თავის პატარა ჯეტსაც არ აწყენინა და საშობაოდ იმასაც თვითმფრინავი აჩუქა, ოღონდ სათამაშო.

შერონ სთოუნმა ქმარს — ფილ ბრონშტეინს — რამდენიმე კოსტიუმი, სვიტერი და მისი საყვარელი ფერის ავტომობილი მიუძღვნა. როგორც ჩანს, შერონი მეტად პრაქტიკული დიასახლისია.

ლეონარდო დი კაპრიომ „ტიტანიკის“ უამრავი აფიშა შეიძინა და თაყვანისმცემლებს თავისი ავტოგრაფით დაურიგა. ლეომ დედასა და ბებიას ბევერლი ჰილზის ფეშენებელურ ბუტიკში ნაყიდი ოქროს სამკაულები მიართვა.

საშობაო არდადეგებზე კიმ ბესინჯერი და ალეკ ბოლდუინი თავიანთ პატარა აირლენდ ენისთან ერთად „საიდუმლო“ კუნძულზე გაემგზავრნენ...

ქევინ ქოსტნერმა თავის შვილებს — ლილის, ჯოუსა და ენის საშობაოდ ბევერლი ჰილზის მაღაზიაში ვეებერთელა ელექტრომატარებელი და ახალი ტანსაცმელი შეუძინა.

საშობაო ციებ-ცხელება ტერმინატორ არნოლდ შვარცენეგერსაც შეეყარა. თავის ინტერვიუში იხსენებს, როგორ ოცნებობდა ბავშვობაში ხის სათამაშო ავტომობილზე და უსახსრობის გამო, მშობლებმა ოცნება ვერ შეუსრულეს. ამიტომაც ახლა ყველა თხოვნას უსრულებს თავის ოთხ შვილს და ცდილობს, სადაც არ უნდა იყოს, ეს დღე შინ გაატაროს და ასიამოვნოს ოჯახის წევრებს.

საშობაო ხარჯებს დიდად არ გაუღარიბებია ჯიმ ქერი... საქმე ის არის, რომ იგი ცოლს გასცილდა, მაგრამ სანტა-კლაუსის როლის შესრულება მაინც მოუხდა... პატარა ჯეინმა მამას 1.000 დოლარიანი თოჯინა მოსთხოვა...

ასე რომ, შობა-ახალი წელი ლამაზი დღეა და ყველას უხარია მისი მობრძანება...

# გირჩევთ...

ნაძვის ხე რომ დიდხანს შევინარჩუნოთ და წიწვები არ ჩამოცვივდეს, ხის ჭრილი სწორად უნდა გაკეთდეს, რადგან ასეთ მდგომარეობაში ადვილად შეისრუტავს წყალს, რომელიც ყოველდღე ცოტ-ცოტა უნდა ვუსხათ. ზოგიერთის აზრით, სასურველია, ნაძვის ხე სველ სილაში ჩავაყენოთ, ზოგი კი — წყალს ამჯობინებს. ამ შემთხვევაში წყალში ერთი აბი ასპირინი გახსენით და შობა-ახალი წლის ნაძვის ხეს ნათლისღებამდე ერთი წიწვიც არ ჩამოვარდება.

# ზოგიერთი დეტალი 9 თებერვლის ტერაქტის შესახებ...



9 თებერვლის ტერაქტის გამოძიება 13 პიროვნების მიმართ დასრულდა. ბრალდებულები 71 ტომიან საქმეს ეცნობიან. საქმის გაცნობის შემდეგ უზენაეს სასამართლოში ახალი გახმაურებული პროცესი დაიწყება. ბრალდებულთა ვინაობა საიდუმლოს აღარ წარმოადგენს: გურამ აბსანძე, გერონტი ქობალია, ზაზა მარანელი, ზურაბ ეჯიბია, ბონდო თოდუა, ზაურ გულუა, პაატა ზარქუა, ფენზ გულუა, ტარიელ ბუკია, ზურაბ ზარანდია, რუბენ კუდავა, ზურაბ თორდია, გერმანე კაკაჩია. ამათგან გურამ აბსანძეს პროკურატურა ტერაქტის ერთ-ერთ დამფინანსებლად და ორგანიზატორად მიიჩნევს. ბოლო სამი კი დანაშაულის დაფარვაში იმხილება.

თავის დროზე 9 თებერვლის ტერაქტზე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა. მიუხედავად ამისა, პრკურატურა გამოძიების დამთავრებამდე დუმდა. გასულ კვირას გენ-პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა გიგლა აგულაშვილმა და მისმა კოლეგებმა ჟურნალისტებს „გული გადაუშალეს". გიგლა აგულაშვილის თქმით, ეს დანაშაული სამხილებისა და ნივთმტკიცების მიხედვით უნიკალურია, რამაც გამოძიებას საშუალება მისცა თავიდანვე სწორი გზით წასულიყო.



## როგორ გაიხსნა დანაშაული

დამნაშავეთა ერთმა ჯგუფმა მომხდარის შემდეგ ავტომანქანით გააგრძელა გზა. კვალის დაფარვის მიზნით მანქანა გზაში მიატოვეს. უყურადღებოდ მიტოვებულმა მანქანამ მესამე დღეს ყურადღება მიიქცია. მოხდა მანქანის დათვალიერება. მასში აღმოჩენილ იქნა ბლოკნოტი, სადაც დაფიქსირებული იყო პეიჯერისა და ტელეფონის ნომრები. მეორეს მხრივ, ნანახი იქნა მათ მიერ დაქირავებული ბინა ხუციშვილის №27, საიდანაც ამოღებულ იქნა საეჭვო ნივთები და ნაწერები. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ტერაქტის ორი მონაწილე მცხეთის მიმართულებით რკინიგზის ხაზს ფეხით დასდგომია. ამ პერიოდში პოლიცია ინფორმირებული იყო, ნებისმიერი საეჭვო პიროვნების დაკავების თაობაზე. ერთ-ერთი მათგანი დაკავებულ იქნა იარაღის უკანონო ტარებისათვის. იგი №1 საგამოძიებო იზოლატორში მოათავსეს. ზემოხსენებულ მანქანაში ნაპოვნი ბლოკნოტის ჩანაწერებში დაფიქსირებული გვარი და სახელი ამ პიროვნების ვინაობას დაემთხვა. საგამოძიებო მუშაობის ჩატარების შემდეგ იარაღის უკანონო ტარებისათვის დაპატიმრებული პიროვნება ტერაქტში მონაწილე ბრალდებული აღმოჩნდა.

## 9 თებერვლის ტერაქტამდე ორი ტერაქტი იყო მოსალოდნელი



გიგლა აგულაშვილის თქმით, 1997 წლის გაზაფხულზე გოჩა ესებუას ორგანიზებით სანდო პირების მოძებნა დაიწყეს. საბოლოოდ ჯამში შეიკრიბა 12-კაციანი ჯგუფი, რომლებიც 12 ივნისს, ფიზიკური და სამხედრო მომზადებისათვის ჩეჩნეთში, სოფელ ავტურიდან 2კმ-ის დაშორებით მდებარე ბანაკში ჩავიდნენ. აღსანიშნავია, რომ მათ ჩეჩნეთში ჩასვლამდე წინასწარ იცოდნენ — რა სად უნდა გაეკეთებინათ. მომზადების პერიოდში ბანაკის ხელმძღვანელი (რომლის ვინაობას პროკურატურა არ ასახელებს — მ.მ.), რომელიც ტერორიზმში უნიკალური გამოცდილების მქონე ყოფილა, გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა. მისი ადგილი ვინმე არაბი ეროვნების პირს დაუკავებია. დეკემბრის თვეში მომზადებული ჯგუფი თბილისში დაბრუნდა 10 კაციანი შემადგენლობით, რადგან ერთ-ერთი მათგანი ვარჯიშის დროს დაჭრილა. იგი სხვა პიროვნების გვარით და სახელით ქ. არგუნის სამხედრო ჰოსპიტალში სამკურნალოდ გადაუყვანიათ. მასთან საპატრონოდ კიდევ ერთი დარჩენილა. გიგლა აგულაშვილის განცხადებით, 10 კაციან ჯგუფს 6 უცხო ქვეყნის მოქალაქე დაემატა, ძირითადად ჩეჩნები. ბანაკი, სადაც მათი მომზადება მიმდინარეობდა, ოფიციალური ჩეჩნეთის მიერ ვერ კონტროლდებოდა. დეკემბრის თვეში ჩამოსულებმა ჯერ კიდევ 30 იანვარს და 6 თებერვალს სცადეს დანაშაულის განხორციელება. 30-ში შემთხვევის ადგილზე მისვლა დაუგვიანდათ, 6 თებერვალს კი ესკორტმა გაასწრო..

## „პირველი, მეორე ვარ, გამოდი ჩემთან!"

ისინი კავშირს ერთმანეთთან მობილური ტელეფონით, რაციით და პეიჯერით ამყარებდნენ, რამაც საშუალება მისცა გამოძიებას მომხდარის შემდეგ სპეციალური ნებართვის საფუძველზე დაეფიქსირებინათ კონკრეტული პიროვნების ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ წამს ყოფნა ამა თუ იმ ზონაში. პროკურატურამ სწორედ ფიჭური ტელეფონების საშუალებით შეძლო დაედგინა, თუ ვინ, საიდან გადასცემდა ინფორმაციას, გიგლა აგულაშვილის თქმით, მათ ეს სატელეფონო ინფორმაციები სატელეფონო კომუნიკაციებში მიაწოდეს.

როგორც კი ესკორტმა თავისუფლების მოედანზე გამოსვლა დაიწყო, ამ ადგილიდან გადაეცა ინფორმაცია ხუციშვილის ქუჩაზე მყოფ თავდამსხმელთა ჯგუფს. ამ მომენტშივე ისინი ჩადიან სკოლასთან ორი მანქანით — მიკროავტობუსით და „06" მარკის ჟიგულით. იარაღის ძირითადი ნაწილი მიკროავტობუსში ინახებოდა. საბრძოლო პოზიციაზე ისინი ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველს ძირითადი დარტყმა უნდა მიეყენებინა, მეორეს — შეიძლება ითქვას, დამატებითი საკონტროლო გასროლით უნდა დაემთავრებინა საქმე. მეორე ინფორმაციის გადაცემა მოხდა მაშინ, როდესაც ესკორტმა ბარათაშვილის ხიდთან მოუხვია. ფრაზა ასეთი შინაარსის იყო: „პირველი, მეორე ვარ, გამოდი ჩემთან!" რაც მსხვერპლის მიახლოებას ნიშნავდა.



პროკურატურის ინფორმაციით, ტერორისტთა ნაწილს ანგარებითი მომენტი არ ჰქონია, თუმცა ერთ-ერთს აღიარებითი ჩვენების დროს უთქვამს, რომ მას ოპერაციაში მონაწილეობისთვის 100 ათასი დოლარი შესთავაზეს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით 10 ეჭვმიტანილი ძებნაშია, მათი ვინაობის დასახელებისაგან პროკურატურა თავს იკავებს. შემთხვევის ადგილზე გარდაცვლილი ჯანგალიევის და ანგარდაცვლილის გოჩა ესებუას მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია. დაუდგენელია 5 ჩეჩნის ვინაობა, რომლებმაც ტერაქტში მონაწილეობა მიიღეს. გამოძიება ასევე არ ასახელებს ტერაქტის სხვა შესაძლო ორგანიზატორებს. ბრალდების მხარე ბრალდებულთა აღიარებითი ჩვენებების მიღებისას მათზე ფიზიკურ ზეწოლას უარყოფს.

*მარინა მამისაშვილი*

# დაგვენგრევა თუ არა თავზე მეტროს სადგური „სარაჯიშვილი"

მეტროს ხშირი სტუმარი უთუოდ შეამჩნევდა, რომ გურამიშვილ-სარაჯიშვილის მონაკვეთზე მატარებელი საეჭვო სიხშირით მოძრაობს. ქალაქში კი უკვე დადის ხმა და, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო — ამბობენ, ამ ხაზს ჭერი არ უვარგა და ჩამონგრევის საშიშროებააო.

აღნიშნულ საკითხზე ვესაუბრეთ და რეალური მდგომარეობის შეფასება ვთხოვეთ მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის მოადგილეს მთავარ ინჟინერს, ბატონ **ჯონდო ჯინჯიხაძეს.**

**— ბ-ნო ჯონდო, მეტროსადგურის მუშაობის საგარანტიო ვადა 500 წელია (5 საუკუნე!), „სარაჯიშვილის" სადგურმა კი გამოცდას 10 წელიც ვერ გაუძლო. ამბობენ, ამ მონაკვეთზე საშიში მდგომარეობააო.**

— ასე არ არის. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ თავის დროზე ხარისხიანად არ შესრულდა სამუშაო. კერძოდ, ეს ეხება გვირაბის უკუთაღს და ბეტონებს. როცა გვირაბი ჩავიბარეთ, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. მაგრამ რამდენიმე წლის ექსპლუატაციამ გვიჩვენა, რომ ბეტონიც და რელსებიც დაბლა იწევს. ამიტომ იძულებული გავხდით, შეგვემცირებინა მატარებლის სიჩქარე. ამ მონაკვეთზე მატარებელი 15 კმ/სთ-ში სიჩქარით მოძრაობს ასეთი სიჩქარე ყოველგვარ საფრთხეს გამორიცხავს.

**— და მაინც, ყველაზე უარესი რა შეიძლება მოხდეს?**



— უკიდურეს შემთხვევაში, მატარებელი შეიძლება რელსებიდან ამოვარდეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ავტომატური მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც მატარებელი ჩერდება. გარდა ამისა, ჩვენი მუშაკები ყველა მონაკვეთს დილის 5 საათზე ამოწმებენ. თუ რამ საეჭვო იქნება, სადგური არ ამუშავდება. სადგურების მშენებლობას მეტრომშენი აწარმოებდა. ამჟამადაც მას მივმართეთ. ისინი ვალდებულნი არიან, დაშვებული შეცდომა გამოასწორონ. მიწისზედა სამუშაოები უკვე დამთავრდა.

**— ვინ დაგაფინანსებთ?**

— მეტრომშენთან შევთანხმდით, რომ პროექტირების ფულს მეტროპოლიტენის სამმართველო გადაიხდიდა. ეს თანხა — 23 ათასი ლარი, უკვე რეალიზებულია. სხვა სამუშაოების უზრუნველყოფას მეტრომშენი ითავებს. დახმარებას დაგვპირდა მერიაც, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს. მერიაც თუ დაგვეხმარება, სამუშაოები უახლოეს სამ თვეში დასრულდება.

**— თქვენ 30 წელია, ამ სისტემაში მუშაობთ და იცით, რომ სადგურების მშენებლობისათვის თავის დროზე დიდი თანხები იყო გამოყოფილი. ხარისხი კი მაინც სავალალოა. იქნებ ამ თანხას სხვა გეზი ჰქონდა?**

— ის თანხა აითვისეს. შეიძლება ვინმეს მითითებით მომჭირნეობა გასწიეს, მაგრამ ამის ცოდნაზე თავს ვერ დავდებ. ვფიქრობ, ყველაფერი უყურადღებობის ბრალია და ამაში ბრალი მიუძღვის როგორც მეტრომშენს, ისე მეტროპოლიტენის სამმართველოს და გვირაბების სამსახურს.

**— ე.ი. განსაკუთრებულ შემთხვევებზე პასუხს დასახელებული დაწესებულებანი აგებენ?**

— დიახ, მაგრამ გარწმუნებთ, თქვენს მიერ ხსენებულ მონაკვეთს არც ჭერი ჩამონგრევია და არც მატარებელი ამოუყირავდება.

**— მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას სადგურები დაიკეტება?**

—არა, რადგან ეს სამუშაო ღამით კეთდება. უსაფრთხო მოძრაობის გარანტია მყარია და დაკეტვის აუცილებლობა არ არსებობს.

**— გმადლობთ საუბრისათვის.**

*ქეთი ბერეკაშვილი*





ქალბატონებო!
თქვენთვის
გამოვიდა
თქვენსავით
მშვენიერი,
მრავალფეროვანი
და საინტერესო
სახე 1999 წლის
ქალთა კედლის
კალენდარი.

ოთხშაბათს 6 იანვრის ნომერში:

თქვენ სახლში შეხვდით ახალ წელს? მაშინ ჩვენთან წაიკითხეთ, რა ხდებოდა გარეთ... გვ. 3

ვინ არის ანჯელიკა ვარუმის ბავშვის მამა? გვ. 9-14

ბრიუს უილისი — დემი მური — ისევ განშორება და კვლავ შერიგება გვ. 2

რა ხდება მსოფლიო საზოგადოების მწვერვალებსა და ფსკერზე

წერილი ზომონდის რედაქციას: „შეიძლება გაგიხარდეს ადამიანის სიკვდილი? ...გამოფხიზლდით ...მერე გაზეთში წავიკითხე. მოფიქრეთ... ქერქი ყოფილა"... გვ. 13

# მანათობელი ტყვიებით ჰაერში გამოყვანილი „გილოცავთ ახალ წელს!..“

კურთხეულ არს მებრძოლი, სამშობლოსათვის გაღებული სიცოცხლე უკვდავებასთან ზიარების ტოლფასია, — ასეთი იყო ოდითგან ქართველთა რწმენა. მაგრამ მამულისათვის ჩვენი მიწის შვილნი მხოლოდ წარსულში როდი სდებდნენ თავს. გმირები ჩვენმა საუკუნემ, თანამედროვე დრომაც შვა და დაგვანახა, რომ დრო-ჟამმა ქართველთა ზნეკეთილ თვისებებს ნირი ოდნავადაც ვერ უცვალა, მამაცნი ისევ იბადებიან ჩვენში.

**გერმანე ფაცაცია**, ფრაქცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარე: „აფხაზი, როგორც ეთნოსი, რუსეთმა აგენტად იქცია. ორი საუკუნე იმუშავა მან, რომ აფსუას ცნობიერებაში ქართველთა მაქსიმალური სიძულვილი დაეთესა და ნადილიც აისრულა. აფხაზეთის საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა ქართველ პატრიოტთა და ყაჩაღთა ნაზავი, სადაც ყაჩაღთა რაოდენობა სჯაბნიდა პატრიოტთა რიცხვს. პატრიოტები დაიხოცნენ, ყაჩაღები დარჩნენ. მაგრამ რომ არა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ბიჭების სიმამაცე, შესაძლოა, რუსეთის იმპერიას აფხაზებისა და იქ არსებული ბანდების მეშვეობით, სათითაოდ გამოეჭრა ყელი ყველა ქართველისათვის. არსებობდა ინფორმაცია, რომ აღრიცხვაზე ჰყავდათ აყვანილი უბნები, ჩიხები, სახლები, გვარები, ოჯახები, სადაც უნდა მოეწყოთ ხოცვა-ჟლეტა. ძნელია თქმა, მაგრამ იქნებ ამ ეფემერულმა ომმა მიუხედავად წარმოუდგენელი მსხვერპლისა, სიკეთეც მოგვიტანა და ეთნიკურად გადაგვარჩინა.“

> „31 დეკემბერს თავსხმა წვიმა იყო. ჩემი ძმა, რომელიც გუმისთის ბატალიონში იბრძოდა, რამდენიმე მებრძოლის თანხლებით საახალწლოდ ხორცის საშოვნელად წავიდა. იმ ღამეს ჩვენი ქართველი მეომრები ჩემს ძმასა და მის მეგობრებს დახვდნენ, განაიარაღეს, ხორცის საყიდელი კუპონები წაართვეს, მანქანაც ჩამოართვეს. და შეკოჭილები დაყარეს თავსხმა წვიმაში.“

აფხაზეთის ომში თავს დებდნენ არა მარტო ადგილობრივი მაცხოვრებლები, არამედ სხვა კუთხის მკვიდრნი და ისეთებიც, რომელთაც მანამდე ფეხი არ დაედგათ ამ ძირძველ ქართულ მიწაზე.

**მერაბ ქყონია**, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ბატალიონის წევრი: „1992 წლის 29 აგვისტოს გაგრა დაეცა. ამის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ბრძანება, რომ გადავსულიყავით მდინარე გუმისთის მეორე ნაპირზე, სადაც იმყოფებოდა სკოლა და ლაბორატორია. 300 მებრძოლი, ტარიელ აბუაშვილის მეთაურობით, შეტევაზე გადავიდა. ავტომატებს განუწყვეტლივ ვისროდით, რადგან აფხაზთა მხარემ ცეცხლი გაგვიხსნა. ჩვენი შეტევა გააძლიერა საარტილერიო ცეცხლმა, რომელიც გაიხსნა გია ყარყარაშვილის ბრძანებით. მდინარეზე გადასვლისთანავე 17-20 ბიჭი სკოლის შენობაში შეიჭრა. ამ დროს მივიღეთ ბრძანება, რომ გავჩერებულიყავით. მაგრამ მე და რაზმის მეთაურის მოადგილემ ვთქვით, რომ სკოლაში ასული ბიჭების მიტოვება არ შეიძლებოდა. ჩვენ მხარი დაგვიჭირეს თბილისელმა რაგბისტებმა, რომლებიც მოხალისედ იყვნენ წამოსულნი ომში. 40 კაცი ერთი ტანკის თანხლებით სკოლისაკენ წავედით. ამასობაში დაღამდა. ჩვენ მივხვდით, რომ მოუხერხებელი ადგილმდებარეობის გამო, შეუძლებელი იყო ტანკით ასვლა სკოლამდე და დავიწყეთ უკან დახევა. რუსებმა და აფხაზებმა ძლიერი ცეცხლი გაგვიხსნეს. უცებ მოხდა აფეთქება, ჭურვი ტანკს დაეცა, ამ დროს მე ტყვია მომხვდა სახეში, ხოლო ჩემი მეგობარი დათო რაზმაძე, რომელიც გვერდით მედგა, სასიკვდილოდ დაიჭრა (დათო მაშინ ვერ გამოვიყვანე, რამდენიმე დღის შემდეგ გია ყარყარაშვილმა გამოიტანა მისი ცხედარი აფხაზთა მხრიდან). მიუხედავად იმისა, რომ დავიჭერი, ბრძოლას ვაგრძელებდი. ამ დროს რაციით დამიკავშირდა ნიკუშა კეკელიძე, რომელმაც მითხრა, სასწრაფოდ დამეტოვებინა ის ადგილი, რადგან ვიმყოფებოდი ლაბორატორიის ტერიტორიაზე, რომელიც რუსებს ეკუთვნოდა.

სკოლასთან დაიღუპნენ ჩემი მეგობრები ლაშა ქურასბედიანი და მიშა ბიჩინაშვილი. ლაშა მე გამოვიყვანე ზურგით. 100 მეტრი ხოხვით გამოვიარე, თან განუწყვეტლივ ვისროდი. ერთადერთი ფიქრი მქონდა, რომ ლაშა როგორმე გამომეყვანა და გადამეცა იმ ბიჭებისათვის, რომლებიც ქვემოთ მუშაობდნენ. ამის შემდეგ ორჯერ კიდევ ავედი სკოლაში და ერთი დაჭრილი გამოვიყვანე. აფხაზებმა მაშინ რამდენიმე ერთეული ტექნიკა აგვიფეთქეს. მეორე დღეს შეტევა გავაგრძელეთ და სკოლაც დავიკავეთ, მაგრამ მოულოდნელად მივიღეთ ბრძანება, რომ დაგვეტოვებინა ბრძოლით დაკავებული ადგილი და უკან წამოვსულიყავით.


მერაბ ქყონია

მეორე დღეს შეტევა გავაგრძელეთ და სკოლაც დავიკავეთ, მაგრამ მოულოდნელად მივიღეთ ბრძანება, რომ დაგვეტოვებინა ბრძოლით დაკავებული ადგილი და უკან წამოვსულიყავით. გუმისთაზე 31 აგვისტოს გადავედით და 1 სექტემბერს უკან დავბრუნდით, იმავე საღამოს კი უკვე სოხუმში ვიყავით. არ ვიცი, ჩვენ მაშინ რატომ დავთმეთ პოზიციები.

უნდა ვთქვა, რომ ძალიან ვაჟკაცურად იბრძოდნენ რაგბისტები. თავი გამოიჩინეს „თეთრი არწივის“ მეომრებმაც. აღსანიშნავია, რომ გია ყარყარაშვილის იმედი ყველას გვქონდა. მისი შემართება ჩვენც სტიმულს გვაძლევდა, როცა ის ჩამოდიოდა ჩვენთან, ყველას გამარჯვების რწმენა გვიბრუნდებოდა. ბიჭები, რომლებიც ჩემს გვერდით იბრძოდნენ, ყველა ვაჟკაცური შემართებით იყო. თუმც ბრძოლის დროს გმირობის ჩადენას ყველას ვერ მოსთხოვ.“

**იური ქვაჩახია**, პარლამენტარი, 24-ე ბრიგადის მეთაურის მოადგილე: „1992 წლის დეკემბრის ბოლოს 60 კმ-იან მონაკვეთს ტყვარჩელის მიმართულებით აკონტროლებდა 24-ე ბრიგადა და 23-ე ბრიგადის „ავაზას“ გარკვეული ნაწილი. ოჩამჩირის შტაბში კიტოვანის ერთ-ერთმა მოადგილემ, გენერალმა კამკამიძემ დაგეგმა ოპერაცია. შეკრებას ესწრებოდნენ ზაურ უჩაძე, თოხაძე, ნ. ჯიქია, შტაბის უფროსი, ბრიგადის მეთაურთა მოადგილეები. ეს იყო ერთადერთი ოპერაცია, რომელიც მთელი ერთი წლის მანძილზე დაიგეგმა და მე ვიტყვი, რომ დაიგეგმა ბრწყინვალედ. 25 დეკემბერს განხორციელდა შეტევა ფოქვეშის მიმართულებით (მე ამ ბრძოლაში ვმონაწილეობდი, როგორც მე-4 ბატალიონის რიგითი წევრი და არა როგორც მეთაური). ბესლახუბის მიმართულებით ერთმა ქვედანაყოფმა, რომელშიც 150 პოლიციელი იყო, ვერ გადალახა წინააღმდეგობა. ჩვენ კილომეტრნახევრით წინ აღმოვჩნდით, შეტევა შეფერხდა. ამ დროს ფოქვეშის


ოჩამჩირის მე-4 ბატალიონი

ქვედა რიგში მარცხნიდან: იური ქვაჩახია და რუზგენ გოგოხია

მარჯვნივ, ოხურეისთან იმყოფებოდა მე-4 ბატალიონის ერთი ასეული, რომელსაც ჯოყო გურჩიანი მეთაურობდა. გურჩიანი, სანამ ბრძანებას მიიღებდა რომ შეჩერებულიყო, ოხურეის სიღრმეში შეიჭრა და ფაქტობრივად რაზმისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ეტყობა, აფხაზები ისმენდნენ ჩვენს რადიოსაუბრებს, შეიტყვეს, რომ ჯოყოს ასეული სიღრმეში იყო ჩარჩენილი და დაიწყეს შეტევა მარჯვენა და მარცხენა ფლანგებიდან. გურჩიანი მიხვდა ყველაფერს და ბიჭებს უბრძანა, დაეხიათ უკან. თვითონ კი იქ დარჩა. ამასობაში ფეხში დაიჭრა, არტერია გაუწყდა. მეგობარი ცდილობდა მის გამოყვანას, მაგრამ გურჩიანმა უთხრა: ჩემს მაგივრად შენ იქნები მეთაური, ბიჭები როგორმე გაიყვანე, მე აქ დავრჩები, მტერს მოვიგერიებ, როცა სამშვიდობოს გახვალ, შტაბში აცნობე და მერე მოდით ჩემს დასახმარებლადო. სანამ ჩვენ ფოქვეშიდან გადმოვედით, საათნახევარი გავიდა. როცა მივედით, ვნახეთ, რომ ჯოყო გურჩიანს არც ავტომატში და არც პისტოლეტში ტყვიები აღარ ჰქონდა, ბოლომდე ებრძოლა. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ბევრი სისხლი ჰქონდა დაღვრილი და ვერ გადაარჩინეს, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ეს ოპერაცია კარგად იყო დაგეგმილი, მაგრამ ვერ დამთავრდა წარმატებით. ალბათ, იმიტომ, რომ კამკამიძემ და ხელმძღვანელობამ ვერ გაითვალისწინეს ზოგიერთი ნაწილის სამხედრო მომზადება, გამოცდილება. პოლიციელებმა მაშინ ცუდად კი არ იბრძოლეს, არამედ დაიბნენ, სიტუაციაში ვერ გაერკვნენ, ეს გამოუცდელობის ბრალი იყო. ასე რომ, ერთადერთი დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ არც ოპერაცია დაუგეგმავს ვინმეს და არც კამკამიძე გვინახავს თვალით. საერთოდ წავიდა აფხაზეთიდან.

მახსოვს „ბომბორას“ ბატალიონის მეომრების შემართებაც, რომლებსაც აფხაზეთში ჩამოსვლის მეორე დღესვე სასტიკ ბრძოლაში მოუხდათ ჩართვა. მათი ექვსი მებრძოლი აჩაგვარაში დაიღუპა, 6 ბიჭი კი სიღრმეში შეიჭრა და თორმეტი დღის შემდეგ გამოვიდნენ იქიდან ნაბრძოლნი და ქანცგაწყვეტილნი. ამ მაგალითით იმის თქმა მინდა: 15 კაცის გმირობა უკვე ცალკეულის ვაჟკაცობაა.

ცაგერასთან ბრძოლები 1993 წლის სექტემბერში განახლდა. რუსებმა და აფხაზებმა ერთდროულად შემოგვიტიეს. ამ დროს ჩვენი ქვედანაყოფი სკოლასთან იდგა. ტექნიკა, ტანკები და ჯავშანმანქანები არ გვახლდა, მხოლოდ ავტომატები გვქონდა. ამ დროს დავინახეთ, რომ ჩვენსკენ მოემართებოდა ერთი ტანკი და მანქანა БМП-2. ჯარისკაცებში პანიკა ატყდა. შევატყვე, რომ ბიჭები უკან დახევას აპირებდნენ. ამ დროს ისეთი შემთხვევა მოხდა, რომელმაც ბრძოლის მსვლელობა მთლიანად შეცვალა. იქვე, სკოლასთან იყო სასაფლაო, სადაც თურმე ჩასაფრებული ყოფილა ბატალიონის უფროსის მოადგილე შეიარაღების დარგში დათო ქუთელია (სამწუხაროდ, ის დღეს ცოცხალი აღარ არის), რომელიც ტანკის გამოჩენამ არ დააბნია, გამოვარდა, აიღო „მუხა“ და 50 მეტრის სიშორიდან ესროლა ტანკს. ტანკს მუხლუხი დაუზიანდა და გაჩერდა. ამის დანახვაზე ჩვენს ჯარისკაცებს მხნეობა მოემატათ, იმედი მიეცათ და დავიწყეთ შეტევა. ხელში ჩავიგდეთ ის ტანკი და ორი ჯავშანმანქანა. აფხაზთა მეთაური, რომელსაც მეტსახელად „მალიში“ ერქვა, ტანკში ჩაიწვა. მე ასეთი ძლიერი შეტევა არ მახსოვს. აფხაზთა გვამებს ჩვენები სიმინდის ყანებშიც აგროვებდნენ. ეს იყო მნიშვნელოვანი გამარჯვება, რადგან ცაგერას და ცხენისწყლის აღებით იჭრებოდა ზოლი სოხუმისაკენ.


გერმანე ფაცაცია

კარგად მახსოვს დათო რამიშვილის გმირული სიკვდილი, რომელიც 15 კაციან ჯგუფს ჩამოჰყვა მოხალისედ ოჩამჩირეში. დათო და მისი მეგობრები ერთ მიტოვებულ სახლში დაბინავდნენ და იქიდან გადიოდნენ საბრძოლო ოპერაციებზე. ერთხელაც აფხაზებმა მოულოდნელი შეტევა დაიწყეს. მთელმა სოფელმა, მოსახლეობამ და ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს, მაგრამ დათოს და მის თანამებრძოლებს ეძინათ, ვერაფერი გაიგეს. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, როდესაც სახლი ალყაში მოაქციეს აფხაზებმა. დათომ თანამებრძოლებს უთხრა: დაიმალეთო და მარტო გავიდა ეზოში, იარაღიც არ გაუტანია თან. აფხაზებმა მას ალყა შემოარტყეს და დაცინვა დაუწყეს. დათო ოთხ-ხუთ აფხაზს შიშველი ხელებით გაუსწორდა, ვერავინ შეძლო მისი შეჩერება და კბილებამდე შეიარაღებულმა აფხაზებმა იგი შეუბრალებლად დახვრიტეს. დათოს წინააღმდეგობამ იმდენად დააბნია აფხაზები, რომ სახლში აღარ შესულან და ის თხუთმეტი მებრძოლი ცოცხალი გადარჩა. დათო რამიშვილის ცხედარი 15 დღე აფხაზებს ჰქონდათ და მერე ძლივს დავიბრუნეთ.

> „როცა ტყვე ჩავვარდი, მისმა ცოლმა და ქალიშვილმა კარგად, ბავშვივით მცემეს და სულ შემომახიეს ტანზე რაც მეცვა. არადა, სანამ მე იქ ვიყავი, ბოლქვაძისთვის ხელი არავის დაუკარებია“.

**რუზგენ გოგოხია**, ოჩამჩირის მე-4 ბატალიონის ყოფილი მეთაური: „გენერალ ყურაშვილის ბრძანებით დავიწყეთ შეტევა ტყვარჩელისაკენ. ამ ბრძოლაში მე კიდევ სამი ბატალიონი გამომყვა. 27 სექტემბერს შევუტიეთ მთავარ სტრატეგიულ პუნქტებს, რომლებიც ტყვარჩელს გადაჰყურებს და ნახევარ საათში დავიკავეთ 104-ე, 105-ე და 121-ე სიმაღლეები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში მიუვალი გვეგონა. ავიღეთ იარაღი, ჩემი ხელით დავიჭირე შტაბის მეთაური ბოლქვაძე, წარმოშობით აჭარელი, რომელიც აფხაზთა მხარეს იბრძოდა. მე იმ ღამესვე დამჭრეს და მაშინ ვიღაც-ვიღაცებს (ამბობენ, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ იძია შური, ჩემი ბიჭები ამას არაფრით არ იზამდნენ) ბოლქვაძე მოუკლავთ. ჰოდა, ამ ბოლქვაძის გულისთვის კინაღამ მე გამაძრეს ტყავი, როცა ტყვედ ჩავვარდი. მისმა ცოლმა და ქალიშვილმა კარგად, ბავშვივით მცემეს და სულ შემომახიეს ტანზე რაც მეცვა. არადა, სანამ მე იქ ვიყავი, ბოლქვაძისთვის ხელი არავის დაუკარებია“.

ზოგჯერ მებრძოლებს საკუთარი თანხებითაც უხდებოდათ იარაღის შეძენა.

**რუზგენ გოგოხია**: „ერთმა კეთილმა კაცმა ოთხი ვაგონი მინის ტარა მაჩუქა. ქუთაისის ქარხანაში ჩავაბარეთ ამდენი ბოთლი. ორ ბოთლში ერთ პეპსი-კოლას გვაძლევდნენ, რომელსაც ჩემს მაღაზიაში ვყიდდი. რაც იქ ფული შემოდიოდა, ჩემი ბატალიონის შეიარაღებას ხმარდებოდა. სამი მლნ რუსული რუბლის იარაღი შევიძინეთ. ჩვენ გვინდოდა სნაიპერი-შაშხანის შეძენა, რომელსაც თბილისიდან ჩამოსული ბიჭი ყიდდა. მას იარაღი რუსებისთვის წაერთმია. უკან აპირებდა დაბრუნებას და იარაღის გაყიდვა განუზრახავს: კაპიკი ფული არ მაქვს და შაშხანას 300 ათასად მოგყიდითო, — გვითხრა. მე 250 ათასი მქონდა და არ მომყიდა. მერე გავიგე, რომ სხვა ბატალიონს შეუძენია ეს იარაღი.“

ომი ომად და როგორ ხვდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და ქართველი მეომრები დღესასწაულებს?

**გერმანე ფაცაცია**: „ჩვენ მაშინ სოხუმში ვიყავით და ლუკმაპური არ გვქონდა. მამაჩემს, 80 წლის კაცს, ორი თხა აჩუქეს, რომლებიც 400 გრამს იწველიდნენ და ეს იყო მთელი ჩვენი შემოსავალი. 31 დეკემბერს თავსხმა წვიმა იყო. ჩემი ძმა, რომელიც გუმისთის ბატალიონში იბრძოდა, რამდენიმე მებრძოლის თანხლებით საახალწლოდ ხორცის საშოვნელად წავიდა. იმ ღამეს ჩვენი ქართველი მეომრები ჩემს ძმასა და მის მეგობრებს დახვდნენ, განაიარაღეს, ხორცის საყიდელი კუპონები წაართვეს, მანქანაც ჩამოართვეს და შეკოჭილები დაყარეს თავსხმა წვიმაში. გამთენიისას მობრუნდნენ ჩემი ძმა და მისი თანმხლებნი გაუბედურებულები და ნაცემები. ნახევარი ბატალიონი აიშალა, იპოვეს ის ყაჩაღები, დაიბრუნეს ის იარაღი, კუპონები და მანქანაც, ხოლო მძარცველები ფეხებით ჩამოჰკიდეს ხეზე. აი, ასეთი ახალი წელი გვქონდა ჩვენ.

მე მახსოვს სააღდგომოდ სოხუმში არც საჭმელი იყო, არც წყალი, არც დენი, წითელი კვერცხი სად იქნებოდა? ჩემი ნათლული, რომელსაც ორივე მშობელი ომის დროს დაეღუპა, მოვიდა ჩვენთან და ერთი ცალი წითელი კვერცხი მოგვიტანა. ამ ერთი წითელი კვერცხით აღვნიშნეთ აღდგომის დღესასწაული. მახსოვს ნააღდგომევს შტაბში გავიარე, თან ჯემალ საჯაია მახლდა. ვნახეთ ჩემი მეგობარი ნუგზარ გადელია, რომელმაც თითო ჭიქა ღვინო დაგვალევინა. ალბათ ის ერთი ჭიქა ღვინო მთელი ცხოვრება დამამახსოვრდება.“

ახალი წელი თურმე ფრონტზეც აღუნიშნავთ ჩვენს მეომრებს.

**იური ქვაჩახია**: „ახალ წელს ოხურეიში შევხვდი, სანგარში. ერთად შევიკრიბეთ ბიჭები, რომლებიც ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობიდან ვიცნობდით ერთმანეთს. აქ იყვნენ კოსტავას საზოგადოებიდან, ეროვნულ-დემოკრატები და მხედრიონელები. შამპანურის შოვნაც მოვახერხეთ, სურსათი ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მოგვცეს, რომლებიც ყოველთვის გვიმართავდნენ ხელს. ყველანი ჩავსხედით შენიღბულ სანგარში და დავლოცეთ ახალი წელი. მაშინ ყველას ერთი სურვილი გვქონდა — საქართველოს ერთიანობა, აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ბევრი ნატრობდა თავისი ოჯახის ნახვას. მერე გამოვედით გარეთ, ორივე მხარის მებრძოლები ჰაერში ისროდნენ. ზოგი ჩვენი მებრძოლი ისე იყო დახელოვნებული სროლაში, რომ მანათობელი ტყვიებით ჰაერში გამოჰყავდა სიტყვები: გილოცავთ ახალ წელს! იმ ღამეს შეტევა არ ყოფილა, მესამე დღეს კი დაიწყო სისხლისმღვრელი, სასტიკი ბრძოლები.

სამწუხაროდ, მეხსიერებიდან ბევრი რამ იშლება, როცა ომს ვიხსენებ, ძალიან განვიცდი. ქართველების დამარცხება, დაჩოქება, ლტოლვილებად ქცევა, ჩემთვის მოუშუშებელი ჭრილობაა და ალბათ ამიტომ მინდა ცალკეული ეპიზოდები ამოვშალო ჩემი მეხსიერებიდან. მას შემდეგ თითქმის ექვსი წელი გავიდა და არაფერი მომხდარა სასიკეთო. მე არ მესმის, როგორ კოცნის ვაჟა ლორთქიფანიძე ქიშმარიას, რომელმაც ქართველთა გენოციდი მოაწყო. რატომ გამოყარეს თავიანთი საცხოვრებლებიდან 300 ათასი ადამიანი, რომელთაგან 260 ათასი ქართველია, რატომ მოხდა გენოციდი გალის რაიონში? 1.700 ქართველია მოკლული აფხაზეთის ტერიტორიაზე მას შემდეგ, რაც იქ „ცისფერჩაფხუტიანები“ დადგნენ. აი, ასეთია ომის შემდგომი სტატისტიკა. სახელმწიფო მინისტრმა თქვა, რომ რეალური წარმატების მისაღწევად საჭიროა გვქონდეს პოლიტიკური, ეკონომიკური სტაბილურობა და ძლიერი ძალოვანი სტრუქტურები. როდესაც ამ სამი კომპონენტიდან არც ერთი არ გაგვაჩნია, მოლაპარაკების მაგიდასთან როგორ ვსხდებით? მე ვფიქრობ, რომ ეს კეთდება რაღაც ვაკუუმის ამოსავსებად. ჩემი აზრით, ამ ვაკუუმის ამოსავსებად უპრიანი იქნება პარტიზანული მოძრაობისათვის ხელის შეწყობა. ოჩამჩირის, გალის, გუდაუთის მოსახლეობა იბრძვის ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. უნდა გააქტიურდეს პარტიზანული ბრძოლები, ჩვენ ვერავინ შეგვედავება. ადამიანი, რომელიც თავის ეზოს, ფუძეს, სახლსა და საფლავს იცავს, მართალია. თუ ეს ნაბიჯი არ გადაიდგა, ზემოხსენებული ვაკუუმი შეივსება დოკუმენტებით, რომელიც შემდგომ ჩვენს წინააღმდეგ იმუშავებს და დე ფაქტო გახდება დე იურე.

მე მინდა მივულოცო ახალი წელი ჩემს თანამებრძოლებს და მეგობრებს. რეალისტი ვარ და მჯერა, რომ საქართველოს აქვს მომავალი. იმედი არ დაჰკარგვოდეთ ქართველებს. ყველამ აკეთოს თავისი საკეთებელი და ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ იქამდე, რასაც საქართველოს გამთლიანება ჰქვია.“

*იზო რიკაძე*

შებრუნებული კითხვები, რომლებზეც პასუხს ვერც ჩვენ გავცემთ და, საუბედუროდ, ვერც ხელისუფლების წარმომადგენლები!..

**მოხუცი კაცი** — არც პენსია გვაქვს, შვილო, არც შუქი და არც საჭმელსასმელი, არსენიშვილი როგორი კაცია, ჩვენ რა ვიცით?! საჩვენოდ კი არავინ არი და...

**შოთა, 70 წლის** — მთავარი „დიდი ბუაა", არსენიშვილს ვინ რასა ჰკითხავს?..

**შუახნის ქალი (ტირილით)** — ვის რაში სჭირდება მაგათი დაპირებები, ლამაზი სიტყვების თქმას რა უნდა?! უშვილზე უარეს დღეში ჩაგვყარეს, პროცენტიანი ვალი ავილე და ბაზარში ისე მივდივარ. ახალი წელი ვის უხარია? საჭმელი პური არა გვაქვს, მაგრამ რა ვქნა? ბავშვებს ყველა სიხარული როგორ მოვუსპო?!

**გიორგი, 20 წლის** — მედეაზე რომ გვკითხათ, ნაირ-ნაირებს გეტყოდით, გუბერნატორზე რა გითხრათ? კარგი კაცია, რა!..

ყბადაღებული სტაბილიზაცია ხელისუფლების მორიგი ბლეფი აღმოჩნდა. გალატაკებულ მოსახლეობას მოთმინების ძაფი გაუწყდა, ხალხი ერთ ნაპირზეა, მთავრობა — მეორეზე, მათ შორის კი ხიდი კარგა ხანია, ჩატეხილა. ზოგიერთი ავტორიტეტი ცდილობს, შუამდგომლობა ითავოს და მნიშვნელოვანწილად ახერხებს კიდეც ორივე მხარეზე ყოფნას.

ასეთ პიროვნებად გვესახება კახეთის რეგიონის რწმუნებული, ბატონი **გია არსენიშვილი.**

**— ბატონო გია, „კვირის პალიტრა" იწყებს მკითხველისათვის გუბერნატორის ინსტიტუტის გაცნობას, არჩევანი კახეთის რეგიონზე და, უშუალოდ, თქვენზე შევაჩერეთ, რა ევალება კახეთის ზონის გუბერნატორს?**

— თქვენ რამდენიმე შეცდომა დაუშვით, კახეთი ზონა არ არის და არც მე ვარ გუბერნატორი. ჩემს კომპეტენციაში შედის კახეთის რეგიონის რწმუნებულის უფლებამოვალეობანი. უფრო ზუსტად, რეგიონის რწმუნებული ვალდებულია, მოაგვაროს რეგიონში ყველა პრობლემა, როგორც სოციალური, ისე სახელმწიფოებრივი.

**— არიან თუ არა რაიონების გამგებლები თქვენთან ანგარიშვალდებულნი?**

— მეტ-ნაკლებად კი, მაგრამ ისინი უფრო პრეზიდენტთან აგებენ პასუხს, რადგან მათი დანიშვნა, მოხსნა-გადაადგომა, მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია, თუმცა ვალდებულნი არიან, ჩემს მიღებულ გადაწყვეტილებებს დაემორჩილონ!

**— კახეთში ნებისმიერი რაიონის მცხოვრებს რომ ჰკითხოთ, თამამად გეტყვის, — კახეთს მართავს ქალბატონი მედეა მეზვრიშვილიო; თქვენი სახელი კი მიჩქმალულია, პირიქით ხომ არ უნდა იყოს?**

— ქალბატონი მედეა არის კახეთის რეგიონის სმკ-ის ლიდერი. სმკ კი, მოგეხსენებათ, მმართველი პარტიაა. ალბათ ამან გამოიწვია ამ აზრის შექმნა. რაც შეეხება ჩემი და ქალბატონი მედეას ურთიერთობას, ჩვენ სრულიად სხვადასხვა სტრუქტურაში ვმუშაობთ და როგორც მე არ ვერევი სმკ-ის გადაწყვეტილებებში, ისე არ მახსოვს, ამ სამი წლის განმავლობაში არც ერთი შემთხვევა, ქალბატონი მედეა შემოჭრილიყო ჩემს კომპეტენციაში.

**— როგორ აგვიხსნით იმ ფაქტს, რომ კახეთში თითქმის ყველა პრესტიჟულ თანამდებობაზე მედეა მეზვრიშვილის ახლობელი, მეგობარი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირები არიან დანიშნულნი.**

— ვფიქრობ, ეს უბრალოდ, „ბოროტი ხმებია", ახლახან, სულ 2-3 კვირის წინ, გურჯაანში დაინიშნა ახალი გამგებელი, უშუალოდ ჩემი რეკომენდაციით.

როგორც ვიცი, ბატონი გოგიტა სიბაშვილი არ არის ქალბატონი მედეას არც



# არც კახეთია ზონა და არც არსენიშვილი — გუბერნატორი

ნათესავი, არც მეგობარი!

**— თუმცა არის სმკ-ის ლიდერი, არა (ე.ი. ნდობით აღჭურვილი პირი)?**

— წინაც აღვნიშნე, რომ სმკ მმართველი პარტიაა.

**— ჩვენ მთელი დღის განმავლობაში ვიყავით პიკეტირებული წნორისიღნაღის გზატკეცილზე (და ვაქრიში თქვენი სიტყვაც მოვისმინეთ), თქვენ დაჰპირდით მოთმინებადაკარგულ ხალხს ერთი თვის პენსიებსა და ხელფასებს. მართლაც, სიღნაღის რაიონში ოპერატიულად დაიწყო პენსიების გაცემა, ის კი არა, კახეთის სხვადასხვა რაიონში გადმორიცხული თანხაც კი ქიზიყში გაიგზავნა. ხელისუფლების ეს ნაბიჯი ბიძგს ხომ არ მისცემს კახეთის დანარჩენ რაიონებს, სიღნაღელებს მიბაძონ?**

— მთავრობას არა აქვს საშუალება, რომ ყველა პენსიონერი გაისტუმროს, არადა, ხალხი გაჭირვებულია, თუმცა სიღნაღში ბევრი ისეთი „გვიქნევდა თითს", რომელსაც არც ერთ ჩვენთაგანზე მეტად არ უჭირს. თქვენ თვითონ ნახეთ, რომ გარკვეული ნაწილი ცდილობდა „წყალი თავის წისქვილზე დაესხა" და ამბოხებულ ხალხს უფრო მეტად აღიზიანებდა. მთელ ქვეყანას უჭირს, მე ისევ კახელი გლეხის კეთილგონიერების იმედი მაქვს. მე მათ ვთხოვ, კიდევ ერთხელ გვენდონ და დაგვაცადონ, თორემ თუ იმ ნავს, რომელშიც ვსხედვართ, რყევას დავუწყებთ, გადაბრუნდება და ყველანი წყალში აღმოვჩნდებით. იმ პიკეტზე ვთხოვე ჩემს წარმომადგენლებს, შეედგინათ უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის სია, მათ ეს გააკეთეს. მეორე დღეს ეს სია გაორმაგდა. ჩემთან ყოველდღე შემოდის გაჭირვებული ადამიანი, ყველას შეძლებისდაგვარად ვეხმარები.

**— რატომ შეჩერდა ფქვილის გაცემა პენსიების მაგიერ?**

— საერთოდ, პენსიების მაგიერ ფქვილის გაცემა ჩემი და იმერეთის რწმუნებულის, ბატონ თემურ შაშიაშვილის უზომოდ ბევრი ფიქრის, მსჯელობისა და მუშაობის შედეგია. ჩვენ ამით მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ვიხსენით გაჭირვებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ჩვენს ამ ქმედებას უტაქტობა უწოდა (რადგან ამ დროს სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის ურთიერთობის დონე ეცემა), მაგრამ ვთვლი, რომ ეს იყო ძალიან საჭირო და აუცილებელი ნაბიჯი ჩემი კუთხისათვის. ზოგიერთი იმაზე შემოგვედავა, ბაზარში ფქვილი უფრო იაფია და თქვენ ძვირად მიჰყიდეთ მოსახლეობასო! მგონი, ყველასთვის ნათელია, რომ ის ფქვილი, რომელიც ჩვენ გავეცით, საუკეთესო ხარისხის იყო. რატომ შეჩერდა გაცემა? იმიტომ, რომ გაიზარდა გადასახადი ხორბლის იმპორტზე, გარდა ამისა, წავიდა ფულადი ნიშნების დევალვაცია, რამაც გამოიწვია ფქვილის გაძვირება. ჩემი აზრით, არ შეიძლება მოსახლეობისათვის ახალი ფასებით ფქვილის შეთავაზება, რადგან პენსიები შესაბამისად არ მომატებულა. დიდი ბრძოლის შემდეგ მივაღწიე იმას, რომ 10 იანვრამდე პენსიების მაგიერ ფქვილი გაიცემა ისევ ძველი ფასებით.

**— როგორც თქვენი საუბრიდან გაირკვა, თქვენ იკისრეთ შუამდგომლობა მთავრობასა და ხალხს შორის. ამით ორი საქმე გაკეთდა, მოსახლეობა „დააწყნარეთ" და მთავრობაც ჩიხიდან გამოიყვანეთ. შეგიძლიათ თუ არა კიდევ ერთხელ იშუამდგომლოთ მათ შორის და კიდევ ერთი პრობლემა მოაგვაროთ. როგორც მოგეხსენებათ, გაძნელებულია გლეხობიდან მიწის გადასახადის ამოღება, რადგან ისინიც ამ სახელმწიფოში ცხოვრობენ და მასთან ერთად განიცდიან ფულადი ნიშნების ნაკლებობას; თუ არ გადაიხდიან, ერთი წლის შემდეგ მათ დავალიანებას ემატება კიდევ ჯარიმა, რომელიც ყოველ წელიწადს იზრდება. იქნებ გლეხსაც გადაეხადა მიწის გადასახადი ნატურით?**

— არც ერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ არ შეიძლება მოუფიქრებლად რაიმე ნაბიჯი გადადგას და, წარმოიდგინეთ, არც პასუხი გასცეს კითხვებს.

**— რას გვეტყვით ახმეტის სატყეო მეურნეობის შესახებ, სადაც ერთ წელიწადში 3-ჯერ შეიცვალა დირექტორი?**

— აი, რა მინდა გითხრათ: ჩვენ გვაქვს ბუნებრივი სიმდიდრე, რომელსაც ვერ ვიყენებთ. ახმეტის ტყე ჩვენ არაფერს გვაძლევს და მე ვიბრძვი იმისთვის, რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენვე მოვიხმაროთ.

**— ბატონო გია, მინდა შევეხოთ ყველასათვის მტკივნეულ საკითხს, ელექტროენერგიის მიწოდებას. ალბათ საკამათო არ არის, რომ კახეთი ამ მხრივ საქართველოში ყველაზე „დაჩაგრული მხარეა".**

— ეს გამოწვეულია კახეთის რელიეფური მდებარეობითაც და, რა თქმა უნდა, ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისითაც. ჩვენ საუბარი გვქონდა სიღნაღის რაიონის შესახებ და ვიცი, რომ იმ მღელვარების ერთ-ერთი მიზეზი 21 დღის განმავლობაში ელექტროენერგიის უქონლობაც იყო. მე დიდი დავა მქონდა საქენერგოს ხელმძღვანელობასთან და იმას მივაღწიეთ, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში პერიოდულად გვაწოდებდნენ დენს.

სამომავლოდ არის გარკვეული პერსპექტივები. საგარეჯოში, ნავთობის თანამდევ გაზზე თბოელექტროსადგურის აშენებაა დაგეგმილი; იგი საგარეჯოს რაიონს ელექტროენერგიით დააკმაყოფილებს. მშენებლობა აქამდეც დაიწყებოდა, მაგრამ ტურბინა ჩამოუვარდათ და დაზიანდა, ამჟამად შესაკეთებლადაა გაგზავნილი.

**— და ბოლოს, ბატონო გია, საახალწლოდ რას უსურვებდით ჩვენს გაჭირვებულ ხალხს?**

— მოთმინებას, გონიერებასა და ყველაფერ იმას, რაც შეიძლება უსურვოს სამშობლოს მოყვარულმა ადამიანმა.

**— გმადლობთ.**

ფაქტია, კახეთის რეგიონში საქმე მთლად კარგად ვერ არის, იქნებ ალოგიკურია, მაგრამ გვერწმუნეთ, კახეთის რეგიონის რწმუნებული ის პიროვნებაა, ვისაც ნამდვილად სურს კახელების სიკეთე. მიუხედავად ამისა, აქაც ყვავის კორუფცია, თავისუფლად მოქმედებენ ის ძალები, ვისაც საკუთარი ჯიბის გარდა, არაფერი ადარდებს და დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია".

*მაია ყალაბეგაშვილი*
*ლალი შარმანაშვილი*
*თელავი*

---

# კასპიის ზღვის დიდი ნავთობის ტრანსპორტირების «მზე ჩაესვენა?!»

არ გამართლდა ოპტიმისტური იმედები, რომ 1998 წლის განმავლობაში გადაიჭრებოდა კასპიის ზღვის ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის საკითხში არსებული გაურკვევლობა და დაბრკოლებები...

1997 წლის ნოემბერში, აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიამ, პირველმა მოქმედმა საერთაშორისო კონსორციუმმა ქვეყანაში დაიწყო ნავთობის ექსპორტი უკვე არსებული ნავთობსადენის გამოყენებით, რომელიც იწყება ბაქოში, გადის გროზნოზე და მთავრდება ნოვოროსიისკის პორტში. იმ პერიოდში, ექსპერტთა უმრავლესობა მოელოდა, რომ 12 თვის განმავლობაში, ბოლოს და ბოლოს, მიიღებდნენ გადაწყვეტილებას ე.წ. ძირითადი საექსპორტო დანიშნულების ნავთობსადენის შესახებ, რომლის საშუალებითაც უნდა გაევლო კასპიის ნავთობის გაცილებით დიდ რაოდენობას, იგულისხმება არა მარტო აზერბაიჯანის კასპიის შელფის, არამედ ყაზახეთისა და თურქმენეთის ნავთობი. ამ დამატებითი ნავთობის გატარებას აპირებდნენ ტრანსკავკასიის ნავთობსადენით, რომელიც ამჯერად მხოლოდ პროექტის დონეზე იხილება.

1995 წლის დასაწყისში განიხილებოდა მთავარი ნავთობსადენის სამი მიმართულების ვარიანტი: ჩრდილოეთის — რუსეთის გავლით; დასავლეთის — საქართველოს პორტების გავლით; სამხრეთ-დასავლეთის — საქართველოსა და თურქეთის გავლით. უმოკლესი და ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი სამხრეთის მიმართულება, ანუ ირანის გავლით სპარსეთის ყურემდე, ბლოკირებულ იქნა აშშ-ის მიერ გეოპოლიტიკური მოსაზრებებით...

ბოლო სამი წლის განმავლობაში აშშ, თურქეთი და აზერბაიჯანი ლობირებას უწევდნენ ბაქო-ჯეიჰანის მიმართულებას. სხვადასხვა დონის კონფერენციებზეც ამ მარშრუტის რეალიზაციაზე კეთდებოდა აქცენტი, მეტიც, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრ ბილ რიჩარდსონთან ერთად ბაქო-ჯეიჰანის მიმართულების მხარდამჭერ ოფიციალურ დეკლარაციას მოაწერეს ხელი, მაგრამ აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიაში შემავალი ზოგიერთი ნავთობკომპანია ენერგიულად ეწინააღმდეგება ამ მარშრუტს, რომელიც წინასწარი გაანგარიშებით 3,5 მილიარდი დოლარი დაჯდება. მათი არგუმენტები გაამაგრა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების მკვეთრმა დაცემამ. შედეგად, მიუხედავად აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის ზეწოლისა, რომელიც კვლავაც ძლიერ უჭერს მხარს ბაქო-ჯეიჰანის მიმართულებას, საოპერაციო კომპანიამ რამდენჯერმე გადაავადა ძირითადი ნავთობსადენის მარშრუტის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტის ეკონომიკური არახელსაყრელობა, საოპერაციო კომპანიასა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელობას შორის წარმოქმნილი უთანხმოების მთავარი მიზეზი იყო.

სანამ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა და საოპერაციო კომპანია ერთმანეთში ურთიერთობების გარკვევით იყვნენ დაკავებულნი, ამასობაში, რეალობად იქცა მეორე ნავთობსადენის პროექტის განხორციელება, ანუ ყაზახეთის თენგიზის უზარმაზარი ნავთობსაბადოებიდან რუსეთის გავლით ნავთობსადენის ჩატანა ნოვოროსიისკამდე. გასული წლის ნოემბრის დამდეგს საწყისი საპროექტო სამუშაოები მოიწონა ყაზახეთის მთავრობამ, რასაც მოჰყვა მოსკოვში ორი მილიარდ 200 მილიონი დოლარის კონტრაქტზე ხელმოწერა, რომელიც ითვალისწინებს ნავთობსადენის პირველი 1.500 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობას. ყაზახეთის შელფური საბადოების ექსპლოატაციის მთავარი დაბრკოლება ივლისში იქნა გადალახული, როცა ყაზახეთის და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ოფიციალურ



შეთანხმებას კასპიის ზღვის ნავთობის სექტორების განაწილების შესახებ. დეკემბერში კი, ისევე მოსკოვში, კასპიის ზღვის აუზის ხუთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთა მოადგილეებმა მოიყარეს თავი, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს კასპიის ზღვის რესურსების განაწილების პრინციპების გამომუშავება. არადა, რუსეთი და ყაზახეთი მხარს უჭერენ იდეას, დაიყოს კასპიის ზღვის ფსკერი სახელმწიფოებისთვის კუთვნილ სექტორებად, ხოლო წყალი საერთო სარგებლობაში დარჩეს. აზერბაიჯანი და თურქმენეთი კი თვლიან, რომ სახელმწიფოებს შორის ფსკერიცა და წყალიც უნდა განაწილდეს. ირანი ადრე უარყოფდა ამ პრინციპს, მაგრამ დეკემბერში მიანიშნა, რომ შეიძლება დაეთანხმოს მას მხოლოდ იმ პირობით, რომ კასპიის ზღვის ყველა ეროვნული სექტორი თანაბარი ზომისა იქნება...

ყოველივე ამას კი მოჰყვა ის, რომ ვინაიდან არ არსებობს ზღვის ოფიციალურად დანაწევრებაზე თანხმობა ხუთივე სახელმწიფოს შორის, აზერბაიჯანმა და თურქმენეთმა გაცხარებული დისკუსია გააჩაღეს ორი შელფური საბადოს თაობაზე. გასული წელს ოთხჯერ უშედეგოდ დამთავრდა ამ ქვეყნების მოლაპარაკება აღნიშნულ საკითხზე. დეკემბერში კი, აზერბაიჯანმა ოფიციალური პროტესტი განაცხადა ირანსა და ორ დასავლურ ნავთობკომპანიას შორის ხელმოწერილი კონტრაქტის გამო, რომელიც ითვალისწინებს საექსპლოატაციო ბურღვას კასპიის ზღვის იმ სექტორში, რომელსაც ბაქო თავის საკუთრებად თვლის...

და კიდევ, 1998 წელს ცნობილი გახდა ისეთი ფაქტებიც, რამაც აიძულა მსხვილი ნავთობკომპანიები უფრო ფრთხილად და ცივი გონებით მისდგომოდნენ კასპიის ზღვის საბადოების შესაძლებლობებს. საქმე ის არის, რომ წლის განმავლობაში გამომჟღავნდა სამი ისეთი საბადო, რომელმაც ელემენტარულადაც კი არ გაამართლა კომერციული მოლოდინი, ანუ იქ ძალიან ცოტა ნავთობი იპოვეს. მეტიც, ზოგან საერთოდ არ აღმოჩნდა არაფერი, არადა, წინასწარი სადაზვერვოგეოლოგიური მონაცემები თითქოს ადასტურებდა აღნიშნულ საბადოებში ნავთობის უზარმაზარი მარაგის ყოფნას. ამ მარცხმა სერიოზულად შეაშფოთა საერთაშორისო სანავთობო წრეები და უკვე იმაზეც დაიწყეს ხმამაღლა ლაპარაკი, რომ თუ კასპიის ზღვის სხვა სავარაუდო საბადოებიც აღმოჩნდება მშრალი, ანდა აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია განაგრძობს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების გაუთავებელ გადადება-გაჭიანურებას, 1999 წელს იმედების სერიოზული გაცრუებაა მოსალოდნელი! თუ ეს მოხდა, ბურთიც და მოედანიც რუსეთსა და ყაზახეთს დარჩებათ თენგიზის საბადოს ათვისება-რეალიზაციის საქმეში.

*თინათინ ოთარაშვილი*

# ჩეხური ტანკების თემამ საინტერესო გაგრძელება ჰპოვა



ახალი წლის დღეებში დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტები კვლავ დაუბრუნდნენ ჩეხური ტანკების შეძენის თემას.

თავის დროზე სტატიის ავტორი ერთ-ერთი პირველი შეეხო ამ საკითხს და გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში მოძველებული ჩეხური ტანკების შესაძლო ჩამოტანასთან დაკავშირებით.

მაგრამ, როგორც ბოლო პერიოდში გაირკვა, ამ გარიგებას, რომელიც წმინდა სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით ქართული არმიისათვის მომგებიანი ნამდვილად არ იქნება, შეიძლება სხვა, უფრო პოლიტიკური სარჩული ც ედოს, რომელიც დიდ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.

საქმე შემდეგშია: პარიზის ხელშეკრულებას, რომელიც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვასა და შემცირებას ითვალისწინებდა, თავის დროზე საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო გარკვეული კვოტები, რომლის ზემოთაც არ უნდა ასულიყო მძიმე იარაღის ის რაოდენობა, რომელიც ევროპაში ჰქონდათ განთავსებული ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულებაში თანამონაწილე ქვეყნებს და მეორე მხრივ, NATO-ს წევრ სახელმწიფოებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წელს ტაშკენტში გამართულ შეხვედრაზე საბჭოთა არმიისათვის გამოყოფილი კვოტა გადანაწილდა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებზე, რის შემდეგაც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მძიმე ტექნიკისა და საარტილერიო დანადგარების ერთნაირი კვოტა მიეცათ, ანუ ამ რესპუბლიკებიდან თითოეულს შეიძლება ჰყოლოდა არა უმეტეს 220 ტანკი; 220 ჯავშანმანქანა, 285 ცალი 100მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო დანადგარი, 100 საბრძოლო თვითმფრინავი და 50 დამრტყმელი შვეულმფრენი.

თუ რომელიმეს შეიარაღება აცდებოდა ამ ფარგლებს, ზედმეტი იარაღი უნდა განადგურებულიყო. შეთანხმების შესრულებას ყოველწლიურად დეტალურად ამოწმებენ საერთაშორისო სამხედრო ინსპექციები. მარტო გასულ წელს ისინი საქართველოს რამდენჯერმე ეწვივნენ და დაათვალიერეს როგორც ეროვნული თავდაცვის სამხედრო ნაწილები, ისე აქ განთავსებული რუსული სამხედრო ბაზები (აქ ავტორს მოყვანილი აქვს უცხოელი სამხედრო ინსპექტორების მიერ საჯაროდ გაცხადებული ციფრები და იმედია, საიდუმლოს გაცემას არავინ დააბრალებს).

1998 წლისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში იყო 79 ტანკი, მათ შორის 48 T-55, ხოლო 31 — T-72 ტიპისა, რუსეთის სამ სამხედრო ბაზაში (ახალქალაქის, ვაზიანისა და ბათუმის) განთავსებულია არანაკლებ 141 ცალი T-72 ტიპის ტანკი.

ტანკების საერთო რაოდენობა, როგორც მოგეხსენებათ, არ უნდა აღემატებოდეს 220-ს — მართლაც, მათი საერთო რიცხვი (79 პლუს 141) ზუსტად 220-ია. უცხოური სამხედრო ინსპექციებისათვის, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სულ ერთია, ვის ეკუთვნის დანარჩენი ტანკები, — რუსეთს, აშშ-სა თუ ტაივანს, მთავარია მათმა საერთო რიცხვმა კვოტით განსაზღვრულს არ გადააჭარბოს (თუმცა აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სამხედრო ძალების სხვა სტრუქტურების — შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასაზღვრო ჯარებისა თუ უშიშროების სამსახურების შეიარაღებაში არსებული ტანკები კვოტით არ არის განსაზღვრული, რაც საკმაო მანევრირების საშუალებას იძლევა).

აქედან შეიძლება გაკეთდეს ერთი დასკვნა — თუკი საქართველოში ჩეხეთიდან (ან სულაც სხვა რომელიმე ქვეყნიდან, რაზეც სხვათა შორის, ასევე მიდის საუბარი) შემოტანილი იქნება 100-120 ტანკი, ეი. რუსები, რომლებიც ჩვენთვის გამოყოფილი კვოტებით უკვე მეექვსე წელია სარგებლობენ, იძულებული იქნებიან, საქართველოდან გაიტანონ ზუსტად იმდენივე რაოდენობის საკუთარი ტანკი.

ამ შემთხვევაში უკვე არა საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს, რომ რუსულმა სამხედრო ბაზებმა დატოვონ მისი ტერიტორია, არამედ პარიზის ხელშეკრულებაში მონაწილე მსოფლიოს ათობით წამყვანი ქვეყანა, რომლებიც რუსეთს ზემოხსენებული ხელშეკრულების დარღვევას დააბრალებენ.

ეს რაც შეეხებოდა ტანკებს. იმავეს გაკეთება შეიძლება ჯავშანმანქანების (БМП და БТР) მიმართ. სულ თავდაცვის სამინისტროს დაახლოებით 111 ჯავშანმანქანა ჰყავს, ეს მაშინ, როდესაც საქართველოში რუსულ სამხედრო ბაზებზე, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — 493 ჯავშანმანქანაა განთავსებული! ეი. რუსები ისედაც არღვევენ კვოტას და თუ ქართული არმია კიდევ 109 ჯავშანმანქანით შეივსება, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზებს შეიარაღების ამ სახეობის საბოლოო გაყვანაც დასჭირდებათ.

თითქმის ანალოგიური სიტუაციაა 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის არტილერიასთან დაკავშირებით. ქართული არმიისათვის გამოყოფილი კვოტა (არაუმეტეს 285 ერთეულისა), შევსებულია მხოლოდ 92 ერთეულამდე საარტილერიო დანადგარით, სამაგიეროდ, საქართველოში რუს სამხედროებს ასეთი კლასის 173 ქვემეხი და ჰაუბიცა აქვთ განთავსებული, ანუ მათი საერთო რიცხვი 265-ს არ აჭარბებს.

ამ ციფრებით ადვილი განსასაზღვრავი ხდება, რომ თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეყოლება დაახლოებით 220 ტანკი, ამდენივე ჯავშანმანქანა და 285 საარტილერიო დანადგარი, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფი — ГРВЗ იძულებული გახდება, გაიყვანოს თავისი მძიმე ტექნიკა, ხოლო ტანკებისა და ქვემეხების გარეშე დარჩენილი და მხოლოდ ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული რუსული ჯარი, რა თქმა უნდა, არასერიოზულ ძალად აღიქმება.

ის, რომ ჩეხეთიდან ტანკების შესაძლებელი შემოტანა სწორედ ახალი წლის წინა დღეებში „გასკდა", შემთხვევითი სულაც არ უნდა იყოს, რადგან სწორედ ამ წელს საბოლოოდ იქნა გადმოტანილი პარიზის ხელშეკრულების შესრულების ბოლო ვადა.

ზედმეტი მძიმე იარაღი ან ადგილზე განადგურდება ან გაიტანენ სხვა ადგილას.

როგორც ჩანს, „ჩეხური ტანკების" თემამ საინტერესო გაგრძელება ჰპოვა. თუ რამდენად განხორციელდება რეალურად ავტორის ეს მოსაზრება, საკმაოდ რთული სათქმელია, მაგრამ საერთაშორისო ბრძოლა მსოფლიოს ახლებურად გადანაწილებისათვის, კულისებსმიღმა აქტიურად მიმდინარეობს და იმედია, მას ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, არ შეეწირება.

# რუსულ-სომხური კოალიციური სამხედრო ძალები რეალობა ხდება

გასული წლის ბოლოს ერთი საინტერესო მოვლენა მოხდა, რომელიც შეიძლება საქართველოში ბევრისათვის (ხელისუფლების ჩათვლით) შეუმჩნეველი დარჩა.

არადა, ამ ფაქტმა შესაძლოა სულ ცოტა ხანში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს სამხრეთ კავკასიაში დამყარებულ სამხედრო-პოლიტიკურ ბალანსზე.

საქმე კი შემდგომშია — 1998 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში, სომხეთის რესპუბლიკის ერებუნის აეროდრომზე დაფრინდა ხუთი საბრძოლო თვითმფრინავი — МиГ-29 (მათგან ერთი ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო МиГ-29УБ-ია). ეს გამანადგურებლები სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უშუალოდ რუსეთიდან იქნა გადასროლილი.

რუსულ გამანადგურებლებს სომხეთში თან ჩაჰყვნენ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი და სხვა ოფიციალური პირები, ხოლო სტუმრებს საზეიმო, მეგობრული შეხვედრა თავად სომხეთის თავდაცვის მინისტრმა მოუწყო.

ოფიციალური განმარტების თანახმად, რომელიც მოსკოვმა გაავრცელა, ეს თვითმფრინავები შექმნიან სომხეთში რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის საავიაციო დაჯგუფებას. გარდა ამისა, არაუგვიანეს 1999 წლის 20 იანვრისა, სომხეთი უნდა ჩაერთოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საჰაერო საზღვრების დაცვის სისტემაში, რომელიც დღეისათვის რუსეთის, ბელორუსიისა და ყირგიზეთის ერთობლივი ძალებითაა შექმნილი. სწორედ ამ МиГ-ებმა უნდა გააკონტროლონ საჰაერო სივრცე NATO-ს წევრი თურქეთის სიახლოვეს და ჰაერიდან დაიცვან არა მარტო 102-ე რუსული სამხედრო ბაზის ნაწილები, არამედ მთლიანად სომხეთის სტრატეგიული პუნქტები და შეიარაღებული ძალების დანაყოფები.

ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელია, მაგრამ ამ ინფორმაციის უკან მეტად მნიშვნელოვანი გარემოება იმალება — ფაქტობრივად, მოსკოვი იწყებს სამხრეთ კავკასიაში დღეისათვის მეტ-ნაკლებად დამყარებული სამხედრო-პოლიტიკური ბალანსის გადახრას სომხეთის მხარეს, რასაც უახლოეს მომავალში შეიძლება ახალი სისხლის ღვრის დაწყება მოჰყვეს ამ რეგიონში.

საქმე, რა თქმა უნდა, მარტო ხუთიოდე გამანადგურებელ თვითმფრინავში არ არის (თუმცა, როგორც ირკვევა, ეს სომხეთში ჩაყვანილი საბრძოლო თვითმფრინავების მხოლოდ პირველი პარტიაა და უახლოეს მომავალში ახალ პარტიებს უნდა ველოდოთ). უბრალოდ, უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, გარდა იმისა, რაც მის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიისგან დარჩა, რუსეთიდან და საქართველოში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზებიდან მიეწოდა 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების საბრძოლო ტექნიკა და საჭურველი. გარდა ამისა, უშუალოდ რუსეთში მომზადდა ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების Р-300 „სკადების" სომხეთის მოქალაქეებისგან შემდგარი მომსახურე ეკიპაჟები. არადა, სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის 300 კმ-მდე სიშორეზე მფრენი „სკადები" ისეთივე სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენენ, როგორსაც ჩრდილო ამერიკის კონტინენტისათვის რუსული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური РС-18 (SS-20) „სატანები".

დღეისათვის სომხეთის ტერიტორიაზე 32 „სკადის" ტიპის რაკეტა და მათი გასაშვები 8 მობილური დანადგარი იმყოფება.

რა თქმა უნდა, ეს ფაქტორები და ის გარემოებაც, რომ აქტიურად მიმდინარეობს ნიადაგის მოსინჯვა სომხეთში რუსული სტრატეგიული მნიშვნელობის მობილური საზენიტო-სარაკეტო სისტემების С-300-ების ჩასატანად (ამ საზენიტო სისტემებს ნახევარი სამხრეთ კავკასიის, ანუ სომხეთის მეზობელი ქვეყნების საჰაერო სივრცეების გაკონტროლებაც ძალუძთ), დიდ შეშფოთებას იწვევს აზერბაიჯანში და ალბათ ამგვარივე გრძნობა უნდა აღძრას საქართველოს ხელისუფლებაშიც.

თუმცა დავუბრუნდეთ სომხეთში ჩაყვანილ МиГ-ებს. სხვათა შორის, სომხეთი საბჭოთა პერიოდში ერთგვარად დაჩაგრულიც იყო, რადგან ბუნებრივი პირობების გამო, მის ტერიტორიაზე დიდი სამხედრო აეროდრომები (რომლებზეც საბრძოლო თვითმფრინავები შეძლებდნენ ბაზირებას) თითქმის არ იყო. საბჭოთა კავშირის სამხრეთი მიმართულების საბრძოლო ავიაციის ძირითადი ნაწილი ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანსა და საქართველოში იყო განთავსებული. აზერბაიჯანის (სიტალ-ჩაის, ნასოსნის და სხვ.) და საქართველოს (სენაკი, კოპიტნარი, მერია, ვაზიანი, დიდი შირაქი, მარნეული, გუდაუთა) ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო აეროდრომებზე ასეულობით გამანადგურებელი, მზვერავი, მოიერიშე და საფრონტო ბომბდამშენი თვითმფრინავები იყო განთავსებული, ხოლო სომხეთში არც ერთი საბრძოლო თვითმფრინავი არ ბაზირებდა.

ამიტომაც სომხეთს, როგორც რუსეთის ძირითად ფორპოსტს სამხრეთ კავკასიაში, მოსკოვის დიდი სურვილის თანახმად, თავდაპირველად, მხოლოდ 21-მდე საფრენი აპარატი — შვეულმფრენი ერგო (მათგან 12 დამრტყმელი Ми-24, დანარჩენი სამხედრო-სატრანსპორტო Ми-2 და Ми-8). არადა, აზერბაიჯანთან მიმდინარე ომის პერიოდში სომხეთის საჰაერო სივრცე საკმაოდ დაუცველი რჩებოდა, რადგან აზერბაიჯანელებმა სიტალ-ჩაისა და ნასოსნის აეროდრომებზე ხელში ძალით ჩაიგდეს არანაკლებ 46 საბრძოლო თვითმფრინავი (მათ შორის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი МиГ-25-ები, საფრონტო ბომბდამშენი Су-24-ები და მოიერიშე Су-25-ები) და 52-მდე ჩეხური წარმოების სასწავლო-საბრძოლო L-29 „დელფინები". საქართველო აქაც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა და მარნეულის აეროდრომზე დარჩენილი, საფრენად უვარგისი, ჯართადქცეული, მორალურად მოძველებული 29 ცალი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი Су-15 ერგო.

მაგრამ მიუხედავად ასეთი არათანაბარი განაწილებისა, სომხები ავიაციის გარეშე სულაც არ დარჩენილან, მათ უმოკლეს ვადაში შეძლეს მიეღოთ რუსეთიდან და ბელორუსიიდან 7-მდე საბრძოლო თვითმფრინავი — ერთი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი МиГ-25, ერთი სასწავლო-საბრძოლო L-29 და ხუთი მოიერიშე Су-25. ამ თვითმფრინავების უმეტესობა შეძენილი იქნა, ხოლო ხუთიდან ერთი Су-25 1993 წლის 15 ნოემბერს კოპიტნარიდან საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებს მოჰპარა რუსმა მფრინავმა უიტნიკოვმა და სავარაუდოა, სომხეთის ტერიტორიაზე, ერებუნის აეროდრომზე დასვა.



ერებუნის აეროდრომზე რუსული МиГ-29-ები ეშვებიან

ეს საბრძოლო ავიაცია სომხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მოთხოვნილებებს, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა. ამიტომაც ორიოდე წლის წინ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ლენინგრადის სამხედრო ოლქიდან უშუალოდ სომხეთში გადასროლილ იქნა ექვსი ცალი МиГ-23 ტიპის შედარებით მოძველებული გამანადგურებელი. და აი, 1998 წლის ბოლოს ამ ერთობლივ რუსულ-სომხურ სამხედრო-საჰაერო ძალას 5 ერთეული, ბევრად უფრო თანამედროვე МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი მიემატა.

МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი, თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით, საკმაოდ აჭარბებს თავის „უფროს ძმას" — МиГ-23-ს. რა თქმა უნდა, სომხეთში რუსები ამ გამანადგურებლის უკანასკნელ მოდიფიკაციას — МиГ-29М-ს (იგივე МиГ-33-ს) არ ჩაიყვანდნენ. ჩვეულებრივ, МиГ-29-ებს, რომლებიც განთავსებული იქნება ერებუნის აეროდრომზე, შეეძლებათ იმოქმედონ 700-750 კმ რადიუსის საჰაერო ზონაში, რაც თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიას მოიცავს, ხოლო თუ ამ თვითმფრინავებს დამატებით საწვავის ერთ ავზს ჩამოკიდებენ, მათი ფრენის სიშორე 2.100 კმ-მდე იზრდება, საწვავის ორი ავზის ჩამოკიდების შემთხვევაში კი — 2.900 კმ-მდე. ამ გამანადგურებელს ძალუძს ატაროს (2-3 ტ-ის ფარგლებში) არა მარტო „ჰაერი-ჰაერი" ტიპის საჰაერო ბრძოლებისათვის საჭირო მართვადი რაკეტები, არამედ „ჰაერი-მიწა" და „ჰაერი-რადიოლოკატორი" ტიპის რაკეტები და მართვადი ბომბები. ეი. სომხეთში განთავსებულ რუსულ МиГ-29-ებს შეეძლებათ შეასრულონ არა მარტო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ამოცანები, რაზეც მოსკოვმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა, არამედ შეტევითი, უმართავი და მართვადი იარაღით მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაბომბვაც.

1992 წლამდე სამხრეთ კავკასიაში МиГ-29 ტიპის გამანადგურებლები მხოლოდ საქართველოში, კერძოდ კი ცხაკაიაში (სენაკში) იყვნენ განთავსებულნი, სადაც ამ თვითმფრინავების მთელი საავიაციო პოლკი ბაზირებდა. მოსკოვის ბრძანებით მთელი პოლკი თითქმის ერთ დღეში გაფრინდა და ქართველებს ერთი ადრე ჩამოვარდნილი, დამწვარი МиГ-29-ის ჩონჩხილა დაუტოვა.

დღემდე МиГ-29-ებს საბრძოლო ნათლობა მხოლოდ ერაყში ჰქონდათ მიღებული, სადაც 1991 წლის დასაწყისში „უდაბნოს ქარიშხლის" დროს ამერიკულმა F-15C-ებმა პენტაგონის განცხადებით ექვსი МиГ-29 ჩამოაგდეს (თუმცა ეს ინფორმაცია შესაძლოა არც შეესაბამებოდეს რეალობას), ხოლო თავად ამ უკანასკნელებმა მრავალეროვნული ძალების რამდენიმე თვითმფრინავი ჰაერში გაანადგურეს, მათ შორის, ერთი ინგლისური „ტორნადო".

მოგვიანებით, 1992 წელს, მოლდავეთის განკარგულებაში დარჩენილმა МиГ-29-ებმა რამდენჯერმე დაბომბეს დნესტრისპირელი სეპარატისტების პოზიციები (დღეისათვის ეს მოლდავური МиГ-29-ები აშშ-მა შეიძინა).

ჩაერთვებიან თუ არა სომხეთში ჩატანილი რუსული МиГ-29-ები სამხრეთ კავკასიაში მოსალოდნელ ახალ შეიარაღებულ კონფლიქტში (რისკენაც ალბათ მოსკოვი უბიძგებს ერევანს), უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

P.S. სომხეთში, წესით, არ უნდა უკვირდეთ ის შეშფოთება, რასაც მისი მეზობელი ქვეყნები გამოთქვამენ ამ რესპუბლიკაში თანამედროვე იარაღის ახალ-ახალი პარტიის ჩატანასთან დაკავშირებით. უბრალოდ, როდესაც კარის მეზობელს, რომელსაც ავტომატი ისედაც აქვს და შინ დამატებით ტყვიამფრქვევი და ყუმბარსატყორცნიც შეაქვს, ძალაუნებურად თავდასაცავად შემოსასვლელის დანაღმვაზე იფიქრებ.

*გვერდი მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*



# საშობაო ახელობა სტრასბურგში

სტრასბურგმა, შარშანდლისა არ იყოს, წელსაც „მხიარულად" აღნიშნა შობა. ხულიგნებმა 50-მდე ავტომობილი დაწვეს, ამსხვრევდნენ მაღაზიის ვიტრინებს, ქვებს უშენდნენ პოლიციას. საფრანგეთის ეს უმდიდრესი ქალაქი ძალიან ლამაზი, მოვლილი და საკმაოდ მშვიდია, თუ არ ჩავთვლით ვანდალურ აქტებს, რომლებიც წლეულს შობის დამდეგს მეორედ განახორციელეს ხულიგნებმა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხულიგნობის აღსაკვეთად სპეციალური პროგრამა შეიმუშავა. იგი 750 ათასი დოლარი დაჯდა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დღესასწაულის დღეებში ახალგაზრდობისათვის გართობის ყველანაირი პირობა შეექმნა, მაგრამ პროგრამამ თავისი მისია ვერ შეასრულა. სტრასბურგის შემოგარენის დარბევის მონაწილენი ძირითადად ემიგრანტები — არაბები და ზანგები არიან; 15-16 წლის ახალგაზრდები, რომლებიც ვერ მოერგნენ ევროპული საზოგადოების რთულ ცხოვრებას.

ამბობენ, რომ საფრანგეთის რევოლუციის დროს, სტრასბურგელმა რევოლუციონერებმა ევროპაში ერთ-ერთი ულამაზესი ადგილობრივი გოთური ტაძრის ხელყოფა მოინდომეს. მაშინ სტრასბურგელები ტაძარს შემოეწყვნენ და რევოლუციონერებისაგან დაიცვეს. შეძლებენ კი დღეს სტრასბურგელები მაშინდელივით გაერთიანებას თავიანთი მშვენიერი ქალაქის მოძალადეებისაგან გადასარჩენად?

*სეგოდნია №290*

# მთის კანონებით გვინდა სამართლის განსჯა

ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა „სეგოდნიას" კორესპონდენტს განუცხადა, ჩავატარებთ რეფერენდუმს რესპუბლიკისა და ფედერალური ცენტრის უფლებამოსილების გაყოფის შესახებ სასამართლო და სამართალდამცავ საქმეებშიო. რუსეთის ისტორიაში ეს სამართლებრივი ნონსენსი ზამთრის ბოლო დღეს, 28 თებერვალსაა დანიშნული. ისე რომ, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ინგუშეთი დააკანონებს სისხლის აღებას და საპატარძლოს მოტაცებას.



რუსეთის ფედერაციის კანონებისა და მისი კონსტიტუციის კორექტირება დღეს არ დაწყებულა: დაახლოებით ერთი წლის წინ აუშევმა უკვე ჩაატარა ანალოგიური დემარში, რომელიც მოსკოვსა და ნაზრანს შორის უფლებამოსილების გამიჯვნით დამთავრდა. ცენტრმა მაშინ თვალი დახუჭა იმაზე, რომ ინგუშეთმა, ფაქტობრივად, დაიქვემდებარა სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა. სამაგიეროდ, ნაზრანი მოსკოვს დაჰპირდა, რუსეთის კანონებით ვიხელმძღვანელებთო. გავიდა ერთი წელი, ინგუშეთმა კვლავაც მოინდომა სახალხოდ განეხილა მამაპაპურ ადათებთან რუსეთის კანონების შესაბამისობა. რუსეთის ფედერაციის კანონებში გათვალისწინებული არ არის ფედერაციის სუბიექტების სასამართლო სისტემების თავისებურება. აუშევის თქმით, ნაზრანი ბევრს არაფერს ითხოვს — რესპუბლიკის თავკაცს შეეძლოს სისხლის აღებასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის ამნისტირება, ინგუშებს ჰქონდეთ ცივი იარაღის ტარების უფლება. კაცმა რომ თქვას, მთიელის წარმოდგენა ხანჯლის გარეშე მართლაც ძნელია, მაგრამ რაც შეეხება სისხლის აღებას, — ეს რთული საკითხია. ამიტომ თუ იმიტომ, მკვლელობა — მკვლელობაა. კავკასიაში სხვა ტრადიციაც არსებობს, რაც რუსეთის კანონებით ისჯება. მაგალითად, ქალის მოტაცება. პრეზიდენტ აუშევს ტყუილად არ ეშინია, რომ მოსკოვს არ მოეწონება „კავკასიური ინიციატივა", მაგრამ ეყოფა კი ძალა რუსეთს იმისათვის, რომ თავისი ადგილი მიუჩინოს გათამამებულ რესპუბლიკას?

*სეგოდნია №291*

# აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე

10 წლის წინ, 1989 წლის 31 დეკემბერს ამბოხდნენ აზერბაიჯანელები, რომლებიც მოითხოვდნენ ჩრდილო-საბჭოთა და სამხრეთ-ირანის აზერბაიჯანის შეერთებას. 1827 წელს რუსეთის იმპერიისა და ირანის მიერ ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი ერთმანეთს გამოეყო.

1989 წლის ამბოხის დროს აზერბაიჯანის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების მოწოდებით, განადგურდა საინჟინრო-ტექნოლოგიური ნაგებობები აზერბაიჯან-ირანის სახელმწიფო საზღვარზე. ეს ძირითადად იმ მოსახლეობამ ჩაიდინა, რომელიც ირანის მოსაზღვრე რაიონში, საზღვრის აქეთ დარჩა. მათ დაკარგეს ურთიერთობის შესაძლებლობა თავიანთ ახლობლებთან, რომლებიც სამხრეთ აზერბაიჯანში — ირანის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. გორბაჩოვისეული „პერესტროიკის" შემდეგ ჩრდილოეთსა და სამხრეთში მცხოვრები აზერბაიჯანელები იმედოვნებდნენ, რომ მოსკოვის დახმარებით ერთიან სახელმწიფოს შექმნიდნენ, მაგრამ მალე საბჭოთა კავშირი დაიშალა და ჩრდილო აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. უკვე რამდენიმე წელია 31 დეკემბერი მთელ მსოფლიოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღედაა გამოცხადებული. 1998 წლის მიწურულში, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა მილი-მეჯლისს განსახილველად გადასცა ამბოხის მონაწილე აზერბაიჯანელთა ამნისტიის პროექტი. მეჯლისმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად, ამნისტია 12 ათას აზერბაიჯანელს შეეხო. კანონი მიღებიდან 3 თვის განმავლობაში უნდა იქნას რეალიზებული.

*ნოვიე იზვესტია №245*

# ინდონეზიელი მუსლიმანები საროსკიპოებს არბევენ

რამდენიმე დღის წინ ათასობით გაავეშებულმა მუსლიმანმა, მოლას თავკაცობით, ქვებითა და ხელკეტებით შეუტია ადგილობრივ საროსკიპოებს. დიდი ზიანი მიაყენეს ახლომდებარე შენობებს, ბევრია დაჭრილი. ადგილობრივმა მთავრობამ გადაწყვიტა, ამ მეთოდით იძულებული გაეხადა ქალაქ ბელავანის ხელისუფალნი, აღეკვეთათ საროსკიპოების საქმიანობა. ეს აქცია მუსლიმანთა წმინდა დღესასწაულს — რამადანს დაემთხვა. ისინი იბრძვიან პროსტიტუციის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ 200 მილიონიანი მოსახლეობის 90% ისლამს აღიარებს. ქვეყანაში მეორე ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი. ჯენეპონტოში დემონსტრანტებმა საკანონმდებლო საკრებულოს შენობა გადაწვეს. საბაბი ის იყო, რომ თითქოს ქალაქის მერმა კანონმდებლები ქრთამით აავსო და ქალაქის მერის სავარძელი მიისაკუთრა.

ხალხის აგრესიულობას აძლიერებს ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური კრიზისი. ანალიტიკოსების აზრით, მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსალოდნელია ახალი „აფეთქებანი" რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე.

*ნოვიე იზვესტია №249*

# ელცინს მეფობა ნდომებია

ასე თუ ისე, საახალწლო სამზადისით გართულ, გაძვალტყავებულ რუსეთს პრეზიდენტმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო — ბ. ელცინმა, ფაქტობრივად, განაცხადა, — რუსეთის მეფე ვარო.



მემკვიდრეობა ჩვენში არ არსებობს, მემკვიდრე მხოლოდ მეფეს ჰყავს, ჩვენში ყოველ მოქალაქეს შეუძლია საკუთარი კანდიდატურის წაყენება, ეს კონსტიტუციურად ნებადართულია, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ათი თვის წინ. ახლა კი სხვაგვარად ალაპარაკდა, — ჯერ თქვა, რა ეჩქარება ზოგიერთს, სულწასულობა რომ მოეძალათო, მერე ისიც დააყოლა, მემკვიდრეს თავად დავასახელებო. — არა, მე ჩემს სათქმელს ვიტყვი, აბა, როგორ შეიძლება, რომ პრეზიდენტმა არა თქვას, ვისი იმედი აქვს? — ბრძანა ელცინმა და ურიცხვი კანდიდატი დაიძაბა, — ვის გულისხმობსო. ელცინმა გაკვრით ისიც თქვა — მემკვიდრე იქნება ის, ვინც რუსეთს იმ მიმართულებით წაიყვანს, რომლითაც იგი ამჟამად მიდისო. არც ამ ნათქვამს მოუფენია ნათელი. კანდიდატებს კვლავ ეჭვი ღრღნით. თუმცა მოუთმენლად კი ელიან, ბოლოს და ბოლოს, ვის დაასახელებს ელცინი მემკვიდრედ.

მთავარი ის კი არ არის, ჰყავს თუ არა ელცინს მემკვიდრე, არამედ ის, რაც ამის უკან დგას. ელცინმა მოინდომა ყველასთვის ეჩვენებინა, — პირველი კაცი ისევ მე ვარო. პრეზიდენტი ამჟამად მშვენივრად გრძნობს თავს; ამიტომაც უნდა ისარგებლოს შემთხვევით და პოლიტიკური ქულები დააგროვოს, ვიდრე გორკაში კვლავაც „საბუთებზე სამუშაოდ" განმარტოვდებოდეს.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №249*



# დატოვებს ეუთო კოსოვოს?

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ამ ახლო მომავალში კიდევ ერთხელ გადახედავს კოსოვოში სამშვიდობო მოლაპარაკებების უზრუნველსაყოფად მისი მონაწილეობის საკითხს. ეუთოს თავმჯდომარის, ბრონისლავ ჰერემეკის ცნობით, კონფლიქტის ორივე მხარის (კოსოვოელი ალბანელები და ბელგრადი) სამშვიდობო შეთანხმებების დარღვევები და წინა კვირას კოსოვოს ზოგ რაიონში სამხედრო მოქმედებების განახლება საეჭვოს ხდის, როგორც ეუთოს მისიის მეთვალყურეთა უშიშროებას, ასევე მთლიანად მშვიდობიანი პროცესის მოწესრიგებას. არ არის გამორიცხული, რომ ძალადობის გაგრძელების შემთხვევაში მეთვალყურეები დროებით გამოიყვანონ კოსოვოდან.

*ასოშიეითედ პრესი*

# სთივენ ქოენი:
# დღეს რუსეთი დასავლეთისთვის უფრო საშიშია, ვიდრე საბჭოთა კავშირი „ცივი ომის" დროს

ცნობილი სოვეტოლოგი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი დარწმუნებულია, რომ რუსეთის რეფორმების გეგმა არ უნდა მტკიცდებოდეს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროში.

— **ბატონო ქოენ, ევგენი პრიმაკოვსა და მის კაბინეტს ხშირად ადარებენ რუზველტის ადმინისტრაციას, რომელმაც ამერიკა დიდი დეპრესიიდან გამოიყვანა, გააძლიერა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. ამერიკა მას მადლიერებით იხსენებს. პრიმაკოვს კი დასავლეთი მსგავს ნაბიჯებს შეცდომად უთვლის. რატომ?**

— ეს ძნელი ასახსნელია. არ მესმის, რა ხდება. წინა მთავრობას უსიტყვოდ დაეთანხმნენ ისეთ ავანტიურებში, როგორიც ჩეჩნეთის გენოციდი იყო, ახლა კი პრიმაკოვს ასეთ კრიტიკულ დროს ფინანსურ მხარდაჭერაზე უარს ეუბნებიან.

— **ამბობენ, პრიმაკოვი უარს ამბობს რეფორმებზე, გვერდს უვლის თავისუფალი ბაზრის პრინციპებსო.**

— სისულელეა, პრიმაკოვის მთავრობა უარს ამბობს არა რეფორმებზე, არამედ პოლიტიკაზე, რომელიც ასე მოსწონდა ამერიკას და ასე გაამწვავა რუსეთის კრიზისი. პრიმაკოვის მთავრობა ეძებს ადამიანების გადარჩენის, წარმოების გაცოცხლების, ქვეყანაში სტაბილიზაციის გზებს.

— **იმასაც ამბობენ, რუსეთს ფული არ უნდა მისცენ, თორემ უმაღლესი ეშელონები ადრინდებურად გადასანსლავენ ყველაფერსო.**

— საოცარია, განა პრიმაკოვმა და მისმა გუნდმა რამე მოიპარა? მათ ხომ არ მიუყვანიათ ქვეყანა დანგრევის პირას? მაშ, რადიკალ-რეფორმისტებს რატომღა აფინანსებენ?

— **საერთოდაც, ამერიკა რატომ უნდა დაგვეხმაროს? ჩვენ ხომ თავად ვართ დამნაშავე საკუთარ უბედურებაში?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი თქვენს ხელთაა, მაგრამ ამერიკა ვალდებულია, დაგეხმაროთ. ჯერ ერთი, ჰუმანური მოსაზრებით, მეორეც იმიტომ, რომ ამერიკის მიერ მხარდაჭერილმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ თქვენი ქვეყანა სურსათისა და მედიკამენტების იმპორტზე დამოკიდებული გახადა. რუსეთს ახლა აღარ შეუძლია თავს ამ იმპორტის ნება მისცეს. მაგრამ არსებობს კიდევ მესამე — რუსეთისთვის დახმარების გაწევა პასუხობს ამერიკის ძირითად ეროვნულ ინტერესებს. პრიმაკოვი და მისი გუნდი — ზომიერი ცენტრისტები არიან. ისინი თუ დამარცხდებიან, ქვეყანა შეიძლება ექსტრემისტებს ჩაუვარდეთ ხელში.

— **გამოსავალს ხედავთ?**

— ნახევარი საუკუნის წინ ცნობილი დიპლომატი ჯ. კენანი, რომელიც წინასწარმეტყველებდა კომუნიზმის აღსასრულს, წერდა: „ნუ აჩქარებთ ამ სისტემიდან გამოსულ ადამიანებს, რუსები იქნებიან თუ სხვები... მიეცით მათ დრო, თავად გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები". დღეს ეს ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ რუსეთის რეფორმების გეგმა არ უნდა მტკიცდებოდეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ან ფინანსთა სამინისტროს მიერ. ბილ ქლინთონის ადგილზე ტელეფონის ყურმილს ავიღებდი და კამდესიუს ვეტყოდი — მიეცით რუსეთს 13 მილიარდი, რომელიც მათ მსოფლიო სავალუტო ფონდის კრედიტიდან აქვთ მისაღები. ეს თანხა პრიმაკოვს ვალების, ხელფასებისა და პენსიების გასტუმრების საშუალებას მისცემს და უარს ათქმევინებს ფულის ბეჭდვის გეგმაზე, რომელსაც ასე აკრიტიკებს ვაშინგტონი.

— **ჩვენ ხომ ამ დოლარებს მაშინვე შევჭამდით..**

— რა თქმა უნდა, ამიტომაც დასავლეთმა ყურად უნდა იღოს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოწოდება და რუსეთს სხვა ღარიბ ქვეყნებთან ერთად, აპატიოს ვალები ახალი ათასწლეულის დადგომასთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, 70 მილიარდი მაინც, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ვალად მემკვიდრეობით ერგო. დანარჩენის გადახდა გადაუვადოს. მაშინ რუსეთის მთავრობა შეძლებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სოციალური სფეროების აღორძინებას.

— **ანტიამერიკულმა განწყობამ პიკს მიაღწია, როცა ამერიკამ ერაყი დაბომბა.**

— ამერიკას ეს რამდენიმე მილიარდი დოლარი დაუჯდა. რუსეთში ბირთვული ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი კონგრესმა დიდი ჭოჭმანით გამოყო 500 მილიონი დოლარი.

— **ამას რითი ახსნიდით?**

— ჩვენთან ბევრს არ ესმის, რომ რუსეთი დღეს გაცილებით საშიშია დასავლეთისთვის, ვიდრე საბჭოთა კავშირი „ცივი ომის" დროს.

*კომსომოლსკაია პრავდა №244*

# უკანასკნელ საათს

**აშშ-ში** გარდაიცვალა ფიზიკოსი რომერ შრაიბერი — ერთი იმათგანი, ვინც შექმნა მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ჩამოვარდნილი პირველი ატომური ბომბი. ის ნიუ-მექსიკოს უდაბნოში „პროექტ მანჰეტენზე" მუშაობდა 1945 წლის ივლისში. 1951 წელს შრაიბერი გახდა ლოს-ალამოსის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. ამ ცენტრმა მთავარი როლი შეასრულა პირველი ამერიკული ნეიტრონული ბომბის შექმნაში.

უძლიერესმა ხანძარმა თითქმის მთლიანად გაანადგურა **ტეხასის შტატის ქალაქ გალვესტონის** ნავსადგურის მახლობლად მდგარი სატვირთო გემი „ვიოლეტა". ეკიპაჟის ნაწილი გადარჩა, დანარჩენები უგზოუკვლოდ დაიკარგნენ

**ანგოლაში** დაიღუპა გაეროს თვითმფრინავი. მის ბორტზე 14 ადამიანი იმყოფებოდა. სატრანსპორტო C-130 ჰაერში ქალაქ უამბოს აეროპორტიდან აფრინდა: რამდენიმე წუთში ალმოდებული მანქანა დედამიწაზე დაენარცხა. ანგოლის ხელისუფლება აცხადებს, რომ თვითმფრინავი ოპოზიციურმა მოძრაობამ ჩამოაგდო. ის მთავრობის ჯარებისა და ოპოზიციის ნაწილებს შორის გაჩაღებული ბრძოლების ეპიცენტრში აღმოჩნდა.



ბატონი ქართლოს კასრაძე სიამოვნებით სთავაზობს „კვირის პალიტრის" მკითხველს ორიგინალურ ანეკდოტებს და იხსენებს კურიოზებს:

— მოწაფეობისას ერთი პედაგოგი გადამეკიდა. რალაცით შური ხომ უნდა მეძია... ორიგინალური მეთოდი მოვიგონე: ყოველდღე წარამარა ვხვდებოდი მოძულე მასწავლებელს და ერთსა და იმავე ფრაზას ვეუბნებოდი, — „გამარჯობათ, მასწ... როგორა ხართ?" პედაგოგს ამ სიტყვების გაგონებაზე ჭინჭრავდა, ცოფდებოდა. მეასიათასედაც იგივე რომ განმეორდა, საწყალ მასწავლებელს სიმწრისგან გული წაუვიდა. დამფრთხალმა გვარიანად ვუტყაპუნე გულშეღონებულს წალმა-უკულმა ლოყებში. როცა თვალი გაახილა, მიამიტურად ვკითხე — „როგორა ხართ, მასწ?" ეს იყო და, ამის გამგონემ კიდევ დაკარგა გონი.

— გურულო, კაი სიძე გყავს?
— უჰ! მუხას მოგლეჯს, მარა...
— რა მარა?
— სა წეილოს, არ იცის.





— რა ლამაზია ეს საახალწლო მისალოცი ბარათები!.. რა აწერია ოქროსფერი ასოებით?
— „ჩემო ერთადერთო!"
— მომეცით ორმოცდაათი ცალი!

— რა ხნის იქნება შენი ცოლი?
— იქნება ასე... 36... 37... 39 წლის.
— ტელეფონის ნომერს კი არ გეკითხები!

— უჩა, როიალზე უკრავ?
— არა.
— შენი ძმა დუტუ?
— კი.
— რა, „კი"?
— არც ის უკრავს.

გურულის „ჟიგული" გააჩერა ავტოინსპექტორმა, გაჩხრიკა, ახადა საბარგული.
— ვისია ეს ავტომატი?
— რა ვიცი, ვინცხა კალაშნიკოვისაა.



— ალო, ამბროლაური! პოლიციის რომელი მანქანაა გამოსული?
— ლურჯი.
— ფერს არ გეკითხები, რა ნომერია?
— თეთრი.

ქ.კ.

ახალი თხოვნა მკითხველს

შემოგვთავაზეთ საახალწლო ორიგინალური სადღეგრძელოები. საუკეთესოებს გამოვაქვეყნებთ.

ნიმუშისთვის: „იმ ქალს გაუმარჯოს, წელიწადში ერთხელ რომ დაიგესლება და ისიც იქ, სადაც ვერავინ ხედავს"



ისტორია: ერთი შეყვარებული ვაჟი დიდხანს უიმედოდ ეტრფოდა ქალიშვილს. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა. ქალიშვილმა პირობა წაუყენა — იცოდე, წელიწადში ერთხელ, ახალი წლის ღამეს, შინიდან უნდა გამიშვა, ოღონდ არ იკითხო, სად.

გავიდა წლები, ბედნიერად ცხოვრობდნენ. ბოლოს ქმარი დაინტერესდა, ნეტავ სად დადისო და ერთხელაც აედევნა... შევიდა ცოლი უღრან ტყეში, მიადგა ერთ დიდ კუნძს და ზედ მიეხეთქა... გადაიქცა გველად, მთელი ღამე იგესლებოდა და გესლს აქეთ-იქით ანთხევდა... მიხვდა ქმარი — ქალი მთელი წლის ბოღმა-გესლიდან ითავისუფლებდა თავს...

ახლა კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ზემოთ ნათქვამი სადღეგრძელო.

ამ საახალწლოდ, კალათებითა და ჩანთებით დატვირთული, არცთუ მცირე ზომა-წონისა, როგორც იქნა, მოვთავსდი მშობლიურ 15ა-ში. ვდგავარ ცალ ფეხზე, არის ერთი ჭეჭყვა-გლეჯა. ორი ჩასუქებულ-ჩატყავებული ბატონი ერთ გაწევ-გამოწევაშია, — არა, მე უნდა აგილო ბილეთი, არა, მეო. ერთ-ორჯერ მეც კარგა ლაზათიანად წამიქიმუნჯ-წამომ-იჯიკავეს... ცუდ დღეში ჩავვარდი... ვითმინე, ვითმინე და... ოღონდ ნუ მომკლავთ ამ საახალწლოდ და მგზავრობის ფულს ორივეს მე გადაგიხდით-მეთქი... იცინეს... ცოტა შევიწროვდნენ კიდეც, მეორე ფეხზეც დავდექი და ჩასვლისას ჩემი ფულიც გადაიხადეს. იუმორი დიდი ძალაა, ბატონებო!



მ. ბეგიაშვილი

ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს.

## ჩვენი „ზომბიიებული" მაყურებლის გულის გასახარად

საახალწლოდ სატელეფონო ფიჭურმა კავშირმა „მეგაკომმა" ჩვენთვისაც იზრუნა, მომსახურების დაბალი ფასებით დაგვაკავშირა ამერიკის როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კონტინენტს.

აი, რა გვითხრა **„ეშმაკმა" ხუანმა:** — რაც თქვენ დაგშორდით, მას შემდეგ მე და მონიკა ხომალდიდან არ გადმოვსულვართ. ამერიკას უკვე იმდენჯერ შემოვუარეთ, ტარაბუა დაგვესხა. მე ძირითადად ბანანების ბიზნესით ვარ დაკავებული, მონიკა — დისერტაციით — „რა შეუძლია სიყვარულს". გავიგე ჩემი ბანანები ქართველებს ძალიან მოგწონთ. ბაზრობებზე თურმე ჩემი სახელით იყიდებოდა, არა? მოკლედ, გიგზავნით მხურვალე, საახალწლო პაჩი-პუჩებს, ჩაო, ქართველებო!

**კასანდრა** — ლუის-დავიდს მას შემდეგ გავეყარე, რაც საქმე დაიჭირა ალისია გუარდიოლასთან. უნდა გაგახაროთ, რანდუ გაცოცხლდა, ახლა მე და დანისროლია ჩარი ერთად ვმოგზაურობთ. ჩემი სპილო სალვადორი — ფეხმძიმედაა. ბებიაჩემი დარინდა გაზეთ „ორაკულის" რედაქტორია. მინდა გაგახაროთ, ამ წელს ჩვენი ცირკი საქართველოსაც ესტუმრება.

**ანდრესი** — დავისვენე, ბარბარა რომ ცოლად შევირთე. გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ყველაფერში ზომიერებას — ბედნიერებისა და სიყვარულის გარდა...

**ბლეიქ** — ვულოცავ ახალ წელს ქართულ ოჯახურ დინასტიებს. ვუსურვებ ბევრ ნავთობს და ბევრ ჭაბურღილს. როგორც ნავთობის მაგნატი, მოვითხოვ ჩემმა მშობლიურმა დოლარმა შეწყვიტოს კუნტრუში თქვენს მშობლიურ ლართან. შემოჰკარით მაგ ლარს კანჭებში... კრისტლი ნორმალურადაა, აბებს აღარ ყლაპავს. მხოლოდ შავ რეზინებს ღეჭავს. ჩემი კომპანია ირისის მსგავს კანფეტებს უშვებს — საკონდიტრო განხრითაც ვმუშაობთ. ახლა გეხვევით მთელი ამერიკის ნავთობის მაგნატების სახელით.

**ელექსისი** — ახალ წელს გილოცავთ ერთ ხელში შამპანურით, მეორეში — ხიზილალით. პირადად ვულოცავ მარინა კახიანს, მისმა სექსუალურმა ხმამ ჩემს სექსუალურ გარეგნობას დიდი პატივი სცა და ჩემი თავი შეგაყვარათ.

**სემიუჯო** — რა გითხრათ, რით გაგახაროთ, სტივენმა პლასტიკური ოპერაცია ჩაიტარა. ახლა იგი შავი ფერის ბიჭია, წარსული ისტორიას ჩააბარა, ცისკენ გახედვაც კი აღარ უნდა. მოკლედ, ხვალ რა მელის, არ ვიცი, დღეს კი ახალი წელია და ბედნიერება იყოს თქვენს ოჯახებში!..

**ზოლიანი ბანანები** — თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს ძალიან მოვწონვართ. შეიძლება დიდებს ჩვენს დანახვაზე ზოგს სიცხე, კამერა და კონცლაგერი ახსენდება, მაგრამ პატარების გულისთვის, გთხოვთ, სხვა არხზე ნუ გადართავთ თქვენს ტელევიზორებს. გილოცავთ, დაესწარით მრავალს...

**დიეგო ბლანკო** — მე თუ შეიძლება ლექსით მოგილოცავთ:

სახელად მქვია ოსვალდო,
გვარი მაქვს იცით — როოსი
თქვენთვის რი ოსი, რა ოსი,
დიეგიტო ვარ ბლანკოსი,
თქვენ არ ვიცი, მაგრამ მე
სერიალებით დავვოსდი...
გკოცნით, გიხუტებთ მკლავებში
თქვენი ოსვალდო როოსი.



**ნინო შევარდნაძე**

**იგორა**

იგორა გვყავდა ერთი სამსახურში, რუსი იყო, ერთი ღერი ქართული არ იცოდა. თუ ვინმეს სამსახურში დაგვაგვიანდებოდა, არავინ ჰკითხავდა, მაგრამ უფროსთან გვაბეზღებდა. იცოცხლეთ, იმას დღე ვაყარეთ. რამდენს ცხვირს დააცემინებდა, „დედიშენის-თქვა", ვეუბნებოდით წყნარად. „ჩტო ეტო ზნაჩიტ, ჯანო?" — მკითხა ერთხელ.

მე სერიოზულად ავუხსენი: დედას უცოცხლოს შენი თავი-მეთქი.

— აა, დედა, დედა! — თითქოს რაღაც გაახსენდა.

ჰოდა, ერთხელ, შუა კრების დროს დირექტორს ცხვირმა დააცემინა. მივიდა იგორა მასთან, ზურგზე ხელი დაჰკრა და „დედიშენისო!" უთხრა. იქ ამბავი ატყდა, აღარ მინდა გახსენება.

იმ დღიდან იგორა სამსახურში აღარ გვინახავს.



**ტაქსი**

კინო „გამარჯვებასთან" ვცხოვრობ ქუთაისში, გავაჩერე დილით ტაქსი. „გამარჯობა" — ვუთხარი მძღოლს. გაგიმარჯოსო! — მიპასუხა.

საღამოს შინ ვბრუნდებოდი შეზარხოშებული, კიდევ ეს მძღოლი შემხვდა შემთხვევით.

კინო „გამარჯვება", — ვეუბნები. „კიდო გაგიმარჯოს", — მიპასუხა მძღოლმა.



**ხაზის გადაკვეთა**

ძგვიბიმ თავისი „ჟიგულით" მოძრაობის წესები დაარღვია — „ხაზი" გადაჭრა.

გააჩერა ინსპექტორმა, რატომ გადაჭერი ხაზი? — აჯარიმებს.

— რა იყო, შე კაი კაცო, სახლში ხომ არ მიმაქვსო, — უთხრა ძგვიბიმ.



**სარკე**

ძგვიბი პირს იპარსავდა სარკეში. რა თქმა უნდა, ნაბახუსევია. ცოლს მიაძახა: სახე გევიჭერი და ქაღალდი მომიტანე, უნდა მივიწებოო.

მიუტანა ცოლმა ქაღალდი. მოხია ძგვიბიმ ქაღალდი და პირდაპირ სარკეს მიაწება, სადაც გაჭრილი ლოყა ჩანდა. ცოლს კი ისევ ეძახის: არ შეჩერდა სისხლი და კიდევ მოიტა ქაღალდიო.

**ნადირობა**

ჭიჭიკია დათვზე სანადიროდ წაიყვანეს, ვერაფერი მოინადირეს. საღამოს ყველამ დაიწყო იმდღევანდელი ნადირობის ამბავი. ჭიჭიკიამ თქვა, მე ნაღდად ვნახე დათვი ხის ქვეშ ბელებთან თამაშობდაო. მერეო? — ჰკითხეს. მერედა დავწექი, ვეპარე, ვეპარე და ძლივს გამოვეპარეო, — ამოისუნთქა ჭიჭიკიამ.

მადლობას მოვახსენებთ ბატონ ჯანო ონიანს, რომელმაც შემოგვთავაზა ქუთაისური იუმორით შეზავებული კურიოზები

## პრეზიდენტის მეუღლე



წამყვანი სახელმწიფოების პრეზიდენტთა მეუღლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობაში. საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლემ **ბერნადეტ შირაკმა** ქვეყანას მოუწოდა, დახმარება გაელოთ საავადმყოფოებში მწოლიარე მოხუცების სასარგებლოდ. ამჟამად სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებამ 100.000 მოხუცს მისცა თავშესაფარი და ალბათ მათი რიცხვი უფრო გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ სიცოცხლის ხანგრძლივობის მატებას. აღსანიშნავია, რომ შარშან მოხუცებისა და ბავშვების მხარდასაჭერად 2,5 მლნ ფრანკი შეგროვდა. ახლა უფრო მეტის იმედი აქვთ, მით უმეტეს, რომ წლევანდელი კამპანიის მფარველი მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელი ემე ჟაკე იქნება.

ბერნადეტ შირაკს ძალიან აწუხებს ყოველდღიურად მზარდი ძალადობა ქალაქის ქუჩებსა თუ სკოლებში, რადგან დღე ისე არ ჩაივლის, რაიმე უბედურება არ დატრიალდეს. საგულისხმოა, რომ საფრანგეთში, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, პარიზის ტრანსპორტში არც ერთი ინციდენტი არ მომხდარა, თუმცა ეს შეიძლება გაზრდილი უსაფრთხოების ზომების მიღების შედეგიც იყო. ამ სფეროში დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რადგან ძალადობა ძალადობას ბადებს, კინო თუ ტელეეკრანებზე კი ამის გარდა რას ნახავ?!

ბერნადეტ შირაკი მკაცრად ილაშქრებს ჰომოსექსუალების, სქესობრივ უმცირესობათა „ოჯახების“, მათ მიერ ბავშვების შვილად აყვანის წინააღმდეგ (საფრანგეთში დღეს 4 მლნ ადამიანი იმყოფება თავისუფალ სამოქალაქო ქორწინებაში) და მთლიანად ტრადიციული ოჯახური ღირებულებების მომხრეა.

როგორც ბებია, ბერნადეტი სრულებით არ იზიარებს სხვა ბებია-ბაბუების ამბიციურ მოთხოვნილება-შეხედულებებს, საკუთარ შვილიშვილს კი უსურვებდა ბაბუის მსგავსად პირდაპირი, მომთხოვნი და, განსაკუთრებით სხვების მიმართ, ყურადღებიანი და გულუხვი ყოფილიყო.

ბერნადეტი გაოცებულია ამერიკელთა მტრული დამოკიდებულებით თავისი პრეზიდენტის ოჯახის მიმართ და ამერიკის იმ ახალი სახით, რომელზეც ადრე წარმოდგენაც კი არ ჰქონია. ლინჩის სამართლის ამგვარი გამოვლენა ფრანგული მენტალიტეტისათვის სრულიად უცხოა. ბერნადეტს ჰილარი ქლინთონთან ახლო ურთიერთობა აქვს, მაგრამ კრიზისის დროს ტელეფონითაც კი ვერ დაურეკა, თუმცა ჰილარი მის თანაგრძნობას უთქმელადაც გრძნობდა. ჰილარის საშინელი განსაცდელის გამოვლა მოუხდა, ფრანგისთვის მსგავსი ვითარების წარმოდგენაც კი ძნელია და, რასაკვირველია, საქებარია ჰილარის საოცარი თავდაჯერებულობა და ღირსების გრძნობის შენარჩუნების უნარი.

ბოლო წლების ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა ბერნადეტისათვის შვილიშვილის დაბადება იყო. ფრანგი ფეხბურთელების გამარჯვებამ კი გულგრილი ვერც ის დატოვა. საფრანგეთის პირველი ლედი სიამაყით აღნიშნავს, რომ ჟაკ შირაკთან საზღვარგარეთ რიგითი ფრანგი ადამიანები მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ — „ჩვენ გავიმარჯვეთ!!!“

*ლე ფიგარო მაგაზინ №939*

## დიქტატორი თუ... სიყვარულის მსხვერპლი

სადამ ჰუსეინი, XX საუკუნის უჩვეულო პოლიტიკოსი — ეშმაკი, ბოროტი, მკაცრი, შურისმაძიებელი, საოისტი და მშიშარა, ერთი სიტყვით, აზიის ერთ-ერთი რიგითი ტირანი, კაცი, რომელიც მთელ მსოფლიოს ემუქრება...

სადამ ჰუსეინი ჰოროსკოპით კურო და მორიელია. დაიბადა 1937 წელს, ჩვეულებრივი გლეხის ოჯახში. მშობლებს ძალიან უყვარდათ და ანებივრებდნენ. მართალია, ბავშვობაში მოჩხუბარი არასოდეს ყოფილა, მაგრამ წყენას არავის პატიობდა და სამაგიეროს ზოგჯერ სადისტურადაც უხდიდა.



15 წლის სადამი მშობლებმა დიდი წვალებით თავმოყრილი ფულით ეგვიპტეში, კაიროს პრესტიჟულ უნივერსიტეტში გაგზავნეს სასწავლებლად. სულ რაღაც სამიოდე წელიწადში მან წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და იურისტის დიპლომით სნავლა ბაღდადის სამეფო უნივერსიტეტში გააგრძელა. პარალელურად — ადვოკატად მუშაობდა და მშობლებსაც ეხმარებოდა. თუმცა ღამღამობით ლოთობისა და გარყვნილების გამო კინაღამ უნივერსიტეტიდან გარიცხეს. ქალებს სადამი ძალიან მოსწონდათ, მაგრამ მისი გული მხოლოდ ერთ გოგონას ეკუთვნოდა, რომელმაც უპირატესობა მდიდარ ვაჭარს მიანიჭა და მომავალი ტირანი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა შემდეგი სიტყვებით, — გუშინ ჩემმა საქმრომ ოქროს სამაჯური მომიტანა. შენთან კი, დაფხავებულ ქოხში, გამხმარი პური მომენატრებაო. განბილებული სასიძო შურისძიების გრძნობამ შეიპყრო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სადამი სამხედრო აკადემიაში ჩაირიცხა. გახდა არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის წევრი და დაუახლოვდა კურსანტთა იატაკქვეშა ორგანიზაციას, რომელმაც 1959 წელს სრული კრახი განიცადა.

სადამი აკადემიიდან გარიცხეს, სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. იგი სირიაში გაიქცა და შურისძიების გეგმებს აწყობდა.

რევოლუციონერის ავტორიტეტის მოპოვების შემდეგ პრინციპული და დისციპლინებული ტირანი იძულებული გახდა ცოლი შეერთო. მალე ორი შვილიც შეეძინა. იწყება ტრიუმფალური ზეასვლა და მტრებიც არ აყოვნებენ. შეთქმულებებს და თავდასხმებს უწყობენ. ამჟამადაც, ბაღდადის ციხეებში სადამის მკვლელობაში ასობით ეჭვმიტანილს ხვრეტენ. მან არც მოღალატე სიძეები და ცოლისძმა დაინდო, რომლებიც ღამე, საკუთარ ვილებში მხეცურად მოაკვლევინა. თვით პრეზიდენტი კი საკვებს კოდირებული ჭურჭლით, მხოლოდ სპეციალური გამოცდის შემდეგ მიირთმევს.

სადამის თითოეული ნაბიჯი მკაცრად გასაიდუმლოებულია. ღამეებს სპეციალურ ბუნკერში ათენებს, რომელიც მიწისქვეშეთში ისე ღრმადაა განლაგებული, რომ ბირთვულ დაბომბვასაც უძლებს. საკვების, მედიკამენტების, სათბობისა და ყველა საჭირო „წერილმანის“ მარაგი მრავალ წელზეა გაანგარიშებული.

ზოგჯერ პრეზიდენტს საკუთარი ხალხის გაცნობის სურვილი წამოუვლის ხოლმე. შედის ნებისმიერ სახლში, მასპინძლებს ყოფით პრობლემებზე ესაუბრება. სიძვირის გამო ქორვაჭრებს კიცხავს, სოფლებში გლეხებს ემუსაიფება. უკან გამობრუნებისას კი ზოგს ტელევიზორს ან ავტომანქანას ჩუქნის. ამის გამო ხალხში იგი ძალიან პოპულარულია.

სადამის დაუოკებელმა სექსუალურმა ლტოლვამ ბულვარული პრესაც ააჭიკჭიკა. პრეზიდენტის ჰარემში სამასამდე ქალია. თითოეულს თვეში 5.000 დოლარს უხდიან. პოპულარობით სარგებლობენ ქერა, მოკლეთმიანი ფრანგი და შვედი ქალბატონები. ჩიჩოლინას სექსუალურ წინადადებაზე (ქუვეითიდან ჯარების გამოყვანის სანაცვლოდ) სადამმა ირონიულად ჩაიცინა, — მსოფლიოში ბევრად უფრო საინტერესო ქალები არიან, ვიდრე ეს 40 წლის შეღებილი იტალიელიაო.

ერაყის პრეზიდენტი ზღაპრული სიმდიდრის პატრონია. შვეიცარიისა და ლუქსემბურგის ბანკებში 10-15 მლნ აშშ დოლარი აქვს. ეწევა სიგარას, რომლის ერთი ღერი 1.000 დოლარი ღირს. მიუხედავად ამისა, პრინციპულად მიირთმევს უბრალო ლითონის ჭურჭლით და ზოგჯერ გახუნებული, გაცვეთილი სამხედრო ფორმაც აცვია.

იუმორი არასოდეს ღალატობს და გაშარჟებასაც მშვიდად, ზოგჯერ აღფრთოვანებითაც ხვდება. ქლინთონის მიერ „შეცდენილი“ მონიკა ლევინსკი მან ერაყის ერთ-ერთი ქალაქის საპატიო მოქალაქედაც კი აღიარა.

დიქტატორმა 1992 წელს, 40 წლის შემდეგ, მოინახულა უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი პირველი სიყვარული. მისი მდიდარი მეუღლე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ყოველგვარი დაცვის გარეშე, ძველი მანქანით ეწვია პრეზიდენტი საოცნებო ქალიშვილს. ხმისგაუცემლად აკვირდებოდა პატარა ბოსტანში მოფუსფუსე, ცხოვრებისაგან მოტეხილ ქალბატონს, რომელიც მოკლე ხანში საოცრად გააკვირვა ათჯერ გაზრდილმა პენსიამ. ნეტავ იგი თავის დროზე თავდავიწყებით შეყვარებულ სადამს გაჰყოლოდა, ეგებ, შურისმაძიებელი ბიჭი ადვოკატობას დაჯერებულიყო და უამრავი ხალხიც სიკვდილს გადარჩებოდა.

*ბილდი №132*

## მონა ქალი აუჩის გაჩეშე

### აშშ-ის დამაარსებელს თავისი მონიკა ლევინსკი ჰყავდა

„ახლა, ზუსტად და დროულად, კვლავ გამოჩნდა ჯეფერსონი, რათა შეგვახსენოს ჭეშმარიტება, რომელიც თავისთავად ცხადი უნდა ყოფილიყო. ჩვენი გმირები, განსაკუთრებით პრეზიდენტები, არც ღმერთები არიან და არც წმინდანები, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები.

„დროულობაზე“ საუბრისას ავტორებს მხედველობაში აქვთ „მონიკაგეიტი“. მაგრამ რა კავშირი აქვს თეთრი სახლის სექს-სკანდალს აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორთან, ამერიკის მესამე პრეზიდენტთან? და რატომ აღმოჩნდა ეს პოლიტიკური პასაჟი სამეცნიერო ჟურნალის — „ნეიჩურის“ („ბუნება“) ფურცლებზე?



ციტატა, რომელიც ქლინთონს აკავშირებს ჯეფერსონთან, ამოღებულია პათოლოგ იუჯინ ფოსტერის კომენტარიდან „ნეიჩურის“ ნოემბრის წერილზე. ჯეფერსონის ქრომოსომების, დნკ მოლეკულების შესწავლის საფუძველზე ფოსტერმა დაადგინა, რომ შეერთებული შტატების მამა-დამაარსებელი ამავე დროს იმ ბავშვების მამაც ყოფილა, რომლებიც ზანგმა მონა ქალმა, სალი ჰემინგსმა გააჩინა.

ჯეფერსონისა და ჰემინგსის დამო-კიდებულება დიდი ხანია ამერიკელთა წარმოსახვას აღიზიანებს. ისტორიკოსთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ მათ შორის „ისეთი არაფერი იყო“, რომ ჭორებს მონა ქალის, სალის შესახებ ჯეფერსონის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ავრცელებდნენ.

1805 წელს მასაჩუსეტსის შტატის კონგრესმა განიხილა საკითხი ჯეფერსონის იმპიჩმენტის (ნაცნობი სიტყვა!) შესახებ, ბრალს სდებდა რა პრეზიდენტს სიცრუეში, თითქოს სალისთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა. თუმცა ისტორიკოსთა უმრავლესობა ამ ვერსიას უარყოფს.

ისტორიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ახლა აღიარეს თავიანთი შეცდომა. დნკ-ზე ჩატარებული ტესტები ერთობ დამაჯერებელია და მთელ სურათს ცვლის. ვერსიას ამყარებს ზოგი არაპირდაპირი მონაცემიც. ჰემინგსის ერთ-ერთი ვაჟის — ჯეიმს მედისონის ჩვენებით, დედამ სიკვდილის წინ შვილს ეს საიდუმლო გაუმხილა. არსებობს სხვა ცნობაც, როგორიცაა ჰემინგსის ორსულობა და მისი შვილების აშკარა ფიზიკური მსგავსება ჯეფერსონთან.

სანამ გენეტიკაზე გადავიდოდეთ, კიდევ მცირე რამ ისტორიიდან: სალი ჰემინგსი იყო მონა ქალისა და მდიდარი პლანტატორის უკანონო შვილი. ეს მდიდარი პლანტატორი ჯეფერსონის კანონიერი მეუღლის, მართას მამა გახლდათ. ე.ი. სალი და მართა მამითდები იყვნენ. ერთ-ერთი მონა ასე აღწერს სალის გარეგნობას: „ის თითქმის თეთრკანიანი იყო, ძალიან ლამაზი, მხრებზე დაყრილი მშვენიერი თმით“.

როცა სალი წამოიზარდა, იგი ჯეფერსონის ქალიშვილის, მერის ძიძად აიყვანეს. 1787 წელს, უკვე დაქვრივებული ჯეფერსონი პარიზში გაგზავნეს აშშ-ის წარმომადგენლად. მან ოკეანისგაღმიდან ქალიშვილი ჩამოიყვანა. მერისთან ერთად ჩავიდა პარიზში სალი, რომელიც მაშინ 13-14 წლის გოგონა იყო. სალის ვაჟიშვილის, მედისონის სიტყვით, სწორედ პარიზში იქცა სალი ჯეფერსონის საყვარლად. როცა ჯეფერსონმა და მისმა ამალამ პარიზი დატოვეს და ვირჯინიის შტატის ქ. მონტისელოში დაბრუნდა, 16-17 წლის სალი უკვე ფეხმძიმედ იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მას ვაჟი შეეძინა, რომელსაც თომასი დაარქვეს. ჯეფერსონის შვილიშვილი — რენფოლდი ამბობდა: „თომასი ძალიან ჰგავდა მამამისს. შორიდან, ნახევრად ჩაბნელებულ სივრცეში რომ დაგენახათ, მისტერ ჯეფერსონი გეგონებოდათ“.

ასე წამოვიდა და გამრავლდა ჯეფერსონთა ორი შტო, თეთრი — მართასაგან და შავი — სალისაგან. ყოველწლიურად, თავისი დიდი წინაპრის დაბადების დღეს იკრიბებოდნენ მისი შთამომავლები — ცალკე თეთრები, ცალკე — შავები. პირველნი არ ცნობდნენ მეორეთა ნათესაურ კავშირს, არ ურთიერთობდნენ მათთან. ეს თავისებური ჯეფერსონისებური სეგრეგაცია (რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახე — რედ.) იყო. წელსაც იგივე განმეორდა, რაც როგორც 200 წლის წინ.

ჯეფერსონსა და სალის გაუმართლა. დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და მასზე 30 წლით ახალგაზრდა ულამაზესი მონა ქალის სასიყვარულო ამბავი მწერლებისა და პოეტების, მხატვრებისა და კინემატოგრაფისტების შთაგონების წყაროდ იქცა. მათ მიერ შექმნილი პროდუქცია, ძირითადად დამტკბარ-სანტიმენტალური აბდაუბდაა, რომელიც ძალიან მიაგავს ტელესერიალს „მონა ქალი იზაურა“.

სხვა საქმეა პოლიტიკა. მასში სანტიმენტებისათვის ადგილი არ რჩება. ამერიკის ისტორიის იკონოგრაფიის რევიზიონისტებს დიდი ხანია ჯეფერსონის თვალთმაქცობაში ეპარებათ ეჭვი. სინამდვილეში, ავტორი დეკლარაციის უკვდავი სტრიქონებისა, რომელშიც ნათქვამია, რომ ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანი და თავისუფალი იბადება, მონათმფლობელი ყოფილა. მას დიდად საეჭვოდ მიაჩნდა ზანგთა ემანსიპაციის საკითხი, რადგან შიშობდა, რომ ეს „ამალგამაციას“ ანუ რასათა აღრევას გამოიწვევდა. ახლა კი მისი „პირადი წვლილი“ სწორედ ამ „ამალგამაციაში“ მოითხოვს ჯეფერსონის როლის გადააზრებას ისტორიაში. ადამიანს, რომელიც ამერიკას განასახიერებდა, უფლება არ ჰქონდა 38 წლის განმავლობაში ეცხოვრა შავკანიან ქალთან.

ჟურნალ „ნეიჩურის“ სენსაციამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია იმის გამოც, რომ პუბლიკაციის გამოქვეყნება ქლინთონის იმპიჩმენტის დაწყებას დაემთხვა. მაგრამ ქლინთონის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ უყვართ პრეზიდენტი ისევე, როგორც ჯეფერსონი და რომ კარგიცაა, როცა ყოვლისშემძლე ადამიანებისათვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო.

როგორლა აღიქვეს „ნეიჩურის“ პუბლიკაცია თავად ჯეფერსონის შთამომავლებმა? თეთრკანიანები ჯერჯერობით დუმილს არჩევენ, შავკანიანები ზეიმობენ. საინტერესოა, როგორ შეხვდებიან თომას ჯეფერსონის მომავალ დაბადების დღეს ისინი ერთმანეთს — კვლავ ცალ-ცალკე თუ ერთად?

ქრომოსომები ქრომოსომებად, რასიზმი რასიზმად, გარეთ კი XVIII საუკუნე კი არა, XXI საუკუნის გარიჟრაჟია...

*მელორ სტურუა*

## სხვა პრეზიდენტებიც გავითვალისწინოთ

გაზეთები ჯერ კიდევ სავსეა პუბლიკაციებით თეთრ სახლში მომხდარი სექსუალური სკანდალების შესახებ. პრესის ფურცლებიდან შემოგვყურებენ ბილ ქლინთონის და მონიკა ლევინსკის სახეები. ძალაუფლება, როგორც ამერიკის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ჰენრი კისინჯერმა აღნიშნა, ქალებზე ყოველთვის აღმგზნებ საშუალებად მოქმედებს და ვინაიდან ჩვენს პლანეტაზე ყველაზე ძალაუფლებიანი ადამიანი აშშ-ის პრეზიდენტია, ბუნებრივია, რომ ქალებში სწორედ თეთრი სახლის მეპატრონე აღძრავდეს ვნებებს.

მაგრამ დღევანდელი პრეზიდენტი ბილ ქლინთონი არ არის ამერიკელ პრეზიდენტებს შორის ერთადერთი, ვინც ისარგებლა თავისი პრივილეგიებით. ტრადიციას მივყავართ თავად ჯორჯ ვაშინგტონთან, რომელსაც ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა ვინმე მერი გიბსონთან. ხოლო ამერიკის მეორე პრეზიდენტს, თომას ჯეფერსონს ჰყავდა ზანგი საყვარელი, სალი ჰემინგსი, რომელმაც რამდენიმე შვილიც კი გაუჩინა მას.

ჩვენი ასწლეულის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი დაკავშირებული იყო ვინმე მერი პიუბერტ პეკთან, რომელიც ქმარს გაშორდა, რათა მთლიანად პრეზიდენტის საკუთრება გამხდარიყო. მაგრამ, პრეზიდენტ ვილსონის მეორე ცოლმა შეძლო, ბოლო მოეღო ამ კავშირისთვის.

უორენ გარდინგმა, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, 15 წელი იცხოვრა საყვარელთან — ნან ბრიტონთან, რომელიც მასზე 30 წლით ახალგაზრდა იყო. ისინი სიყვარულის მორევში ეშვებოდნენ თეთრი სახლის ნეხვის სარდაფში.

ფრანკლინ რუზველტის საყვარელი იყო მისი პირადი მდივანი მის ლეჩენდი და შემდეგ კრონპრინცესა მარტა ნორვეგიელი, რომელიც თეთრ სახლში ცხოვრობდა მეორე მსოფლიო ომის დროს. დუაიტ ეიზენჰაუერი, რომელიც 50-იან წლებში იყო პრეზიდენტი, ცხოვრობდა ქალთან, ვინმე კეი სამერბთან, რომელიც მისი პირადი მძღოლი იყო ომის წლებში.

მერილინ მონრო არ იყო პირველი საყვარელი პრეზიდენტ ჯონ კენედისათვის (ამერიკელ პრეზიდენტთა შორის ყველაზე გარყვნილი). მისი სექსუალური მადა ჭეშმარიტად უნიკალური იყო. მისი საყვარლების სია უსასრულოა. ჯონ კენედი ამბობდა, რომ, თუ ის ყოველდღე ახალ ქალს ვერ მიიღებდა, თავის ტკივილები ეწყებოდა.

კენედის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე ლინდონ ჯონსონი დაინიშნა. ისიც მშვენიერი სქესის მოყვარული იყო: „მე მეტი ქალები მყავდა, ვიდრე კენედის, — გამოტყდა ის, — თუმცა, მე მათ არ დავსდევდი, როგორც ის“. ერთ-ერთი მისი რომანი 30 წელს გაგრძელდა და მხოლოდ 1967 წელს დასრულდა.

რაც შეეხება რიჩარდ ნიქსონს, დადიოდა ხმები, რომ მისი საყვარელი ჩინელი ოფიციანტი ქალი იყო.

ჩამოთვლილ სიტუაციებს შორის განსხვავება ისაა, რომ ადრე ამ სასიყვარულო კავშირებს საიდუმლოდ ინახავდნენ, და მათ შესახებ მხოლოდ პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ გებულობდა საზოგადოება. თუ რამე ხმა დაირხეოდა, პრესა არ ერეოდა პრეზიდენტის პირად ცხოვრებაში.

ქლინთონისთვის სამწუხაროდ, იმ პერიოდმა ჩაიარა.

*ფავორიტი №19*

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

### 7

ავეჯის კომპლექტი, განკუთვნილი ერთი გარკვეული მიზნისათვის

### 8


სრუტე ევროპასა და მცირე აზიას შორის, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების დამაკავშირებელი

### 10

სუნთქვისას ნელი ხმის გამოცემა

### 11

აქსელერაციამ თავის დროზე სიმსუქნის პრობლემაც წარმოშვა. 80-იან წლებში კაცობრიობამ საშუალოდ 15 კგ-ით მოიმატა, ხოლო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მსოფლიოში ადამიანის სხეულის მასამ 12%-ით დაიკლო. ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კაცობრიობა იკლებს არა მარტო წონასა და სიმაღლეში, არამედ ლონეც აკლდება. 17 წლის ჭაბუკები დღეს 10 კგ-ით ნაკლებს წევენ, ვიდრე 60-იანი წლების მათი თანატოლები. რა გველოდება? როგორები იქნებიან XXI საუკუნის ბავშვები? მეცნიერთა პროგნოზით, ახალშობილთა წონა დაიკლებს: თუ 70-იან წლებში (აქსელარაციის პიკი) „გიგანტები" 4 კგ-ს იწონიდნენ, მომავალი საუკუნის დასაწყისში ახალშობილთა წონა 3 კგ-ს მიუახლოვდება; ხოლო მათი სხეულის სიგრძე 1,5 სმ-ით შემცირდება. ბავშვები გვიან დაიწყებენ ლაპარაკს, გვიან ამოუვათ კბილები. მოზრდილები გამხდრები და წვრილძვლიანები იქნებიან. ბიჭები 170 სმ-მდე გაიზრდებიან, გოგონები კი 160 სმ-ს მიაღწევენ. სექსი მომავალ თაობას ნაკლებად დააინტერესებს. ეს იმიტომ, რომ მათი ბავშვობა 14-15 წლამდე გაგრძელდება. ზოგიერთი სპეციალისტის პროგნოზით, 2010 წლიდან კაცობრიობა კვლავ „სიმაღლისკენ სვლას" დაიწყებს.

ანთროპოლოგების აზრით, კაცობრიობა ტალღისებურად მწიფდება: ანტიკურ ხანაში 12 წლის გოგონები მზად იყვნენ დედობისათვის, XVII-XVIII საუკუნეში ისინი 2-3 წლით გვიან (14-15 წწ) იწყებდნენ „მომწიფებას", ხოლო XIX საუკუნეში 17-18 წლისა ზრდასრულ ქალად ითვლებოდა. ჩვენს საუკუნეში კი 12 წლის გოგონა ფიზიოლოგიურად დასრულებულია.\

*ზდოროვიე №10*


"PULSAR" ltd

კომპიუტერული ტექნიკის, ორგტექნიკის, იმპორტული აპარატურის შეკეთება. საინფორმაციო ქსელების გაწყობა, მონაცემთა ბაზების დაპროგრამება. კონსულტაციები ოფისის ავტომატიზაციაზე

ვაჟა-ფშაველას გამზ. № 16 M. „სამედიცინო ინსტიტუტი"

☎33-08-71; 877-41-51-29

ყურადღება!

მაღაზია-სალონი „ანასტასია" გთავაზობთ საშობაო ფასდაკლებას 10-15%

ყველანაირ ბულგარულ ავეჯზე, ყველა ზომის წყლის გამაცხელებლებზე

მაცივრებზე „სნაიგე"

მის: ნუცუბიძის ქ. 205

☎31-59-99; 899-56-95-14

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით. მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არა აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №20-ე (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

ქალალდი

ოფსეტური

რუსეთის, თურქეთის, ფინეთის

საგაზეთო

ცარცის

მუყაო. კრაფტი

სხვადასხვა ფორმატისა და სიმკვრივის

☎: 33-78-07; 877403866

# შიში და სიძულვილი

ფსიქოთერაპევტების აზრით, შიშის 350 სახეობა არსებობდა. დღესდღეობით ამ ციფრმა 6.456-ს მიაღწია... ეს ფობიები ცნობილია არა მარტო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის. ვარსკვლავთა ცხოვრებაც „იშხამება" იმ პატარა შხამით, რომელსაც ადვილად ვერ მოიშორებ.

**ნიქოლას ქეიჯი**, უშიშარი და სასტიკი ბოევიკი ეკრანზე, რომელმაც სუპერმენის ტიტულიც კი დაიმსახურა, რეალურ ცხოვრებაში სრულიად განსხვავებულია. იგი ნამდვილი მშიშარაა. კანკალებს გარეული მხეცის დანახვაზე და იგივე ემართება შინაურ ცხოველებთან მიახლოებისას. უხერხული კომპლექსის დასათრგუნავად, მკურნალი ექიმის რჩევით, ნიქმ ბინის იატაკი ცხოველთა ტყავებით მოფინა, კედლებზე ჩამოკიდა ფიტულები, სავარძლებს ვეფხვით მოხატული პლედები გადააფარა... ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს ეს მცდელობა.

ცნობილ რეჟისორს, **ვუდი ალენს** ისტერიკა ემართება ჭიანჭველას დანახვაზე...



ფრანგ კინოვარსკვლავს **იზაბელ იუპერს** ლიფტის სახელს ნუ გააგონებთ და მზად არის, 7-8 სართული კიბით აირბინოს — დახურულ სივრცეში მას სული ეხუთება...

ცნობილი მომღერალი **დეივიდ ბოუი** თვითმფრინავის ტრაპზე არ ავა, სანამ ტრანკვილიზატორებით არ გაიჭყიპება, არ ჩაიტარებს დასამშვიდებელ მედიტაციას და თავისი ფსიქო-თერაპევტის სეანსებს... რა ქნას, მსოფლიოს მრავალ კუთხეში უძრავი ქონების პატრონმა თვითმფრინავის მომსახურება უნდა გამოიყენოს.

*მე ბულვარი №48*

# კატლეტი, ძეხვი, პელმენი... მამონტის ხორცისაგან(?!)

პეტერბურგს სამი სიმბოლო აქვს: პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის შპილზე ანგელოზი ჯვრით ხელში, საადმირალოს სახურავზე წამოსკუპებული ხომალდი — სიმამაცისა და დიდების გამოხატულება და კუნსტკამერა — მეცნიერებისა და განათლების სიმბოლო. ამ უძველესი მუზეუმის თანამშრომელი **ირინე ბერიძე** მოგვითხრობს:

— პეტრე I-ის მიერ დაარსებული კუნსტკამერა მსოფლიოს უძველეს მუზეუმთა რიცხვშია. პეტრე მთელ მსოფლიოში ეძებდა და აგროვებდა უნიკალურ ექსპონატებს თავისი მუზეუმისათვის. მაყურებლის მოსაზიდად, პირველ დამთვალიერებლებს იმპერატორის ბრძანებით... არყით უმასპინძლდებოდნენ.



XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ამ უნიკალურ მუზეუმს ქურდები შეეჩვივნენ. რას აღარ იპარავენ და როგორ აღარ ძარცვავენ. გაპარტახებულია უძვირფასესი კოლექცია, გააქვთ დინოზავრების თავის ქალები, მამონტის ეშვები, ჩონჩხები, ძვლები... და ეს ყველაფერი ცივილიზებული, დასავლური ქვეყნების საკუთრება ხდება, რა თქმა უნდა, დიდი საზღაურის ფასად.

დავიწყოთ ეგზოტიკით. რუსეთი მამონტების სამშობლოა. ციმბირისა და ზაპოროჟიეს დამზრალ მიწაში დღესაც წააწყდება დაინტერესებული პირი ისტორიამდელ ცხოველთა სრულად, დაუზიანებლად შემონახულ სამარხებს. ახალი ყაიდის საქმოსნები უანგაროდ როდი ეძებენ მათ. საქმე ისაა, რომ ყინულეთის მხარეში მამონტების ხორცი ისეა შენახული, როგორც თანამედროვე სამაცივრე დანადგარებში. ამ ხორცს კი, ნუ გაიკვირვებთ და, ჭამენ... მოარული ხმების თანახმად, სანქტ-პეტერბურგში, ერთ ეგზოტიკურ რესტორანში თანამედროვე ბარბაროსები მამონტის ხორცის კატლეტს, ძეხვსა და პელმენსაც კი შეექცევიან.

არავინ ფიქრობს იმაზე, რომ მამონტის ხორცის ჭამა დიდ რისკთანაა დაკავშირებული — ვინ იცის, რამ მოკლა უძველესი ექსპონატი? ხომ დასაშვებია, რომ თანამედროვე მედიცინისთვის უცნობ ავადმყოფობას ემსხვერპლა და ახლა მიწის წიაღიდან მოვლენილი ახალი უბედურება ისევ დაერევა და მუსრს გაავლებს ორფეხა ცხოველებს.

არ იფიქროთ, რომ უძველესი ძვლების მოტრფიალენი მხოლოდ სანქტ-პეტერბურგში ბუდობენ. მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმიდან უკვალოდ გაქრა ეტალონად აღიარებული დინოზავრის რამდენიმე თავის ქალა. დავუშვათ, სადმე, რომელიმე ქვეყანაში დინოზავრის ჩონჩხი აღმოაჩინეს. მისი სამეცნიერო ღირებულება მოსკოვური ეტალონით უნდა განისაზღვროს, იმ ეტალონით, რომელიც მუზეუმის მიწისქვეშა საცავებში ინახებოდა და მისი გაქრობა სრული იდუმალებითაა (?) მოცული. ამავე მუზეუმიდან გაქრა და რა ქვესკნელმა უყო პირი, არავინ იცის — 30 იშვიათი უძველესი წყალხმელეთა ინდივიდის ჩონჩხი. ეს იყო შეუფასებელი განძი. სხვათა შორის, გერმანიაში დააკავეს პირი, რომელიც რუსული დინოზავრის თავის ქალას ყიდდა. თავის ქალა სამშობლოში დაბრუნდა, გამყიდველი — ციხეში. მაგრამ ეს ერთეული შემთხვევაა. უმეტესწილად, რუსეთიდან გატანილი პალეონტოლოგიური რელიკვიები მავანთა კაბინეტებში იდებს ბინას იმისთვის, რომ პატრონის გარდა თვალით აღარავინ იხილოს.

კიდევ ერთი პარადოქსული ამბავი უნდა გიამბოთ: 1993 წელს ინგლისელ მეცნიერს, დევიდ ანგენს მუზეუმმა ათხოვა მსოფლიოში ცნობილი გაქვავებული მფრინავი ხვლიკი, რომელსაც მეტსახელად „ბანჯგვლიანი უწმინდური" ერქვა.

ანგენს ისე შეუყვარდა ექსპონატი, რომ არაფრით უნდოდა უკან დაბრუნება, აქაოდა, მის სამშობლოში მაინც მოიპარავს „პალეონტოლოგიური მაფიაო". სამი წელი გაგრძელდა ვაჭრობა, ბოლოს, სხვის ქონებას დახარბებულ მეცნიერს ხელიდან გააგდებინეს „ბანჯგვლიანი უწმინდური" და მშობლიურ კერას დაუბრუნეს.

არა, სიძველეთა გამტაცებლებმა ნამდვილად არ იციან, რა უსიამოვნებას შეიძლება გადაეყარონ. ამბობენ, უპატიოსნო გზით მოპოვებული ძვლები იმპოტენციას იწვევსო! ახია მათზე.

საინტერესოა, მამონტის ხორცისგან დამზადებული დელიკატესების მოყვარულნი რაღა სასჯელს უნდა ელოდონ?

*ესაუბრა*
*გალაკტიონ ტაგანაშვილი*

# მკურნალი დაავადებულ ორგანოებს ესაუბრება

XXI საუკუნის ექიმს უწოდებენ იტალიელ მკურნალ ჯანი ვინსენტეს, რომელიც ფლორენციის მახლობლად ცხოვრობს. ის არ სინჯავს პაციენტს და არც ანალიზის პასუხებს ითხოვს. ჯანი ესაუბრება ავადმყოფის შინაგან ორგანოებს და ამ გზით კურნავს მათ.

ჯანი ვინსენტე ბამბუკისაგან დამზადებულ სავარძელში სვამს პაციენტს, ერთი ჭიქა წითელი ღვინით უმასპინძლდება და შეკითხვებს აძლევს ავადმყოფის ორგანოებს. პირველ რიგში — გულს. მკურნალის ღრმა რწმენით, არა ტვინში, არამედ გულში ინახება მთელი ინფორმაცია ადამიანის სხეულისა და სულის დაავადებების შესახებ.

ორგანიზმის საერთო მდგომარეობის შესახებ გულიდან მიღებული ინფორმაციის შემდეგ ჯანი იწყებს დაავადებულ ორგანოებთან საუბარს. მკურნალი გვარწმუნებს, რომ ესმის ღვიძლის, კუჭის, ფილტვების, თირკმლების, სწორი ნაწლავის ენა. პაციენტები ამბობენ, რომ საუბრისას მათი ავადმყოფი ორგანოები რეაგირებენ ექიმის შეკითხვებზე, თითქოს კვნესიან და პულსირებენ. შემდეგ მათ ტკივილი უამდებათ. რამდენიმე ასეთი გასაუბრების შემდეგ ავადმყოფი უკეთ ხდება. სიტყვიერი მკურნალობის გარდა, ჯანი პაციენტს უნიშნავს დიეტას, რომელიც დაავადებული ორგანოსთვისაა საჭირო. უჩვეულო ექიმი მხოლოდ შიდსის, ვენერიული და ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობაზე ამბობს უარს. თვლის, რომ ისინი ავადმყოფებს ბედმა არგუნა. მკურნალს არ სურს კამათი. სამაგიეროდ, ჯანი ბრწყინვალედ კურნავს ფსიქიკურ დაავადებებს და დეპრესიებს.

*პოსლედნიე ნოვოსტი №50*

# „ეგვიპტის პრინცი"

სთივენ სპილბერგის სტუდია „რამ ვორკს-სტუდიო" მსოფლიო ბაზრის დაპყრობის ახალი გზების ძიებაშია. ამით იგი ერთგვარი რეკორდის დამყარებასაც ცდილობს. სტუდიამ ფილმის „ეგვიპტის პრინცის" გადაღება შობამდე ერთი თვით ადრე დაიწყო და გეგმაში აქვს, ფილმი მაყურებელს ორიოდ თვეში სრულყოფილი სახით წარუდგინოს. სერიოზული პროექტის განხორციელება ჰოლივუდშიც კი მოითხოვს დროს — 3-დან 6 თვემდე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ სცენარი დაიწერა ამერიკაში. გადაღება ამჯერად ერთდროულად 40 ქვეყანაში მიმდინარეობს. საბოლოოდ, ამერიკაში თავს მოიყრის თითოეული სიუჟეტის დაახლოებით 10 ვარიანტი და, რა თქმა უნდა, საუკეთესო შეირჩევა და დამონტაჟდება.

ექსპერტთა ანგარიშით, ამ რთული სამუშაოს შესრულება ლოგიკურად შესაძლებელია, პრაქტიკულად კი თითქმის შეუძლებელი. მაგრამ თუ სტუდიას ერთ თვეში ექნება სიუჟეტების ფართო არჩევანი, მაშინ შეძლებენ დაახლოებით 2-3 დღეში ფილმისთვის საბოლოო სახის მიცემას.

*ფოკუსი №48*

# ვინ მართავს ბრიტანეთს?



გაზეთებმა — „თაიმმა" და „სინდიმ" გამოაქვეყნეს ბრიტანეთის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი 120 პიროვნების ნუსხა. რეიტინგის თანახმად, ქვეყანაში „ნომერი 1" არის — პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, ყველაზე გავლენიანი უცხოელი — რომის პაპი არ გახლავთ (ის 44-ე ადგილზეა) და არც ბრიტანეთის წამყვანი გაზეთების მაგნატები: რუპერტ მერდოკი (№13) და კონრად ბლექი (№5), არამედ „მაიქროსოფტის" ხელმძღვანელი ბილი გეითსი. აგრეთვე გამოირკვა, რომ ტონი ბლერის მეუღლე შერი (№50) უფრო გავლენიანია, ვიდრე ბრიტანეთის სახელმწიფო ეკლესიის მეთაური — არქიეპისკოპოსი კენტერბერიელი (№68), ბლერის ვაჟი — ივანი 99-ე ადგილზეა, დედოფალი ელისაბედ II — მე-100-ზე, პრინცი ჩარლზი 101-ზე.

ბრიტანელები, რა თქმა უნდა, გაოგნებულნი არიან, მაგრამ რეიტინგზე არ კამათობენ. ის ხომ ბრიტანეთსა და, საერთოდ, ევროპაში ძალზე ავტორიტეტულმა ფსიქოლოგმა, პროფესორმა ტერი კელარდმა შეადგინა.

*ვლასტი №41*

# ყალბი დოლარი

ეს ამერიკაში 1897 წელს მოხდა. ბოლდუინ ბრედლის მაშინ 26 წელი შეუსრულდა, ხოლო არტურ ტეილორს — 23. პირველი მექანიკაში იყო ძლიერი, ხოლო მეორე არაჩვეულებრივად ხატავდა. ორივენი ფილადელფიის საგრავიურო-საბეჭდ სახელოსნოში მუშაობდნენ, რომელიც აქციებსა და ობლიგაციებს უშვებდა. ამ ორის განსაკუთრებული ნიჭის შესახებ შეიტყო ულიამ ჯეკობსმა, რომელიც სიგარის ბიზნესს ეწეოდა. მაგრამ მისი მთავარი საქმე თაღლითობა იყო. ჯეკობსმა ახალგაზრდებს ფულის დამზადება შესთავაზა, თანაც ნამდვილის. იმსჯელეს ამ საკითხზე და მუშაობას შეუდგნენ.

ერთი კვირის შემდეგ შეთქმულებმა სახელოსნო იქირავეს და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვეს. მათ პრეზიდენტ მორისგამოსახულებიანი ასდოლარიანი ყალბი კუპიურის დაბეჭდვა გადაწყვიტეს. ტეილორმა დახატა შესანიშნავი კუპიურა. ბრედლიმ პრესის მექანიზმის ნახატი გააკეთა. ეს წამოწყება სიგარებით მოვაჭრემ დააფინანსა და საქმეც წინ წავიდა. მაგრამ ქაღალდს ვერაფერი მოუხერხეს...

საერთოდ, ქაღალდი ყალბი ფულისმქმნელთა აქილევსის ქუსლია. დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ბრედლი და ტეილორი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფული მხოლოდ ფულისთვის განკუთვნილ ქაღალდზე უნდა დაბეჭდილიყო! და ბოლდუინს უცებ აზრად მოუვიდა თაღლითობის ისტორიაში ყველაზე გენიალური იდეა: კუპიურა სისქის სიგრძივ უნდა გაჭრილიყო.

თანამზრახველმა იფიქრა, ბოლდუინი გაგიჟდაო. მაგრამ ამ უკანასკნელმა აიღო დოლარის კუპიურა და რიგი ოპერაციების შემდეგ იგი გაჭრა.

სიგრძივ გაჭრის შემდეგ, დოლარის კუპიურა სიგარეტის ქაღალდის სისქისა გამოდიოდა, სპეციალურ ხსნარში ადვილად უფერულდებოდა. შემდეგ ორივე ნახევარს მათ მიერ გამოგონებული ბრინჯის მტვრისგან დამზადებული წებოთი ერთმანეთს აწებებდნენ, მთელი ღამე აშრობდნენ და შემდეგ პრესავდნენ.

პირველი ასდოლარიანი კუპიურა დასახურდავებლად ფილადელფიის ბანკში მიიტანეს. ბანკის მოხელემ კუპიურა გასინჯა და მათ ათი ათდოლარიანი მისცა. წარმატებით აღფრთოვანებულმა კომპანიონებმა სასწრაფოდ დაბეჭდეს ათი ათასი დოლარი, სახელოსნო დაკეტეს და დასასვენებლად წავიდნენ.

ნახევარი წლის შემდეგ აშშ-ის ხაზინაში ფილადელფიიდან გასასინჯად შემოვიდა ასდოლარიანი კუპიურა. კუპიურას აქ ვერანაირი ხინჯი ვერ უპოვეს, მხოლოდ ეგ იყო, რომ კუთხეში წითელი ბეჭედი ჩვეულებრივზე მკრთალი იყო. მაგრამ ეს ტიპოგრაფიის წუნად ჩათვალეს. უკვე დასკვნა უნდა დაეწერათ, მაგრამ ყველაზე კეთილსინდისიერმა ექსპერტმა კუპიურა წყლიან ჭიქაში ჩადო. იგი სიგრძივ ორად გაიყო. ექსპერტს მოულოდნელობისაგან ყბა ჩამოუვარდა.

ყალბ ფულისმჭრელებთან ბრძოლის განყოფილების გამგემ ულიამ ჰეიზენმა მაშინვე ფინანსთა მინისტრ ჯადსონ ჰეიდს უპატაკა: „ჩვენ უნიჭიერეს თაღლითებთან გვაქვს საქმე. მსგავსი ყალბი ფულისმქმნელები არც ყოფილან და არც არიან." ჰეიდმა დაიჯერა, რომ ეს გადაჭარბებული არ იყო. უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა: მიმოქცევიდან ყველა ასდოლარიანის ამოღება ბრძანა. მის ნაცვლად გამოუშვეს ახალი ბანკნოტი ლინკოლნის გამოსახულებით. ამით ამერიკამ თავისი უსუსურობა აღიარა.

პოლიციამ კი დიდი ძებნის შემდეგ თაღლითებს მიაგნო. დაკითხვაზე პირველი ბოლდუინი გატყდა, მერე — არტური. ყველაფერი დაფქვეს იმის იმედით, რომ გულწრფელი აღიარების შედეგად მათ პატიმრობის ვადას შეუმცირებდნენ, ბოლდუინმა და ტეილორმა ისიც კი აღიარეს, თუ სად ინახებოდა კლიშე. გაცოფებული ადვოკატი ყვიროდა: „ყველაფერი დამთავრდა! კლიშე უკვე ჩვენს ხელთაა. გაიგეთ, როგორ მუშაობდით. თქვენ სამუდამოდ ციხეში დარჩებით."

— სასამართლოს გადავადება რა ხნით შეიძლება? — იკითხა ბრედლიმ.

— მაქსიმუმ ორი წლით.

— მაშინ მომეცით ყველაზე მსხვილი კუპიურა, რომელიც კი გაქვთ.

ადვოკატმა ჯიბიდან ოცდოლარიანი ამოიღო და მისცა. ასე დაიწყეს მათ ციხის საკანში ფულის ბეჭდვა. ბრედლის დედა, ტანსრული ქალი, მიდიოდა შვილის სანახავად და კორსეტით მიჰქონდა საქმისთვის საჭირო ხელსაწყოები. ბოლდუინმა იმავე მეთოდით გაჭრა ოცდოლარიანები, ხოლო არტურმა მის მიერ მოფიქრებული ახალი, გენიალური მეთოდით დაამუშავა ისინი.

რამდენიმე დღეში მათ ასი იდეალური ოცდოლარიანი კუპიურა დაბეჭდეს.

პროკურორი ამ ახალმა ამბავმა გააცოფა. ეი. დამნაშავეებმა ყველაფერი არ თქვეს? ფულის საბეჭდი მოწყობილობა სადღაც სხვაგანაა დამალული? გადამწყვეტ მომენტში გენიოსებს ბედმა უმტყუნა. პოლიციამ ბანკნოტების ნომრების მიხედვით დაადგინა, რომ ნიმუში, რომლის მიხედვითაც ისინი იყო დაბეჭდილი, ყალბი ფულისმქმნელების დაჭერის შემდეგ ჩაუშვეს მიმოქცევაში, ე.ი. ფული ციხეში იბეჭდებოდა? ეს დასკვნა არც ისე აბსურდული გახლდათ, როცა საქმე გენიოსებს ეხებოდა...

ბრედლის და ტეილორს მხოლოდ 7-7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისინი ერთმანეთს სამუდამოდ დაშორდნენ. ტეილორი ოციან წლებში გარდაიცვალა, ხოლო ბრედლი კი 1952 წელს.

*ექსპრეს-გაზეთა №48*

# მოკრძალებული მილიარდერი

დიქტატორთა უმრავლესობა, ჰიტლერის ჩათვლით, სიამოვნებით უწყობდა ხელს ლეგენდების შექმნას მათ მოკრძალებულ ცხოვრებაზე. ფაქტები კი სხვას ლაპარაკობენ. გერმანიაში გამოვიდა წიგნი „ჰიტლერის ფულები". ავტორის (ვულფ შვარცველერი) თქმით, ომის დასასრულისთვის ჰიტლერის ქონება აჭარბებდა მლრდ რაიხსმარკას, რაც დღეს 7 მილიარდზე მეტია. მარტო სურათები, რომელიც მან ძარცვით მოიპოვა, შეფასებულია მილიარდ მარკად.

ასი მილიონი რაიხსმარკა ჰიტლერს გერმანელმა მრეწველებმა გამოუყვეს. 50 მლნ მარკა მიიღო საფოსტო მარკებზე მისი ფოტოს დაბეჭდვის უფლებისათვის. მიუნხენში დღემდე დგას უზარმაზარი სახლი, რომელიც ფიურერს აჩუქა ცნობილმა მრეწველმა და სამხედრო დამნაშავემ, ტისენმა.

ოფიციალურად ჰიტლერის გასამრჯელო ძალზე მოკრძალებული იყო: 29.200 რეიხსმარკა (წელიწადში), უმატებდნენ 18.000-ს „წვრილმანი ხარჯებისათვის". ასე რომ, ხელფასით მილიარდების შეგროვება ყოვლად შეუძლებელი იყო.

*ფავორიტი №23*

მისი უმაღლესობა პრინცი ალ ვალიდ ბინ ტალალ აბდულ აზიზ ბინ საუდი, საუდის არაბეთის მეფის ფაჰდის ძმისწული, მსოფლიოს უმდიდრეს ათეულში შედის. იგი არასოდეს წვება დილის 6 საათამდე, 3 საათამდე კი აგრძელებს გადატვირთულ სამუშაო დღეს, საოცარ სამუშაო რიტმს, დაცვის, მდივნების, მრჩევლების, ექიმების, ნათესავებისა და მეგობრების გარემოცვაში. პრინცის კარზე აკრძალულია ალკოჰოლი და თამბაქო, სამაგიეროდ, არ აკლიათ დიეტური კოკა-კოლა და ყინულიანი შერბეთი სალი გონების შესანარჩუნებლად. ასე რომ, 6-7 საათზე ჩაძინებული პრინცი 13 საათზე შესანიშნავ ფორმაში იღვიძებს.

მართალია, პრინცი მორწმუნე მაჰმადიანია, მაგრამ მრავალცოლიანობას არ იზიარებს და უკვე ორჯერ არის განქორწინებული. როგორც ამბობენ, პრინცმა ფინანსური კარიერა 15.000 დოლარით დაიწყო, დღეს კი მისი

# ფინანსების ჯადოქარი



ქონება 14 მილიარდ დოლარს უტოლდება. პრინც ალ ვალიდს ესაუბრება „პარი მატჩის" კორესპონდენტი.

— **თქვენ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ათეულში შედიხართ? მართლა ფულშია ბედნიერება?**

— რასაკვირველია, მილიარდერობა მართლაც ბედნიერებაა. ოღონდ იმ პირობით, თუ სიმდიდრე არ დაგაბრმავებთ და ხარბად არ გაქცევთ. მე სულ ვცდილობ, რეალური ცხოვრებით ვიცხოვრო და ახლობლებთან სიახლოვე არ დავკარგო. ჰკითხეთ ჩემს მეგობრებს და გეტყვიან, რომ ალ ვალიდი არ შეცვლილა, ისეთივეა, როგორიც ოცი წლის იყო.

— **რა მიზანი გაქვთ, ბილ გეიტსივით ან ბრუნეის სულთანივით მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანად იქცეთ?**

— რატომაც არა? საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მეთოდურად ვაგრძელებ მუშაობას ქონების გასაზრდელად. მაგრამ პირველ ან მეორე ნომრად გახდომა არც მიზანია და არც აკვიატება. ასე რომ მოხდეს, აგრესია მომემატებოდა, რაც ცუდი გადაწყვეტილებების მიღებას მაიძულებდა.

— **მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე რას იტყვით?**

— არანაირ პანიკას არ განვიცდი. როცა აქციათა კურსი ასე ეცემა, იზრდება ჩემი დროული ინვესტიციების სია.

— **კრიზისის დროს კორეის საავტომობილო ფირმები დააფინანსეთ, განა ეს დიდი რისკი არ არის?**

— ხუთწლიანი ობლიგაციები ვიყიდე ყოველგვარი რისკის გარეშე. აზია კრიზისშია, მაგრამ თამაშიდან კი არ გასულა. 2-3 წელში ბიზნესი ისევ გაიმართება, არც რუსეთის ამბები მანერვიულებს, ფული მხოლოდ მოსკოვის ერთ სასტუმროში მაქვს დაბანდებული. ძალზე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ევროპის მომავლისადმი, 3-5 წელში ევრო ძალას მოიკრებს და სახელმწიფოთა ეკონომიკაც გაძლიერდება.

— **თქვენი კოლეგა მილიარდერებივით აგროვებთ სასახლეებს, ჰოლივუდში ვილებს, ძვირფას ნახატებს და სხვა იშვიათ ნაკეთობებს?**

— არაფერი მსგავსი, ვერ ვიტან ფულის უმიზნოდ ხარჯვა-დანიავებას.

— **მაშ, ფაშასავით ცხოვრება არ გიტაცებთ?**

— სადად ნამდვილად არ ვცხოვრობ. მსოფლიოში ერთ-ერთი უმშვენიერესი სასახლის მფლობელი ვარ რიადში. ოფისიც შესანიშნავი მაქვს, ასევე ვფლობ სამ თვითმფრინავს, ვერტმფრენს, გემს, იახტას, რაც მთელ მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილების საშუალებას მაძლევს. შარშან საქმეებისათვის 40.000 კმ განვვლე ინდოეთში, ბრაზილიაში, ალასკაზე, კორეაში... სულ განახლების სურვილი მაქვს, ყველგან სახლს ხომ არ შევიძენ. განა ჩემი სასტუმროები ჩემი სახლები არ არის?

— **ბრუნეის სულთანი თავისი ოჯახისა და მეუღლეებისათვის მსოფლიო უმაღლესი საიუველირო ნაწარმის 65%-ს ყიდულობს. თქვენც ხომ არ გაქვთ რაიმე გიჟური გატაცება?**

— სულთანს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მუშაობის განსხვავებული მანერა გვაქვს. მიმაჩნია, რომ რელიგიისა და ჯანმრთელობის შემდეგ უმნიშვნელოვანესია განათლება. ვცდილობ, ჩემმა შვილებმა — 20 წლის პრინცმა ჰალედმა და 16 წლის პრინცესა რიიმმა საუკეთესო განათლება მიიღონ. მილიონობით დოლარი დავხარჯე, რათა კონექტიკუტის ამერიკულ უნივერსიტეტს რიადში ფაკულტეტი გაეხსნა, ამერიკელი პროფესორებიც მოვიწვიეთ, ამ ყველაფერს ხომ ჩემი შვილებისათვის ვაკეთებ. ბავშვებს არ ვათამამებ, თუმცა ყველაფერი აქვთ, რასაც ისურვებენ. უარი რატომ უნდა ვუთხრა? ჩემს ქალიშვილს საქმეებში ჩასართავად სასტუმრო ვაჩუქე, ასევე თავისი საყვარელი ფირმის „დონა კარანის" ამერიკული ფილიალის 4%-იც ეკუთვნის, რასაც ამჟამად სათამაშოდ თვლის. პრინც ჰალედს ვაჩუქე კალიფორნიის სასტუმრო და „პლანეტა ჰოლივუდის" 1%-ი. უკვე თვითონვე მიხედა რომში რესტორნის გახსნას. მან უკვე გადაწყვიტა, რომ ჩემს გზას დაადგება. მე ნულიდან დავიწყე და მთელი იმპერია შევქმენი, მას მხოლოდ მართვა დასჭირდება.

შვილებს მაქსიმალური თავისუფლება მივანიჭე. როგორც ყველა მშობელს, მეც მეშინია, მაგრამ ვენდობი. მათი მცველები ყურადღებას ადევნებენ, რათა არ დალიონ, არ მოწიონ, ჩემმა ვაჟმა კი მეგობარი გოგონა არ გაიჩინოს, ამას ხომ ისლამი კრძალავს.

ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებით ორი ცოლი ერთდროულად არასოდეს მეყოლება, ახლა არც ერთი არ მყავს, უახლოეს მომავალში დაქორწინებას არ ვაპირებ. ძალიან მიყვარს დედაჩემი, რომელიც კაცივით ძლიერი ბუნებით გამოირჩევა. ძალიან არ მიყვარს სუსტი, ყველაფრით კმაყოფილი ქალები.

მეც საკმაოდ ძლიერი და რელიგიური პიროვნება ვარ. ყოველთვის ოპტიმისტი ვარ, არასოდეს ვეჭვიანობ, ბევრს ვვარჯიშობ, მკაცრ რეჟიმს ვიცავ, დღეში 1.000 კალორიაზე მეტს არ ვილებ. სიკვდილის სულ არ მეშინია. ერთ დღეს ხომ უნდა მოვკვდე? თუ ღმერთი გწამთ, ბედისაც გჯერათ, ღმერთი მაშინ წაგიყვანთ, როცა მოისურვებს.

— **ამბობენ, რომ საუდელი მილიარდერი ბენ ლადენი ყველა ტერორისტული აქტის ტვინია.**

— ის მილიარდერი კი არა, მილიონერია. მეც გავიგე, რომ ტერორისტულ აქტებს მართავსო, მაგრამ დამადასტურებელი მასალები არ გამაჩნია. არც ვიცნობ. ღმერთმა დამიფაროს! მაჰმადიანი კი ვარ, მაგრამ ექსტრემისტი არ გახლავართ, ყოველგვარ ინტეგრიზმსა და ექსტრემიზმს უარვყოფ.

# თქვენი იმიჯი

**თუ საქმიანი ადამიანი ბრძანდებით, აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება თქვენს ქცევას, გარეგნობას.**

**პარტნიორები თქვენდამი კეთილად რომ განეწყონ, ჟესტიკულაცია დახვეწილი, გააზრებული და ზომიერი უნდა გქონდეთ.**

**ნუ იქნევთ ხელებს, ნურც სახეზე აიფარებთ — ეს, შესაძლოა, სხვაგვარად აღიქვან, თითქოს თავს იცავთ ან ცრუობთ.**

**დაუკვირდით საუბრის ტონს, ძალიან ხმამაღლა მერყევი ადამიანები ლაპარაკობენ, ხოლო სწრაფი მეტყველება აგრესიულობის ნიშანია.**

**არ შეაწყვეტინოთ სიტყვა მოსაუბრეს — ეს უზრდელობაა და არა — ძლიერი ხასიათის დასტური.**

**ილაპარაკეთ თავისუფლად, მშვიდად, ხაზი გაუსვით მნიშვნელოვან ასპექტებს, მაშინ მოსაუბრე დაგიჯერებთ.**

**კრებასა ან თათბირზე გამოსვლისას ნუ იხმართ დაზეპირებულ ფრაზებს, ეს ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს.**

**პარტნიორებს და სტუმრებს ნუ შეხვდებით უპიჯაკოდ ან პიჯაკმოსხმული, ეს ცუდი ტონის მაჩვენებელია.**

**არ გირჩევთ მუქი სათვალის გაკეთებას პარტნიორთან საუბრისას. ადამიანის სიწრფელე თვალებში იკითხება და ეს უნდა დაინახოს მოსაუბრემ.**

**რა თქმა უნდა, იმიჯის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს გარდერობს. თუ ჯერჯერობით არა გაქვთ ძვირფასი ტანსაცმლის შესაძენი ფული, იყიდეთ შედარებით იაფფასიანი, მაგრამ გემოვნებით შერჩეული სამოსი. სჯობს უბრალო, მაგრამ დახვეწილი...**

**ნუ დაჯდებით ფეხზე მდგარი მანდილოსნის წინაშე, ნურც შარვლის ჯიბეში ჩაიყოფთ ხელს.**

**პარტნიორთან და ქალთან საუბრისას ნუ მოსწევთ სიგარეტს, ქუდიც მოიხადეთ და თუ ზიხართ, ფეხი ფეხზე არ გადაიდოთ.**

**რესტორანში სადილობისას, თუ მასპინძელი ხართ, ჯერ, როგორც წესი, მანდილოსნები და პარტნიორები გაატარეთ კარში, მერე თქვენ შედით. რესტორნიდან პირველი მასპინძელი გამოდის.**

# ვინ არის მოჰამედ ომარი?

ყანდაგარის მახლობლად მდებარე პატარა დასახლება სინგეზარიდან იღებს სათავეს თალიბებისა და მათი თავკაცის, მოჰამედ ომარის ისტორია. ახალგაზრდა მოლა ოჯახითურთ აქ საბჭოთა ჯარების მოსვლამდე, 1979 წელს დასახლდა. ეს აძლევს მას იმის საბაბს, რომ რისხვით მოიხსენიოს „ურწმუნოები", რომელთა ეშელონები მისი სახლიდან ორი კილომეტრის დაშორებით ჩაიქროლებდნენ ხოლმე. ერთ-ერთი დაბომბვის დროს თვალი დაკარგა. ომარი მოჯაჰედების რიგებში შევიდა და საბჭოთა ჯარის კოლონიების რისხვად იქცა. ავღანეთიდან მათი წასვლის შემდეგ ომარისთვის ჯიჰადი (წმინდა ომი) დამთავრდა, იგი მეგობრებთან ერთად სინგეზარში დარჩა, ზოგს დიდი თანამდებობა უჭირავს, ზოგიც მისი მცველია. მანამდე ყველასთვის უცნობმა მოლამ სახელი გაითქვა არა მარტო საბჭოთა ჯარისკაცებთან, არამედ ადგილობრივი ბანდების წინააღმდეგ ბრძოლითაც, რომლებიც გერათ-ყანდაგარის გზაზე ყაჩაღობდნენ. არსებობს ლეგენდა, თითქოს ომარს წინასწარმეტყველი მოევლინა და უბრძანა, მოთარეშე ბანდები გაანადგურეო. ლეგენდა იმაზე არაფერს ამბობს, რომ ომარის მიზანი იმხანად პაკისტანის მთავრობის მინისტრ ნ. ბაბარის სურვილს დაემთხვა. გენერალს სურდა, ბანდიტებისაგან გაწმენდილიყო სავაჭრო გზა, რომელიც პაკისტანს ცენტრალური აზიის რესპუბლიკებთან აკავშირებდა. გენერალმა სწრაფად შეკრიბა თალიბები (იმ პერიოდში სასულიერო სკოლების სტუდენტები), რადგან ავღანელი ლტოლვილები პაკისტანში სწავლობდნენ. მოლა ომარი ახლა 37 წლისაა. იგი სათავეში მოექცა მოძრაობას, რომელიც ამჟამად თითქმის მთელ ავღანეთს აკონტროლებს. შარშან „მისი" მეჩეთი ერთი მდიდარი კაცის ფულით ხელახლა ააგეს. ომარი აქ თითქმის ყოველდღე მოდის ყურანის საკითხავად. ომისაგან თავისუფალ დროს ადგილობრივი მედრესეს (რელიგიური სკოლა) მოსწავლეებიც სწავლობენ ყურანს. თალიბების მოსვლის შემდეგ სინგეზარის რაიონში 15 მედრესე აშენდა, რომლებშიც 1.500 მოსწავლეა,



ჩვეულებრივი სკოლები დაიხურა. ომარს სამი ცოლი, 5 ვაჟი და ერთი გოგონა ჰყავს. ამბობენ, თავმდაბალი კაცია, დაღუპული ამხანაგების საფლავების მოსანახულებლადაც ყოველთვის დადისო. სინგეზარს არაფრით დასტყობია, რომ აქ თალიბების ბელადი ცხოვრობს, კვლავაც ოღროჩოღრო გზებით მიდიან თიხით ნაშენები ქოხმახებისაკენ. ქალები შინ სხედან, თუ გარეთ გამოდიან, თავით ფეხებამდე ჩადრში ეხვევიან. გოგონები არც მანამდე დადიოდნენ სკოლაში, ახლა — მით უმეტეს, მათ 14-15 წლისას ათხოვებენ. ომარი თხელი, მაღალი კაცია, გრძელ წვერსატარებს, ცოტას ლაპარაკობს, ისიც ძალიან დაბალი ხმით. კარგად იცნობს ავღანეთს, მაგრამ გარე სამყაროსი თითქმის არაფერი იცის. რელიგიური თვალსაზრისით — ფანატიკოსია, ამ საკითხში მისთვის კომპრომისი არ არსებობს. ჯერჯერობით, ქაბულში გადასახლების სურვილი არა აქვს, მაგრამ არც დედაქალაქის სადმე გადატანას ფიქრობს. მსგავსი საკითხი უკვე იდგა დღის წესრიგში, მაგრამ როგორც ჩანს, თალიბები გარკვეულად მხარს უჭერენ ორხელისუფლებიანობას. ქაბულში არსებულ ყველა სამინისტროს წარმომადგენელი ჰყავს ქალაქ ყანდაგარში, სადაც ომარს რეზიდენცია აუშენა საუდელმა მილიონერმა ბენ ლადენმა. ამიერიდან ყანდაგარს რჩება საბოლოო სიტყვა, რადგან ომარი ახლა იქ ცხოვრობს.

# მსოფლიო მნიშვნელობის პენსიონერები

**განვითარებული ქვეყნის პრეზიდენტებსა და პრემიერებს, როცა სავარძელს ტოვებენ, მომავლის შიში არა აქვთ. მათ წყნარი და უზრუნველი ცხოვრება ელით. ამიტომ პოლიტიკური პენსიონერების კატეგორიაში გადასვლას ფილოსოფიურად ხვდებიან და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც შეუდგნენ, მაგრამ ექს-ლიდერებს არსად არ ათავისუფლებენ ჩადენილი დანაშაულისაგან.**



**ჰელმუტ კოლი,** რომელმაც პატიოსნად იღვაწა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის პოსტზე 16 წელიწადი და 16 დღე, სოლიდურ პენსიას მიიღებს. ამასთან, იგი ბუნდესლიგის დეპუტატთა პარტიულ ნუსხაშიც რჩება. როგორც პენსიონერი და დეპუტატი, იგი ყოველთვიურად 20 ათას მარკას მიიღებს (12 ათასი დოლარი). გერმანია ექს-კანცლერებს არ უზრუნველყოფს სახელმწიფო ბინით, მაგრამ კოლს ნება დართეს ჰქონდეს ბინა სახელმწიფო რეზიდენციაში, სადაც ჯერჯერობით ცხოვრობს ახლანდელი კანცლერი გერჰარდ შრეიდერი (იგი მალე მთავრობასთან ერთად ბერლინში გადავა). კოლი ჯერჯერობით, შენობის უკანა გასასვლელით სარგებლობს, ადგილის სიმცირის გამო იმ უზარმაზარ აკვარიუმზეც მოუხდა უარის თქმა, რომელიც მის კაბინეტში იდგა. ექს-კანცლერი შენობის არენდაში თვიურად 2.600 მარკას (1.577 დოლარს) იხდის.

საფრანგეთის ექს-პრეზიდენტს **ვალერი ჟისკარ დ' ესტენს** სახელმწიფო მოღვაწეობა არ მიუტოვებია, იგი რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს წევრია. თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 70 ათასი ფრანკი (14 ათასამდე დოლარი) ეძლევა. ამ თანხის ნახევარი პენსიაა, მეორე ნახევარი საკონსტიტუციო საბჭოს წევრის ხელფასი. უმეტეს დროს ქალაქ კლერმონ-ფერანში ატარებს. მის განკარგულებაშია სახელმწიფოს კუთვნილი შენობა, მანქანა, მცველი და მდივანი. პარიზში კიდევ ერთი მანქანა ემსახურება, ჰყავს მდივანიც, რომელსაც ბინის ქირას სახელმწიფო უხდის.

ამერიკის ექს-პრეზიდენტების **რონალდ რეიგანის, ჯიმი კარტერის, ჯერალდ ფორდისა** და **ჯორჯ ბუშის** პენსია ფედერალური მთავრობის მინისტრების ხელფასს უთანაბრდება. ექს-პრეზიდენტის განკარგულებაშია მთელი პერსონალი (მდივნებით დაწყებული, დამლაგებლებით დამთავრებული). მათ შესანახად თვიურად ექს-პრეზიდენტს 8 ათასი დოლარი ეძლევა. ყოფილი პრეზიდენტებისა და მათი ოჯახის წევრების მცველებს სახელმწიფო თვითონ უხდის, წლიურად ამ მიზნით 500 ათასი დოლარია განსაზღვრული. ფედერალური ბიუჯეტი ყოფილ პრეზიდენტებს უზრუნველყოფს აგრეთვე ოფისით, იმ პირობით, თუ იგი ამერიკის ტერიტორიაზეა განლაგებული.



ექს-პრეზიდენტის სიკვდილის შემთხვევაში მისი ქვრივი ფინანსთა სამინისტროსაგან წლიურად 20 ათას დოლარს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის საკუთარ პენსიაზე. ქვრივს სიცოცხლის მანძილზე ეყოლება დაცვა თუ ხელახლა არ გათხოვდა. ექს-პრეზიდენტის შვილებს ჰყავთ დაცვა სრულწლოვანების მიღწევამდე.

თუ პრეზიდენტი ვადამდე გადადგა, მას არც პენსია ექნება და არც სხვა პრივილეგიები. ასე დაემართა რიჩარდ ნიქსონს, როცა იძულებული გახდა, გადამდგარიყო იმპიჩმენტის საფრთხის გამო, უოთერგეითის სკანდალთან დაკავშირებით. ნიქსონს ძალიან გაუჭირდა და იძულებული გახდა თვითონ შეენახა თავი. წერდა მემუარებს, გაყიდა სახლი, იძლეოდა ფასიან ინტერვიუებს.

იაპონიის მოქმედ პრემიერ-მინისტრს წელიწადში ხელფასი 20 მლნ იენი (დაახლოებით 180 ათასი დოლარი) აქვს. მის განკარგულებაშია ოფიციალური რეზიდენცია ტოკიოს ცენტრში და მანქანა. გადადგომის შემდეგ მას ეძლევა პარლამენტის დეპუტატის ხელფასი და პენსია, რომლის რაოდენობას არ ამხელენ. რაც შეეხება პოლიტიკურ გარანტიებს, ამას უზრუნველყოფს იაპონიის სტაბილური დემოკრატიული სისტემა. მაგრამ ისევე, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში, არც დეპუტატის მანდატი და არც პრემიერ-მინისტრის პოსტი არ ათავისუფლებს მას ჩადენილი დანაშაულისაგან. მაგალითად, პრემიერ-მინისტრი **კაკუეი ტანაკი** 70-იანი წლების დამლევს ამერიკის საავიაციო ფირმისაგან ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს, იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო. სასამართლომ მას დიდი რაოდენობით ფულადი ჯარიმა და პატიმრობა მიუსაჯა.

მათ ამ ზაფხულს განაცხადეს, რომ განქორწინებას აპირებდნენ, მაგრამ თავიანთი გოგონების სიყვარულით კვლავ ერთად არიან. პარიზში სხვადასხვა სასტუმროში ცხოვრობენ. ერთად სადილობენ. ყველას ისეთი შთაბეჭდილება რჩება,

## თურმე ბედნიერი განქორწინება არსებობს



რომ კვლავ ერთად არიან, თუმცა სევდა გამოსჭვივის მათ საუბარში, თითოეულ ჟესტში...

ორი ვარსკვლავი ერთად ვერ იარსებებს. მათ კი 11 წელი გაძლეს...

პარიზის მშვენიერ სალამოს კი ბრიუსის გვერდით დემი უნაზესი დედაა. ბრიუსი მზრუნველი მამაა, სწორედ ეს გახლავთ მისი საყვარელი საქმიანობა. იგიც ისევე უვლის ბავშვებს, როგორც დემი. წყვილი წინასწარ ზრუნავს, რომ მათი გადაღებები ერთმანეთს არ დაემთხვეს. ახლაც ბრიუსს რამდენიმე თავისუფალი დღე აღმოაჩნდა ფილმის გადაღების დაწყებამდე და მაშინვე პარიზს მიაშურა.

მაგარი ბიჭის გარეგნობის მიღმა თურმე ძალზე მოკრძალებული ადამიანი იმალება, რომელიც უხერხულობას ხუმრობით წილბავს, მხოლოდ მას შეუძლია ბუნდჯნათავნაკრულს მომხიბლავი დარჩეს. გოგონებს ბრიუსი ართობს, აუზში ყვინთვას ასწავლის, საღამოთი დემისთან მიჰყავს და თავის სასტუმროში ბრუნდება. ხშირად 10 საათზე უკვე საწოლშია, მაგრამ ნაშუაღამევს ელვიძება — მხეცები ღამით ნადირობენ — და ღამის ბარში მიდის.

ბრიუსი და დემი ვერაფრით უსვამენ წერტილს თავიანთ ურთიერთობას. ბრიუსი ხშირად იმეორებს: დემი შესანიშნავია, გოგონებიც შესანიშნავები არიან. ყველა ძალიან მიყვარს მათ გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია, მაგრამ ეს დასასრულიაო. თუმცა ერთკვირიანი ყოფნა პარიზში ნამდვილი იდილია იყო და განშორებას კი არა, საქორწინო მოგზაურობას უფრო მოგაგონებდათ. დაცილებას უფრო მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე დაახლოებისას დასჭირდათ. ერთ თვეში მოხიბლა ბრიუსმა დემი. სამ თვეში იქორწინეს კიდეც.

ულისებს ბედნიერებისათვის ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ ცხოვრებამ სხვაგვარად ინება...

*ისი პარი*

## უიტნის დაბრუნება



ნიუ-იორკში, უიტნი ჰიუსტონის სალამოს წინ პროდიუსერები ძალიან ღელავდნენ, — შეძლებს უიტნი კვლავ ძველებურად სიმღერას? და ეს ნერვიულობა საფუძველს არ იყო მოკლებული. უიტნის ბოლო ალბომის გამოსვლის შემდეგ ხომ 8 წელი გავიდა. ამასობაში, გათხოვდა, დედა გახდა და მთელი ეს ხანი ნიუ-ჯერსიში ცხოვრობს — თავის მეუღლესთან, ყოფილ რეპერ ბობი ბრაუნთან ერთად. ისინი ხან შორდებიან ერთმანეთს, ხან რიგდებიან. მათი ოჯახური ცხოვრების შესახებ ზუსტად არავინ არაფერი იცის. დღემდე მსოფლიოში უიტნი ჰიუსტონის 100 მლნ ფირფიტაა გაყიდული. უეჭველია, ამ კომპაქტდისკსაც წარმატება ელის.

უიტნის სალამოს 500 ჟურნალისტი ესწრებოდა. ფირმა „არისტას" შავი მუსიკის მენეჯერმა უიტნიზე ისაუბრა: „ჰიუსტონმა დიდი ხნის წინ შემოაღო კარი შავკანიანთა მუსიკაში. მისი სცენიდან წასვლის შემდეგ ბევრმა ახალგაზრდამ მიაღწია წარმატებას, ახლა კვლავ უიტნის ჯერია".

მხიარული, ლაღი გოგონას ნაცვლად სცენაზე იდგა ენერგიული ლედი, რომლისთვისაც მუსიკა ბიზნესია და არა შინაგანი მოთხოვნილება. მისი ხმა უფრო და გაბედულად ჟღერდა, ოღონდ აკლდა ის გულწრფელობა და შთაგონება, რაც ასე ხიბლავდა მსმენელს მის სიმღერაში.

ალბომში, „ჩემი სიყვარული — შენი სიყვარულია", 13 სიმღერაა. უიტნი ბრწყინვალედ მღერის ფიქრიან, გულისამაჩუყებელ ჰანგებს, კლასიკურ ბალადებს. თითოეულ ზონგი ისეა ტექსტით დატვირთული, რომ იბადება შეგრძნება, — მომღერალს თავისი გულის ნადების, თავისი გამოცდილების მსმენელისთვის გაზიარება უნდა. ამ ალბომის ერთ-ერთი მშვენებაა „როცა დამტოვებ". ეს სიმღერა ფილმ „ეგვიპტელი პრინცი"-დანაა და მას ორი ვარსკვლავი, შავი უიტნი და თეთრი მერაია ქერი ასრულებენ. ამ სიმღერისთვის უფრო უკეთესი ორი ხმის პოვნა მართლაც შეუძლებელი იყო.

ჰიუსტონს ახლა მეოთხე ფილმში იღებენ.

უიტნის კომპაქტ-დისკის დასაწყისში ისმის პატარა ბავშვის ნამღერი. „ეს ჩემი ქალიშვილი ბობი ქრისტინაა. იგი 5 წლისაა, ჩაწერის დროს სტუდიაში იყო და მითხრა, — დედიკო, მეც მინდა ვიმღეროო. პროდიუსერმა ვაისლეფმა ქრისტინას სიმღერის ნება დართო".

ასე რომ, შეიძლება მალე ქალიშვილმა უიტნის მემკვიდრემ დაიპყროს.

*პარი მატჩი №25/89*

## დიდი ვარსკვლავი — ენტონი ჰოპკინსი

დახვეწილი ინტელექტუალი, ინგლისური თეატრის ბრწყინვალე მსახიობი ენტონი ჰოპკინსი ჰოლივუდმა მხოლოდ 1991 წელს აღმოაჩინა, როცა იგი უკვე 54 წლისა იყო, „კრავთა მდუმარებაში" განხორციელებული როლისათვის მას „ოსკარი" მიენიჭა.

ენტონი ღარიბ ოჯახში დაიბადა. ბავშვობაში მოუქნელი და უშნო იყო. დიდი თავი ჰქონდა და მის მშობლიურ სამხრეთ უელსში თანატოლები „თვალებგადმოკარკლულ ფუნთუშას" ეძახდნენ. ტანმორჩილი იყო. ამხანაგები ყოველთვის ზემოდან დაჰყურებდნენ და ისიც სულ იმას ცდილობდა, როგორმე მათი დაცინვა აეშორებინა. უკვე სახელგანთქმულმა ენტონიმ განაცხადა, დიდებას მხოლოდ იმიტომ ვესწრაფოდი, რომ მსურდა, მათ საფლავზე კადრილი მეცეკვა, ვინც ბავშობაში ქვებს მესროდაო.



დაკომპლექსებული, ნერვული ბიჭუნას ერთადერთი სიამოვნება წიგნების კითხვა იყო. წიგნებს ის სხვა სამყაროში გადაჰყავდა... ენტონიმ ლონდონის დრამატული ხელოვნების აკადემია დაამთავრა და თეატრში დაიწყო მუშაობა. თითქმის 25 წელი იმსახურა ამ თეატრში, იმის მიუხედავად, რომ ხშირად იწვევდნენ ბროდვეიზე. თეატრის პარალელურად ის კინოკარიერაზე ოცნებობდა, მაგრამ მეორეხარისხოვან როლებს ვერ გასცდა. დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ღვინოში ახშობდა. ალკოჰოლმა ჯანმრთელობა შეურყია. ცოლმა და ქალიშვილმა მიატოვეს, თეატრიდანაც გააგდეს. ყველას მობეზრდა მისი გაუთავებელი სიმთვრალე. მხოლოდ ერთადერთი მეგობარი — რეჟისორი რიჩარდ ატენბორო დაუდგა გვერდში. აიძულა ენტონი, სამკურნალოდ კლინიკაში დაწოლილიყო და იქიდან გამოსულს მაშინვე მისცა როლი ფილმში „ახალგაზრდა უინსტონი". 1980 წელს ჰოპკინსი ახალგაზრდა ამერიკელმა რეჟისორმა დევიდ ლინჩმა მთავარ როლზე მიიწვია ფილმში „ადამიანი-სპილო". სურათი „ოსკარის" 8 ნომინაციაზე წარადგინეს.

ვერც ამ ფილმის წარმატებამ გაუხსნა ჰოპკინსს გზა ჰოლივუდისაკენ. მხოლოდ 1991 წელს დაიქუხა მისმა სახელმა მკვლელი-ფსიქოპათი ლექტერის როლში. ჰოპკინსის მონაწილეობის გარეშე ჯონათან დემის ფილმი ალბათ, ჩვეულებრივი დეტექტივი იქნებოდა. მსახიობმა იგი შედევრად აქცია. ამ როლს ისეთი სიღრმით მიუდგა, როგორითაც შექსპირის გმირებს ასახიერებდა თეატრში. „კრავთა მდუმარებამ" ჰოპკინსი ვარსკვლავად აქცია.

წარმატება გვიან ეწვია ჭაღარა ჰოპკინსს. ლონდონში დატოვა მეუღლე ჯენიფერ ლეისონი (ეს იყო მეორე ქორწინება და 25 წელიწადს გრძელდებოდა) და სრული შეგნებით შესწირა მსხვერპლად ხელოვნებას პირადი ბედნიერება. მას გაუთავებლად იღებენ. ბრუნდება დაქანცული შინ (იძულებული იყო კალიფორნიაში სახლი შეეძინა), ცარიელ სახლში, სამშობლოში და ცოლთან მხოლოდ დღესასწაულებზე მიფრინავს. ოლივერ სთოუნმა რიჩარდ ნიქსონის როლში გადაიღო, ჯეიმს აივორმა პაბლო პიკასო ათამაშა, ტელევიზიაში ჰიტლერიც კი განასახიერა. ენტონის ახლა არჩევანის საშუალება აქვს, — კაფკას „პროცესი", ბ. სტოკერის „დრაკულა", ვ. ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი". მისთვის უცხო ლოს-ანჯელესში ჰოპკინსი მოუსვენრადაა, სიამოვნებას მხოლოდ ლონდონში დარჩენილ მეუღლესთან სატელეფონო საუბრები ანიჭებს.

ენტონი ჰოპკინსმა განაცხადა, რომ დამდეგი წლის დასაწყისში, დაასრულებს თუ არა მორიგ ფილმზე მუშაობას, იგი სამუდამოდ გამოეთხოვება კინემატოგრაფს.

„რა საქმეს მოვეკიდები ჯერ არ გადამიწყვეტია... იქნებ მუსიკას ჩავუჯდე, იქნებ წიგნის წერას მოვკიდო ხელი... ფული საკმარისზე მეტი მაქვს. უბრალოდ ძალიან დავიღალე, ხუმრობა არ არის 35 წელიწადი იდგე გადასაღებ მოედანზე."

*ტვ პარკი №50*

## კალასი და პარიზი



**53** წლის მარია კალასი 1977 წლის სექტემბერში გარდაიცვალა პარიზში. გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებით საფრანგეთის დედაქალაქმა პატივი მიაგო ლეგენდარულ მომღერალს, რომელსაც პარიზი ძალიან უყვარდა. გამართა რამდენიმე კონცერტი, ერთ-ერთ მოედანს მიენიჭა მისი სახელი, ქალაქის მერიაში გაიხსნა კალასისადმი მიძღვნილი გამოფენა.

„კალასის გზა კომეტის გაელვებასავით ხანმოკლე, კაშკაშა და დაუვიწყარი იყო. ღვთაებრიობის მისაღწევად მან ყველანაირი მსხვერპლი გაიღო", — წერდა ფრანგი მსახიობი ედვიჟ ფოიერი. ამბობენ, რომ ლირიკული ხელოვნების ვარსკვლავს უიშვიათესი (სამ ოქტავამდე დიაპაზონის) ხმა ჰქონდა და ვიოლინოს, ვიოლონჩელოს და ფლეიტის ჟღერადობას ერთდროულად გამოსცემდა.

მარია კალასს თავდავიწყებით უყვარდა გალთა ქვეყანა. ჯერ კიდევ ათენში შეისწავლა ფრანგული ენა. ერთხელ მან უარი თქვა ნიუ-იორკში სიმღერაზე, პარიზს მიაშურა და თავისი ჯადოსნური ხმით მოხიბლა მსმენელი.

იგი სცენაზე ჩვეულებისამებრ, სრულად იხარჯებოდა.

1958 წლის 19 დეკემბერს საფრანგეთის ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადიოდა კალასის კონცერტი. მაყურებლის აღფრთოვანებამ და ოვაციამ ზენიტს მიაღწია.

შეიქმნა ნამდვილი იდილია: კალასი და პარიზი. ასევე მოხიბლა კალასმა გემთმფლობელი და მილიარდერი არისტოტელე ონასისი. [illegible] ოპერის ღვთაებას პარიზმა მხოლოდ სიხარული როდი მიანიჭა. 1965 წელს „ნორმაში" პარტიის შესრულებისას კალასს ხმა ჩაუწყდა და სცენა დატოვა... სამი წლის შემდეგ ონასისმაც მიატოვა, — კენედის ქვრივი შეირთო ცოლად.

1973-74 წლებში გამართულმა სოლო- კონცერტებმა კალასს აღრინდელი დიდება ველარ დაუბრუნა. 1976 წელს მწუხარებით თქვა: „ხმა დავკარგე. ახლა სიკვდილიღა დამრჩა". „ეს შესანიშნავი ტრაგიკოსი, როგორც ხმით, ასევე შესრულების მანერით, მედეასავით შეეწირა სიყვარულს, რომელმაც მოსტაცა მთელი ძალა და ხიბლი", — წერდა რეჟისორი მარგარეტა უოლმანი.

თუმცა მსმენელმა ვერ დაივიწყა მომღერალი, რომელიც გულგრილს არავის ტოვებდა. ფირფიტების ფირმამ განაახლა ჩანაწერები. ყოველწლიურად კალასის 750.000 ფირფიტა იყიდება.

*ობსერვატორი*

## შესაძლოა, თავად ვარ შემთხვევითობა

1998 წელს პოპულარულმა ფრანგმა მომღერალმა, კომპოზიტორმა და მსახიობმა **შარლ აზნავურმა** მსოფლიო ტურნე მოაწყო, „ლაბელ ფრანსის" კორესპონდენტი ესაუბრა მომღერალს.

**— 50 წლიანი კარიერის შემდეგ სიმღერა არ მოგბეზრდათ?**

— სიმღერას 50 კი არა, 64 წელი მოვანდომე, 50 წელი კი სიმღერების წერას. დიახ, სიმღერა ადრინდებულად მსიამოვნებს, შეიძლება მეტადაც. არადა, რომ არ მემღერა, შინ რა უნდა მეკეთებინა? პენსიაზე გასვლა ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. სცენაზე უდიდეს ფიზიკურ სიამოვნებას ვღებულობ.

როგორც არ უნდა დამქანცოს მოგზაურობამ, ორი კვირა სრულიად მყოფნის ძალების აღსადგენად. ახლაც პორტუგალიიდან გადაღებებიდან დავბრუნდი. მომავალი გასტროლების რეკლამისათვის ვზრუნავ, ქალაქ ლილის ხეიბარი ბავშვების ასოციაციის საქმეებს ვაგვარებ. უამრავი შეხვედრა მაქვს. ზომიერი ცხოვრების წესის გამო არ მიჭირს, ნაკლებად ვიღლები. სადილზე მხოლოდ ერთ ჭიქა წითელ ღვინოს ვსვამ, ერთ თავ კერძს გეახლებით და ჩაროზს არ ვეკარები. გასტროლების დროს კი დიეტაზე უარს ვამბობ.



მეუღლესთან ერთად ყოველთვის რესტორანში ვსადილობ, უფრო ხშირად იტალიურ ან ფრანგულ სამზარეულოს ვირჩევთ. გასტროლების დროს ყველაზე სასიამოვნო — სიახლეების აღმოჩენაა.

**— კონცერტს ყოველთვის თქვენი და ედიტ პიაფის ვირტუოზული დუეტის ჩანაწერით იწყებთ — „შენს თვალებზე ცისფერი" ასე ჰქვია ამ სიმღერას. ედიტ პიაფს თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ქალად თვლით?**

— გარკვეული მნიშვნელობით, კი. ეს სიმღერა მეც მიყვარს, მსმენელსაც. ყველგან ამ სიმღერის შესრულებას მთხოვენ, მაგრამ შეუძლებელია. ედიტი ვერ მოდის...

**— თქვენი ოჯახი თუ მღეროდა?**

— დიახ, სიმღერაც და რესტორანიც ოჯახური საქმიანობა იყო. ბაბუაჩემი რუსული რესტორნის მეპატრონე იყო, მამაჩემიც. მას ბარიტონი ჰქონდა. დედაჩემსაც პატარაობიდანვე ვუსმენდი, როცა სპექტაკლებში სომხურ და რუსულ სიმღერებს ასრულებდა. ისინი მოგზაურობდნენ საფრანგეთის იმ ქალაქებში, სადაც სომხური სათვისტომო ძლიერი იყო. მეც 9 წლისამ დავიწყე სპექტაკლებში მონაწილეობა.

**— თქვენ სომხებსაც გვერდში ამოუდექით.**

— სომხეთი პირველად 1963 წელს აღმოვაჩინე, საბჭოთა კავშირში გასტროლებზე ყოფნისას. ვიცოდი გენოციდის ამბავი, მაგრამ მებრძოლი არასდროს ვყოფილვარ. პატივის მიგება შემიძლია, მაგრამ ქუჩაში საპროტესტო გამოსვლები ჩემი საქმე არ არის. საშინელი მიწისძვრისა და ყარაბაღის ამბების შემდეგ განზე დგომა აღარ შემეძლო. დღეს სომხეთი თავისუფალია, ამაზე ოცნებაც კი არ შემეძლო.

**— თქვენ მსოფლიოში ცნობილი ხართ. საერთაშორისო წარმატებას შემთხვევითობად ხომ არ თვლით?**

— ჩემს ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება, შესაძლოა თვით მე ვარ შემთხვევითობა. საზღვარგარეთ გასტროლებზე წასვლა 1962 წელს გადავწყვიტე. საერთოდ, ფულის ხარჯვა მიყვარს, მაგრამ დარბაზების დასაქირავებლად ფულის დაგროვება დავიწყე. იმპრესარიო მეუბნებოდა, ნიუ-იორკში არავინ გეძახისო. დავიქირავე კარნეგი-ჰოლი, 150 ჟურნალისტი კერძო თვითმფრინავში ჩავისვი და დარბაზიც გაივსო. ინგლისური არ ვიცოდი. სცენაზე პიუპიტრი დავიდგი და ტექსტებს ვკითხულობდი. ამერიკელებმა ეს სავსებით ბუნებრივ ჟესტად ჩამითვალეს. მერე ინგლისურიც ვისწავლე, ხოლო ბევრ ქვეყანაში სიმღერებს ადგილობრივ ენაზე ვასრულებ.

**— თქვენ გვირგვინოსნებისა და სახელმწიფო მეთაურების წინაშეც გიმღერიათ. რომელი იყო ყველაზე ღირსშესანიშნავი შეხვედრა?**

— გენერალ დე გოლთან. მე ვარ ერთ-ერთი იმათთაგანი, ვინც აღფრთოვანებულია მისით, როგორც ადამიანითა და როგორც განმათავისუფლებლით. მიყვარს და მორჩა. ინგლისის დედოფალს მხოლოდ ხელი ჩამოვართვი. პრეზიდენტი კლინტონი ჩემს კონცერტზე მოვიდა და მერე თეთრ სახლში მიმიპატიჟა.

**— ყოველთვის გწამდათ, რომ დიდი ნიჭი გქონდათ?**

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. ყოველთვის მჯეროდა, რომ მომღერლობა, მსახიობობა, წერა მსურდა.

**— ბოლო ალბომში ქალთა უფლებების დაცვაზეც ამღერდით. ფემინიზმის დამცველად გამოდიხართ?**

— არა, მე მამაკაცის პოზიციიდან ვუყურებ ამ საკითხს, მწამს, რომ ქალებსა და კაცებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ. თუმცა გადამლაშება ნამდვილად არ ღირს. მიყვარს, როცა ქალს ქალურობა, მიმზიდველობა შენარჩუნებული აქვს. ვერ ვიტან, როცა ზოგიერთი საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას ცდილობს და მიაჩნია, რომ საერთოდ ის არის საუკეთესო, თუმცა ზოგიერთი ქალი მართლაც სჯობს ბევრ მამაკაცს.

**— 1964 წელს სიმღერის „დედა" მილიონი ფირფიტა გაიყიდა. ასეთი საოცარი სიმღერები როგორ იბადება?**

— მილიონი კი არა, მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი. როცა ახალ სიმღერას ვქმნი, სულ იმას ვფიქრობ, გამოიწვევს თუ არა განსაკუთრებულ ემოციებს, რეაქციას. სიმღერებს გასაყიდად კი არა, სცენაზე შესასრულებლად ვწერ.

**— თქვენ ბევრს თამაშობთ კინოშიც და ტელეფილმებშიც. როლებს როგორ ირჩევთ?**

— სცენარის წაკითხვის შემდეგ. როგორც ჟან გაბენი ამბობდა, ფილმში სამი რამაა მთავარი: ამბავი, ამბავი და ამბავი. მრავალ რეჟისორთან ვმეგობრობ. მაგალითად, ტრიუფოსთან...

შარლ აზნავური ექვსასზე მეტი სიმღერისა და ათასი კომპოზიციის ავტორია. გამოსულია მისი 30 კომპაქტ-დისკი... იგი საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამოირჩევა. 1988 წლის დეკემბრის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ დაარსა ასოციაცია „აზნავური და სომხეთი", რომლის პრეზიდენტადაც დღემდე რჩება.

*პარი მატჩი №25/88*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაიფის მოყვარულებო, — მიირთვით კავუ-კავუ!

ამბობენ, ამიერიდან კუნძულების — პოლინეზიის, პაპუა-გვინეისა და ფიჯის ექსპორტის მთავარი საგანი არა მინერალური ნედლეული, ეგზოტიკური ხილი და შაქრის ლერწამი, არამედ ველური ბუჩქის — კავუ-კავუს ფესვები იქნებაო.

ახლა დასავლეთში მსუბუქი კაიფის მოყვარულებში ძალზე პოპულარულია სასმელი კავუ-კავუ, რომელსაც ძველთაგანვე ამზადებენ წყნარი ოკეანის კუნძულების მკვიდრნი. ყოველწლიურად დაახლოებით 3.000 კავუ-კავუს ფესვი გააქვთ მხოლოდ ფიჯის კუნძულიდან. არსებითად, კავუ-კავუ მსუბუქი ნარკოტიკია, რომელიც ტონუსს ამაღლებს და ადამიანს დაძაბული შრომის შემდეგ ოდნავ ადუნებს. საბედნიეროდ, ამ სასმელს ავადმყოფურად არავინ მიეჯაჭვება და არც გვერდითი მოვლენები აქვს.

აშშ-ის, დასავლეთ ევროპისა და ავსტრალიის ფარმაცევტული კომპანიები უზარმაზარი პარტიებით ყიდულობენ კავუ-კავუს ფესვს და მის საფუძველზე ამზადებენ მატონიზირებელ აბებსა და გამამხნევებელ სასმელს.

ფიჯელების თქმით, რომლებიც სიამოვნებით აჭაშნიკებენ ამ ღვთიურ სასმელს ვახშმობისას, კავუ-კავუ მადას აღვიძებს და ძილს აწესრიგებს.

მიუხედავად ამისა, კავუ-კავუს ქიმიური შემადგენლობა და ზემოქმედების ხარისხი ადამიანის ორგანიზმზე ჯერ შეუსწავლელია. ის კი დადგენილია, რომ მისი გადამეტებული ხმარება კანის აქერცვლას იწვევს, ზოგჯერ — ფსიქიკის დარღვევასაც.

*პოსლედნიე ნოვოსტი №48*



# მეხსიერების მარადიულობა

მრავალი წლის განმავლობაში ნეირობიოლოგები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხანში შესვლისას ცხოველები ან ადამიანები ტვინის უჯრედებს კარგავენ, ახალი უჯრედები კი უკვე აღარ წარმოიქმნება. მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა საფუძვლიანად შეარყია ძველი ფუნდამენტური ჭეშმარიტება.

მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მაიმუნებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰიპოთალამუსში, ტვინის იმ სფეროში, სადაც ხანგრძლივდროიანი მეხსიერება ინახება, წარმოექმნებათ ახალი უჯრედები. უფრო მეტიც, გაირკვა, რომ მაიმუნებში ძლიერი სტრესის დროს ახალი ტვინის უჯრედების პროდუცირება წყდება.

მეცნიერების აზრით, ადვილი სავარაუდოა, რომ ამ მხრივ ადამიანები არ განსხვავდებიან მაიმუნებისაგან. შესაბამისად, მათაც გამოუმუშავდებათ ტვინის ახალი უჯრედები. ეს იმის იმედს იძლევა, რომ ოდესმე შესაძლებელი გახდება ისეთი დაავადებების განკურნება, როგორიც ალცჰაიმერი ან პარკინსონია, ასევე ტვინის დაზიანება ინსულტებისა და ტრავმების შემდეგ. ეს ფაქტი იმასაც ცხადყოფს, რომ ნეირობიოლოგებმა ამჯერად უნდა გადასინჯონ თავიანთი შეხედულებანი იმის თაობაზე, თუ რა ცვლილებები მიმდინარეობს ტვინში ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების შემდგომ.

*ზდოროვიე №11*

# „სომატის" დღემდე აუხსნელი მდგომარეობა

კაცობრიობის ცივილიზაციის მკვლევარი, ოფთალმოლოგი ერნსტ მულდაშევი ჰიმალაის მთებში იყო. მისი აზრით, ჰიმალაის გამოქვაბულებში შემონახულია ე.წ. კაცობრიობის გენოფონდი. მულდაშევის მორიგი ექსპედიციის მიზანია, თავად ნახოს, გადაიღოს ვიდეოფირზე ადრინდელი ცივილიზაციის ადამიანთა სხეულები და მათი გენოფონდი გამოიკვლიოს.

„უძველესი დემურიელებიცა და ატლანტებიც, ძველი ცივილიზაციის საუკეთესო წარმომადგენლები, ადვილად გადადიოდნენ „სომატის" მდგომარეობაში. ეს დღემდე ამოუცნობი და მეცნიერთათვის აუხსნელი ფენომენი გახლავთ — ადამიანის სხეულის თვითდაკონსერვების მეთოდი.

ეს ადგილი მთელ დედამიწაზე წმიდათაწმიდა ადგილია. უზენაესი ძალების მიერ დედამიწაზე შექმნილია პირობები გონიერი ცხოვრების შესანარჩუნებლად. გლობალური კატასტროფის დროს უძველესი გენოფონდის წარმომადგენლები კვლავ აღდგებიან, შექმნიან ახალ ცივილიზაციას, რათა კაცობრიობამ განაგრძოს არსებობა.

„სომატი-გამოქვაბულები გარშემორტყმულია უძლიერესი ფსიქოენერგეტიკული ბარიერით. „სომატის" ფენომენის უკეთ გაცნობა ხელს შეუწყობს უკურნებელი სენის განკურნებას.

ყველა ხალხურ თქმულებასა და ლეგენდას რეალური საფუძველი აქვს. სამხრეთინდოელი თანამედროვე წმინდანი საი ბაბა, როგორც ერთ-ერთი ექსპედიციის დროს ვნახეთ, სასწაულებს ახდენდა. აზრს მატერიალურს ხდიდა. საი ბაბას თანაშემწეების აზრით, ცოცხალ ორგანიზმში გადანერგილი ადამიანის ქსოვილი შეიძლება ცნობიერების ღვთიურ ენერგიად გადაიქცეს. ამის მაგალითს ჩვენს მიერ ახლახან გამოგონილი ახალი პრეპარატი „ალოპლანტი" წარმოადგენს, რომელიც დამზადებულია ადამიანის ქსოვილისგან. მას უდიდესი ბიოენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია — ცოცხალ ორგანიზმში გადანერგვისას ძლიერ სამკურნალო ეფექტს იძლევა.

გავიხსენოთ ლეგენდა „ცოცხალი" და „მკვდარი" წყლის შესახებ. ჰიმალაის მიუვალ ადგილებში არსებობდა „მკვდარი" წყლის ტბა. ამ წყალს იოგები სვამენ „სომატის" მდგომარეობაში შესვლის წინ, შინაგანი ნეგატიური ენერგიის ჩამოსაშორებლად. იქვეა „ცოცხალი" წყლის გამოქვაბულიც. ამ წყალს იოგები „სომატიდან" გამოსვლისას იყენებენ... მეცნიერების აზრით, ადამიანის ყოველ უჯრედს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გენი აქვს, — სიკვდილისა და სიცოცხლისა. „მკვდარი" წყალი სიკვდილის გენს, ნეგატიურ, პათოლოგიურ უჯრედებს ამოქმედებს, „ცოცხალი" წყალი კი ნორმალურ უჯრედებს ააქტიურებს. ესეც ჩვენი კვლევის საგანია.

ჩვენი მიზანია, 200-500 წლის წინანდელი ადამიანებისა და „სომატის" მდგომარეობაში თუნდაც მცირე ხნით მყოფთა კვლევა. ეს გამოკვლევები ბევრს შესძენს მედიცინას... ერთი-ორი თვის შემდეგ მოგაწვდით ექსპედიციის შედეგებს", — აცხადებს ერნსტ მულდაშევი.

*არგუმენტი ი ფაქტი №4*

# წმინდა იგნაცია

წამალს ღებულობენ პარკოსანი მცენარის — წმინდა იგნაციისგან.

სამკურნალო ჩვენებებია: ფსიქიკური და ფიზიკური პრობლემები, რომლებიც აღმოცენდება ისეთი ძლიერი ემოციისაგან, როგორიცაა ახლობლის დაღუპვა ან გაუმართლებელი, უპასუხო სიყვარული. იგნაცია ერთხელ და სამუდამოდ ათავისუფლებს ისეთ უარყოფითი ემოციებს, რომლებიც წარმოიშვება ოჯახში ბავშვებს შორის ეჭვიანობის ნიადაგზე. შესანიშნავი ეფექტი აქვს ნოსტალგიით გამოწვეული დაავადებების დროს.

სურვილსა და შესაძლებლობას, იდეალურსა და რეალურს შორის განსხვავებას ხშირად მიჰყავს ადამიანი გულგატეხილობამდე, დეპრესიამდე. ასეთ სიტუაციაში ჰომეოპათიური იგნაცია პიროვნებას ეხმარება მოიკრიბოს მხნეობა, შეხედოს ცხოვრებას უფრო კრიტიკულად და გახადოს მისი შემდგომი მოღვაწეობა ნაყოფიერი.

გაუმართლებელი სიყვარული, პიროვნების გაიდეალება, გაფეტიშება, ძლიერი რომანტიკული გრძნობები იწვევს ფსიქიკური წონასწორობის დარღვევას. იგნაცია ეს ის გოგონაა, რომელიც მოტყუებული დარჩა — შეუყვარდა ცოლშვილიანი მამაკაცი, ან უბრალოდ, შეცდა იმ პიროვნებაში, რომელსაც მთლიანად მიენდო. იგი გამუდმებით ელის შეყვარებულისგან სიყვარულის გამოვლინებას, წინადადებას და როდესაც ასე არ ხდება, სასოწარკვეთილებაში ვარდება, აღარ შესწევს ძალა, დაივიწყოს, თავიდან ამოიგდოს ეს პიროვნება, საცოდავი და მიუსაფარი ხდება. კარგავს ორიენტაციას, არ იცის, საით მიმართოს თავისი ემოციური ენერგია, რადგან აღარ არსებობს „ყურადღების ცენტრი", ბოლოს კარგავს საკუთარ პიროვნებას, აღარ აქვს ის შინაგანი რესურსები, რაც მოეხმარებოდა და გამოიყვანდა ამ სიტუაციიდან. ქალ-იგნაციის შეხედულება სიყვარულზე ასეთია: „სიყვარულს არაფერი აქვს საერთო მოწონებასთან, პატივისცემასთან, ლოგიკურობასთან, ამაშია მისი ღირსება და რა წამალი შეიძლება არსებობდეს იმისათვის, რომ სიყვარული გონებრივ განსჯას დაექვემდებაროს, ის ხომ ირაციონალური ემოციაა".

შეიძლებოდა კიდევ დავთანხმებოდით ასეთ რომანტიკულ ადამიანს, თუ არ გავითვალისწინებდით იმ ფაქტს, რომ პოტენცირებული ჰომეოპათიური პრეპარატები ასე ფუნდამენტურად კურნავენ სწორედ იმიტომ, რომ ზემოქმედებენ ქვეცნობიერის, ინსტინქტის დონეზე, რომელიც მთლიანად მართავს რაციონალურსა და ცნობიერს. მოვიყვანთ მაგალითს კერძო პრაქტიკიდან: 30 წლის ქალბატონს საყვარელ ადამიანთან დაეძაბა ურთიერთობა და შემდგომ მთლიანად გაწყდა მათ შორის კავშირი. ყოველივე ამის შემდგომ არ ჭამდა, არ ეძინა, გულს ველარ უდებდა სამსახურს, აღარ აინტერესებდა არაფერი, ავადმყოფური აკვიატებით ფიქრობდა მხოლოდ დაკარგულ სიყვარულსა და თავის „გატანჯულ" მდგომარეობაზე, გახდა ჭირვეული, პირქუში. ქალბატონი თავდაპირველად უარს აცხადებდა ჰომეოპათიურ მკურნალობაზე, ამბობდა, რომ უსიყვარულოდ მის ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ არც წამალი სჭირდებოდა მის დასავიწყებლად. აუხსნეს, რომ მის გრძნობაზე ზემოქმედებას არავინ აპირებდა, უბრალოდ, ეს მკურნალობა მწუხარების შემსუბუქებაში დაეხმარებოდა. დათანხმდა.

პოტენციური ჰომეოპათიური იგნაციის ფონზე მკურნალობის შედეგი ასეთი იყო: თავიდან სასოწარკვეთილი მდგომარეობა, შემდგომ გულისწყრომა და საკუთარი შეცდომების გაანალიზება (რატომ გააიდეალა და მიუძღვნა ყველაფერი ისეთ ადამიანს, რომელიც ამას არ იმსახურებდა), საკუთარი გრძნობების კონტროლიც შეძლო და ცოტა ხანში ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან ერთად ნორმალური ცხოვრების წესს დაუბრუნდა. იგნაციამ მისცა საშუალება, რომ მწუხარებისა და დეპრესიის ეს პერიოდი უფრო ნაკლებმტკივნეულად გადაეტანა.

ჰომეოპათიას გააჩნია უამრავი პროფილაქტიკური საშუალება საკმაოდ სერიოზული ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებების თავიდან ასაცილებლად და რამდენადაც იგნაცია ემოციურ ტრავმათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს (რომლებიც უამრავია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში), მისი კეთილისმყოფელი გავლენა უდავოდ, დიდია.

*ექიმი-ჰომეოპათი*
*რამაზ ჭილლაძე*

# მოვწიოთ თუ არა — საკითხავი მაინც ეს არის?!



აი, უკვე 2 წელია, რაც ალამედაში (სან-ფრანცისკოს მახლობლად) ახალი კანონი მოქმედებს — მოწევა აიკრძალა საზოგადოებრივ შენობებში, რესტორნებსა და კაფეებში (იქაც კი, რომლებიც სუფთა ჰაერზეა), რათა არამწეველნი სიგარეტის კვამლისაგან დაიხსნან. მწევლები არ უნდა მივიდნენ ფანჯრებსა და კარებთან 5 მ-ზე ახლოს. ვინც ამ კანონს დაარღვევს, საკმაოდ დიდ ჯარიმას იხდის.

საზოგადოებრივ ადგილებში სიგარეტის მოწევა ჩინეთშიც აკრძალულია, მაგრამ ამ კანონს, სამწუხაროდ, არავინ იცავს. იგივე შეიძლება ითქვას იაპონიაზეც.

ბრაზილიაში, მაგალითად, არის ტაქსები წარწერით: „მათთვის, ვინც არ ეწევა". ინგლისში რესტორნებსა და თეატრებში მოსაწევად ადგილებია გამოყოფილი. საფრანგეთში, სადაც საქმიანი სადილის დროს ჩვეულებრივი რიტუალი იყო კერძების გამოცვლის შუალედში გაბოლება, ახლა მსურველმა სადილის დასრულებას უნდა დაუცადოს, აივანზე (სუფთა ჰაერზე) გაბრძანდეს და იქ გააბოლოს, თუ მაინცდამაინც ძალიან უნდა რომ გული დაიავადმყოფოს და ფილტვები დაილპოს.

*ზა რუბეჟომ №47*

# ოპტიმიზმი გვეხმარება განკურნებაში

გერმანელი ფსიქოლოგის დიტერ პრაისის აზრით, ოპტიმისტები გაცილებით ცოტა ხანს ავადმყოფობენ, ვიდრე პესიმისტები. დოქტორმა პრაისმა 300 ავადმყოფი შეისწავლა. ოპტიმისტები საშუალოდ 20 დღით ადრე ეწერებიან კლინიკიდან. მათი ტრავმები და ჭრილობები გაცილებით სწრაფად ხორცდება. საწოლზე მიჯაჭვულ იმედიან ავადმყოფებს არასდროს ერღვევათ გულის კუნთის რიტმი, არ წარმოექმნებათ თრომბი. მათ კი, ვისაც აეჭვებს თავისი გამოჯანმრთელება, ოპტიმისტებზე გაცილებით ხანგრძლივ, 40 დღიან მკურნალობას საჭიროებენ.

ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ თქვენი პრობლემების გადაწყვეტაში.

განკურნების მაქსიმალური გარანტია უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნიკური ბაზითა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომსახურებით

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ანონიმურობა დაცულია

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის 5
სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
(ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-4 სართ, კაბ. 29, 30, 31, 32
ტელ: 29 34 39
მიღება 10-დან 19 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა

GS International MEDICAL CENTER
საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი
ჯი-ეს ინტერნეშენელ



სახის და კისრის კანის დაჭიმვა, ნაოჭების გასწორება უახლესი მეთოდით
ოქროს ძაფების ჩანერგვით კანქვეშ

სახის კანის გაახალგაზრდავება დერმაბრაზიის აპარატით

თმის ჩანერგვა უნიკალური მეთოდით

მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით
ი.აბაშიძის ქ.3 ტელ: 22-76-78 25-22-28

რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, მენალისებური და ქათმისებური გულ-მკერდი.

ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.



მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, კატასტროფების საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვის), 1 სართ. მანუალური და ფიზიოთერაპიის კაბინეტი.
ტელ: 75-06-14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დემოკრატიის დასასრული

სასტიკი, დაკვეთილი მკვლელობები ადასტურებს, რომ რუსეთი „მაფიის" ქვეყნად გადაიქცა. მას შემდეგ, რაც თავში 3 ტყვია ესროლეს და სიცოცხლეს გამოასალმეს, გალინა სტაროვოიტოვას „ჟარგად იცნობენ". მის კუბოსთან პოლიციელები იდგნენ და ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს, ღელვის არაინ აკეთა. ნიკოლსკის სასაფლაოზე, სადაც მიცვალებული დაკრძალეს, უამრავი ადამიანი მივიდა საყვარელ პოლიტიკოსთან გამოსამშვიდობებლად.

სტაროვოიტოვას მკვლელობამ რუსეთში ბევრი ადამიანი გამოაფხიზლა და ქვეყანისა და საკუთარ ბედზე დააფიქრა... ამ ქვეყანაში მკვლელის დაქირავება ძალიან იოლია. ისინი მრავლად არიან: სუკის ყოფილი აგენტები თუ ავღანეთის ომის მონაწილეები. ათ ხომ წლების განმავლობაში ასწავლიდნენ ადამიანის სწრაფად მოკვლის ხელოვნებას. პეტერბურგში გასულ წელს მომხდარი 769 მკვლელობიდან ყოველი მეთორმეტე დაკვეთილია. ამაში დამკვეთი ორიოდე ათეულ ათას დოლარს იხდის. მკვლელების სისასტიკე და სახელმწიფოს უსუსურობა ამძაფრებს იმ კრიზისს, დღეს რომ რუსეთში სუფევს. ავადმყოფი ელცინის გამართულად წინადადების თქმაც კი უჭირს. მემარცხენე ნაციონალისტები კი მიტინგებს მართავენ და შოვინისტური და ანტისემიტური მოთხოვნებით გამოდიან. საიდუმლო სამსახურის ყოფილი მუშაკები თავიანთ საკუთარ ორგანიზაციას — უშიშროების ფედერალურ სამსახურს ადანაშაულებენ — მკვლელობებს ის გეგმავსო. სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ ძლიერი ხელის აუცილებლობაზე, რომელიც რუსეთში წესრიგს დაამყარებს.

ბოლო წლების მკვლელობები, მათ შორის ტელეჟურნალისტ ვლადისლავ ლისტევის (1995წ), პეტერბურგის ვიცე-გუბერნატორისა და პრივატიზაციის შეფის მიხაილ მანევიჩის (1997წ), გენერლისა და დეპუტატის ლევ როხლინის (1997წ) მკვლელობები ჯერაც გაუხსნელია.

იმ სასაფლაოზე, სადაც სტაროვოიტოვა მიწას მიაბარეს, ასვენია პეტერბურგელი ბიზნესმენი დიმიტრი ფილიპოვი. ერთ-ერთი საფინანსო დაჯგუფებისა და ნავთობის ფირმის შეფი ფილიპოვი საკუთარ სახლში ააფეთქეს. იგი, ეტყობა, ნავთობის ბიზნესის მაფიათა შორის ატეხილ ომს ემსხვერპლა. ამ ბოლო სამი თვის განმავლობაში პეტერბურგში 4 დაკვეთილი მკვლელობა მოხდა, ხოლო კორუფცია უკურნებელი სენივით მოედო ქალაქს. ცოტა ხნის წინ საქმე აღიძრა პეტერბურგის ყოფილი გუბერნატორის, ანატოლი სობჩაკის წინააღმდეგ. მას ქრთამების აღებასა და ქალაქის კუთვნილი ბინების კაპიკებად შეძენაში ადანაშაულებენ. ერთ დროს დემოკრატების იმედს, სობჩაკს თავი რუსეთის მეფედ მიაჩნდა. 1996 წელს იგი გადაირჩიეს. გასული წლის ბოლოს კი პარიზში გაიქცა, დღემდე იქ ცხოვრობს და იქიდან პეტერბურგელ ჩინოვნიკებს ებრძვის. ამჟამინდელი გუბერნატორი ვლადიმირ იაკოვლევი



კი, როგორც ამბობენ, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან მეგობრობს. გაზეთმა „Новые Известия"-მ გამოაქვეყნა ქალაქის თავისა და „სასაფლაოს მაფიის" ნათლიის (მეტსახელი „კოსტია და „მაგიდა") სატელეფონო საუბრის ჩანაწერი: ქალაქი განაწილებული აქვს ოთხ მაფიოზურ ბანდას: ტამბოვის, ყაზანის, მალიშევერის და ჩეჩნეთისა. თითოეული დაჯგუფება კაპიტალისტური ჰოლდინგივით მუშაობს. ყველა საქმიდან წილი აქვს, — იქნება ეს პროსტიტუცია, ნავთობითა და ბენზინით მომარაგება, კონტრაბანდა თუ სასაფლაოები. ეს უკანასკნელი საქმე ძალიან მომგებიანია. ქალაქში არსებული 43 სასაფლაო მართალია, სახელმწიფო საკუთრებად ითვლება, მაგრამ ჩინოვნიკები და დირექტორები მათ თავიანთი სურვილისამებრ განაგებენ. ოფიციალურად პეტერბურგში მხოლოდ ორი სასაფლაოა ღია და ათი — ნახევრად ღია. სხვა ყველა უკვე დახურულია. მაგრამ, ნათქვამია, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, და ათიათას დოლარად ყველაზე პრესტიჟული დახურული სასაფლაოს კარიც კი იღება. „ცერემონიალური მომსახურებისათვის", რაც გვამის თეთრეულსა და სუდარას გულისხმობს, ჭირისუფალმა უზარმაზარი თანხა უნდა გადაიხადოს. კრემატორიუმებში კი, როგორც აქაური პოლიციელები ამბობენ, მიცვალებულებს ტანისამოსს ხდიან და ოქროს კბილებს აძრობენ. სასაფლაოს დირექტორები ქალაქის მმართველობაში მსხდომ თავიანთ „პატრონებს" წილს აძლევენ. სასაფლაოს მაფიასთან დაკავშირებით 13 მკვლელობა მოხდა.

ასე მაგალითად, როცა ქალაქის მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა ევგენი ოგარიოვმა თავისი აივნის კარი გამოაღო, ზემოდან ბომბი ჩამოვარდა და მას თავი წააწყვიტა. ოგარიოვი სასაფლაოების საკითხს კურირებდა. იგი ადრე რაღაც დარღვევებისთვის პასუხისგებაშიც მისცეს. შეშფოთდა მაფია, ვაითუ ყველაფერი დაფქვასო და თავი წააწყვიტა.

საოცარი სისწრაფით იშლება ზღვარი მაფიას, ქალაქის მმართველობასა და პოლიტიკას შორის: „6 დეკემბერს არჩეულ ქალაქის პარლამენტის დეპუტატებს შორის მინიმუმ 10% მაფიასთან არის შეკრული", — ამბობს ლიბერალი დეპუტატი ლეონიდ რომანკოვი. როცა რომანკოვის კოლეგა ოლეგ სერგეევი ორიოდე თვის წინ სახლიდან გამოვიდა, მას შავნიღბიანები დაესხნენ თავს, თავი გაუტეხეს და ნეკნები ჩაუმტვრიეს. სერგეევმა თავისი კანდიდატურა მაინც არ მოხსნა, ხოლო დეპუტატების კანდიდატთა სიების გამოქვეყნებისას, მან კიდევ ერთი დარტყმა იგემა: სიაში მის გარდა, კიდევ სხვა სამი ოლეგ სერგეევი ფიგურირებდა. ამ ტრიუკს ამომრჩეველი უნდა დაებნია. სიაში შეტანილი ოლეგ სერგეევის სეხნიები ლიბერალური პარტიის „იაბლოკოს" წევრები იყვნენ.

საიდან მოდის დოლარები, რომლებიც საარჩევნო ბრძოლაზე იხარჯება, არავინ იცის. რაღა თქმა უნდა, ხმები იყიდება. პეტერბურგში 1 ხმა ფინჯანი ყავა და 10 მარკა ღირს. პარლამენტის დეპუტატობას გავლენა და ფული მოაქვს. თითოეულ დეპუტატს თავის საარჩევნო რაიონში სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად 900 ათასი მარკა ეძლევა. ამ თანხის მხოლოდ მიზერული ნაწილი თუ ხმარდება პროექტის განხორციელებას. დიდ წილს დეპუტატი თავისი პირადი საჭიროებისთვის იყენებს. გალინა სტაროვოიტოვა, გამომძიებლების აზრით, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს არ მოუკლავთ. „აქ საქმე, უპირველეს ყოვლისა, ფულს ეხებოდა." სტაროვოიტოვამ არა ერთ და ორ პეტერბურგელ საქმოსანს შეუშალა ხელი ფულის კეთებაში. ყველა დარწმუნებულია, რომ სტაროვოიტოვას მკვლელობის საქმე არასოდეს გაიხსნება.

ეჭვი „პეტერბურგის კლანის" ორ წარმომადგენელზე აქვთ: უშიშროების ფედერალური სამსახურის შეფზე, ვლადიმერ პუტინზე, რომელიც ერთ დროს გუბერნატორ სობჩაკის თანამშრომელი და მარჯვენა ხელი იყო და ერთ-ერთ მის მოადგილეზე — ვიქტორ ჩერკასოვზე. როგორც პოლიტოლოგი პიონტკოვსკი ამბობს: „ჩერკასოვმა კარიერა დისიდენტებზე ნადირობით გაიკეთა და ასეთ ადამიანს, რასაკვირველია, სტაროვოიტოვა არ უნდა ჰყვარებოდა". „ცივილიზებული, სამართლებრივი რუსეთის სახელმწიფოს ნამდვილად ველარ მოვესწრებით", — ამბობს ცნობილი რუსი მწერალი დანიელ გრანინი. „თავისუფლებისკენ მიმავალი გზა ჩვენ რომ გვეგონა, იმაზე ბევრად გრძელი გამოდგა", — თქვა გალინა სტაროვოიტოვამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.

*შტერნი №50*

# ლენინისა და ტროცკის მკვლელობას გეგმავდნენ ბრიტანეთის სპეცსამსახურები





ზუსტად 80 წლის შემდეგ გახდა ცნობილი მსოფლიოსათვის ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის სამსახურის, მი-6-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საიდუმლო. აღმოჩნდა, რომ 1918 წლის ზაფხულში სპეცსამსახურის ხელმძღვანელობამ დაგეგმა რსფსრ-ის ხელმძღვანელობის, ლენინისა და ტროცკის მკვლელობა და შემდეგ კი რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის განადგურება. ამ გეგმის არსებობა არ წარმოადგენდა საიდუმლოს, თუმცა დღემდე მიაჩნდათ, რომ მისი ერთადერთი ორგანიზატორი იყო სიდნეი რეილი, ჯაშუში-მოყვარული, რომელმაც შემოიკრიბა ბრიტანეთის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლებით დაკომპლექტებული თანამოაზრეთა ჯგუფი. ახლა კი ირკვევა, რომ გეგმა დამუშავდა მი-6-ის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და მას ხელს აწერს სპეცსამსახურის მეთაური მენსფილდ კამინგი. თავდასხმის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბრიტანეთის ხელისუფლების მთავარ სამხედრო აგენტს რსფსრ-ში ჯორჯ ჰილს და მი-6-ის რეზიდენტურის ხელმძღვანელს მოსკოვში — ერნესტ ბოისს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავდასხმის გეგმა დამტკიცდა თავად პრემიერის, დევიდ ლოიდ-ჯორჯის თანხმობით, ამასთან საფრანგეთისა და აშშ-ის მთავრობებსაც შეატყობინეს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

გეგმის მიხედვით, რევოლვერებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულ 15 ბრიტანელ აგენტს დიდი თეატრის დარბაზში უნდა შეეღწია, სადაც სრულიად რუსეთის ყრილობა მიმდინარეობდა. ლენინის გამოსვლის დროს რეილი და მისი თანაშემწეები ტრიბუნას უახლოვდებიან და მიბრჯნით ესვრიან მას. ერთდროულად მთელ პრეზიდიუმს (სადაც ტროცკიც ზის) ხელყუმბარებით აფეთქებენ. ერთი შეხედვით, შეიძლება უაზრობად, სიგიჟედ მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს აქტი ადვილად უნდა შესრულებულიყო, რადგან რეილის მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ თვით ლენინისა და პრეზიდიუმის დამცველები (ლატვიის პირველი პოლკის ჯარისკაცები) რომლებიც, რა თქმა უნდა, ამ „დახმარებისათვის" კარგ გასამრჯელოსაც მიიღებდნენ. ჯარისკაცებს თავდამსხმელებისათვის „წინააღმდეგობაც" უნდა გაეწიათ და მკვლელობისთვის ხელიც უნდა შეეწყოთ.

თავისი აგენტების მეშვეობით ლენინისთვის ცნობილი გახდა დასავლეთის ხელისუფალთა თავდასხმის გეგმა და ჩკ-ს ხელმძღვანელმა ფელიქს ძერჟინსკიმ ყრილობის გახსნის წინ ლატვიელთა ჯარისკაცები ჩეკისტების რაზმით შეცვალა. ასე რომ, ბრიტანელთა გეგმა ჩაიშალა.

თავდასხმის ჩაშლის შემთხვევაში პასუხისმგებლობა რეილის ეკისრებოდა. იგი რუსეთიდან გაიქცა. მას მოსკოვის სახალხო სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილი. 1924 წელს რეილი ჰელსინკის ოტელში იპოვეს მკვდარი.

ბრიტანეთის სპეცსამსახურების მეთაურმა სერ დევიდ სპედინგმა თხოვნით მიმართა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს — რობინ კუკს, რომ ასწლიანი მორატორიუმი დადებოდა მი-6-ის საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნებას და ამ დოკუმენტების განადგურებაც მოისურვა. შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის საინტერესო ფურცლები სამუდამოდ დაიკარგოს!

*ნოვიე იზვესტია №190*

# ის იტალიელ ლამაზმანებს ხიბლავდა და საიდუმლო მასალებს აგროვებდა

**ლეონიდ კოლოსოვის ცხოვრება, რომელიც 60-იან წლებში იტალიაში მუშაობდა, ყოველთვის მითებით იყო აღსავსე. მისი ბრწყინვალედ დაწერილი წიგნები („ნახვამდის, ბატონო პოლკოვნიკო", „ღალატის საზღაური") და სცენარები ბევრ რამეს ხდის ფარდას. ვცადეთ გაგვეგო, სად მთავრდება გამონაგონი და სად იწყება სიმართლე ცნობილ მზვერავზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში „იზვესტიის" კორესპონდენტის სახელს იყო ამოფარებული.**

— მზვერავები ჩვეულებრივი მოკვდავები არიან. მათთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. კგბ-ს პირველი განყოფილება საზღვარგარეთ მზვერავად ცოლიანებს აგზავნიდა. ჩვენს მორალზე სპეციალური კონტრდაზვერვაც ზრუნავდა. ისინი თვალყურს გვადევნებდნენ, რომ ბევრი ფული არ დაგვეხარჯა და ქალებში არ გვევლო. მე გამიმართლა. პირველი დავალება ალექსეი აჯუბეისგან (ნიკიტა ხრუშჩოვის სიძე) მივიღე. იტალიელ მეძავეებზე უნდა დამეწერა სტატია. მისი აზრით, ყურადღების მისაპყრობად არაორდინარული სტატიით უნდა წარვმდგარიყავი საზოგადოების წინაშე. მზვერავი ხშირად იძულებულია, ორმაგი მორალით იცხოვროს.

მოკლედ, ღამის 12 საათზე გავემართე სიყვარულის ხეივნისაკენ. ნაირ-ნაირი ქალები ვნახე. ყველაზე ლამაზი ამოვარჩიე. მარიზა ერქვა. ჩამიჯდა მანქანაში. 20 დოლარი გადავუხადე. გაუკვირდა, ავანსია? — მკითხა. ჩემთან, იუგოსლავიაში, ასეა მიღებული-მეთქი, ვუპასუხე. „სამუშაოდ" სახლი ან ბუნება შემომთავაზა. ბუნება ვარჩიე. ავუხსენი, როგორ უნდა „გვემუშავა": ის მომიყვებოდა თავის უბედურ ცხოვრებაზე. მე ყველაფერს ჩავიწერდი. ასეც მოვიქეცით. მონათხრობის ჩაწერის შემდეგ მარიზა ისევ ხეივანში მივიყვანე. სამი ნაბიჯით დამშორდა და მითხრა: „ან იმპოტენტი ხარ, ან ბრიყვი". სტატია „ნედელიაში" დაიბეჭდა.

ჩვენთან იშვიათია ქალი მზვერავი. ამიტომ მამაკაცები იძულებულები ვართ, მოვხიბლოთ პოლიტიკოსების ლამაზი მდივნები და მათგან მივიღოთ საჭირო ინფორმაცია. ხანდახან მეუღლეები გვეხმარებიან. ასეთი შემთხვევა მქონდა: ერთხელ, საელჩოში მიღების დროს, ჩემმა მეუღლემ გამაცნო რუსი ემიგრანტები: ულამაზესი ელენ სმაილსი და მისი დეიდა შტატებიდან. ელენი იტალიაში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ატაშეს კანცელარიას განაგებდა. ორივენი შინ მივიწვიე. მეორე დღეს პრეზიდენტმა გამომიძახა და შემატყობინა, რომ ჩემს ცოლს ერთი თვით სამკურნალოდ კისლოვოდსკში აგზავნიდა. ყველაფერი გასაგები იყო. ელენი უნდა მიმეტყუებინა საწოლში და საჭირო ინფორმაცია შემეგროვებინა. ევა სამი თვით კისლოვოდსკში გაემგზავრა დასასვენებლად. ელენმა დეიდა შტატებში გაუშვა. დაიწყო ჩემი და ელენის რომანი. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე შევუყვარდებოდი. სიტუაციით ვისარგებლე და ბევრი საჭირო ინფორმაცია მოვიპოვე. მაგალითად, სიცილიაში ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ. ერთხელ ელენმა დამირეკა და შემატყობინა, რომ ამერიკაში მიემგზავრებოდა სასწრაფოდ. მიზეზი დეიდას ავადმყოფობა იყო. ჩვენებს ეჭვი შეეპარათ, რომ ჩავვარდი. დამავალეს, გამეწყვიტა ყოველგვარი კავშირი აგენტებთან. ჩამელაგებინა ბარგი და გავმგზავრებულიყავი, არც კი მეცადა ელენის გაცილება. მე კი შევიძინე თეთრი ვარდების ულამაზესი თაიგული, აეროპორტში წავედი. სხვანაირად არ შემეძლო მოქცევა. მართლა გატაცებული ვიყავი ელენით. ნახევარი წლის შემდეგ შევიტყვე, რომ ელენი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ჩვენ ძალიან გვაინტერესებდა იტალიის მაფია. მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი მატარელა, ხომ სიცილიის მაფიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

იტალიის მაფია მე-13 საუკუნეში წარმოიშვა. იმ დროისათვის ეს პროგრესული ორგანიზაცია იყო, აქტიურ პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა ფრანგი კორსარებისაგან სიცილიის გასათავისუფლებლად. სიტყვა „მაფიის" აბრევიატურა რუსულად ასე ითარგმნება — „სიკვდილი ფრანგ დამპყრობლებს და მკვლელებს". ფრანგების დამარცხების შემდეგ თვითონ გახდნენ მკვლელები. ეს მე ნიკოლა ჯენტილემ მიამბო, ალ კაპონეს მოადგილემ. იგი იტალიელმა ჟურნალისტმა ფელიჩე კილანტიმ გამაცნო. ვიცოდი, რომ იგი ალკოჰოლს ეტანებოდა. მეც ხშირად ვეპატიჟებოდი შინ არაყსა და შავ ხიზილალაზე. ფელიჩეს ნდობის მოსაპოვებლად ჩვენებს ვთხოვე, დაებეჭდათ მისი პუბლიკაციები და დიდი ჰონორარი გადაეხადათ. ასეც მოიქცნენ. ამან საბოლოოდ დაგვაახლოვა. ჯენტილეს მოსწონდა ჩემი წერის მანერა და შემიკვეთა წიგნი მაფიაზე. მისი აზრით, მე არასწორი წარმოდგენა მქონდა მაფიაზე, მთხოვა დიქტოფონით 3-4 დღით ვწვეოდი. საჭირო მასალას მოგაწვდით, მიიღებ ჰონორარს გამომცემლობისა და პირადად ჩემგანო, — მითხრა მან. მივხვდი, არაჩვეულებრივი შანსი მომეცა ნამდვილ მაფიოზებთან ურთიერთობისა.

კილანტისთან ერთად სიცილიაში ჩავფრინდი. პალერმოს აეროპორტში თვითმფრინავის ტრაპს თეთრი მერსედესი მოადგა. მიგვიყვანეს 70 წლის მაფიოზთან. მას გულახდილად ვუთხარი, რომ სამთავრობო გაზეთის კორესპონდენტი ვიყავი საბჭოთა კავშირიდან. თან დავძინე, ხომ არ მომკლავთ-მეთქი. ჯენტილეს გაეცინა, მითხრა, შენი სტატია იტალიის მაფიის რეკლამა იქნებაო. მეორე დღეს ბაბუმ (ასევე ვეძახდით ჯენტილეს) ორი ძველი დოკუმენტი მიჩვენა — მაფიაში შემსვლელთა ფიცი და მაფიის კანონები: *არ ისურვო — ახლობლის ცოლი, არ დაუმალო ორგანიზაციას ნაშოვნი ფული, იხსენი ამხანაგი გასაჭირიდან, თუ საჭიროა, სიცოცხლე გასწირე მისთვის. ნუ ილაყბებ ზედმეტს. ყველაზე დიდი ცოდვა ღალატია...* ბაბუ თავიდან არ მენდობოდა. ერთხელ მკითხა, როგორი ურთიერთობა მქონდა ელჩთან. როცა გაიგო, რომ ნორმალური, დამავალა, ელჩს გადაეცი, ჩვენთან სახელმწიფო გადატრიალება მზადდებაო. მაშინ ჯენტილემ მთელი გეგმა გამაცნო გადატრიალებისა. როცა რომში დაბრუნებულმა ყველაფერი რეზიდენტს მოვახსენე, არ დამიჯერა. მართლაც იყო ჯენტილეს გეგმაში ზოგი რამ საეჭვო. საკუთარი რისკის ფასად ცენტრში შეტყობინება გავგზავნეთ. აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნებიდანაც მიდიოდა მსგავსი ცნობები მოსკოვში.

რაღაც უნდა მოგვემოქმედებინა, მე ორი სტატია გამოვაქვეყნე მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ. ჩემი მასალა იტალიელებმაც გადაბეჭდეს — უზარმაზარი სკანდალი მოხდა.

შედეგად, ქვეყნის სათავეში სოციალ-დემოკრატი სარაგატი მოვიდა...

*ზა რუბეჟომ №50*

# მედიუმი სულს ემსგავსება



ამერიკელ ვერნონ ოვერლის მრავალი წელია „კავშირი აქვს“ მიღმურ სამყაროსთან. ამ სამყაროს მკვიდრთან „ურთიერთობისას“ შეიძლება ოვერლის სახეზე უცებ წვერი ამოეზარდოს ან თავზე თმა გაუხშირდეს და თავის „თანამოსაუბრეს“ დაემსგავსოს. ხანდახან სათვალეც დაეკოსება ცხვირზე, ყურებზე საყურეები აუკონწიალდება, ცხვირი ხან უგრძელდება, ხან ეპრიხება.

თავისი უნიკალური თვისებების დემონსტრირებას ოვერლი მრავალ ქვეყანაში ახდენს. სულები, ოვერლის მტკიცებით, მას იმისათვის იყენებენ, რომ ცოცხლებს დაეხმაროს. უმაღლესი სფეროების მკვიდრთ ფასდაუდები ცოდნა აქვთ და მზად არიან, გაგვანდონ სიზმრები. მაგალითად, ელიას ჰოუმ სიზმარში წვერგახვრეტილი ნემსი იხილა და ამან საკერავი მანქანის შექმნის იდეა გაუჩინა. ჩარლზ ბოისს გაზის მრიცხველი დაესიზმრა, მენდელეევს კი — ელემენტების პერიოდული სისტემა.

„სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ იწყება, — ამტკიცებს ვერნონ ოვერლი, — ჩვენი სამყარო მხოლოდ სავარჯიშო მოედანია, ნამდვილ სამყაროში გადასასვლელი. ადამიანებს ნიჭიერი მედიუმები სჭირდებათ, რომელთა მეშვეობით ისინი მიღმურ სამყაროს დაუკავშირდებიან და ჭეშმარიტებას ეზიარებიან. მაშინ ხომ სიკვდილის შიში აღარ იარსებებს და მშვიდად შეხვდება ყველა. „ყოველ ადამიანს ჰყავს „სულიერი ხელმძღვანელი“, — მიაჩნია ოვერლის, — თქვენ შესაძლოა ეს არც იცოდეთ, მაგრამ ისინი ყოველთვის ჩვენს გვერდით არიან.“

მედიუმის მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტი — მკურნალობაა. არსებობენ „ეთერული ქირურგები“ — ოპერაცია ეთერულ სხეულს უკეთდება, რომელიც ფიზიკურ სხეულზე გადადის და ადამიანი ჯანსაღდება.

კითხვაზე, უნდა ვიგლოვოთ თუ არა გარდაცვლილები, ოვერლიმ ასეთი პასუხი მიიღო: „სიკვდილით ჩვენ გაცვეთილ სხეულს ვტოვებთ და ყოფიერების სხვა სფეროებში გადავდივართ. მაგრამ ყოველთვის შეგვიძლია დავუბრუნდეთ ჩვენს ახლობლებს, ვნახოთ, როგორ ცხოვრობენ, რაზე ფიქრობენ. მაგრამ მასთან ურთიერთობა, ვინც ძალზე დარდობს და დაგვტირის, არ შეგვიძლია. როცა ჩვენზე ტირით, ჩვენც ცრემლები გვცვივა, რადგან ვიცით, რომ თქვენი მწუხარება უმიზეზოა — ჩვენ ხომ ცოცხალნი და ჯანსაღნი ვართ, თქვენი ცრემლები კი გვტანჯავს. ადრე თუ გვიან, აუცილებლად შეგხვდებით, რათა აღარასოდეს გაგვეყაროთ...“

**ნლო №17**

# თქვენს ხასიათზე თქვენივე ჟესტიკულაცია მეტყველებს

თვალყური ადევნეთ მოსაუბრის ჟესტიკულაციას და მის ხასიათს ნაწილობრივ მაინც გამოიცნობთ. თუ თქვენი მოსაუბრე ფართოდ შლის ცერს ხელისგულიდან, დამოუკიდებელი და თამამია. ვინც ხელებს ჯიბეებში მალავს, გულჩათხრობილი და ჯიუტია. თუ ცერს ზევით სწევს, ეგოისტია. ადამიანი, რომელიც ლაპარაკის დროს მუშტებს კრავს, ბუნებით მტაცებელია. ხოლო, ის, ვინც ხელებს გულზე იკრეფს (ნაპოლეონივით) სიძნელეებს ერიდება, ასე ვთქვათ, იცავს თავის შინაგან სამყაროს.

**ოტდოხნი №50**

# აშკარა და დაუჯერებელი

... 1994 წლის ნოემბერში „ფსიქატრიის ბრიტანულმა ჟურნალმა“ გამოაქვეყნა ადამიანის ორეულების დაფიქსირების 56 შემთხვევა. ერთ-ერთი გი დე მოპასანთან იყო



დაკავშირებული. ერთხელ თავის კაბინეტში მუშაობისას მწერალმა თავი ასწია და დაინახა, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა, ახალმოსული მოპასანის წინ დაჯდა. მოულოდნელი სტუმარი ალაპარაკდა და მწერლის გასაოცრად სწორედ ის ფრაზა წარმოსთქვა, რომელიც მოპასანს ის-ის იყო უნდა დაეწერა. მწერალი უცნობს ყურადღებით დააკვირდა და თავზარი დაეცა — საკუთარი სახე დაინახა. ცოტა ხნის შემდეგ ორეული ადგა და ოთახიდან გავიდა...

ფრანცისკანელმა მონაზონმა მარია დეაგრედომ მთელი ცხოვრება ესპანეთის ერთ-ერთ მონასტერში გაატარა. მიუხედავად ამისა, იგი 500-ჯერ მაინც იხილეს ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, სადაც მე-17 საუკუნეში კათოლიკური ეკლესია მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა. ამერიკაში „მარია“ ქრისტიანობას ქადაგებდა, სეფისკვერებსა და სხვა საეკლესიო ნივთებს არიგებდა, მერე კი უკვალოდ უჩინარდებოდა...

მეცნიერული თვალსაზრისით, ორეულის ფენომენი მუდამ იყო და ახლაც აუხსნელი რჩება.

... 1995 წლის დასასრულს „შატლის“ ბორტზე ტელესკოპმა აღმოაჩინა საოცარი რამ, NASA-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, ამან შესაძლოა კაცობრიობის მომავალი შეცვალოსო. სპეციალისტების თქმით, ტელესკოპი შეიქმნა შორეული გამოსახულებების ფოტოგრაფირებისათვის. გაბზარული ლინზით ეს ვერ ხერხდებოდა და „შატლის“ ასტრონავტებმა დეფექტი გაასწორეს. როცა სამუშაო დაამთავრეს, უზარმაზარმა მინის თვალმა სამყაროს შიდა საზღვრებში შეაღწია. ტელესკოპის რეგულირებისა და ფოკუსის გასწორების შემდეგ ანალიტიკოსებმა თვალებს არ დაუჯერეს: ფოტოზე ვარსკვლავებს შორის გიგანტური ქალაქი მოჩანდა! გამოსახულებაზე აშკარად ჩანს უცნაური არქიტექტურის შენობები, ქუჩებიც კი. მაგრამ „ქალაქი“ კოსმოსურ სიცარიელეში დგას, ე.ი. დაუსახლებელი უნდა იყოს (ჩვენთვის, ადამიანებისათვის, გასაგები მნიშვნელობით). როგორც ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, ქალაქი გარდაცვლილთა სულებით უნდა იყოს დასახლებული. შესაძლოა, სწორედ იქ „ცხოვრობს“ ღმერთიც.

... ამას წინათ სანტ-იაგოში გამართულ უფოლოგიურ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ეკვადორელი უფოლოგი ხაიმე როდრიგესი. მისი თქმით, უცხოპლანეტელები აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც დედამიწაზე იმყოფებიან ოდესღაც დადებული „საიდუმლო პაქტის“ საფუძველზე. ამ პაქტის თანახმად, თითქოს უცხოპლანეტელებს უფლება აქვთ, ექსპერიმენტები ჩაატარონ ცხოველებზე, მცენარეებზე, წყალსა და თვით ადამიანებზეც. მან დაასახელა ადგილი, სახელწოდებით „ზონა-21“, ნევადის შტატ ქალაქ ბრუმ-ლეიქში. თითქოს იქ უნდა იყვნენ უცხოპლანეტელები შვიდი საფრენი აპარატით, მათგან ორი ფლორიდაშია აგებული უცხოპლანეტელთა ტექნოლოგიით, მაგრამ აქაური მასალებით. როდრიგესის თქმით, ეს ყველაფერი აშშ-ის ცსს-ის თანამშრომელმა უამბო: „ყველა, ვინც უცხოპლანეტელთა ბაზას ტოვებს, თავის ტვინის ქვედა ნაწილში, მეხსიერების 10 წლით გამოსათიშავად უკეთდება საგანგებო ინექცია. ახლა ზუსტად ეს ათი წელი გავიდა და კაცმაც ყველაფერი გაიხსენა...“ — ირწმუნება როდრიგესი. კონფერენციაზე აჩვენეს ამო-ს ფოტოები, ასევე უცხოპლანეტელთა გამოსახულებიანი ვიდეოფირი, რომელიც თითქოს „ზონა-21“-შია გადაღებული.

**ჩუდესა ი პრიკლუჩენია №15**

# გამოთხოვება სიკვდილის შემდეგ

1980 წლის მაისის ერთ საღამოს ტიროლელი იოჰან ჰოფერი თავის საცოლესთან იყო სტუმრად. რატომღაც აჩქარდა და 11 საათი იქნებოდა, როცა შინ წავიდა. იოჰანი თავის ნაცრისფერ „აუდიში“ ჩაჯდა და მალე ქრისტინას დაძრული მანქანის ხმაც შემოესმა.

ნახევარი საათი გავიდა და ქრისტინას კვლავ ნაცნობი ავტომობილის საყვირის ხმა მოესმა. ასე, ჩვეულებისამებრ, იოჰანი ეხმიანებოდა საცოლეს სახლთან მისვლისას. ქალიშვილი გარეთ გამოვარდა და დაძრულ მანქანასღა მოჰკრა თვალი, იოჰანი ხელის დაქნევით გამოემშვიდობა. „უცნაურია, — გაიფიქრა ქრისტინამ, — ნახევარი საათი გავიდა და იოჰანი კვლავ აქ ყოფილა, აკი მეჩქარებაო...“

როგორც მოგვიანებით გაირკვა, იმავე დროს „აუდის“ საყვირის ხმა ქრისტინას გათხოვილი დის სახლთანაც გაისმა. საათი ზუსტად 23.30 სთ-ს უჩვენებდა.

იოჰანის მამა თავის ბინაში ფეხბურთის მატჩს უცქერდა, მასაც შემოესმა, როგორ შემოვიდა ეზოში „აუდი“, მაგრამ მატჩისათვის თვალი არ მოუწყვეტია, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ისე, რომ იოჰანი არ მოუკითხავს, დასაძინებლად წავიდა... დილით იოჰანი ვერსად ნახა. მერე გაირკვა, რომ საცოლისგან წამოსული იოჰანი გვირაბში შესულა. ამ დროს გვირაბს



კლდის უზარმაზარი ნატეხი დასცემია და იოჰანი მანქანიანად თან ჩაუტანია. ეს ზუსტად 23.30 წთ-ზე მომხდარა.

ასე რომ, იმ დროს, როცა იოჰან ჰოფერი გვირაბში ჩაიმარხა, იგი ნახა საცოლემ, მანქანის ხმა კი ქრისტინას დამ და მამამისმა გაიგონეს. იოჰანის აჩრდილი „აუდის“ საჭესთან იჯდა...

**ორაკული №12**

# დიდი სფინქსის წინასწარმეტყველება

ეგვიპტე... გიზის ფერდობი... აქ, დიდი სფინქსის ქვეშ, საიდუმლო დარბაზში აღმოაჩინეს უძველესი გრაგნილები. განცვიფრებულმა არქეოლოგებმა განაცხადეს, რომ დოკუმენტებში აღწერილია, თუ როგორი იქნება ქვეყნის დასასრული და მითითებულია ვადები.

— თუკი დავუშვებთ, რომ წინასწარმეტყველება ზუსტია, მაშინ ეს გრაგნილები კაცობრიობის ცივილიზაციის ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტებია, — განაცხადა გათხრების მონაწილე ერთ-ერთმა არქეოლოგმა, დოქტორმა მაიკლ როტმა, — ეს გრაგნილები 4600-ზე მეტი წლისაა.

ხელნაწერის ტექსტი ჯერ არ არის ბოლომდე გაშიფრული, მაგრამ უკვე ამოკითხული ნაწილისგან ცხადია, რომ ქვეყნის დასასრული 2001 წელს დადგება, როცა დედამიწა შეეჯახება კომეტას (არ შეგეშინდეთ... ქვეყნის დასასრული არავინ უწყის...), დედამიწა მოწყდება ორბიტას და კოსმოსის უსიცოცხლო, გაყინულ სიცარიელეში აღმოჩნდება.

გრაგნილებში ისიც წერია, თუ როგორ შეიძლება კაცობრიობის გადარჩენა. ამისათვის კოსმოსში უნდა გაგზავნონ ორი ასტრონავტი — ადამი და ევა, რომლებიც უკვე სხვა პლანეტაზე აალორძინებენ ადამიანთა რასას.

ლეგენდების თანახმად, რომლებიც საუკუნეების სიღრმიდან მოდის, სფინქსის ქვეშ, სიცარიელეში, უზარმაზარი ქალაქია, სადაც არსებობს დიდი ბიბლიოთეკა და ამ ბიბლიოთეკაში, უცნაურ კრისტალებში, ინახება სამყაროს ყველა საიდუმლო.

მეცნიერები ეძებენ ამ ბიბლიოთეკას, რათა გამოიყენონ კრისტალებში მოთავსებული ცოდნა.

**კალეიდოსკოპი №52**

# რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

**ასტროლოგიური პროგნოზი 4-10 იანვარი)**

### ვერძი




ახალ ცხოვრებას იწყებთ, დაასრულებთ ყველა დაწყებულ საქმეს, გადაწყდება თქვენი ბედი, შექმნით ოჯახს... მთელი წლის მანძილზე ყველგან სიხარულით შეგხვდებიან.

### კურო




დიდი წარმატება გელით ფინანსურ საქმეებში. შესაძლოა პირადი ბიზნესიც წამოიწყოთ, მგზავრობაც წარმატებას მოგიტანთ. ოღონდ ყურადღებით იყავით — საქმეებმა სიყვარულში ხელი არ შეგიშალოთ.

### მარჩბივი




საქმიანი წინადადებები, სამსახურის შეცვლა და წარმატებები გელით. მოულოდნელი გადაწყვეტილებები ნუ შეგაშინებთ. პერიოდულ დეპრესიებსაც მშვიდად გადაიტანთ.

### კირჩხიბი




ნუ მოეშვებით, ბოლომდე მიიყვანეთ ყველა წამოწყებული საქმე. რაც მეტს იშრომებთ, მით უფრო კარგ შედეგებს მიაღწევთ. გაუფრთხილდით ახლობლებს, ნუ გაღიზიანდებით და ნურც მათ გააღიზიანებთ.

### ლომი




გაიხარეთ, ყველა საქმეში წარმატება და სიყვარულში გამარჯვება გელით. ოღონდ ყველგან ერთდროულად წარმატებას ნუ ესწრაფვით, შესაძლოა, სერიოზული სტრესი მიიღოთ.

### ქალწული




ენდეთ თქვენს ცოდნას, გამოცდილებასა და ინტუიციას. მხოლოდ თქვენ უნდა მოაგვაროთ ყველა საქმე. თქვენს გადაწყვეტილებებს სხვას ნუ მოახვევთ თავს, ეს ახლობლებთან კონფლიქტს გამოიწვევს.

### სასწორი




წარმატებებს დიდი წარუმატებლობა შეცვლის. ერთიცა და მეორეც ფილოსოფიურად გააანალიზეთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს.

### ღრიანკალი




სერიოზული ცვლილებები გელით თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში. შესაძლოა, თქვენი ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობაც შეიცვალოს. სასურველი შედეგი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

### მშვილდოსანი




თუ საუკეთესო თვისებებს გამოავლენთ, მიხვდებით, რა არის დიდება. თქვენი გამბედაობა და რთული მდგომარეობიდან გამოსვლის უნარი დაგეხმარებათ ყველა ოცნების ასრულებაში.

### თხის რქა




ბევრი უშედეგო შრომა გელით, გეგმებიც ჩაგეფუშებათ, მეტი გულისყური გამოიჩინეთ, განსაკუთრებით ოჯახს გაუფრთხილდით. იღბლიან მეგობართან ერთად ყველა დაბრკოლებას გადალახავთ.

### მერწყული




იცოდეთ, თქვენვე ხართ წარუმატებლობისა თუ წარმატების მიზეზი. ამას რაც უფრო ადრე მიხვდებით, მით უფრო მალე დაგიდგებათ მზიანი დღე. კეთილი მომავალი გელით.

### თევზები




იმდენად კარგად წაგივათ საქმეები, რომ მოშურნეებიც გამოგიჩნდებიან. უფრთხილდით ღვარძლიანთ. წარმატებებმა თავბრუ არ დაგახვიოთ, ღირსეულად მიიღეთ თქვენი შრომის ნაყოფი.

**გისურვებთ წარმატებებს!**

ელექტრომასაჟი
● სახის კანის ნაოჭების მოცილება. კანის გადაჭიმვა
● მკერდის ფორმირება. გამკვრივება. აწევა. გაზრდა
ესთეტიკის კაბინეტი „ჰარმონია“, კოსტავას 47
(რესტორან „ევროპის“ მარჯვნივ, თაღოვან გასასვლელში)
ტელ: 33-48-04



● წონაში დაკლება ● სხეულის ფორმის შეცვლა ● მოდუნებული კუნთების გამაგრება
ყველაზე თანამედროვე და ეფექტური საშუალებები!!!
ლამაზი გარეგნობა შეცვლის თქვენს ცხოვრებას!!!
გისურვებთ წარმატებებს!

შტამპების და ფირმების რეგისტრაცია ოფშორული კომპანიები
რუსთაველის 22
ტელ: 99-86-09; 38-37-89 (საღამოს)

ფირმა „გარანტი-97“
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია – 10 წელი. 1 კვმ. მინიმალური ღირებულება – 3 ლარი და 20 თეთრი.



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით. სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. 142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 34-05-52; 63-05-26; 38-37-89 (საღამოს)
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

ვაკეთებთ რბილი ავეჯის რესტავრაციას
☎ 96-77-18
79-95-93;
შესაძლებელია ბინაზე გამოძახებაც

## უდიდესი მაძებრის ჰობი მეფუტკრეობა იყო

ლიტერატურის მკვლევარებს არაერთხელ უცდიათ შერლოკ ჰოლმსის დაწვრილებითი ბიოგრაფიის შედგენა. ცოტა ხნის წინ ინგლისელმა ლიტერატურის ისტორიკოსმა მაიქლ ეშლიმ გამოსცა რაღაც ამგვარი, საიდანაც შეიძლება გავიგოთ, რომ ჰოლმსი დაბადებულა 1854 წელს, საშუალო შეძლების სქვაირების ოჯახში. „ჩვენ არ ვიცით ჰოლმსის დაბადების ადგილი, — წერს ეშლი, — მიუხედავად ამისა, მისი აშკარა ზერელე დამოკიდებულება სოფლისადმი ცხადყოფს, რომ იგი სოფლური სანახებიდან შორს იზრდებოდა და სიყმაწვილეში რამდენიმე წელი ირლანდიაში გაუტარებია. ეს ფაქტი და მისი დუმილი ბავშვობის წლებზე საფუძველს იძლევა, ვიფიქროთ, რომ ჰოლმსს არც ისე უღრუბლო ბავშვობა ჰქონია".

ერთი წლის განმავლობაში იგი დუბლინის წმიდა სამების კოლეჯში სწავლობდა, მერე კი, სავარაუდოა, ოქსფორდში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ მან ოთხი წელი მოანდომა დანაშაულის გახსნის საკუთარი მეთოდიკის შემუშავებას. მეთოდს საფუძვლად ედო მახვილი თვალი, დაკვირვების დიდი უნარი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანების სკრუპულოზური ფიქსაცია. ასევე მისი ცნობილი დედუქციური აზროვნება — ზუსტი ინსტრუმენტი, ჰოლმსს საშუალებას აძლევდა, ყველაზე რთული დანაშაულიც კი გაეხსნა.

დოქტორ ვათსონს იგი 1883 წელს იანვარ-თებერვალში შეხვდა და ორივენი ბეიკერსტრითზე დასახლდნენ. ვათსონის თქმით, ჰოლმსი მაშინ „მშვიდ, ზომიერ ცხოვრებას ეწეოდა. იშვიათად თუ დაწვებოდა დასაძინებლად 9 საათზე გვიან, დილაობით კი, ჩვეულებისამებრ, ისაუზმებდა და სასეირნოდ მიდიოდა."

ახლა თვით ჰოლმსს მოვუსმინოთ დოქტორ ვათსონზე: „უნდა ვაღიარო, რომ მოგონებებში იგი, როგორც წესი, თავის ღირსებებს ჩრდილში აყენებს და წინა პლანზე წამოსწევს მე... გულწრფელად ვაღიარებ, რომ დიდად დავალებული ვარ მისგან".

1891 წელს ჰოლმსი შვეიცარიაში, რაიჰენბახის ჩანჩქერთან თავის დაუძინებელ მტერს, „დანაშაულებრივი სამყაროს გენიოსს" — პროფესორ მორიატრის შეება, რის შედეგადაც ორივე მოწინააღმდეგე ჩანჩქერში ჩავარდა და დაიღუპა.

1901 წელს კონან დოილმა მკითხველთა დაჟინებული თხოვნა შეასრულა და მოთხრობაში „ცარიელი სახლი" თავისი გმირი გააცოცხლა. თითქოს ჰოლმსი რამდენიმე წლით გაუჩინარდა, თვით დოქტორ ვათსონისთვისაც. ვარაუდობენ, რომ იგი მაშინ პარიზში გაემგზავრა, ცნობილ ფიზიკოსებს, ცოლ-ქმარ კიურებს გაეცნო და ერთხანს მათთან მუშაობდა. ხანგრძლივმა ნერვულმა და გონებრივმა დაძაბულობამ ჰოლმსის ჯანმრთელობა შეარყია, 1903 წელს ლონდონიდან სუსექსის საგრაფოში გადასახლდა და მეფუტკრეობას მიჰყო ხელი. თუმცა ორჯერ მაინც დაუბრუნდა თავის ძველ საქმიანობას: 1907 წელს („ლომის ფაფარი") და 1914 წელს („მისი უკანასკნელი მოკითხვა").

1987 წელს შერლოკ ჰოლმსზე პირველი ლიტერატურული პუბლიკაციის ას წლისთავზე, მისი თაყვანისმცემლების კლუბმა რაიჰენბახის ჩანჩქერთან საიუბილეო ზეიმი გამართა. საპატიო სტუმრად მიწვეული იყო ლედი ჯინი, ართურ კონან დოილის ქალიშვილი. დოქტორ ვათსონის როლში კი მსახიობი იხილეს დამსწრეებმა. ბოლოს ჩანჩქერთან თავად შერლოკ ჰოლმსიც გამოჩნდა, ცოცხალი და უვნებელი, თავისი განუყრელი ჩიბუხით ხელში.

*ნლო №16*

## პანთეონი ღია ცის ქვეშ



უძლიერესი ფარაონის, რამზეს I-ის დიდებული ძეგლი, რომელიც კაიროს ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე იყო აღმართული, ქუჩებში ტრანსპორტის სიმრავლის გამო ახალ ადგილას გადააქვთ. მაგრამ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც არსებობს: მონუმენტი დაიდგმება — მიტ-რახინში, მემფისის მახლობლად, გაერთიანებული ეგვიპტის პირველ დედაქალაქში, იქ, სადაც იგი აღმოაჩინეს. რამზესი დაამშვენებს სხვა ფარაონების პანთეონს. ამგვარად, ეგვიპტეში, ღია ცის ქვეშ, კიდევ ერთი პანთეონი გაჩნდება.

„მეფეთ მეფე" 67 წელიწადს მართავდა ეგვიპტეს. მან პირველმა დადო ზავი თავის მტერთან — ხატამთან. მის დროს განვითარდა ასტრონომია და ფილოსოფია, აშენდა უამრავი სასახლე. ჩვ. წ. აღმდე X საუკუნეში აგებულ რამზეს I-ისა და აბუ სიმბელის ტაძრებს დღემდე განცვიფრებაში მოჰყავთ მნახველი. ძნელია დაიჯერო, რომ ასეთი დიდებულება უბრალო მოკვდავებმა შექმნეს. ტაძრის შესასვლელი კლდეშია გამოკვეთილი. მას დარაჯობს ოთხი 20-მეტრიანი ქანდაკება ღმერთებისა: ამონის, პტახის, რას და თვით რამზესისა. წელიწადში ორჯერ, 22 თებერვალს და რამზესის დაბადების დღეს, 22 აგვისტოს, მისი მეფედ კურთხევის დღეს, ტაძრის ყველა კარს აღებენ. პატარა დარბაზი ამომავალი მზის სხივებით ივსება. მეფის ქანდაკებაც განათებულია. რამზესი დიდი მმართველი იყო. იგი გულწრფელად უყვარდათ. ჰყავდა სამასი ცოლი, მათგან შეეძინა 92 ვაჟი და 106 ასული.

*ფავორიტი №23*

## ჭადრაკი ჭიქებით

1998 წლის ბოლოს ინგლისში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ჭადრაკისადმი. ერთმა სავაჭრო ფირმამ ამ უძველესი თამაშის ახალი ხერხი მოიგონა, რომელიც ძალიან მოეწონა საზოგადოებრიობას.

ჭადრაკის კლასიკურ დაფაზე ჩვეულებრივი ფიგურების ნაცვლად აწყვია სხვადასხვა ფორმისა და სიმაღლის ჭიქები (დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ასახიერებენ ისინი). რაც უფრო მნიშვნელოვანია ფიგურა (ღირებულებით), მით უფრო დიდი უნდა იყოს ჭიქა. ჭიქები ალკოჰოლური სასმლით ივსება, რაც თამაშს განსაკუთრებულ აზარტს ჰმატებს. მოკლული ფიგურა-სასმისი უნდა დაილიოს. თამაშის დასასრულს ორივე მოთამაშე კარგადაა შემთვრალი. იგებს ის, ვინც შეძლებს იაზროვნოს იმდენად, რომ ქიში შამათში არ აერიოს.

ინგლისელები ამ თამაშს „რუსულ ჭადრაკს" ეძახიან.

*ნიუ ზუიქი*

## არაორდინარული თვალსაჩინოება

ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა კინწისკვრით გაყარა სკოლიდან უფროსკლასელების საყვარელი მასწავლებლები: ტრეისი ნიდერვიკი და კარენ დე ფრიო, იმის გამო, რომ მათ გაბედეს, გამოეყენებინათ თავიანთ გაკვეთილებზე სწავლების არატრადიციული მეთოდი.

ბიოლოგიის მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, მოსწავლეებისათვის ადამიანის სხეულის აღნაგობის გასაცნობად გამოეყენებინათ არა მტერით დაფარული ჩონჩხები, არამედ საკმაოდ მომხიბლავი საკუთარი სხეულები.

ზარის დარეკვისთანავე ორივემ გაიხადა, დაიწყო კლასში სიარული და ახსნა იმისა, თუ სად იყო განლაგებული სხეულზე ესა თუ ის კუნთი ან სხვა ნაწილი. ახალგაზრდები აღტაცებულები იყვნენ. საუბედუროდ, ერთმა მოზარდთაგანმა იმ ავბედით დღეს ფოტოაპარატით გადაიღო რამდენიმე კადრი მკერდსავსე კარენისა, რომელიც სარძევე ჯირკვლის აგებულებას აცნობდა უფროსკლასელებს.

ახალგაზრდამ ფირი შინ, ტუალეტში გაამჟღავნა, შემდეგ თავისი ნამუშევარი ამაყად უჩვენა მამას. მეორე დღესვე დაითხოვეს ორივე „რევოლუციონერი" ბუნებისმეტყველი.

უშიშარი მასწავლებლები კი თავიანთ საქციელს ამგვარად ხსნიდნენ: — მე ვაღიარებ, — ამბობს ტრეისი ნიდერვიკი, — რომ ეს იყო ერთადერთი გაკვეთილი, როცა შევძელი მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება. ისინი სხვა არაფერზე ფიქრობდნენ. მათ თვალები მაშინ ჩაუქრათ, როცა ჩაცმა დავიწყე...

*პოსლედნიე ნოვოსტი №48*

## საინტერესო ინფორმაცია: „ყველაზე, ყველაზე..."

...მსოფლიოში ყველაზე გრძელი რკინიგზის გვირაბია — **რეიკანის გვირაბი**. მისი სიგრძე 53.850 კმ-ია. იგი აკავშირებს იაპონიის ორ კუნძულს — ჰონსიუს და ჰოკაიდოს და ზღვის დონიდან 240მ-ით დაბლა მდებარეობს.

...სპორტში ყველაზე მეტი მსოფლიო რეკორდი (80) დაამყარა საბჭოთა ძალოსანმა **ვასილი ალექსეევმა**.

...მსოფლიოში ყველაზე მძიმე მონეტაა შვედური სპილენძის ფული — **ათტალერიანი**, იგი მოიჭრა 1644 წელს და იწონის 19.710კგ-ს.

...მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ მუსიკალურ ალბომად მიჩნეულია **მაიქლ ჯექსონის THRILLER**, რომელიც 1990 წელს 40 მლნ ტირაჟით გავრცელდა.

...ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი 1915 წელს გახდა 25 წლის ინგლისელი ფიზიკოსი, პროფესორი **სერ უილიამ ლორენს ბრეგი** (1890-1971 წწ).

...ყველაზე ხანგრძლივი ე.წ. **ასწლიანი ომი** იყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელიც 1337 წლიდან 1453 წლამდე (115 წელი) მიმდინარეობდა.

...პირველი ზუსტად დათარიღებული რუსული ნაბეჭდი წიგნია „სამოციქულო", რომელიც მოსკოვში დიაკვანმა **ივან ფიოდოროვმა** დაბეჭდა. მუშაობა 1563 წლის 19 აპრილიდან 1564 წლის 1 მარტამდე გრძელდებოდა.

*ტრუდი №239*

## საზედისწერო რომანი



***მიკ ჯაგერის რომანი ბრაზილიელ მოდელთან შეიძლება ნებისმიერი დროის ყველაზე ძვირადღირებული სასიყვარულო ინტრიგა აღმოჩნდეს.***

მამაკაცი ცოცხალი ლეგენდაა: როკ-ვარსკვლავი, აღიარებული სექსსიმბოლო, მსოფლიოს უმდიდრესი მუსიკოსი. ახლა კი მიკ ჯაგერმა შეიძლება იმითაც გაითქვას სახელი, რომ ჩვეულებრივი სასიყვარულო ინტრიგა გაუგონარი თანხა დაუჯდეს.

„როლინგ სთოუნის" ლიდერისა და 29 წლის ბრაზილიელი მოდელის, ლუციანა გიმენიც მორადის სასიყვარულო კავშირი ახლა უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო. თავიდან 55 წლის როკ-მომღერლის მეუღლე მზად იყო, ქმრისთვის მშვენიერ ბრაზილიელთან რომანი ეპატიებინა, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ლუცია ჯაგერისგან ფეხმძიმედ იყო.

42 წლის ჯერი ჰოლიმ ორ ადვოკატს განქორწინების პროცესის მომზადება დაავალა. ერთ-ერთი ადვოკატთაგანი ინგლისელი ენტონი ჯულიუსი გახლავთ. ეს ის ენტონი ჯულიუსია, რომელიც მონაწილეობდა დაიანასა და პრინც ჩარლზის განქორწინების პროცესში და მილიონი დოლარი ჰონორარი მიიღო. მეორე კი — ამერიკელი რაულ ფელდერია. ეს ორნი დაიცავენ მოტყუებული ჯერის ინტერესებს, თუკი, რაღა თქმა უნდა, პროცესი შედგა. ამერიკული კანონის თანახმად, მეუღლემ ჯაგერის ქონების ნახევარი უნდა მიიღოს — 200 მილიონი მარკა. როკ-ვარსკვლავისთვის ეს ყველაზე მძიმე დარტყმა იქნება, რადგანაც იგი პირდაპირ მის საბანკო ანგარიშს ეხება.

ოჯახური კრიზისი ჯაგერისათვის ახალი არ არის. ორი წლის წინ ჯერი ჰოლის თავისი მექალთანე ქმრის მიტოვება უნდოდა, ადვოკატსაც მიაკითხა, მაგრამ მაშინ საქმე განქორწინებამდე არ მისულა. მიკი და ჯერი შერიგდნენ. როცა შარშან, დეკემბერში მეოთხე შვილი, გაბრიელა შეეძინათ, ცოლ-ქმარი სიხარულისაგან ბრწყინავდა და მიკმა ჯერი ჰოლისგან მომავალში ეჭვიანობის სცენების თავიდან ასაცილებლად ერთგული ქმრის როლის თამაში გადაწყვიტა. ამიტომაც „როლინგ სთოუნის" ტურნეს დროს გამართულ დიდ წვეულებაზე, ფოტოების გადაღებისას, ცდილობდა, მის გვერდით ვინმე ქალი არ აღმოჩენილიყო.

მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, ჯაგერის მამაკაცურმა ჟინმა მაინც თავისი ქნა. მსოფლიო ტურნეს დროს მან რიოში მხიარული ბრაზილიელი ქალი გაიცნო. ჯაგერმა და ქელვინ ქლაინის მოდელმა მალე გამონახეს საერთო ენა. „სექსის დროს მიკის პრეზერვატივი არ უხმარია და არც ის უკითხავს, ფეხმძიმობის საწინააღმდეგო ტაბლეტებს თუ ვსვამდი", — გამოუტყდა ბრაზილიელი მოდელი თავის ერთ ნაცნობს.

შემდეგ ლუციანა და ჯაგერი ერთმანეთს გერმანიაში შეხვდნენ. როცა ლუციანას 29 წელი შეუსრულდა, მას მიკმა იაფფასიანი საყურე აჩუქა. ჯერი ჰოლისაგან კი როკ-მომღერალი თავს ასე იაფად ვერ დაიხსნის. ცოლ-ქმრის საერთო მეგობრები ამტკიცებენ, რომ შეურაცხყოფილ ცოლს განქორწინება აქვს გადაწყვეტილი. თანაც ჯაგერი კოლოსალური თანხის გარდა შვილებსაც ჰკარგავს. შვილები — 15 წლის ჯეიმსი, 14 წლის ელიზაბეთი, 6 წლის ჯორჯია და 11 თვის გაბრიელა მშობლების დაშორებით მძიმე ტრავმას მიიღებენ. ეს ძალიან აწუხებს ჯაგერს. მას უყვარს შვილები. მოლაპარაკება მიკსა და ჯერის შორის შერიგების თაობაზე უშედეგოდ დამთავრდა. ახლა სიტყვა დამცველებზეა. სასამართლო პროცესი უახლოეს დღეებში დაიწყება.

ამ სასიყვარულო ინტრიგის სამკუთხედიდან ყველაზე მოგებული ლუციანაა. მისი სახელი მსოფლიომ შეიტყო. „ჩემი მონათხრობისათვის 900.000 მარკა უკვე შემომთავაზეს", — განუცხადა ლუციანამ ინგლისელ ჟურნალისტებს. მაგრამ ჯერჯერობით ქალი დუმს, რადგან იცის, რომ ფასი დროთა განმავლობაში კიდევ აიწევს.

*შტერნი №50*

## ქრისტოფერ ლამბერმაც მეღვინეობას მიჰყო ხელი

როგორც ჩანს, ნებისმიერი ფრანგი თავისი მთავარი საქმიანობის გარდა მეღვინეობაზე ოცნებობს. ჟერარ დეპარდიესა და პიერ რიშარს ზვრებიც აქვთ, შესანიშნავ ღვინოსაც აყენებენ და დიდი წარმატებით ყიდიან კიდეც.

მათ მესამე ცნობილი მსახიობიც შეუერთდა — რამდენიმე დღის წინ ქრისტოფერ ლამბერმა პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში მკაცრ დეგუსტატორებს თავისი პროდუქცია დააჭაშნიკებინა. სტუმრებმა „კარგად" შეაფასეს და „კარგადაც" დაიგემოვნეს ლამბერის ღვინო.

სასტუმროს ხელმძღვანელობამ ქრისტოფერს დიდი რაოდენობით ღვინო შეუკვეთა.

*7 დღე №52*



**თარაზულად:** 4. შევარდნაძე, ჯეოსელი; 6. გაზაფხული, თევზი; 9. სკაუტი, ბინა; 10. აბრეშუმი, გეოგრაფია; 12. „გუდაური", „აბსოლუტი"; 14. მონტე-კრისტო, დარტანიანი; 17. „მშვენიერი" კვაზიმოდო; 19. სიცილია, ვეზუვი; 21. გოძილა, დევი; 23. რუმინეთი, ბუდაპეშტი; 24. რადიო, ლატარეა; 28. ელადა, თხილი; 30. კუნძული, მოტოციკლი; 33. ჩაი, კოფეინი; 34. ბიბლია, ძმა; 35. ალი, კანდელაკი; 36. შეჯიბრი, თანრიგი; 39. ეკლესია, ბახი; 40. პარიზი, ვალსი. 41. შოკოლადი, საუზმე.

**შვეულად:** 1. ექსკურსია, ტურისტი; 2. მშენებლობა, ტვირთი; 3. როიალი, „პეტროფი"; 5. ცხენი, ლაგამი; 7. ჭიდაობა, ხალიჩა; 8. პასკა, კაკალი; 11. ბრილიანტი, ფირუზი; 13. ლობე, ეზო; 15. თივა, ქოხი; 16. რაიხსტაგი, დროშა; 18. ჩოხა, ყაბალახი; 20. ქვიშა, რაქეტი; 22. სოიო, სკლიაროსი; 25. რადიაცია, პლანეტა; 26. პაპიროსი, ყვავილი; 27. რესტორანი, აზია; 29. ჭური, ხაპი; 31. ლეიბორისტი, ჭადრაკი; 32. ანსამბლი, სასტუმრო; 37. მინა, ლარნაკი; 38. ხინჯი, დეფექტი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ოსტატი; 6. წამალი; 9. ნარკოზი; 10. დეკეული; 11. დიონისე; 13. ბატი; 17. სკა; 20. გარსონი; 22. ბანდა; 23. ნერგი; 24. მსაჯი; 25. თართი; 26. სკოლა; 28. ამური; 29. ანანური; 30. ელია; 32. ჩირი; 38. ლატარეა; 39. ბედაური; 40. ლავანდა; 41. ბილიკი; 42. ბოსელი.

**შვეულად:** 1. ოსკარი; 2. მარკიზა; 3. ალგებრა; 4. ამპლუა; 7. აიდა; 8. იდეა; 12. ნენსი; 14. ტრამალი; 15. მარჯანი; 16. ინდაური; 18. კონიაკი; 19. მარკა; 21. აგური; 27. ანაშა; 31. ლიტანია; 33. რომანსი; 34. ელეგია; 35. ალია; 36. ნალი; 37. სადილი.

# უკანასკნელი პოკერი

მანქანა ბოროტმოქმედების ადგილას ორი საათის შემდეგ ჩავიდა, ქალაქიდან 150 კილომეტრის მოშორებით.

კაცი ცოლს ეჩხუბა, ქალი სანატორიუმიდან მანქანით გაემგზავრა; დილით კი ნომერში გვამი აღმოაჩინეს. ოთახი ყირამალა იდგა. ცოლი დაიჭირეს. ახლა იგი მანქანის უკანა სავარძელზე იჯდა და იცრემლებოდა. იფიცებოდა, — მე არ მომიკლავსო. მარტოვი შეიშმუშნა, რაღაც არ მოსწონდა. ექვმიტანილნი, როცა ჩაცვივდებიან, იფიცებიან, არაფერი დამიშავებიაო...

— მარია ალექსეევნა, კიდევ ერთხელ გვიამბეთ, რა მოხდა?

— სანატორიუმში მარტო დასასვენებლად არ ჩამოვსულვართ... კრიზისი, ვალები, ამ ვალებთან დაკავშირებული პრობლემები... ჩამოვედით ჩემი სამსახურის პროფკავშირული საგზურით. ასე საგანგებოდ მოვიქეცით, რომ ჩვენი ადგილსამყოფელი არავის გაეგო. ის კი არა, აქ სამი დღის წინ უნდა ჩამოვსულიყავით, მაგრამ ხელი შეგვეშალა... ხომ იცით, პრობლემებს თავს ასე იოლად ვერ დააღწევ.

სანატორიუმი ცარიელია. ექვს უზარმაზარ კორპუსში — მხოლოდ სამი წყვილი ვისვენებთ. სამაგიეროდ, არ გვაკლდა ტყე, სუფთა ჰაერი, საუნა, ჩოგბურთი, ბილიარდი... საუნაში ვიყავით. ორი წყვილი გავიცანით: ასე 20 წლის, სრულიად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ლარისა და ვალოდია და, ნატაშა და კირილი, ჩვენი ხნის — 30 წლისანი. მათაც თავიანთი ფირმა აქვთ. დავლიეთ, ვიცინეთ. მერე ნომერში დავბრუნდით. საწოლი გავშალე, ლამაზი საცვლები ჩავიცვი — ბოლოს ორი წლის წინ მეცვა. ნამდვილი თაფლობის თვე მექნებამეთქი, ვფიქრობდი... ამ დროს შიდა ტელეფონის ზარი გაისმა, კირილი რეკავდა: მოდი, ძილის წინ ბანქოს ერთი პარტია დავურტყათო. ნეტავ, საიდან იცოდა იმ ოხერმა, რომ ჩემი ქმარი ბანქოს გიჟია. ჩემო კარგო, — მითხრა ვლადმა, — მხოლოდ ერთი საათით წავალ. ვიდრე თავს მოიწესრიგებ, კიდევაც დავბრუნდებიო.

წავიდა და მხოლოდ დილის 5 საათზე დაბრუნდა! მე კი, იდიოტივით, ლამაზ საცვალში გამოკოპწიავებული, საწოლში მარტოდმარტო ვიყავი გამოჭიმული! თანაც სანთლები ბრიალებდა და შამპანური შუშხუნებდა. ის კი... მაგისი დედა!

ერთი სიტყვით, შავი დღე დავაყარე. არადა საშინლად გაბრაზებული იყო — ვალოდიასთან თითქმის სამი ათასი დოლარი წაუგია.

ბანქოს რაღაც კანონის თანახმად, თურმე წაგებული მაშინვე უნდა გადაიხადო. ჩვენ კი მხოლოდ ასი დოლარი გვქონდა — ან მეტი რაში გვჭირდებოდა, აქ ხომ ბარიც არ არის, ყველაფერი თან ჩამოვიტანეთ.

ვლადმა მითხრა, — საყურე მომეცი, ბეჭედიც... ჩემი საათი უკვე



მივეციო. ის საათი ჩემი ნაჩუქარი იყო, ძალიან დამწყდა გული. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სახეში მუშტი ვთხლიშე. მანქანის გასაღებს ხელი ვტაცე, ქურქი მოვიხურე და გარეთ გამოვვარდი.

დილით კი თქვენები მოვიდნენ და მითხრეს — თქვენი ქმარი მოკლესო.

ოპერატიული მანქანა სანატორიუმის ტერიტორიაზე შევიდა. ყველა, ვინც კი იმ ღამეს „სტეპნაიაში" იყო, საბილიარდოში შეიკრიბა. ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ადგილობრივი ოპერმუშაკები, ვალოდია, ლარისა, ნატაშა, კირილი, დარაჯი, დამლაგებელი, მზარეული, ადმინისტრატორი ქალი.

მარტოვმა იქაურობა მოათვალიერა და პირკატა ეცა — საკუთარ თვალებს არ დაუჯერა. მის წინ იდგა ახალგაზრდა, რომელიც პირადად მან შარშან თაღლითობისათვის სამი წლით „ზონის სატკეპნად" გაგზავნა — დამწყები „კატალა" ვალოდია ეფიმოვი, მეტსახელად ვალეტი.

— აი, შეხვედრაც ამას ჰქვია! თუ თვალი არ მატყუებს, ეს ნამდვილად შენა ხარ, ვალეტ!

— არ გატყუებთ, ნამდვილად მე ვარ, უფროსო! სანიმუშო ქცევისათვის სასჯელი გამინახევრეს.

— ვალეტიკ, „ბობრი" რატომ გაასალე?

— მე არა, უფროსო, გარემოებამ მოითხოვა და ფულზე გავაგზავნე. სველ საქმეზე წასვლა რაში მჭირდებოდა? მე რომ მომეკლა, განა ახლა აქ ვიქნებოდი? ჩემს საძებნელად კავშირის ყველა ოპერს ხომ ფეხზე დააყენებდით!

— ბანქოს ვალი, ასე ვთქვათ, ღირსების ვალი, მოგცა?

— არა, მხოლოდ საათი მომცა. მეტი ვერაფერი დავტყუე — მეწვრილმანე ყოველთვის მეწვრილმანედ დარჩება. კანონია, ფული თუ არ გაქვს, სათამაშოდ არ უნდა დაჯდე. ეს ყველა მოთამაშემ იცის. მაგას კი ეგონა, გამაცურებდა, — ვალეტმა ზიზღით გადააფურთხა, — ერთი ბაქიბუქა ვინმე იყო.

მარტოვი ერთ-ერთ ოპერმუშაკს მიუბრუნდა:

— გვამი უკვე წაიღეს?

— დიახ.

— რა სახის ჭრილობები აქვს მიყენებული?

— ერთი ჭრილობა პირდაპირ გულში აქვს და ნამდვილად არ ჰგავს სამზარეულოს დანას. შეიძლება მონადირის ან ფინური დანა იხმარეს... ზუსტად დაურტყამთ, სული მაშინვე განუტევა. დანა, ჯერჯერობით, ვერ ვიპოვეთ... კიდევ ორიოდე ჰემატომა აღენიშნება მარცხენა თვალის უპეში, ლაწვსა და შუბლზე... ეტყობა, სისხლჩაქცევები უკვე იატაკზე დაცემის შემდეგ წარმოიქმნა. კოსტიუმის ჯიბიდან, ჩვენი ვარაუდით, საფულეა დაკარგული.

— მარია ალექსეევნა, საფულეში რა თანხა ედო?

— ხომ გითხარით, ასი დოლარი — რუსული ფულით.

— თქვენ რაღას იტყვით, კირილ?

— რას ვიტყვი და — რა ვიცოდი, რომ ეს ნაბიჭვარი „კატალა" იყო. ეგ რომ მცოდნოდა, ნამდვილად მივახრჩობდი. ვლადი ნორმალური, მხიარული კაცი იყო. ამ ვალეტთან მე მხოლოდ 20 დოლარი წავაგე. ვლადი კი უფრო აზარტული აღმოჩნდა. ვერ გაჩერდა. ვითამაშეთ და დასაძინებლად წავედი. ნომრიდან ყვირილი მომესმა. მარია იგინებოდა. მერე მე და ნატალია ერთმანეთს მოვესიყვარულეთ და დავიძინე.

— გეყოფა, ყბედობა! — გაიქაჩა ვალეტი, — მე ვარ ნაბიჭვარი? ვისთან წააგო ვლადმა ფული?.. ვინ მიაცილა ნომრამდე?.. მე? ოჰ, შე მართლა ღორის ტილო!

— დიახ, მე ნორმალური ადამიანი ვარ, მივაცილე და ჩემს ნომერში წავედი. ხომ არ გგონია, რომ ორასი დოლარისთვის ყელზე დანას მივაბჯენდი?

მარტოვმა სანატორიუმის მომსახურე პერსონალს მიმართა:

— სანატორიუმის ტერიტორიაზე უცხო არავინ ყოფილა?

— არა, ჩემო ბატონო, — უპასუხა დარაჯმა.

— ჯარიდან როდის დაბრუნდი? სად მსახურობდი? დიდი ხანია ამ სანატორიუმს იცავ?

— ნახევარი წლის წინ... სადესანტო ბატალიონში, დაზვერვაში ვმსახურობდი. ჯერჯერობით, უმუშევარი ვარ. აქაური დარაჯი ავად გახდა და დროებით ვცვლი.

— ჩვენმა დარაჯმა ვასილი სტეპანიჩმა სამი დღის წინ თავი შეუძლოდ იგრძნო, — ლაპარაკში ჩაერთო ადმინისტრატორი, — უკვე მოხუცია და ხშირად ავადმყოფობს. არ ვიცი, რას იტკივებდა, მგონი, კუჭს თუ გულს. გვთხოვა, რამდენიმე დღე შინ დავწვები და ჩემს მაგივრად სერგეი იმორიგევებსო. ძალიან გვიჭირს, ფული არა გვაქვს და დარაჯს ხელფასს ვერ ვაძლევთ. სტეპანიჩს და მის ძაღლს ჩვენი დაცვის საფასურად დღეში სამჯერ ვკვებავთ ხოლმე.

— სერიოჟა, როგორ არ იყვნენ აქ უცხოები? — კაპასი ხმით ჩაერია მზარეული ქალი, — აბა, გუშინ საღამოს შენს ჯიხურში ჩაის ვისთან ერთად სვამდი? ფანჯარაში შემოვიხედე, ვიფიქრე, ჯარის მეგობარი ეწვია-მეთქი და ამიტომ ხელი არ შეგიშალე. მაღალი, ლამაზი ჭაბუკი იყო, მოდური ქურთუკი ეცვა...

— ბებო ლუსია, რომელ ჯარის მეგობარზე მელაპარაკებით? ორიოდე საათით აქაურმა გოგომ შემომიარა. გავაკეთეთ ჩვენი საქმე და ის იყო, გავაცილე, რომ მარია ალექსეევნამ თავისი „მერსედესით" გიჟივით ჩამიქროლა, კინაღამ გამიტანა!

— ჰო? უცნაურია... მე კი მეგონა, რომ მარია უფრო ადრე წავიდა. ეჰ, სულ გამოვჩერჩეტდი... დავბერდი და შეიძლება ბევრი რამ აღარ მესმის...

მარტოვი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, მერე იქაურობას თვალი მოავლო და მკაცრი ხმით თქვა:

— ბატონებო, ახლა კი სავსებით ნათელია, ვინ არის მკვლელი.

***მკითხველო, გამოიცანით, ვინ არის მკვლელი. სწორ პასუხს გაზეთის შემდეგ ნომერში მოგაწვდით.***

ფირმა „ბერმუხა"

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, როგორც ადგილობრივი, ასევე ბელგიური, გერმანული და იტალიური უმაღლესი ხარისხის მასალებით. საგარანტიო სერთიფიკატით.

გარანტია 10 წელი. მინიმალური ღირებულება 3,5 ლარი.

სამუშაოს ვასრულებთ რესპუბლიკის ყველა რაიონში.



მის: წერეთლის გამზ. 55, ბინა 53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

სარეალიზაციოდ გვაქვს უცხოური უმაღლესი ხარისხის საიზოლაციო მასალები

ჩვენ ვზომავთ საზოგადოებისა და მასმედიის მაჯისცემას

თუ გაინტერესებთ...ვინ? როდის? რამდენს?

უყურებს ტელევიზორს

უსმენს რადიოს

კითხულობს გაზეთებს



დაგვიკავშირდით,

მარკეტინგული და სოციალური კვლევა საქართველოში

ტელ: 95-66-95

COMSYS კომსისი

კომპიუტერები

☎ 92-22-40



პრინტერები საოფისე აპარატურა

სკანერები მინი ატესები

მოდემები ფაქსები

1 წლიანი გარანტიით

დღგ-ს ჩათვლით

| | |
|---|---|
| IBM 233Mhz/Minitower/16Mb Ram/2.5 Gb HDD/1Mb S3 V2/DX/14" Professional/Keyboard/mouse/Pad | 600 |
| AMD 233Mhz/Minitower/16Mb Ram/2.5 Gb HDD/1Mb S3 V2/DX/14" Professional/Keyboard/mouse/Pad | 655 |
| AMD 266Mhz/Minitower/16Mb Ram/2.5 Gb HDD/1Mb S3 V2/DX/14" Professional/Keyboard/mouse/Pad | 680 |
| P II 266Mhz(Celeron)/Minitower/32Mb Sdram/2.5 Gb HDD/1Mb S3 V2/DX/14" Professional/Keyboard/mouse/Pad | 710 |
| P II 300Mhz(Celeron)/Minitower/32Mb Sdram/2.5 Gb HDD/1Mb S3 V2/DX/14" Professional/Keyboard/mouse/Pad | 755 |
| P II 300Mhz MMX/Minitower/32Mb Sdram/2.5 Gb HDD/1Mb S3 V2/DX/14" Professional/Keyboard/mouse/Pad | 930 |
| P II 333Mhz MMX/Minitower/32Mb Sdram/2.5 Gb HDD/1Mb S3 V2/DX/14" Professional/Keyboard/mouse/Pad | 950 |

| | |
|---|---|
| HP Laserjet 6L 1Mb, 600dpi | 500 |
| HP Laserjet 6P 2Mb, 600dpi | 1020 |
| HP Deskjet 400L 600x300dpi | 190 |
| HP Deskjet 670C 600x300dpi | 250 |
| HP Deskjet 690C+ 600x300dpi | 300 |
| Epson Stylus 300C 720dpi | 180 |
| Epson Stylus 400C 720dpi | 250 |
| Epson Stylus 600C 1440dpi | 290 |
| Epson Stylus 850C 1440dpi | 560 |
| Epson LQ-2170 A3 Matrix | 960 |

| | |
|---|---|
| Multimedea Kit x32 | 105 |
| Multimedea Kit x36 | 125 |
| Video Conferesing Kit | 160 |
| USR 56k Int.Fax/Modem | 120 |
| USR 56k ext.Fax/Modem | 165 |
| Genius 33.6 int.Fax/Modem | 51 |
| GVC 33.6 ext.Fax/Modem | 83 |
| Mustec Scanexpess 6000p | 150 |
| Mustec Scanexpess 6000sp | 200 |
| Mustec Scanexpess 12000p | 200 |

## „მესამე ტაიმი"

„კვირის პალიტრა" აგრძელებს საპრიზო სპორტულ თამაშს ***„მესამე ტაიმი"***, გათამაშების საპრიზო ფონდით 300 ლარი. (მოცემული გათამაშების საპრიზო ფონდი 525 ლარია) წინა ორ გათამაშებაში დაფიქსირებული ჯეკ-პოტის გამო).

**ყურადღება!** „მესამე ტაიმის" ბარათი შედგენილია 9 წყვილისგან. თამაშის წესების თანახმად, საპრიზო ფონდის ნახევარი ერგება მას (ან მათ), ვინც „მესამე ტაიმის" ბარათში აღნიშნულ ყველა 9 მატჩის შედეგს სწორად გამოიცნობს. საპრიზო ფონდის მეორე ნახევარს კი მიიღებს ის (ან თანაბრად გაინაწილებენ ისინი), ვინც სწორად გამოიცნობს მინიმუმ 8 შედეგს (მათ შორის, თავისთავად შედის 9 შედეგის გამომცნობიც).

***ჯეკ-პოტი:*** იმ შემთხვევაში, თუ ვერავინ გამოიცნო 9 ან 8 მატჩის შედეგი და საპრიზო ფონდი სრულად ან ნაწილობრივ არ გაიცა, გაუთამაშებელი თანხა დაემატება მომდევნო კვირაში გამართულ „მესამე ტაიმის" საპრიზო ფონდს.

**თუ ფიქრობთ, რომ გაიმარჯვებს წყვილში პირველად დასახელებული გუნდი, გადახაზეთ I სვეტში მოთავსებული უჯრა, II სვეტის უჯრის გადახაზვა ნიშნავს ფრეს, ხოლო III სვეტის უჯრისა კი — მეორედ დასახელებული გუნდის მოგებას.**

# 42-ე გათამაშება – ჯეკ-პოტი 525 ლარი

## იტალიის ჩემპიონატი XV ტური

Ⓐ – ბარათის ეს ნაწილი შეინახეთ №42

| № | თარიღი | I | გუნდი | II | გუნდი | III |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 6.01.99 | | ფიორენტინა | | სამპდორია | |
| 2. | 6.01.99 | | ბოლონია | | ლაციო | |
| 3. | 6.01.99 | | ბარი | | პერუჯა | |
| 4. | 6.01.99 | | მილანი | | იუვენტუსი | |
| 5. | 6.01.99 | | პარმა | | ინტერი | |
| 6. | 6.01.99 | | რომა | | პიაჩენცა | |
| 7. | 6.01.99 | | სალერნიტანა | | კალიარი | |
| 8. | 6.01.99 | | უდინეზე | | ვიჩენცა | |
| 9. | 6.01.99 | | ვენეცია | | ემპოლი | |

მონაწილის სახელი, მამის სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი)

Ⓑ – ბარათის ეს ნაწილი გამოგზავნეთ №42

| № | თარიღი | I | გუნდი | II | გუნდი | III |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 6.01.99 | | ფიორენტინა | | სამპდორია | |
| 2. | 6.01.99 | | ბოლონია | | ლაციო | |
| 3. | 6.01.99 | | ბარი | | პერუჯა | |
| 4. | 6.01.99 | | მილანი | | იუვენტუსი | |
| 5. | 6.01.99 | | პარმა | | ინტერი | |
| 6. | 6.01.99 | | რომა | | პიაჩენცა | |
| 7. | 6.01.99 | | სალერნიტანა | | კალიარი | |
| 8. | 6.01.99 | | უდინეზე | | ვიჩენცა | |
| 9. | 6.01.99 | | ვენეცია | | ემპოლი | |

მონაწილის სახელი, მამის სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი)

„მესამე ტაიმის" ბარათები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყურადღება! 42-ე გათამაშების ბარათები ყუთებში მოათავსეთ შეძლებისდაგვარად სამშაბათის (5 იანვარი) 17.00 საათამდე (ყუთების მდებარეობის შესახებ იხ. 28-ე გვერდი).

**ყურადღება:** იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზთა გამო „მესამე ტაიმის" ბარათში აღნიშნული 9 მატჩიდან ორი ან მეტი მატჩი გადაიდო, ან საბოლოო შედეგი არ დაფიქსირდა, აღნიშნულ გათამაშებაში საპრიზო ფონდი არ გათამაშდება და მთლიანად დაემატება მომდევნო გათამაშების საპრიზო ფონდს.

უჯრა გადახაზეთ ასე – ☒ მატჩის გადათამაშების ან ანგარიშის შეცვლის სხვა შემთხვევაში სწორად ჩაითვლება პირველად დაფიქსირებული შედეგი.

*„მესამე ტაიმის" 42-ე გათამაშების ბარათების შეძენა მსურველებს შეუძლიათ სპორტის სასახლის სალაროებთან, ორშაბათს (4 იანვარს), ან სამშაბათს (5 იანვარს), 11-დან 13 საათამდე. ერთი ვარიანტის ფასია — 25 თეთრი.*



„მესამე ტაიმის" წინა გათამაშების ერთადერთი გამარჯვებული მეორეკლასელი, თბილისელი გიორგი გიორგიძეა, მან საახალწლოდ **225 ლარი** მოიგო.

— ყველა გათამაშებაში მაქვს მიღებული მონაწილეობა და კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებზე ვოცნებობ!

# დატოვებს თუ არა ბურე NHL-ს?

**NHL**-ის რუსი ვარსკვლავის პაველ ბურეს ბედი ჯერჯერობით ისევ უცნობია. შეგახსენებთ რომ ბურეს საკმაოდ გაურთულდა ურთიერთობა მისი კლუბის „ვანკუვერის" ხელმძღვანელობასთან ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. „რუსული რაკეტა" კარგა ხანია ყინულზე არ გამოსულა, კონტრაქტით იგი ისევ კლუბს ეკუთვნის და მისი გაშვება არავის სურს.

სენსაციური გამოდგა ცნობა იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ბურემ სპორტული კარიერა ბელორუსეთში(?) გააგრძელოს. ამის შესახებ ბურემ თავად განუცხადა ჟურნალისტებს, უფრო ვრცელი კომენტარი კი ბურეს უმცროსმა ძმამ ვალერიმ გააკეთა, რომელიც კალგარის ღირსებას იცავს.



„ჩემი ძმა შესაძლოა საერთოდ აღარ დაბრუნდეს კანადაში, ბელორუსეთში მას ზღაპრულ ჰონორარს შეჰპირდნენ, ხალხი მხოლოდ მის საყურებლად ივლის ჰოკეის მატჩებზე, რაც ამ სპორტს ბევრად პოპულარულს გახდის". ამ საქმეში თავად ბელორუსეთის პრეზიდენტი ლუკაშენკოცაა გარეული და ცდილობს „რუსული რაკეტა" „ბელორუსად" აქციოს. წმინდა სპორტული თვალსაზრისით, რასაკვირველია ბურეს მიერ **NHL**-ის დატოვება სისულელეა. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ჰოკეისტი **NHL**-ის გარდა არსად არ უნდა თამაშობდეს, მით უმეტეს ბელორუსეთში, სადაც ჰოკეის ლიგა საკმაოდ სუსტია. საბოლოო გადაწყვეტილებას ბურე ახლო მომავალში მიიღებს

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მფd4

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს მესამე სვლაში.

ლ. კუბელი 1941 წ.



# რომანცევი რუსეთის ნაკრების მწვრთნელია



მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინ რუსეთის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ანატოლი ბიშოვეცი, რომლის ხელმძღვანელობითაც რუსებმა 6-დან ყველა მატჩი წააგეს. მის მოვალეობას ამიერიდან მოსკოვის სპარტაკის ცნობილი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი შეასრულებს. ნაკრების მწვრთნელობა მისთვის უცხო არ გახლავთ, 1996 წელს რომანცევმა გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, როგორც გახსოვთ, მაშინ რუსები იტალიასთან და გერმანიასთან დამარცხდნენ, რაც მწვრთნელის გათავისუფლების მიზეზი გახდა. აღსანიშნავია, რომ ნაკრებში მუშაობის პარალელურად რომანცევი სპარტაკშიც იმუშავებს.

# გულშემატკივრებს 20 მეტრიან გალიებში ჩასვამენ

არგენტინელ გულშემატკივართა მიერ მოწყობილი მასობრივი არეულობების შემდეგ, რომელიც 2 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, ახლახან შექმნილი ფეხბურთის უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელმა, მსაჯმა ვიქტორ პეროტომ განსაზღვრული დროით აკრძალა ნებისმიერი საფეხბურთო მატჩის ჩატარება. ხოლო არგენტინის პრეზიდენტს ურჩია, დიდ ბრიტანეთში იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკების ნაცვლად ინგლისელებისაგან გონდაკარგული ფანატების დამშვიდება და რაიმე რეალური ზომების მიღება მოითხოვოს.

პროვინციულ პატარა კლუბებს არ ძალუძთ თამაშის დროს პოლიციელთა შრომის ანაზღაურება. წამყვან კლუბებში გულშემატკივრებს ტრიბუნებზე არგენტინელთა ტრადიციული ტრანსპარანტების გაშლის ნებას არ აძლევენ. პოლიციელთა აზრით, ეს იმ ფანატთა თავშესაფარია, რომლებიც თამაშის მსვლელობის დროს კოკაინითა და ჰეროინით აღიგზნებიან.

მომავალში სტადიონებზე აღიმართება 20 მეტრიანი ლითონის ბადეები და ხულიგნები ტრიბუნებზე გალიებში აღმოჩნდებიან.

ცოტა ხნის წინ „ველესის" მეკარე, სახელგანთქმული ხოსე ლუის ჩილავერტი კინაღამ იმსხვერპლა გულშემატკივრების ნასროლმა ბომბმა. „რივერ პლეიტსა" და „ბოკა ხუნიორსს" შორის გამართულ მატჩზე 60.000 გულშემატკივარს 1.165 პოლიციელი და 190 შეიარაღებული დამცველი ზედამხედველობდა, მაგრამ კანონდამცავებმა მაინც ვერ შეძლეს კარგად ორგანიზებულ პროფესიულ ბანდფორმირებებთა შორის შეჯახების თავიდან აცილება.

# ბოსმანის მომდევნო გამარჯვება



მარკ ბოსმანი, რომელმაც ორიოდე წლის წინ თავდაყირა დააყენა საფეხბურთო სამყარო, ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა. ამჟამად მან ბელგიის ფეხბურთის ფედერაციას უჩივლა და ადრე მიყენებული მორალური ზარალის საკომპენსაციოდ 500. 000 დოლარი მოითხოვა. ფედერაცია იძულებული გახდა თავისი სალარო ნახევარი მილიონით შეემცირებინა, ბოსმანმა ახალი გამარჯვება მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ სწორედ მარკ ბოსმანს დამსახურებაა თავისუფალი აგენტების სტატუსის შემოღება კლუბებში.

# რიდლეს სათადარიგოთა შორის ყოფნა მობეზრდა

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა გერმანელმა კარლ ჰაინც რიდლემ უკანასკნელ ხანს ვერა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი ლივერპულის ძირითად შემადგენლობაში. 1997 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში ორი გოლის გამტანი რიდლე ლივერპულის დატოვებაზე და სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობს. გასულ სეზონს მან 34 მატჩი ჩაატარა ლივერპულის შემადგენლობაში და 7 გოლი გაიტანა. თუმცა მაიკლ ოუენის გამოჩენის შემდეგ რიდლე დაიჩრდილა, ხოლო მას შემდეგ რაც რობი ფაულერიც გამოჯანმრთელდა, გერმანელი საერთოდ აღარ თამაშობს. ლაპარაკია მის გადასვლაზე გერმანულ მიუნხენ 1.860-ში.

# ზაგალომ სამსახური იშოვა



მას შემდეგ რაც ბრაზილიის ნაკრები სამარცხვინოდ დამარცხდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და მათი მწვრთნელი მარიო ზაგალო დაუფიქრებლად გაათავისუფლეს, 6 თვე გავიდა. ტეტრაკამპეონთა მწვრთნელს მრავალი წინადადება ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთს დასთანხმდა. ამიერიდან ზაგალო სან პაულუს კლუბ „პორტუგეზას" გაწვრთნის, რომელიც უკანასკნელ წლებში ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად იქცა, გასულ სეზონში ოთხი საუკეთესო კლუბის სიაშიც კი მოხვდა და მხოლოდ ნახევარფინალი დათმო „კრუზეიროსთან".

ზაგალოს ჯერ კიდევ 1991 წელს შესთავაზეს ამ გუნდის ხელმძღვანელობა, თუმცა მაშინ ნაკრების მეორე მწვრთნელობა ამჯობინა. „პორტუგეზას" პრეზიდენტს ამილვარ კაზადუს იმედი აქვს, რომ 67 წლის ზაგალო კლუბს ბრაზილიის ჩემპიონობამდე მიიყვანს.

# შუქური იუვენტუსში თამაშზე უარს ამბობს

როგორც იტალიური პრესა იუწყება, ტურინის იუვენტუსს თურქულ გალათასარაიში მოასპარეზე ჰაკან შუქურის შეძენა სურს და მზადაა ამისთვის 12 მილიონი დოლარიც გაიმეტოს, თუმცა რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თავად შუქური იკავებს თავს. საქმე ის არის, რომ თურქი ფორვარდი ერთხელ უკვე თამაშობდა იტალიურ ლიგაში და თავი ვერაფრით გამოიჩინა, ეტყობა, თურქს არც ახლა აქვს თავის თავის იმედი და სურს კარიერა ისევ თურქეთში გააგრძელოს.

# ლივერპული საუკეთესოა

ინგლისურმა პოპულარულმა გაზეთმა „თაიმსმა" ჩაატარა გამოკითხვა, რომელსაც ყველა დროის საუკეთესო ინგლისური კლუბი უნდა გამოევლინა. დადგინდა, რომ ბრიტანელები ყველა დროის საუკეთესო კლუბად ლივერპულს მიიჩნევენ, შემდეგ მოდიან მანჩესტერ იუნაიტედი, არსენალი და ტოტენჰემ ჰოტსპური, პრემიერლიგის ამჟამინდელი ლიდერი — ბირმინჰემის ასტონ-ვილა მეექვსეა. საინტერესოა, რომ ოცეულში მოხვდა ჩვენთვის კარგად ნაცნობი მანჩესტერ სიტიც, რომელიც ამჟამად მესამე დივიზიონში გამოდის.

# შავკანიანმა კარამბემ სლოვაკ ტოპ-მოდელზე იქორწინა

გასული წელი არაჩვეულებრივად იღბლიანი და ბედნიერი აღმოჩნდა მადრიდის რეალისა და საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელ კრისტიან კარამბესათვის. ჯერ იყო და ევროპის საკლუბო ფეხბურთის უმაღლეს ჯილდოს — ჩემპიონთა თასს დაეუფლა, შემდეგ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შემოდგომაზე საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო (მსგავსი წარმატებები ერთ სეზონში ჯერ არავის ღირსებია), საშობაოდ კი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი უძღვნა თავს, კარგა ხნის მეგობრობის შემდეგ ჯვარი დაიწერა სლოვაკ მზეთუნახავზე, ტოპ-მოდელ ადრიანა სკლერანკოვაზე. რეალის შავკანიანი ფეხბურთელისა და სლოვაკი ლამაზმანის ქორწილი კორსიკის კუნძულებზე, პატარა ქალაქ პორტო ვიეკოში გაიმართა,



ჯვრისწერას ახლობლების გარდა რეალის მოთამაშეებიც ესწრებოდნენ, თუმცა ექსცესების გარეშე დღემ მაინც ვერ ჩაიარა. ტაძრიდან გამოსულ წყვილს პაპარაცების მთელი ხროვა დაატყდათ თავს, ქორწილის გადაღების ექსკლუზიური უფლება კი მხოლოდ ერთ სოლიდურ ჟურნალს ჰქონდა შესყიდული. ამიტომ პოლიციას ცრემლმდენი გაზის გამოყენება დასჭირდა ფოტოგრაფების თავიდან მოსაცილებლად.

## №52 (117) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

52-ე რეიტინგს 502 რესპონდენტი გამოეხმაურა. შეცდომით შევსებული ბარათი მხოლოდ 4 მკითხველს ჰქონდა. საკონკურსო იყო 498 ბარათი. 169-მა ქალმა და 329 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა მიგაჩნიათ 1998 წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მსოფლიოში?"**

მკითხველთა 54% ასეთად ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს ასახელებს. **6,75** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე „ერაყის დაბომბვაა", საშუალო ქულაა 6,14. ეს მოვლენა მინიმალური ქულით მხოლოდ ერთმა მკითხველმა შეაფასა. „ფინანსური კრიზისი რუსეთში" მესამე ადგილზეა. რაც შეეხება ლევინსკისა და კლინთონის ურთიერთობას, ეს მოვლენა 4,94 საშუალო ქულით მეოთხე ადგილზეა. მკითხველთა 5%-ს იგი ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, 6%-მა კი მინიმალური — 1 ქულით შეაფასა. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა „კომეტების წვიმამ" დაიმსახურა, თუმცა მაქსიმალური ქულების მიხედვით წინ უსწრებს ლევინსკისა და კლინთონის გახმაურებულ ამბებს, „ტიტანიკის" გადაღებას, „ვიაგრას" გამოგონებასა და პინოჩეტის დაპატიმრებას. აღსანიშნავია, რომ „პინოჩეტის დაპატიმრება" და „ვიაგრას" გამოგონება" ერთნაირი რაოდენობის მაქსიმალური ქულებით შეფასდა (1%).

ქალებს კომეტების წვიმა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე ცნობილი დიქტატორის დაპატიმრება და „ვიაგრა". მათ ხომ უფრო მეტად ხიბლავთ ასეთი უცნაური ამბები და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთი რამ ათეული წლების განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ხდება, მათი აზრი სავსებით გასაგებია. კაცებთან „ვიაგრას" გამოგონება" მეშვიდე ადგილზეა, ქალებთან — სულ ბოლოზე. როგორც ჩანს, მათ ნაკლებად აღელვებთ მამაკაცების სექსუალური პრობლემები.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა, ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები არიან: 39 წლის წყალტუბოელი ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ და 20 წლის თბილისელი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. მათ, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ვიაგრას" გამოგონებას" ორის ნაცვლად ერთი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნეს და „კომეტების წვიმას" ერთის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება. გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 5 იანვარს, 17 საათზე.

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 457 რესპონდენტი მონაწილეობდა. მათ უნდა დაესახელებინათ 1998 წლის ადამიანი საქართველოში. მკითხველთა 3% ასეთად არავის მიიჩნევს. 2%-ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. წლის ადამიანად უმრავლესობამ შალვა ნათელაშვილი დაასახელა. ეს სულაც არ ყოფილა ისეთივე მოულოდნელი ჩვენთვის, როგორც ლეიბორისტების გამარჯვება 15 ნოემბრის არჩევნებში. მკითხველთა 15%-ის აზრით, წლის ადამიანი მიხეილ სააკაშვილია, 9%-ის აზრით კი — პრეზიდენტი. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ანალოგიურ გამოკითხვაში წლის ადამიანად მიხეილ სააკაშვილი დასახელდა, ედუარდ შევარდნაძე მეორე ადგილზე იყო. წელს კი, როგორც ვნახეთ, ლეიბორისტმა ორივე „მოქალაქე" უკან ჩამოიტოვა და პირველობა არავის დაუთმო. გასული წლის ადამიანთა პირველ ათეულში დასახელებული ქართველი მოკრივე გიორგი კანდელაკი 1998 წლის ადამიანთა პირველ ათეულშიც მოხვდა.



პოპულარობისათვის ადამიანებს შეუძლიათ ყველაფერი გააკეთონ, ამისი მაგალითები ისტორიაშიც და დღევანდელობაშიც მრავლად მოიძებნება. ჰეროსტატემ არტემიდეს ტაძარი გადაწვა, ისტორიაში სახელი რომ დაემკვიდრებინა... ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, მკითხველთა 2%-მა წლის ადამიანად თემურ მღებრიშვილი რომ დაასახელა.

რესპონდენტთა მიერ დასახელებული წლის ადამიანთა პირველი ათეული ასე გამოიყურება:

| | | |
|---|---|---|
| 1 | **ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** | **32%** |
| 2 | **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** | **15%** |
| 3 | ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ | 9% |
| 4 | ᲐᲡᲚᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ | 6% |
| 5 | ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ | 5 % |
| 6-7 | ᲕᲐᲜᲝ ᲖᲝᲓᲔᲚᲐᲕᲐ | 3% |
| 6-7 | ᲠᲔᲕᲐᲖ ᲨᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 3% |
| 8-9 | ᲒᲝᲒᲘ ᲗᲝᲤᲐᲫᲔ | 2% |
| 8-9 | ᲗᲔᲛᲣᲠ ᲛᲦᲔᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 2% |
| 10 | ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 1% |

## № 1 (118) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგში"

№1 (118) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი ხუთშაბათის, 7 იანვრის 13 საათამდე ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში.

© თბილისი, 1997

თემა №1 (118)
საუკეთესო მრჩეველი

ვინ ან რა შეიძლება იყოს საუკეთესო მრჩეველი კრიტიკულ სიტუაციაში (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№1(118) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | მრჩეველი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ | |
| 2 | ᲛᲔᲣᲦᲚᲔ | |
| 3 | ᲘᲜᲢᲣᲘᲪᲘᲐ | |
| 4 | ᲬᲘᲒᲜᲘ | |
| 5 | ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲘ | |
| 6 | ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ | |
| 7 | ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ | |
| 8 | ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ | |
| 9 | ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ | |

**მკითხველის რეიტინგი** *

დაასახელეთ 1998 წლის ადამიანი მსოფლიოში

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ____ ტელეფონი ____

**მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ ახალ გასართობს — ცნობილი ადამიანები საახალწლო კარნავალზე. (მოგეწონებათ)**

„მზიური"

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ



***ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ***

◇ პერსონალური კომპიუტერი თანამედროვე ოფისში (Windows 95, MS Word, MS Excel, Internet)

◇ ინტერნეტი ყველასათვის (WWW, E-mail)

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲡᲔᲠᲗᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ

მის: ი. ჭავჭავაძის ჩიხი, №37 („მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)
☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60

## • ფოტოპალიტრა • ფოტოპალიტრა • ფოტოპალიტრა • ფოტოპალიტრა •

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ჯ. ჩარკვიანი ე. შენგელაია გ. ქავთარაძე



გ. გამსახურდია, თ. მღებრიშვილი, ს. ალავიძე

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას" 196 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**თ.მ.** — უფროსო! ასი გრამი შენი სისხლიც გვინდა გადავუსხათ, თუ წინააღმდეგი არ იქნები!

*„გორო", თბილისი*

**ს.ა.** — ჩემო თემურ, ხომ გაგიგია ხის ჩივილი — ცულს რომ ხის ტარი არა ჰქონდეს, ისე ვერ მომჭრიდაო... ხოდა, ძმაო, აგერ ტარი.

*ნ. რობაქიძე, თბილისი*

დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლისფერი ძაღლი.

*მანუჩარ კობახიძე, თბილისი*

**თ.მ.**— უფროსო, ჩემი ცოლშვილი არ მეყოფოდა, ესეც რომ ამკიდე კისერზე!

*დათო ჩ, თბილისი*

**ნ. ძირია:** ბატონო მუშნი, მიტინგი შევლებე! ბეჩუნი პერტია დავიჭირე, შვილი გადმოვიბირე. მივცეთ ახლა ნაგანი და ჩავწეროთ პოლიცმეისტერად.

**მუშნი:** ყოჩაღ! დაგაჯილდოებს, აბა, „ბაბუატორი".

*კახაბერი, თბილისი*

— ბოს, დავალება შესრულებულია! 3 ჟურნალისტი და 4 მოქალაქე მაგრად ვცემეთ.

*ვახტანგ შავდია, თბილისი*

**თ. მღებრიშვილი:** „ახია ჩემზე, ჩემგან ისწავლა ხალხის მანქანაში ჩატენვა... მაგრამ, ასეთი ფორმით?!"

*მ. გურგენიძე, თბილისი*

გ. გამსახურდია და მღებრიშვილი ექსპრეზიდენტის მომხრეებთან პირველი ერთობლივი შერკინების შემდეგ:

**თ.მ:** — სოსო, კაცო, სად გარბიხარ? ეს ბავშვი მაინც გაიყოლე, ვერა ხედავ, შიშით ფერი აღარ ადევს.

**ს.ა:** — აა, დაგერხათ, ბიჭებო?!

*ბაკურ ალუდაური, დუშეთი*

**თ.მ. ს.ა.-ს:** —გააღე კარი თუ ძმა ხარ, ჟურნალისტთა საცემრად სპეცბატინკები შევუკვეთე „ბატა"-ში, 20% რკინაა, ძლივს მოვფორთხდი მანქანამდე ზვიადიჩის დახმარებით.

*გიორგი დოხნაძე, თბილისი*

გ.გ: — ვაიმე ბიჭებო, დედა მოდის.

*გ.გ., თბილისი*

„ზარანდია" ზურგს შეუქცევს ჩვენს „პოლკოვნიკ სახნოვს", „გრაფ სეგედსაც" გააცურებს, ყველაფერი ახსოვს!

*კარლო უთურგაიძე, თბილისი*

**ს.ა.** — თემურ, მგელს ყეფას თუ ასწავლი?

**თ.მ.** — ვერა, ბატონო სოსო.

**ს.ა.** — აბა მიხედე მაშინ! მგელია ეგ ბიჭი, მგელი! ჩვენი ფორმა აცვია მხოლოდ!

*სამადა*

„ბედის ირონია ანუ ერიჰააა!"

*კ. წიკლაური*

**თ.მ.** — სოსო-ჯან, წამოეგო, აი ანკესზე!

**ს.ა.** — კაცი არ ვიყო თუ დედამისი სამეგრელოს პოლიციის შეფად არ გავუშვა. აი, მერე ნახე კონცერტი...

*გოგინაშვილი, „მეოთხე"*

ახალი ქართული ანდაზა: „გ. გამსახურდია, მღებრიშვილთან და ალავიძესთან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან რწმენასო".

*მამუკა იაშვილი, თბილისი*



რას არ მოიფიქრებს ქალი... უფრო ზუსტად, ქალები. მსახიობი უილ სმიტი, რომელსაც ყოველთვის ეგონა, რომ ყველაზე მეტად ყურები უშლიდა ხელს გარეგნობაში, სწორედ ამ ყურების ფორმისადა გამო აღიარეს სექსუალურ კინოვარსკვლავად.

## არ გვცნობიან

ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ფრინველები გაცილებით ჭკვიანები არიან, ვიდრე წარმოგვიდგენია. ეს ჩვენი გამოჭუკებული ინდაური, თურმე, გონებაში ათასობით „მისამართს" ატარებს და შეუცდომლად მიადგება ყველა გადამალულ საკენკს, რომელსაც საგულდაგულოდ მარხავს... აი, ბატონი მამალი კი, კიდევ უფრო გამჭრიახია — მიგნებით ხომ აგნებს, თანაც ჯერ ადრე გადანახულს მიაკითხავს, არიქა, არ გამიფუჭდესო და შემდეგ ბოლო „საწყობებს" აცარიელებს.

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

1999

4

ამოდის 07.28
ჩადის 16.41

ამოდის 19.28
ჩადის 09.01

ორშაბათი

კვირის პალიტრა



ანანურის ციხე

## „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ" ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲔᲕᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1999



— პატარძალმა თავ-პატიჟი გამოიდო და წრეში მე გამოვგოგდი...

— რომელი ქალია უფრო ერთგული: შავგვრემანი, თუ ქერა?..

— ჭაღარა.

***

ამერიკის სენატში საჩივარი შეიტანა ხავერდის დათუნიამ, რომელთანაც ბავშვობაში ეძინა ბილ ქლინთონს.

***

ოსი თითქმის მიწამდეა უკან გადახრილი. მივიდა ექიმთან, ვეღარ მართავს წელს.

— რა მოგივიდაო, ჰკითხა ექიმმა.

— თვითმფრინავს გავაყოლე თვალი შენი წილიმეო.



კვირის პალიტრის უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲨᲘ" კი, ქვეყნდება მხოლოდ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება ყოველ სამშაბათს 17 საათზე, ხუთშაბათსა და კვირას, 13 საათზე. მათი განთავსების ადგილებია — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: მეტროების — „მარჯანიშვილი"; „ვაგზლის მოედანი"; „თავისუფლების მოედანი"; „რუსთაველი"; „ახმეტელი"; „ვარკეთილი"; „პოლიტექნიკური", „ისანი"; „სამგორი"; „გოცირიძე"; — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში — მეგობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში — კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში — გაჩერებასთან.*

*ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: 1) თამარ მეფის ქ. უნივერსიტეტი; 2) კინო „საქართველო" წერეთლის ქ.; 3) ჯაჭვის ხიდის ავტოსადგური; 4) ბაზრის წინ; 5) კულტურის სახლის წინ; 6) ნინოშვილის ქ. ბაღში; 7) ნიკეას ქ. ბირჟა; 8) ავტოსადგური, კეჩის ბაზარი; 9) ავტოქარხანა; 10) ავტოქარხნის ბაზარი; 11) უნივერსამი; 12) რკინიგზის სადგური. (განცხადებები მიიღება ტელეფონითაც 4-34-36)*

*ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ: 1) ქაშაკაშვილის ქუჩა; 2) შარტავას გამზ. 14/2; 3) მე-16 მ/რ ე.წ. სტამბულის ბაზრის წინ.*

***ქალაქებში:** ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲤᲝᲗᲘ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — **არსებული „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთები იცლება სამშაბათობით, 17 საათიდან.***

ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ" (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ. ©

(1) *ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ*

განცხადების ტექსტი ______

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 20 (მისამართის გარდა)*

**P.S.** №1-ის ქვითარი ძალაშია 4 იანვრიდან 7 იანვრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 7 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 7. თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში; 8. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 11. სხვადასხვა სიმაღლის ყველა ბგერის ერთობლიობა, რომელიც მისაწვდომია ამა თუ იმ საკრავის ან ხმისათვის; 12. მინისებრი მასა ლითონის საგნების დასაფარავად; 15. პერსონაჟი ვაჟა-ფშაველას პოემისა „სტუმარ-მასპინძელი"; 17. სახიჩარი, ფიზიკური ნაკლის მქონე; 18. „მოედნის" შესატყვისი ძველ ქართველთა მეტყველებაში; 19. კუნძული იტალიაში; 20. ფრინველი; 21. ქვევრისებური დიდი ქილა; 23. კოცნა (ძველქართული შესატყვისი); 27. ადგილი, სადაც სასარგებლო ნამარხი მოიპოვება; 29. ვაჟა-ფშაველას სამშობლო; 30. საშინაო ფეხსაცმელი; 32. სიტყვა, რომლითაც მოიხსენიებენ ფეხბურთის იტალიელ გულშემატკივრებს, მეტისმეტად მღელვარედ რომ გამოხატავენ თავის ემოციებს; 34. გერმანიის პოლიტიკური მოღვაწე; 35. ხერხის სახეობა; 37. საძრახისი ხრიკებით, ფარულად მოქმედი; 39. რკინის საყრდენი ლითონის გამოსაჭედად; 40. ფეთქებადი ნივთიერებით დატენილი სპილენძის ხუფი (ფეთქდება დარტყმით და იწვევს ჭურვში მუხტის ანთებას).

**შვეულად:** 1. ვინც სხვის გასართობად მასხარაობს, იმანჭება; 2. ოპტიკური მინა; 3. სამხედრო თავდაცვითი ნაგებობა; 4. მონარქის ტიტული; 5. კავშირი ქართულ ენაში — რა დრომდისაც, ვიდრე; 6. მიწის თხილი; 9. მუსიკალური საკრავი; 10. თავის ქება, ბაქიაობა; 13. შერეული შემადგენლობის ორკესტრი, რომელშიც ჭარბობს ჩასაბერი და სარტყმელი საკრავები; 14. ფირფიტა, რომელზეც ამოჭრილია რაიმე სახე ან ასოები; 16. ცალკეული ორგანიზაცია, საზოგადოებათა კავშირი; 22 ისეთი რამ, რაც ადამიანს დაამშვიდებს, რისამე რწმენას, იმედს ჩაუნერგავს; 24. ციებცხელება; 25. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 26. ქალაქ-მუზეუმი იტალიაში; 28. მხატვრული კონსტრუირება, ნაკეთობის ესთეტიკური გაფორმება; 31. შენობა ქრისტიანთა წირვა-ლოცვისათვის; 33. სატვირთო ოთხთვალა საზიდარი; 36. პერსონაჟი ტელესერიალისა „დინასტია"; 38. ფოტოგრაფიული ანაბეჭდის, ნეგატივის ან დიაპოზიტივის შესწორება ფანქრით, სალებავით.

*გ. გასიტაშვილი*

## ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

**თარაზულად:** 6. ფარში; 7. ჯავრი; 9. კვიპროსი; 10. „მიმჯდარა"; 15. ჩეხოვი; 16. მაიორი; 17. შარავანდი; 20. ჩოხატაური; 25. ზარზმა; 26. „მხარეო"; 27. თორა; 28. ტუზი; 29. შეიკი; 33 ჩხირი; 35. „რამაიანა"; 36. ხამხამი; 37. უშგული.

**შვეულად:** 1. გუშინ; 2. ხრამი; 3. არსი; 4. სვია; 5. ჰიუგო; 8. რაფერ? 11. ფორვარდი; 12. ავიამზიდი; 13. დანაშაული; 14. „ვიქტორია"; 18. რეზერვი; 19. ნამუსი; 21. ხახალი; 22. უშობელი; 23. ბროშურა; 24. ტურიზმი; 30. კრახი; 31. ხაშმი; 32. ანაშა; 34. ხატია.

ᲜᲐᲚᲓᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲡᲐᲑᲘᲗᲣᲛᲝ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ (მინ. პარტია 10 ც.)

ყოველი სანეხი მაგიდის აუცილებელი ატრიბუტი 1999 წლის მაგიდის კალენდარი

გამომცემლობა „კოლორი" მის: აკურის 8, ტ: 33-78-07



დედა ეხვეწება პატარა გოგონას:

— დალიე წამალი და წარმოიდგინე, რომ ლიმონათს სვამ.

— დედა, სჯობს ლიმონათს დავლევ, შენ კი წარმოიდგინე, რომ წამალი დავლიე.

***

— მამა, სახეებს კარგად იმახსოვრებ?

— კი.

— კიდევ კარგი, თორემ შენი საპარსის სარკე გამიტყდა.

***

სადღეგრძელო

თუ ღამე შინ ვერ გაათიეთ, ღმერთმა ქნას, ის შეგემთხვეთ, რაც თქვენმა ცოლმა იფიქრა... და არა ის, რაც დედათქვენმა.



— ჩემს ცოლს ცხენივით თვალები აქვს...

— დიდრონი და ნაღვლიანი?

— არა კაცო, თავის აქეთ-იქითა მხარეს...

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ № 1518

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".